სანდრო წერეთელი

საქართველო

სამზარეულო

სანდრო წერეთელი

სარჩევი

ბედნიერი დასასრული 4
ერთი ბოთლი ლუდი 17
2X2 24
მევიოლინე 27
ხორცსაკეპი 43
ურბანული ზღაპარი 56
დეი ოფი 70
ცხრა მოთხრობა 74
სიცილის ოთახი 76
სამზარეულო 107
სიზმრის სახლი 112
ნუარი პიერის ხანმოკლე არსებობა 116
ასოციაციობანა 125

ბედნიერი დასასრული

ანას მოულოდნელად დაშორდა შეყვარებული. ყველაზე უპრობლემო, ბედნიერ დროს, როდესაც ურთიერთობა თითქოს ლოგიკური დასასრულისკენ მიდიოდა - ანა ფიქრობდა, რომ სულ ცოტაც, და გიორგი ხელს სთხოვდა. ელოდა, რომ ხელის თხოვნა რაღაც გრანდიოზული და ექსტრავაგანტული სიურპრიზი იქნებოდა - როგორც მიღებულია საზოგადოდ. მაგრამ გიორგი დაშორდა. დაშორების მიზეზი ანასთვის ბუნდოვანი დარჩა. ეს ბუნდოვანება დაშორების საყოველთაოდ ცნობილ სევდას კიდევ უფრო ამწვავებდა. მოულოდნელი ტრაგედია და მისი გაურკვეველი მიზეზები. სარკეში ჩახედვა აღარ უნდოდა. ოთახში ჩაიკეტა და ყველანაირ სოციალურ აქტივობაზე უარი თქვა.

მაგრამ სოციალურ ქსელებზე უარის თქმა მაინც ვერ შეძლო. ჩაბნელებულ ოთახში მჯდარს სევდიან სახეზე მუდამ ეფინა ტელეფონის ეკრანის მჭახე ნათება. ამა თუ იმ სოციალურ ქსელში გამუდმებით აწყდებოდა აწ უკვე ყოფილი შეყვარებულის ცხოვრების ახალ-ახალ ეპიზოდებს: გიორგი ბაქოში გამართულ მარკეტინგის საერთაშორისო, სტუდენტურ კონვენციაზე, სიგელით ხელში; გიორგი კოქტეილით ხელში ქალაქის ცენტრში ახლადგახსნილ ბარში, მეგობრებით გარშემორტყმული. გიორგის სალათა და კაპუჩინო. გიორგი მისი ერთ-ერთი მეგობრის (მათი საერთო ნაცნობის) სახლში ქალაქგარეთ. სოციალურ ქსელებში მიმოფანტულ სურათებსა და პოსტებში ანა ცდილობდა იმ სევდის ჩრდილი მაინც დაენახა, რასაც თავად განიცდიდა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ჩანს, გიორგის ცხოვრება ყოველგვარი დანაკლისისა და შეფერხების გარეშე მიედინებოდა - ისევე წარმატებულად და უდარდელად, როგორც მანამდე.

ანას განწყობა დღითი-დღე უარესდებოდა. ბნელი ოთახიდან გამოსვლაზე მხოლოდ საჭმელად თანხმდებოდა, ესეც ისე, თითქოს აუცილებელ, მაგრამ დამამცირებელ კომპრომისზე მიდიოდა. სწავლაზე გული აიცრუა და მეგობრებთან ურთიერთობის სურვილიც გაუქრა. ისინი ურეკავდნენ, ეპატიჟებოდნენ დაბადების დღეებზე, ფესტივალებზე ან უბრალოდ ყავაზე შესახვედრად, მაგრამ გარეთ ვერაფრით გაიტყუეს.

ამ ჩაკეტილობიდან გამოსავალი არ ჩანდა. სოციალურ ქსელებში დატოვებული გიორგის ნაკვალევის მუდმივმა თვალთვალმა ანა საბოლოოდ მიაჯაჭვა თავის ოთახსა და ტელეფონს. გიორგი ანასთვის ახლა ნამდვილ ურჩხულად გადაიქცა და თან ისეთ ურჩხულად, რომელიც სრულყოფილი და წარმატებული ცხოვრებით ცხოვრობს. გიორგისთან ლაპარაკი დაშორებისწინა მტკივნეული მიმოწერის შემდეგ აღარ შემდგარა და კონტაქტის ეს ნაკლებობა ანას შთაბეჭდილებას გიორგის სრულყოფილი ცხოვრების შესახებ ხელს უწყობდა - ახლა ეგონა, რომ გიორგის ცხოვრების ყველა ნაკლი, მისი ცხოვრებიდან ანას გაქრობასთან ერთად გაქრა.

არავინ იცის, თუ სადამდე მიიყვანდა ანას ასეთი ცხოვრების წესი, უმოძრაობა და დარდი, რომ არა სოციალურ ქსელში გამოჩენილი სურათი - ისევ გიორგის ცხოვრებიდან. ერთ დღესაც, გიორგიმ თავისი ცხოვრების მორიგი ეპიზოდი დადო; უცხო, მიუკერძოებელი პირისთვის ამ სურათში არაფერი იქნებოდა განსაკუთრებული ან ამაღელვებელი, მაგრამ უწყინარმა ფიზიკურმა კონტაქტმა, რომელსაც გიორგი სურათში ამყარებდა ვიღაც უცხო გოგოსთან (მასზე ხელი ჰქონდა გადახვეული) ანაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ხელის ეს გადახვევა რაღაც ახალს მოასწავებდა, გიორგის სრულყოფილი ცხოვრების კიდევ უფრო სრულყოფას - რაზეც, უცნაურია, მაგრამ ანას აქამდე არ უფიქრია. შეიძლება გიორგის მთელი მონსტრუოზულობის მიუხედავად, ანას ვერ წარმოედგინა, რომ ასე მალე მოიძებნებოდა მისი შემცვლელი. აქამდე გიორგის სურათებში მხოლოდ მამრობითი სქესის მეგობრები ან საკმაოდ უსიმპათიო გოგონები იყვნენ, მარკეტინგის ფაკულტეტის ელიტური ჯგუდებიდან. უცნობმა გოგოს დანახვამ სურათში, თანაც საკმაოდ ინტიმურ კომპოზიციაში, ანა წყობიდან გამოიყვანა. და წყობიდან გამოსვლამ ოთახიდან გამოსვლაც აიძულა.

წყობიდან გამოსვლას შეიძლება სხვა შედეგიც მოჰყოლოდა, მაგრამ უკიდურესი ზომების მისაღებად, მაგალითად, თავის მოსაკლავად, ანას გარემო პირობები არ უწყობდა ხელს, სურათის ნახვის შემდეგ კი (რომელსაც ელოდა, რომ მალევე მოყვებოდა სხვა მსგავსი სურათები) ოთახში დარჩენა და გიორგის ციფრული პიროვნების თვალიერება შეუძლებელი გახდა. სხვა გზა აღარ იყო, რაღაც უნდა შეცვლილიყო ანას ცხოვრებაში და ისიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირველად, გასასეირნებლად გამოეწყო.

გარეთ გამოსულს ცოტათი იმედი გაუცრუვდა - თითქოს ელოდა, რომ ქალაქი მის შინაგან განწყობას აირეკლავდა და ამ რამდენიმე კვირის განმავლობაში ისეთივე საცოდავ იერსახეს მიიღებდა, როგორც თვითონ ეგონა რომ ჰქონდა. მაგრამ არაფერი ჩამოქცეულიყო, პირიქით, ენერგიული მშენებლობა მიდიოდა, მანქანების ხმაურს მუშების ერთმანეთში გადაძახილი და ელექტრო ხელსაწყოების ღმუილი ერეოდა - ქუჩა ისეთივე ხმაურიანი იყო, როგორიც ახსოვდა - და შეიძლება უფრო მეტადაც. ცხოვრება, მისდა გასაკვირად, შეუფერხებლად მიმდინარეობდა. ამ გარემოებამ ერთდროულად დაამწუხრა და შვებაც მოჰგვარა. შეეძლო, თუკი მოისურვებდა, ტრაგედიის მძიმე განცდის გარეშე ესეირნა ქალაქში, რომელსაც ფეხებზე ეკიდა მისი ტანჯვა. უფრო სწორად - საერთოდ არც იცოდა, თუ ასეთი რამ არსებობდა.

ამინდიც რაღაც ორმაგი გამოდგა - მოკრიალებულ ცასა და გაზაფხულის მზეს ძლიერი ქარი ახლდა. ანას სულ მალე აეწეწა ისედაც დაუდევრად დავარცხნილი თმა. ათიოდე წუთის სეირნობის შემდეგ ქარმა კიდევ უფრო მოიმატა და ანას გულშიც გრძნობები აბობოქრდნენ. მაგრამ ეს ქარზე მეტად შეიძლება იმის ბრალია, რომ ანა იმ ადგილებს მიუახლოვდა, სადაც გიორგის ხშირად ხვდებოდა ხოლმე. გიორგი და მისი სამეგობროს დიდი ნაწილი აქვე ახლო-მახლო ცხოვრობდა. ანა თითქოს მხოლოდ ახლა გამოერკვა და მიხვდა, თუ სად აღმოჩნდა. აღელდა, რადგან სულაც არ იყო გამორიცხული, რომ აქ გიორგის შემთხვევით შეხვედროდა; პატარა სკვერი, სადაც

ხშირად მჯდარან ის და გიორგი, ყურადღებით მოათვალიერა, მაგრამ საინტერესო ვერავინ შენიშნა. კვლავ უიმედობა იგრძნო და მოუნდა, სასწრაფოდ გასცლოდა ამ ადგილს, შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და სწორედ ამ დროს ვიღაც მხარზე შეეხო. მძაფრი წამი გადაიტანა სანამ ისევ შემობრუნდებოდა და დაინახავდა იმას, ვინც გულის სიღრმეში იმედი ჰქონდა, რომ გიორგი იქნებოდა. იმედი გაუცრუვდა, მაგრამ მთლად ბოლომდე არა, რადგან გიორგის ახლო მეგობარი, ბექა შერჩა ხელში.

- კარგად გამოიყურები - თქვა მისალმების შემდეგ ბექამ.

კომპლიმენტი გაუკვირდა, მაგრამ იფიქრა, რომ ზერელე ძალისხმევის მიუხედავად, რომელიც გამოსვლის წინ გარეგნობის წესრიგში მოყვანას დაუთმო, ორკვირიანი ტანჯვა მაინც რაღაც მომხიბვლელობას ანიჭებდა მის გარეგნობას.

ერთმანეთი მოიკითხეს და ცოტა ხანი უმნიშვნელო, ყოფით საკითხებზე ილაპარაკეს. ბექას დასმულ შეკითხვებზე - უნივერსიტეტის, საერთო ნაცნობების და ჯანმრთელობის შესახებ, მოკლედ და მშრალად პასუხობდა. ელოდა, რომ ბექა გაკვრით მაინც ახსენებდა გიორგის და დაშორების ტრაგედიაზე მიანიშნებდა, თუნდაც თანაგრძნობის გამოსახატავად, მაგრამ ბიჭი თითქოს განზრახ არიდებდა თავს ამ თემას. არადა შეუძლებელი იყო, არაფერი სცოდნოდა - გიორგის სულ ხელებისა და ფეხების თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავდა ასეთი ახლო მეგობარი.

- მოდიხარ ამ საღამოს? - ჰკითხა ბოლოს ბექამ, როდესაც ყველა წვრილმანი სასაუბრო თემა ამოიწურა.

ანა მიხვდა, რომ, როგორც იქნა, მიუახლოვდნენ მისთვის საინტერესო საკითხს. იცოდა, რომ „ამ საღამოს“, რაც არ უნდა ყოფილიყო დაგეგმილი, გიორგიც იქ იქნებოდა. იმის ნაცვლად, რომ ეთქვა, ამ საღამოს არსად იყო დაპატიჟებული, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს კარგად არ ახსოვდა რაზე იყო საუბარი.

- უი - გაიკვირვა გულუბრყვილოდ და ბექას თვალი აარიდა, თითქოს ძალიან გონებაგაფანტულს სივრცეში თვალის გაშტერება სჭირდებოდა დეტალების გასახსენებლად - კი, მგონი მოვდივარ.

თან თამაშობდა, თან თვითონაც უკვირდა - კარგად არ იცოდა, თუ რატომ აკეთებდა ამას, მაგრამ რადგან, პრინციპში, არაფერი დაშავდებოდა, თუ ასეთი გზით რამე მნიშვნელოვანს გაიგებდა ბექასგან, გადაწყვიტა, თამაში გაეგრძელებინა. ბოლოს და ბოლოს, შეეძლო ყოველთვის დაეხია უკან და სიმართლე ეთქვა.

ბექამ გაუღიმა. ანას სასწრაფოდ უნდა მოეფიქრებინა რამე საუბრის გასაგრძელებლად, მაგრამ ბექამ თვითონ უთხრა:

- იცი სად არის? მოიცა, ახლავე - და ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, ტელეფონში რაღაცას დაუწყო ძებნა.

ბექა თვითონ აწვდიდა იმ ინფორმაციას, რომლის დაცინცვლასაც ანა ეშმაკობით აპირებდა. სხვა შემთხვევაში ანას ეს აუცილებლად დააფიქრებდა, მაგრამ ახლა მთელი მისი ყურადღება სხვა რამით იყო დაკავებული - ცდილობდა თავი რაც შეიძლება ბუნებრივად დაეჭირა.

- ახლავე - თქვა ბექამ, მიუხედავად იმისა, რომ ანას მოუთმენლობა არ გამოუხატავს - აი, ვიპოვნე.

იმ ბარის, სადაც შეკრება იყო დანიშნული, სახელი და მისამართიც კი უთხრა. ანას პირველი ვარაუდიც სწორედ ეს ბარი იყო - გიორგის და ანას საყვარელი შეხვედრის ადგილი, სანამ ერთად იყვნენ. როგორც ჩანს - მწარედ გაიფიქრა ანამ - თვითონ არ ყოფილა მიზეზი, თუ რატომ მოსწონდა გიორგის ეს ბარი.

ბექასთან მეტი აღარაფერი იყო სალაპარაკო, ახლა უკვე სასწრაფოდ განმარტოება უნდოდა. ბიჭს დაემშვიდობა და ისევ უკან, თავისი სახლისკენ გაუყვა ქუჩას.

ბექამ ანას თვალი გააყოლა და როდესაც გოგო თვალს მიეფარა, იქვე ერთ-ერთი თავისუფალი სკამი მოძებნა. სადღაც რეკავდა, თან ქვედა ტუჩს საქმიანად იჭამდა.

- რაშვები - თქვა ბექამ, როდესაც ზარი გავიდა - მეც არამიშავს. ხო, მაგაზე გირეკავ ზუსტად. ეხა ვნახე კაკრაზ. არა, მისვლას ვაპირებდი, მაგრამ შემთხვევით შემხვდა.

ბექა დაელოდა სანამ კითხვები, რომლებიც თანამოსაუბრემ დააყარა, მორჩებოდა.

- ხო, ტონკად ვუთხარი. ამ საღამოს, კი. ვიცი რომ იცის, მაგრამ მისამართიც ვუთხარი მაინც. რავი, მგონია რომ მოვა. არა, არაფერი უთქვამს. თუ არ მოვა, მერე შეგვიძლია სხვა რამე მოვიფიქროთ.

საუბარი დაასრულა და წამოდგა. ჩქარი ნაბიჯით გაემართა ქვევით, ხმაურიანი ქუჩისკენ, კაცივით, რომლის დარჩენილი დღეც უამრავი მოსასწრები საქმით არის დაკავებული.

ანა ნელ-ნელა მიიწევდა სახლისკენ. ბექასთან შემთხვევითმა შეხვედრამ, ერთი მხრივ, ბუნდოვანი და უსაფუძვლო იმედი გაუჩინა; უფრო ფხიზელი, რაციონალური ნაწილით კი იცოდა, რომ შეკრება, რომელიც ანას გარეშე დაგეგმეს, მისი ყველაზე უარესი შიშების გამართლება იყო. წარმოიდგინა, როგორ შეიკრიბებოდნენ გიორგის

მეგობრები - მათ შორის მისი ახალი მეგობრები, ფოტოზე ნანახი, ახალი მეგობარი გოგოს ჩათვლით. მშვენიერ საღამოს გაატარებდნენ. ადრეული გაზაფხულის პირობაზე თბილი ამინდი დამდგარიყო და, ალბათ, გარეთ დასხდებოდნენ. დალევას დაიწყებდნენ და შეკრებილებს შორის ურთიერთობა სულ მალე თამამი და გახსნილი გახდებოდა. წარმოიდგინა ფამილიარული შეხება და ჭიხვინი, რომელსაც სექსუალური მინიშნებებით დატვირთულ ხუმრობებზე ატეხდნენ. სახლს მიუახლოვდა, მაგრამ გზა გააგრძელა. ბნელ ოთახში დაბრუნება აღარ უნდოდა. შეეცადა ყურადღება სხვა რამეზე გადაეტანა - ფეხსაცმელზე, მაღაზიის ვიტრინაში ან კრუასანზე უბნის ყველაზე ცნობილ საკონდიტროში. მაგრამ კრუასანმა მადა ვერ აღუძრა. ფეხსაცმელმა გულგრილი დატოვა. ცოტა ხანი ქუჩაში გაჩერდა ჩაფიქრებული - როდესაც შებრუნდა და ისევ სახლისკენ წავიდა, გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა.

ჩაბნელებულ ოთახში დაბრუნებულმა შუქი აანთო და ბოლო ორი კვირის განმავლობაში მივიწყებული ტანსაცმლის მოსინჯვა დაიწყო. მექანიკურად იცვამდა და იხდიდა, მაგრამ ვერ ამჩნევდა დეტალებს, სარკეში მხოლოდ საკუთარ სილუეტს ხედავდა და ვერ იმახსოვრებდა, თუ როგორ გამოიყურებოდა უკვე მოსინჯულ ტანსაცმელში.

რას იზამდა, როდესაც ბარში მივიდოდა? ეს არ იცოდა, მაგრამ ეჭვი არ ეპარებოდა, რომ იქ წასვლა უნდოდა და ამ სურვილის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

საათი შეამოწმა - ერთი საათი მაინც გასულიყო, რაც ტანსაცმელს ირგებდა. ჯერ კიდევ ჰქონდა რამდენიმე საათი - გადაწყვიტა ბარში გვიან მისულიყო, როდესაც ყველანი უკვე შეკრებილები იქნებოდნენ; ჯერ შორიდან დაათვალიერებდა მათ და მოიფიქრებდა, ახლოს მისულიყო თუ არა.

დამამშვიდებელი დალია და პარალონი გაშალა მედიტაციისთვის. მედიტაცია არასოდეს გამოსდიოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა ეღონა ცოტა დასამშვიდებლად - საღამოსთვის რაც შეიძლება გაწონასწორებელი უნდა ყოფილიყო.

მედიტაციისას ფიქრობდა იმ კატასტროფასა და შერცხვენაზე, რომელიც საღამოს ელოდა. ეს ყველაზე საშინელი საღამო იქნებოდა მის ცხოვრებაში და ამის გაფიქრებაზე მთელს ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლიდა. ცოტა ხანში დამამშვიდებელმაც დაიწყო მოქმედება და ცოტა ხანში ჩაეძინა კიდეც.

როდესაც გაეღვიძა, უკვე ის დრო იყო, როცა, ალბათ, ბარში ნელ-ნელა ხალხი მისვლას დაიწყებდა - ძილ-ბურანში მყოფი ემზადებოდა გასასვლელად. რადგან მედიტაციის, დამამშვიდებლისა და ძილის შემდეგ მაინც წასვლა უნდოდა, ესე იგი ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. სახლიდან გასვლისას გაკვირვებულ და თავშეკავებულად გახარებულ მშობლებს (ამ დღეს უკვე მეორედ გადიოდა ანა სახლიდან) მიაძახა, რომ დააგვიანდებოდა. ბარამდე ფეხით აპირებდა მისვლას, რისთვისაც დაახლოებით ნახევარი საათი დასჭირდებოდა.

ქუჩას ნელი ნაბიჯით გაუყვა. ახლა, წესით, ყველანი უკვე ბარში იქნებოდნენ. როგორც ვარაუდობდა, ამინდი გარეთ ჯდომისათვის შესაფერი იყო. ასე რომ, ბარს, რომლის ეზოში დადგმული ზოგიერთი მაგიდიდან ქუჩის ნაწილი მოჩანდა, ფრთხილად უნდა მიახლოვებოდა, რომ დროზე ადრე არავის შეემჩნია. დამამშვიდებლის მოქმედება შესუსტდა და ანას მღელვარება მოემატა. მით უმეტეს, რომ ჯერ არ მოეფიქრებინა, რას იზამდა, როდესაც შეკრებას იპოვნიდა.

წარმოიდგინა, როგორ გაითამაშებდა გაკვირვებას, მათ მაგიდასთან მიახლოვებული და ნეიტრალური, ცოტა არ იყოს გულგრილი ტონი მიესალმებოდა კამპანიას. შემდეგ კი უხერხული, ნაძალადევად მხიარული რეპლიკების თანხლებით მისთვის გამოთავისუფლებულ ადგილზე დაჯდებოდა. ან შეიძლება არც დამჯდარიყო. რა იქნებოდა მათი რეაქცია? ალბათ, ერთმანეთს მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ, გიორგი კი, ცოტა გაღიზიანებული, მხრების აჩეჩვით უპასუხებდა მეგობრების გაკვირვებულ მზერას.

არა, ასე პირდაპირ ვერ მივიდოდა - სხვა რამე უნდა მოეფიქრებინა; მაგრამ სხვა არაფერი აფიქრდებოდა. ბარის ეზოში შესასვლელ დიდ ჭიშკართან შეყოყმანდა - ჯერ კიდევ შეეძლო უკან დახევა. შეეცადა შიგნით შეეხედა - მაგიდები და მათ ირგვლივ შემომსხდარი ხალხი მოჩანდა, მაგრამ მათ შორის გიორგის სამეგობრო ვერ ამოიცნო - რამდენიმე ცარიელი მაგიდაც შენიშნა. ეს კარგი ნიშანი იყო - ესე იგი გიორგის მაგიდა ბარის უფრო სიღრმეში უნდა ყოფილიყო და შეეძლო, რომელიმე თავისუფალ მაგიდაზე ისე დამჯდარიყო, რომ მათ ვერც შეენიშნათ - რა თქმა უნდა, ასეც მოიქცეოდა - ჯერ ცალკე დაჯდებოდა, იმის მოსაფიქრებლად კი, თუ რა უნდა ექნა შემდეგ, მთელი საღამო ჰქონდა.

რაც შეიძლება თვალს მოფარებული მაგიდა ამოარჩია და დაჯდა. ახლა რაღაცას უნდა დალოდებოდა - შესაფერის მომენტს და რადგან არ იცოდა, თუ რისთვის შესაფერისს, ასეთი მომენტი ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო.

შეეძლო მშვიდად ეთვალიერებინა ბარი. როგორც ივარაუდა, ისინი ბარის სიღრმეში ისხდნენ. ანასა და მათ მაგიდებს შორის კიდევ რამდენიმე მაგიდა იდგა - თუ გაუმართლებდა, საკმაოდ დიდი ხანი შეეძლო აქ შეუმჩნევლად ყოფნა. საპირფარეშოებიც მეორე მხარეს იდგა, ასე რომ, ანას მაგიდასთან ჩავლა აუცილებელი არ იყო. ჯერჯერობით ყველაფერი ხელს უწყობდა.

რამდენიმე წუთში მენიუ მიუტანეს. გაფანტულად გადაშალა სასმელების გვერდზე და თვალი გადაავლო - სხვა, უფრო ჩვეულებრივ დროს, ალბათ, ჭიქა როზეს ან ჩამოსასხმელ ლუდს შეუკვეთავდა, მაგრამ ახლა რადგან სწრაფად სჭირდებოდა გამხნევება, ყველაზე ალკოჰოლური კოქტეილი ამოარჩია.

სანამ შეკვეთილ სასმელს მოიტანდნენ (რასაც ერთი თხუთმეტი წუთი მაინც დასჭირდა), გიორგის მაგიდის კარგად შეთვალიერება შეძლო. ვინც აინტერესებდა, ყველა შეეძლო დაენახა - გიორგი, რომელიც ანასგან ზურგით იჯდა, მის მარჯვნივ

მჯდომი ბექა და მარცხნივ მჯდომი უცნობი გოგონა. დანარჩენებს (სულ რვანი იყვნენ) ანა ყველას იცნობდა, მაგრამ ანას ისინი არ აინტერესებდა, ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ სხვა მაგიდაზე იჯდა - მათი გიორგის მაგიდაზე ყოფნა არ იყო გასაკვირი და არც მათი არყოფნით შეიცვლებოდა რამე.

ანა ხედავდა, როგორ წამდაუწუმ, მრჩეველივით გადაიხრებოდა ხოლმე ახალი გოგო გიორგისკენ რაღაცის სათქმელად - ბარის ხმაურს კარგად იყენებდა თავისი მიზნებისთვის. გიორგიც, როგორც ჩანდა, ყურადღებით, (ალბათ, სიამოვნებითაც) უსმენდა და პასუხობდა. ანას ცუდი წინათგრძნობა არათუ მართლდებოდა, მისი წარმოსახვა სუსტიც კი აღმოჩნდა ყველა საშინელების წინასწარ წარმოსადგენად. სამეგობროში გაჩენილი ახალი წევრის გარდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ კიდევ რაღაც იყო განსხვავებული იმისგან, როგორადაც ახსოვდა გიორგის სამეგობროს მსგავსი შეკრებები - მაგრამ ზუსტად ჯერ კიდევ ვერ გაერკვია - რა. ერთი რამ კი ნამდვილია, რომ ყველაფერი ჩვეულებრივზე ცოტა უფრო ხმამაღლა, ცოტა უფრო მხიარულად, ცოტა უფრო მეტი სასმელის თანხლებით ხდებოდა - ერთმანეთს საუბარს არ აცლიდნენ და ბარში მდგარი მაგიდებიდან ყველაზე ხმაურიანად იცინოდნენ. თითქოს რაღაცას აღნიშნავდნენ. ისიც აშკარა იყო, რომ შეკრების ცენტრი გიორგი უნდა ყოფილიყო, ყველაზე ხშირად მას უწევდა საუბარი გაეწყვიტა ერთთან, რათა მეორეს რეპლიკაზე ან შეკითხვაზე ეპასუხა. ანა შეეცადა გაეხსენებინა ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, რომელიც გიორგისთან ერთად ჰქონდა აღნიშნული მათი სამწლიანი ურთიერთობის მანძილზე, მაგრამ ამ კონკრეტულ, უმნიშვნელო, არაფრით გამორჩეულ ოთხშაბათს (გარდა პირველი არაჩვეულებრივი ამინდისა ზამთრის აბეზარი სიცივეების შემდეგ), არაფერი ემთხვეოდა.

დაღლილმა ოფიციანტმა კოქტეილი მოუტანა და ანამ ნახევარი მაშინვე გამოსცალა. შეეცადა გამოეცნო, თუ რატომ შეიკრიბნენ გიორგი და მისი მეგობრები შუა კვირაში მაგრამ დამაჯერებელი ვერსიები არ ჰქონდა. ინტუიციამ უკარნახა, რომ შეკრების მიზეზი იმ ახალ გოგოსთან დაეკავშირებინა, ჯერ არ იცოდა როგორ. უცებ თავი საშინლად მარტოსულად იგრძნო და კოქტეილის კიდევ ერთი მოზრდილი ყლუპი მოსვა. უფრო მეტი ალკოჰოლი იყო საჭირო მიუსაფრობის და სასოწარკვეთის განცდის შესარბილებლად და სამოქმედო ენერგიად გარდასაქმნელად. ბოლო ყლუპის შემდეგ მართლაც სწრაფად იგრძნო ალკოჰოლის მოქმედება. შენიშნა, რომ ახლომახლო მაგიდებიდან აკვირდებოდნენ - უმეტესად კაცები.

მაგრამ ამას ოდნავადაც არ შეუწუხებია და ეს ნიშანი იყო, რომ მოქმედებისთვის საჭირო გამბედაობა უკვე მოკრებილი ჰქონდა. მაგრამ რა უნდა ექნა, ჯერ მაინც არ იცოდა. მოქეიფეებთან მისვლა და თავის მოჩვენება, თითქოს აქ შემთხვევით აღმოჩნდა, არ გამოვიდოდა. ჯერ ერთი, ამ უდარდელობის გათამაშება ახლა შეუძლებლად ეჩვენებოდა - ვერავის დააჯერებდა. პირიქით, ალბათ, მისდამი სიბრალულით განეწყობოდა ზოგიერთი. მაგრამ მეორე, და მთავარი, ამ სამოქმედო გეგმის უარსაყოფად იყო ის, რომ ასე მოქცევას საკმარისი სიმძაფრე აკლდა. შესაბამისი არ იყო იმასთან, რისი გამოხატვაც ანას უნდოდა.

წარმოიდგინა მეორე, უფრო ექსცენტრიკული სცენა. გიორგის მაგიდაზე დიდი ხანია აღიზიანებდა არყის ბოთლი - აღიზიანებდა მისი საზეიმო ციმციმი და ასევე ფრთხილი სიზუსტე, რომლითაც გიორგი და მისი მეგობრები არყის ჭიქებში ჩამოსხმისას ბოთლს ეპყრობოდნენ: სცენაში ანა მაგიდასთან მივიდოდა (ამჯერად გამარჯობის გარეშე) და სანამ რომელიმე მათგანი შეამჩნევდა და მოიფიქრებდა, თუ რა რეაქცია უნდა ჰქონოდა მის დანახვაზე, არყის ბოთლს ხელს დაავლებდა და მაგიდის კუთხეზე ჩამოამტვრევდა. ფილმის შენელებულ კადრად წარმოიდგინა უამრავი, გამჭვირვალე შუშის ციმციმა ნამსხვრევის ბარის სველ იატაკზე მიმოფანტვა.

ეს სცენა უფრო მოსწონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ სულ ცოტა აკლდა საჭირო სიმამაცემდე.

კოქტეილი ბოლომდე ჩაცალა. ბარში ხალხი მომატებულიყო და გიორგის მაგიდას ახლა ბარში ის ახალმოსულები ფარავდნენ, რომელთაც დასაჯდომი არ ჰქონდათ და მაგიდებს შორის იდგნენ თავიანთი ჭიქებით ხელში. მაგიდა რომ თვალს მიეფარა, ანას კვლავ ეჭვი და ყოყმანი მოეძალა. არყის ბოთლის დამსხვრევა ვულგარულობად და ველურობად მოეჩვენა. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ცოტა კიდევ სჭირდებოდა ალკოჰოლი. ოფიციანტს, რომელსაც თავს ზემოთ ცარიელი ჭიქები ეჭირა და მაგიდებს შორის გაძვრომას ცდილობდა, კოქტეილი შეუკვეთა.

საბოლოო მოქმედება შეეძლო კოქტეილის მოსვლამდე გადაედო, მანამდე კი საჭირო იყო, დაესვენა. მაგიდიდან წამოდგა და ტუალეტებისკენ გაემართა. ძლივს აუქცია გვერდი გადაჭედილ მაგიდებს და სამშვიდობოს გასულს, ანუ ტუალეტის კაბინაში მარტო დარჩენილს, უნიტაზზე მჯდარს და საკუთარი მუხლებზე იდაყვებით დაყრდნობილს, მას შემდეგ, რაც მსუბუქი გულისრევა ჩაუწყნარდა, შურისძიების ყველა შესაძლო სცენარი მიზანს აცდენილად მოეჩვენა. აზრი არაფერს ჰქონდა. მოეჩვენა, რომ ალკოჰოლმა, რომელიც ისევ სწრაფად ეკიდებოდა, გონების საბოლოოდ დაბინდვის ნაცვლად, თითქოს პირიქით, მძაფრი ემოციები დაუბლაგვა და ახლა სინამდვილე უფრო ცხადად შეეძლო დაენახა. არაფერი ესაქმებოდა არყის ბოთლთან და გიორგის მეგობრების გაკვირვებულ სახეებთან. შურისძიება ფეხებზე ეკიდა (თავი ასწია, დაასლოკინა და კაბინა კიდევ ერთხელ დატრიალდა). გიორგიც ფეხებზე ეკიდა. მაგრამ აუცილებლად სჭირდებოდა გაერკვია... კითხვები აწუხებდა. გიორგისთან დალაპარაკება სჭირდებოდა. უნდოდა სცოდნოდა სიმართლე - რა მოხდა, როდესაც გიორგი ასე მოულოდნელად დაშორდა. მეტი, პრინციპში, არაფერი იყო მნიშვნელოვანი. თავისი საწოლის გარდა, რომელშიც უცებ ჩაწოლა მოუნდა - საწოლის ხათრით სასწრაფოდ უნდა მოემთავრებინა ამ ბარში საქმე.

ხელები გულმოდგინედ დაიბანა, თმა შეისწორა და გადაწყვიტა, რომ ჯერ კიდევ შეეძლო თავი ფხიზლად დაეჭირა. მართლაც, ფეხიც კი არ შეშლია, როდესაც ტუალეტიდან გამოვიდა და თავისი მაგიდისკენ გაემართა.

მაგიდას მშვიდი და მტკიცე მიუჯდა. შეკვეთილი სასმელი მოეტანათ და ანამ, რომელიც მთელი დღის განმავლობაში პირველად გრძნობდა შვებას, ჭიქა

სიამოვნებით აიღო ხელში. ჭიქა უკვე ტუჩებთან ჰქონდა მიტანილი, როდესაც ხალხი, რომელიც გიორგის მაგიდას ფარვდა, ცოტა გაიწ-გამოიწია და ანამ რამდენიმე ცარიელი სკამი შენიშნა იქ, სადაც გიორგის სამეგობრო უნდა მჯდარიყო. სულ მალე, მას შემდეგ, რაც მოსმული ყლუპი კინაღამ გადასცდა და ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა, დარწმუნდა, რომ მაგიდა მართლაც ცარიელი იყო.

ტუალეტის კაბინაში მოპოვებული სიმშვიდე მაშინვე დაეკარგა. წამოდგა და მიმოიხედა - ნაცნობი აღარავინ ჩანდა ბარში. მაგრამ თან მოეჩვენა, რომ ყველა მას უყურებდა და ელოდა, რას გააკეთებდა, მაგრამ ეს ფლეშმობი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნია. ხმაურსაც კი მოეკლო ბარში და ხალხიც შეთხელებულიყო. ხელი ჩანთას წამოავლო, რამდენიმე კუპიურა ამოიღო და მაგიდაზე დაყარა. გიორგის უნდა დასწეოდა - შორს ვერ იქნებოდნენ წასულები, მაგრამ ანას სწრაფად უნდა ემოქმედა.

ჭიშკრისკენ წავიდა და გაკვირვებით აღმოაჩინა, რომ სიარული უჭირდა და თავისთვის ძალის დატანება სჭირდებოდა, რომ არ ებარბაცა. ყურადღება მოიკრიბა და შეეცადა, რაც შეიძლება სწრაფად და მტკიცე ნაბიჯით წასულიყო გასასვლელისკენ. ჭიშკართან ახლოს იყო (ცდილობდა მის მიღმა დაეჭირა ნაცნობი ხმები ან ნაცნობი სილუეტი დაენახა), რომ ოფიციანტმა დაუძახა. ანა გაღიზიანებული მოტრიალდა. ვერ გაიხსენა რამდენი ლარი დაყარა მაგიდაზე. ალბათ, ამიტომ ეძახდა ოფიციანტი. ჩანთის მოხსნისას წაბარბაცდა, მაგრამ დროზე შეიმაგრა თავი და ჩანთაში ფულის ძებნას შეუდგა, მაგრამ როდესაც ოფიციანტი დაეწია, სულ სხვა რამ უთხრა.

- უკაცრავად, ვიღაც ბიჭი გკითხულობთ.

ანამ თავი ასწია და ოფიციანტს მიაშტერდა.

- ვინ ბიჭი? - ჰკითხა ცოტა სულელურად.
- აი, იქით გელოდებათ - თქვა ოფიციანტმა და ხელი ბარის სიღრმისკენ გაიშვირა.

  აქედან არ ჩანდა.

ანა შეყოყმანდა. ოფიციანტის დაღლილ სახეს ამღვრეული თვალებით მიაჩერდა, მაგრამ იქ ვერაფერი ამოიკითხა. ისევ საკუთარი ფანტაზიის იმედად რჩებოდა: იქნებ შეკრებილებმა შენიშნეს და როდესაც ანა ტუალეტში გავიდა, დრო იხელთეს და დაიშალნენ? მაშინ ის უცნობი ბიჭი, ვინც ოფიციანტს ანას მობრუნება დაავალა, გიორგი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ეს სულ სხვა, უცნობი ბიჭი იყო - ვიღაც მთვრალი, ზედმეტად თავდაჯერებული ბიჭი, რომელმაც შეამჩნია მარტო მჯდარი ანა და გადაწყვიტა თამამად ემოქმედა. ანამ არ იცოდა, რომელი ვერსია იყო უფრო სარწმუნო, მაგრამ სანამ ირწეოდა და ოფიციანტს უაზროდ შეჰყურებდა სახეში, იგრძნო, რომ გიორგის სამეგობროს გამოდევნების სურვილი აღარ ჰქონდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ თავს ძლივს იკავებდა წაქცევისგან. უცებ შვება იგრძნო, რადგან გადაწყვეტილების მიღების ტვირთი მოეხსნა.

ოფიციანტის მიერ ნაჩვენები ადგილისკენ წავიდა. ბარის ეზო ბოლომდე გაიარა, ისე რომ არც ახალი თაყვანისმცემელი გამოჩენილა და არც ძველი და ის-ის იყო იფიქრა, რომ, როგორც იქნა, ყველაფერი დამთავრდა, ზუსტად ისე, როგორც პარკში რამდენიმე საათით ადრე, მხარზე ბექა შეეხო. ანა შემოტრიალდა და თვალებში ჩამოშლილი თმა გადაიწია. ბიჭი რაღაც უხერხულად იღიმოდა, რაღაცას ამბობდა. ანამ გასამხნევებლად მხარზე ხელი დაჰკრა.

- როგორ ხარ? რა დამთხვევაა, არა? - თქვა ანამ.
- კარგად კარგად. მოდი ჩამოვსხდეთ.

ბექამ ხელკავი გამოსდო და ერთ-ერთი ახლად დაცარიელებული მაგიდისკენ წაიყვანა.

- კიდევ დალევ რამეს?

ანამ მხრები აიჩეჩა.

- სხვები სად არიან? - ჰკითხა ანამ, როდესაც ბექამ თითო ჭიქა ღვინო შეუკვეთა.

ბექამ ბუნდოვანი, ცოტა არეული პასუხი გასცა. ხშირ-ხშირად იღებდა ხელში ტელეფონს და რაღაცას გამალებით კრეფდა. მაგრამ არც ანა უსმენდა ყურადღებით, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, გაუძლებდა თუ არა კიდევ ერთ ჭიქა ღვინოს. გადაწყვიტა, რომ გაუძლებდა. ბექას კი შეეძლო წასულიყო, ოღონდ მისი აქ ყოფნისაც არ ჰქონდა რამე საწინააღმდეგო.

- აქ რა გინდა? - ჰკითხა კიდევ ერთხელ.
- წეღან დაგინახე და მაგრად გამიკვირდა - თქვა ბექამ - შენ რა გინდა?

ანა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან მთვრალი იყო, მიხვდა, ბექას პასუხი საერთოდ არ შეესაბამებოდა მის შეკითხვას. აშკარა იყო, რაღაცას მალავდა. მაგრამ მაინცდამაინც აღარ აინტერესებდა, რას. თვალი მოავლო ბარის ეზოს და ოფიციანტს მხიარულად დაუქნია ხელი.

- ჩვენი ღვინო მალე მოვა?

ოფიციანტმა არაფერი უპასუხა და შენობაში მიიმალა.

ბექამ შეეცადა ანას ყურადღება მიეპყრო და საუბარი გაება, მაგრამ ტელეფონი ხელს უშლიდა. ღვინო მოიტანეს და ანამ ერთბაშად დალია ნახევარი. ბექა კიდევ უფრო შეშფოთდა, ანას ღვინის ჭიქა, მისი პროტესტის მიუხედავად წაართვა და ახლოს მიიდგა. თავისი ჭიქისთვის კი ხელი არ უხლია. ანამ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს ძალიან ეწყინა - ჩანთას ხელი დასტაცა და შეეცადა წამომდგარიყო.

- წამო, მთაწმინდაზე ავიდეთ - სასწრაფოდ თქვა ბექამ - თბილი საღამოა, ზემოთ მაგარი იქნება. თან მთვრალი ხარ, ახლა რა გინდა სახლში.
- დავიძინებ - თქვა ანამ და გაუცინა.
- კაი რა, რა დროს ძილია.

ანამ მას უმეტყველო მზერა მიაპყრო. ბექას სახე ცარიელი ბარის მაგიდებს ზემოთ ტივტივებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მთვრალი იყო, მიხვდა - კიდევ რაღაც მზადდებოდა მისთვის. ბოროტმა ფიქრმა გაუელვა - გაჯიუტებულიყო და სახლში წასულიყო - გრძნობდა, რომ ამით დიდ დარტყმას მიაყენებდა ვიღაცას. ყოველ შემთხვევაში, ბექას მაინც მიაყენებდა.

- კარგი რა - თითქოს ამის დასტურად თითქმის შეეხვეწა ბექა - წამო რა. კაი იქნება.

მაინც ცნობისმოყვარეობამ სძლია.

- წავიდეთ - თქვა ანამ გულგრილად.

ბექა როგორც ჩანს მეტ წინააღმდეგობას ელოდა და ამ პასუხით გახარებული სკამიდან წამოხტა. მხოლოდ წამით დაიბნა, როდესაც ოფიციანტი მაშინვე ვერ მოძებნა, მაგრამ აღარ დალოდებია მის გამოჩენას, მაგიდაზე ფული დატოვა და ანას სკამიდან წამოდგომაში დაეხმარა. ტაქსამდე სანამ მივიდოდნენ ანა ბექას მხარზე იყო მიყრდნობილი. მანქანაში ჩაჯდომაშიც ბიჭი დაეხმარა და უკანა სავარძელზე მიაწვინა. ტაქსი დაიძრა თუ არა ანას ჩაეძინა მაგრამ ბექამ მაშინვე შეაღვიძა.

- კაი რა, არ დაგეძინოს.
- რატომ? - თქვა გაღიზიანებულმა ანამ. გული ერეოდა - რა შენი საქმეა?
- ცოტაღა დარჩა - ნახავ რა კარგი იქნება.
- რა იქნება კარგი? თავი დამანებე.
- შეხედე, შეხედე - შეეხვეწა ბექა, ხელი წინ გაიშვირა.

აღმართზე ადიოდნენ - გზა მართლაც უჩვეულოდ განათებული იყო. ანამ შენიშნა, რომ ასფალტზეც, ფოსფორისფერი საღებავით ისრები დაეხატათ - წინ გაშვერილები, თითქოს მიმართულებას აჩვენებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ წასასვლელი სხვაგან არც იყო.

- ისრები? - იკითხა ანამ - ძაან კაია - ისევ სავარძელზე გადაწვა, თვალები დახუჭა.

- კი - თქვა ბექამ და ისევ მხარზე შეეხო - თითქმის მივედით - ტელეფონშიც ჩასძახა - მოვედით, მოვედით. მაქსიმუმ ხუთ წუთში. ორ წუთში მანდ ვართ.

ბექამ გოგო კიდევ ერთხელ შეაღვიძა. ანა გასწორდა, მაგრამ ეს მექანიკური მორჩილება იყო, არ აინტერესებდა სად მიდიოდნენ. თავი ტკიოდა და გულისრევა აღმართზე გაუძლიერდა. ის-ის იყო უნდა ეთქვა, რომ მეტის მოთმენას არ აპირებდა, რომ მანქანამ პლატოს მიაღწია - მოედანივით ადგილს, სადაც წყდებოდა ხეების რიგი და თბილისის ვრცელი ხედი იშლებოდა. მოედანზე შეკრებილმა, საზეიმოდ გამოწყობილმა ხალხმა მანქანას გზა დაუთმო, სხვები კი მოაჯირს, საიდანაც ღამის ქალაქის ხედით დატკბობა შეიძლებოდა, მოშორდნენ და მანქანასთან ახლოს მოიწიეს.

ანამ მანქანიდან ცალი ფეხი გადმოყო, მაგრამ მეორე კი მანქანაში დარჩა. მანქანის ირგვლივ შეკრებილებმა ტაში დასცხეს, თან შუშხუნა ღვინით სავსე ჭიქებს ჰაერში სწევდნენ. ერთი-ორმა დაუსტვინა კიდეც. ანამ მანქანიდან თავი გამოყო რათა უკეთ დაეთვალიერებინა ეს სცენა. სუფთა ჰაერმა ცოტა შეუმსუბუქა გულისრევა, მაგრამ ბექას დაელოდა რათა ის მანქანიდან გადმოსვლაში დახმარებოდა. მთელი მოედანი სახელდახელო განათებით იყო გაჩახჩახებული. მოაჯირზეც კი გაეყოლებინათ ნათურების გრძელი ასხმა. ანა გასწორდა და ამღვრეული თვალები მოავლო მთელ ამ უცნაურ თავყრილობას. ტაშმა, რომელიც აშკარად მისსა და ბექას მობრძანებას ეძღვნებოდა, მასზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, ალბათ ეს თუ იყო მიზეზი, რომ ტაში მოწყვეტით შეწყდა. ანამ უხერხულად გაჩუმებულ პუბლიკაში რამდენიმე ნაცნობი სახე დაინახა - გიორგის მეგობრები იყვნენ. ვიღაცამ ანასკენ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ როგორც კი გოგომ მისკენ მიატრიალა სახე, რომლის გამომეტყველებაც სახიფათოდ ახლოს იყო მტრულთან, შეყოყმანდა და შორიახლოს გაჩერდა.

ბექაც დაბნეული და შეცბუნებული იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ შეეცადა სიტუაციის სასიკეთოდ შემობრუნებას - ანას მოაჯირისკენ ფრთხილად უბიძგა, ირგვლივ შეკრებილებიც გამხნევდნენ, წყვილს კიდევ უფრო მიუახლოდნენ რათა მოაჯირამდე საზეიმოდ მიეცილებინათ. მსვლელობის სულ ბოლოში ფოტოგრაფები მოდიოდნენ და აპარატებს აჩხაკუნებდნენ. ანა დამორჩილდა და იქით წავიდა, საითაც უბიძგებდნენ. გულისრევა ცოტა კი დაუმშვიდდა, მაგრამ ირგვლივ ჭყეტელა ფერები და მჭახე სინათლეები თავბრუს ახვევდნენ.

ბექამ კიდევ ერთხელ მიიდო ტელეფონი ყურთან - მზად ვართ, თქვა ჯერ ზედმეტად ხმადაბლა და შემდეგ არაბუნებრივად ხმამაღლა გაიმეორა - მზად ვართ. აქ ვართ.

ყველა გაჩუმდა რაღაც გრანდიოზულის მოლოდინში, მაგრამ რამდენიმე წამი არაფერი მომხდარა. ანამ შემობრუნება დაიწყო, რათა იქაურობას გასცლოდა, როდესაც მუსიკა აღრიალდა და თბილისის თავზე ფეირვერკი ამოიფრქვა. ანამ ცალი ხელი უღონოდ მიიტანა ყურთან, თითქოს არაბუნებრივად ხმამაღალი მუსიკისგან თავის დასაცავად და მოაჯირისკენ შეტრიალდა, რათა გაეგო თუ რა ხდებოდა. მის ირგვლივ

შემოკრებილმა, ფეიერვერკის, მუსიკისა და შუშხუნა ღვინისგან აღგზნებულმა ხალხმა კი სიხარულის ღრიალი ამოუშვა.

ბექაც შეეცადა თავისი მოვალეობა ბოლომდე შეესრულებინა და სიხარული გამოეხატა - უკან გადაიხარა და ხელები გაშალა, მაგრამ სახეზე სასოწარკვეთილება ეწერა. იღლიებთან ღია ვარდისფერ პერანგზე ოფლის მუქი, მოზრდილი ლაქები ეტყობოდა. ანამ მის ჟესტს არაფრით უპასუხა. ბექამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და კიდევ ერთხელ მიანიშნა ცაზე აფეთქებულ ფეიერვერკზე - ათასობით ბრჭყვიალა წერტილი ტექსტად იწყებდა ფორმირებას. ანას უკან ხალხი გაიყო და ცოცხალი დერეფნის ბოლოში სასიძო გამოჩნდა და მოაჯირისკენ დაიძრა. ხელში უზარმაზარი თაიგული ეჭირა.

ანამ მას ზურგი შეაქცია და ცაზე გამოსახული უზარმაზარი ტექსტისკენ, მიმართა მზერა. მეტს ვეღარ მოითმენდა, უნდა გათავისუფლებულიყო იმისგან, რაც გულზე მთელი საღამოს განმავლობაში აწვებოდა. მოაჯირზე გადაეყუდა, პირი გააღო და ენა გამოყო. გულისრევის კონვულსიებს შორის, როდესაც სულის მოთქმის საშუალება ჰქონდა, მოსწონდა კიდეც გრილ მოაჯირზე გულდაღმა წოლა. ჩაჰყურებდა ბნელ ხეობას, სადაც იკარგებოდა მისი ნარწყევი. დროდადრო კი თვალებს ხუჭავდა. ასეთ დროს კი წარმოსახვის დაძაბვის გარეშე ხედავდა წამის წინ ცაზე გამოსახული და ახლა უკვე თვალებში ჩაბეჭდილი ტექსტის, ოდნავ დეფორმირებულ, მოცახცახე, მაგრამ მაინც ზუსტ ასლს: „ანი ცოლად გამოყვევი“.

ერთი ბოთლი ლუდი

ყოველ პარასკევს მივდივარ ბარში და უგონოდ ვთვრები. ბარი-მეთქი, რომ ვამბობ, რომელიმე კონკრეტულ ბარს არ ვგულისხმობ. შაბათობით „ბარი“ ჩემთვის კოლექტიური სახელია, რომელიც ყველა ადგილს აერთიანებს, სადაც ლუდი იყიდება, სიგარეტის კვამლი თვალებს წვავს და საკუთარი ხმა არ გესმის. ბარში ყველას ოდნავ არანორმალური თვალები აქვს - ჩაწითლებული და თავიანთი ბუნებრივი ადგილებიდან სულ ცოტათი დაძრული.

მე არ მინდა ბარში სიარული. ყოველ შაბათს, როდესაც საწოლზე წამოვჯდები და აღმოვაჩენ, რომ ცალი წინდა იქვე გდია, მაგრამ მისი მეორე ნახევარი ოთახში მიყრილ-მოყრილ ტანსაცმელში უნდა ვეძებო, გადავწყვეტ ხოლმე რომ აღარასოდეს წავიდე იმ ბარში, ან ამ ბარში, საერთოდ არცერთ ბარში აღარ წავიდე და რაც მთავარია, აღარ დავლიო. შაბათს ეს გადაწყვეტილება ურყევი რჩება. კვირასაც ურყევია და მისი ეს სიმტკიცე იმდენად თვალსაჩინო და სანდოა რომ ორშაბათს იგი მავიწყდება, სამშაბათს ისევ მახსენდება, ოთხშაბათს მისი სიმტკიცე სასაცილო მეჩვენება, ხუთშაბათს მას თვალს ვარიდებ და პარასკევს კი ისე არის უყურადღებობით დასუსტებული და მორყეული, რომ ერთი ბიძგი ყოფნის ჩამოსაშლელად.

ამ პრობლემამ იმდენად შემაწუხა, რომ ფსიქოთერაპევტთანაც კი მივედი. ფსიქოთერაპევტმა მკითხა, თუ რატომ ვსვამ პარასკევობით. იმიტომ, რომ პარასკევს ყველა სვამს - ვუპასუხე მე. მაგრამ ის ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა და გაუთავებლად იმეორებდა, რატომ, რატომ, რატომ მაინცდამაინც პარასკევს. მან მკითხა, ვსვამ თუ არა ორშაბათს, ან სამშაბათს. მე ვუპასუხე, რომ არა, რადგან არავინ სვამს ორშაბათს ან სამშაბათს. ფსიქოთერაპევტის აზრით პარასკევს დალევაზე ჩემი ავადმყოფური ფიქსაცია წარსულის ტრავმაში უნდა ვეძებო და ეს საკითხი *გამოსაძიებელია*. შემდეგ მომთხოვა, რამე გამეხსენებინა, რამაც მძიმედ იმოქმედა ჩემზე და მე ვუთხარი, რომ ბავშვობაში მეზობლის ველოსიპედით ფუნაში ჩავვარდი, მაგრამ მივხვდი, რომ სისულელე ვთქვი, უცებ გავბრაზდი და განვუცხადე, რომ მე თვითონაც კარგად ვიცი რა არის ჩემი პრობლემის მიზეზი - მამაჩემი ლოთი იყო და ფსიქოთერაპევტთან მისვლა მხოლოდ იმიტომ გადავწყვიტე, რომ მან მითხრას - ეს სენი გენეტიკურია, არაფერი მეშველება და პარასკევობით დალევა სინდისის ქენჯნის გარეშე შემიძლია გავაგრძელო. ექიმმა უნდოდ გადააქნია თავი, მე კი პარასკევს ისევ დავლიე.

მაგრამ მეორე დღეს ისე ცუდად ვიყავი, რომ გადავწყვიტე მაინც მეცადა რამე გამეხსენებინა, თუმცა უშედეგოდ: მხოლოდ ბავშვობის კურიოზები მახსენდება, ან დედაჩემის და მამაჩემის გაუთავებელი ჩხუბები ბოლო წლებში, სანამ მამაჩემს მანქანა გაიტანდა და დედაჩემი იტალიაში წავიდოდა. ამის შემდეგ კი ყველაფერი ერთგვაროვანია და უფერული. ექიმთან აღარ დავბრუნებულვარ და არც ის მჯერა, რომ ჩემს პრობლემას ერთი კონკრეტული მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თერაპევტის სიტყვებმა როგორც ჩანს შთაბეჭდილება მოახდინა, იმდენად, რომ თავიდან ერთგვარი

აზარტითაც ვცდილობდი ამ საიდუმლოს ამოხსნას, შემდეგ კი ეს საკუთარი თავის გამოძიება დროის გასაყვან გასართობად მექცა. ხანდახან, როდესაც ამის დრო მაქვს და ხელს არაფერი მიშლის წარსულს ჩავუღრმავდე, მაგალითად დილით, როდესაც ავტობუსში ვზივარ და სამსახურისკენ მტკივნეულად ნელა მივიწევ, მახსენდება რომ პარასკევს არ უნდა დავლიო და ვიწყებ, თანაც სულ თავიდან, რამდენადაც წარსულის ნანგრევებში საორიენტაციოდ არც საწყისი წერტილი მაქვს და არც მიმართულება:

მე დავიბადე 1991 წლის ერთ მთვარიან ღამეს, ან ქარიან, ან თოვლიან, ან სამივე ერთად. სინამდვილეში მაისში დავიბადე და ზუსტად არ ვიცი როგორი ღამე იყო, მაგრამ ამას პრინციპში დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ამიტომ დაბადების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა გავიხსენო, რაც გადამხდენია. მაგრამ ცოტა ხნით ვიჭედები, რადგან არაფერი მახსენდება. ამას მოჰყვება ბავშვობის პატარ-პატარა მოგონებები, ზაფხულის ღამეს სარეცხის თოკზე შემომჯდარი ბუ, პირველი ქალი, რომელთანაც მამაჩემის ძმაკაცებმა წამიყვანეს... მნიშვნელოვანი არაფერი. მაგრამ მოგვიანებით ასეთმა სეანსებმა მიჩქმალული კადრის მოულოდნელი გაელვებაც იცის ხოლმე, მაგალითად: ახალი საფლავის ნოტიო გორა და მისი მეზობელი საფლავის ქვის ღობეზე შემოდებული ჯონჯოლიანი თეფში, ჭიქები, ორშაბათის ქალაქიდან ამოღწეული დუდუნი, როდესაც რომელიმე ნათესავი სადღეგრძელოს თქმას დაასრულებს. ფერების ჩამუქების შემდეგ, ხანდახან დედაჩემის და მამაჩემის სახეები ამოტივტივდებიან, მაგრამ არაფერს მეუბნებიან და მალევე ქრებიან, თითქოს ოფლის მოტკბო სუნით გაჟღენთილი ავტობუსის ჰაერი მათაც სულს უხუთავს.

ასე გრძელდება და რაც არ უნდა ნელა მიიწევდეს წინ ავტობუსი, სანამ წარსულის რომელიმე ნივთი ან ამბავი საბოლოოდ მოიკრებდეს ძალას, უკვე ჩემი სამსახურის წინ ვარ, სადაც ჩემი პირადი პრობლემა და მისი გადაჭრის საჭიროება უძლურია ყოველდღიურობას მომწყვიტოს: საქმიანი მეილები, საქმიანი შეხვედრები, საქმიანი თანამშრომლები (და უსაქმოებიც) მას უმალ მარხავენ თითქმის ისევე ღრმად და საიმედოდ, როგორც ის ერთი ამბავია დამარხული.

საღამოს კი გამოძიების თავი არავის აქვს, ან რომელი გამომძიებელი მე ვარ? მირჩევნია კვერცხი შევიწვა, სერიალს ვუყურო და დავიძინო. მაგრამ დღეები ზვავივით არის დაძრული, შიგ მე ვყავარ მოყოლებული და სულ უფრო უახლოვდება პარასკევს.

ადრე თუ გვიან ეს დღეც დგება. მთელი დღე მოუსვენრად ვარ, მაგრამ სანამ სამუშაო დღის ბოლო მოაღწევდეს, საკუთარ თავს პირობას ვაძლევ, რომ რაც არ უნდა მოხდეს არ დავლევ. საღამოს სამსახურიდან გამოვდივარ და თავისუფლების ჰაერს ვისუნთქავ. ახლავე სახლში წასვლა ძალიან არაკომფორტული იქნება, ამიტომ სანამ საცობი შეთხელდება, ცოტას გავისეირნებ - გვიანი სექტემბერის მშვენიერი საღამოა.

ფეხებს უფლებას ვაძლევ მიმართულება თვითონ აირჩიონ.

უცნაურია, რა სიამოვნება შეიძლება მოგანიჭოს ძალაუფლების შეგრძნებამ საკუთარ თავზე. ამ ძალაუფლების წყალობით ცოტა ხანში სახლში წავალ, ჩაის დავისხამ და

წამოვწვები, მერე შხაპს მივიღებ. მეტი ეფექტისთვის ხვალინდელ დღესაც წარმოვიდგენ - როდესაც პახმელიაზე არ ვიქნები და ტანსაცმელს სიგარეტის სუნი არ ექნება. თავის ტკივილზე და ნაბახუსევის სხვა ბენეფიტებზე მეტად სიგარეტის სუნით აყროლებული ტანსაცმელი მეზიზღება. ამიტომ წარმოვიდგენ რომ ტანსაცმელს მხოლოდ შეჩვეული სხეულის სუნი ასდის და არც ღვინის ან ლუდის ლაქებით არის დაწინწკლული. წინასწარ ვტკბები ხვალინდელი გამარჯვებით: ავდგები 9 საათზე და ყავას გავიმზადებ, თუ კარგი ამინდი იქნება - გავისეირნებ

ეს ბარი არ ვიცი.

არა, ყველა ვარიანტში გავისეირნებ, როგორი ამინდიც არ უნდა იყოს. შემდეგ რისი გაკეთება შეიძლება? უამრავი რამის.

როგორ შეიძლება არ ვიცოდე? ნუთუ არ ვარ ნამყოფი?

საერთოდაც, შეიძლება მამიდაჩემს ვესტუმრო, რამდენი წელია არ მინახავს, გაეხარდება

არა, მემგონი მართლა არ ვარ.

ხვალინდელი სასეირნო ამინდი უცებ კარგავს მიმზიდველობას და ვგრძნობ როგორ მებორკება ფეხები სურვილის ბორკილებით. თავს ძალას ვატან, რომ ბარის კარებთან არ გავჩერდე მაგრამ კარებთან ჩავლისას შიგნით შეხედვის ცდუნებას მაინც ვერ ვუძლებ და ასე, ნაბიჯის შეუნელებლად შევაპარებ თვალს. ცუდად განათებულ ინტერიერში თაროებზე ჩალაგებული ბოთლები ბრწყინავენ, დახლზე, საფერფლეში სიგარეტი იწვის და მისი ძაფივით წვრილი კვამლი ჭერისკენ მიიწევს.

რამდენიმე ნაბიჯს კიდევ გავდივარ, მერე ვჩერდები.

დღეს ძალიან დავიღალე, რამდენი ვიმუშავე! როგორ უნდა ვუთხრა საკუთარ თავს უარი ერთ ბოთლ ლუდზე? ერთმა ბოთლმა რა უნდა მიქნას, ერთი ბოთლი, ანუ ერთადერთი კათხა - საბავშვო ბაღი. აბა რა. არ არის აუცილებელი, რომ ერთბაშად შევწყვიტო დალევა, სადღაც წამიკითხავს, რომ მავნე ჩვევის თავიდან მოშორების ყველაზე ეფექტური საშუალება, ნელ-ნელა თავის დანებებაა, როგორც მაგალითად დოზების შემცირება.

მაშინვე შვებას ვგრძნობ, როგორ კი დიპლომატიურ გადაწყვეტილებას ვიღებ.

როგორც ყოველთვის ბარის დახლთან ვჯდები და ლუდს ვუკვეთავ, სიგარეტს ვუკიდებ, ახლა ნამდვილად კარგი განწყობა მეუფლება. ბარმენი გოგონა ღიმილით მესალმება და ხურდა ფულით სავსე გამჭვირვალე ყუთს ჩემსკენ აჩოჩებს. არა, გამახსენდა, აქაც ნაყოფი ვარ. არ ვიცი მაშინვე რატომ ვერ გავიხსენე, მაგრამ ნამდვილად ნამყოფი ვარ. ალბათ ერთი ან ორი წლის წინ შემოვიარე. საინტერესოა, მეტჯერ რატომ არ მოვედი, მაგრამ ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მალე ბარები წარსულს ჩაბარდება.

პარასკევი საღამოსთვის აქ უჩვეულოდ ცოტა ხალხია.

ჩემი ლუდი მოდის და ვყოყმანობ, ჭიქაც მოვითხოვო თუ არა, რადგან ცოტა ხნის წინ შევიტყვე, რომ თუ ლუდს ბოთლიდან სვამ ის მუცელში ქაფდება და ამიტომ უფრო იბერები, მაგრამ ახლა მაინც ბოთლიდან დალევა მირჩევნია. ეს ბარი ალბათ იმიტომაც დამავიწყდა რომ ჩემი გემოვნებისათვის ზედმეტად ცარიელია. მაგრამ ეს სიხალვათე ამ შემთხვევაში კარგია - ცოტა ხალხში მეტი კონტროლია, რაც დათრობას ართულებს. არა, არც ვაპირებ დათრობას, უბრალოდ კარგია, რომ ცოტა ხალხია.

ნება-ნება ვსვამ. ბოთლის ნახევარი მაქვს დალეული და ჩემი წასვლის, ანუ ჩემი ტრიუმფის დრო ახლოვდება, როდესაც ბარში კაცი შემოდის. სახე წითელი და წლებისგან ნაბეგვი აქვს. კარებთან ჩერდება, ეყრდნობა, ისვენებს. შემდეგ საკუთარ თავს ბიძგს აძლევს და თვალის დახამხამებაში ჩემს სკამთან აღმოჩნდება. მაგრამ მე ჯერ კიდევ მშვიდად ვარ, არაფერს ვეჭვობ, მგონია, რომ შეძლებს გვერდი ამიაროს, შეჯახების საშიშროება არც კი გამიელვებს თავში, ისე ვიღებ ჩემს ბოთლს რათა მორიგი პატარა ყლუპი მოვსვა, მაგრამ კაცი ბარბაცებს, მეჯახება და თან ისეთი ძალით, ლამის სკამიდან გადმომაგდოს - ბოთლი ხელიდან მივარდება, ყირავდება და ინერციით აკეთებს რამდენიმე ბრუნს საკუთარი ცენტრის ირგვლივ. დახლზე და მის ორივე მხარეს ლუდი იღვრება და ქაფდება.

- პარდონ - ამბობს კაცი და ხელებს მაღლა სწევს, იმის ნიშნად რომ ჩვენს ხელთაა, მაგრამ უხერხულობა ან სინდისის ქენჯნა არ ემჩნევა. ამ არხეინი, ფორმალური ბოდიშის გამო მაშინვე მამაჩემს მაგონებს და ეს იმდენად არ მსიამოვნებს, რომ ჩემთვის უჩვეულო უხეშობას ვიჩენ, საპასუხოდ არაფერს ვამბობ და წაქცეულ ბოთლს ფეხზე ვაყენებ. მასში თითქმის აღარაფერია. კიდევ ერთი უსიამოვნება. იმ დღეს, როდესაც ჩემი ნათელი მომავლის პირველი აგური უნდა დამედო, ერთი ბოთლიც არ შემარგეს - დამნაშავეს ხელები მონანიესავით აუწევია, მაგრამ მე მისი დაპატიმრება არ შემიძლია.

დედაჩემს ეჯავრება მთვრალი კაცები. „მთვრალს მხოლოდ საქმის გაფუჭება შეუძლია“ - შეგონებასავით მიმეორებდა ხოლმე, სანამ ერთად ვცხოვრობდით. წარმოდგენაც არ მინდა რა რეაქცია ექნებოდა ერთ-ერთ ჩავლილ პარასკევ საღამოს რომ დავენახე. დედაჩემი, რა თქმა უნდა მართალი იყო, ამ ბარში ერთადერთი მთვრალი კაცია და ჩემთვის საქმის გაფუჭება მაინც მოახერხა.

ბარმენი გოგონა, რომელიც აქ რომ არ მუშაობდეს, ვიფიქრებდი რომ სრულიად იზიარებს დედაჩემის ანტიპათიას მთვრალი კაცების მიმართ, რაც მისი გამტკნარებული გამომეტყველებაში მოჩანს, იმაში თუ როგორ ცდილობს კაცისთვის თვალის არიდებას, ხელსახოცს იმარჯვებს და მეუბნება:

- ახლავე მოგართმევთ მეორეს.

ახლა ხომ ვერ წავალ? ერთ ბოლთს ნამდვილად ვიმსახურებდი და ახლაც ვიმსახურებ. შეიძლება იმ ახალი ბოთლის ნახევარი დავლიო და ისე წავიდე, ასე საკუთარ

სინდისთანაც მართალი ვიქნები და ჯილდოსაც, რომელიც საკუთარ თავს დავუწესე, არაფერს მოვაკლებ. თავს უხმოდ ვუქნევ.

- მეც ხომ მომართმევთ? - ამბობს მთვრალი კაცი და ზურგიდან შარი-შური მესმის. ჯიბეებში იქექება.

- თქვენ ამ ბატონის უნდა გადაიხადოთ - ამბობს გოგონა ისე, რომ კაცს ისევ არ უყურებს და არც დახლის წმენდას წყვეტს. ის ნამდვილად ეთანხმება დედაჩემს, ოღონდ არ ვიცი აქ რატომ მუშაობს. გაურკვეველი, უსიამოვნო გრძნობა მუცლიდან იწყებს სათავეს და ზემოთ-ზემოთ მოდის, ტალღებად. აქ განათებაც კი ჩემი სახლისას ჰგავს. ჩვენთან ჭაღს ყოველთვის აკლდა ნათურა.

- ამ ბატონისასაც გადავიხდი და სხვა ბატონისასაც - ამბობს კაცი. ის ჯერ კიდევ ჩემს უკან დგას და ახლა ზურგზე ხელს მიტყაპუნებს. კიდევ კარგი, ახალი ბოთლი ჯერ არ მოუტანიათ - კიდევ ბოდიში ძვირფასო ადამიანო, პარდონ მუსიე.

მაგარი მთვრალია. ეს კიდევ უფრო მაღიზიანებს და თვითონაც მიკვირს, როდესაც საკუთარი იმპულსებისათვის წინააღმდეგობის გაწევა მიწევს. მინდა მივუბრუნდე და ხელი ვკრა. წარმოვიდგენ როგორი გაკვირვებული ბარბაცით დაიხევს უკან-უკან და შემდეგ ბარის იატაკზე გაიშხლართება - ფეხებით სინათლეში, თავით და მხრებით კი ბარის სიღრმეში, სადაც ძლივს აღწევს დახლს ზემოთ დამაგრებული უცნაური ნათურების შუქი. შემდეგში კარგად დაფიქრდება, სანამ გამოსწორების გზაზე შემდგარი ალკოჰოლიკს ბოთლს გააგდებინებს ხელიდან.

მაგრამ თავს დროულად ვთოკავ. რა მოგივიდა შენც კიდე. ვინ არ ყოფილა მთვრალი, რა, შენ არ ყოფილხარ მთვრალი? არ ჩანს ცუდი ტიპი, უბრალოდ ფეხი შეეშალა და უნებლიედ დამეჯახა, არ უნდოდა.

სკამზე ნახევრად ვტრიალდები და რაც შემიძლია მშვიდად ვეუბნები:

- არაუშავს. მე თვითონ. არ არის პრობლემა.

ახალი ბოთლიც მოდის და მისი დაცვარული ყელი პირველისაზე უფრო მადისაღმძვრელად გამოიყურება. მთვრალი კაცი ხვნეშით ბობღდება ზუსტად ჩემს გვერდით მდგარ მაღალ სკამზე და მთელს ბარში ავრცელებს ალკოჰოლის ამონასუნთქს. გოგოს მისთვისაც მოაქვს ლუდი და მერე ერთხანს სიჩუმეა. კაცი რამდენიმე ყლუპს სვამს და ჩუმად აბოყინებს, გოგონა კი სკამზე ზის და ტელეფონის ეკრანის შუქი, რომელშიც მოჯადოებულივით იყურება, მის ცხიმიანი კულულებით ნახევრად დაფარულ, დაღლილ სახეს ანათებს.

სიჩუმეს, რომელშიც მხოლოდ ბარის სიღრმეში ერთადერთი დაკავებული მაგიდიდან წამოსული ხმადაბალი საუბრის ზუზუნი იჭრება, ისევ კაცი არღვევს.

- ჩემო კეთილო - მე მეუბნება - მაინც მინდა გამოვისყიდო დანაშაული.

ვერ ვიგებ რა უნდა, ამიტომ უხმოდ ვუყურებ.

- ჩემო კეთილო - აგრძელებს ის - მემგონი ჩვენი შერიგებისა უნდა დავლიოთ.

გონება მინათდება. აი თურმე რა ნდომებია - თანამეინახეს ეძებს. ამას აქამდეც უნდა მივხვმდარიყავი, რადგან ყველა ლოთი ერთნაირია.

- მადლობა, მაგრამ არ ვსვამ - რაც თავში პირველად მომდის იმას ვამბობ და მგონი ვწითლდები კიდეც. ხელი გამირბის და ლუდის ბოთლს ვიღებ. შეცდომას შეცდომაზე ვუშვებ, მინდა ბოთლი ისევ ადგილზე დავაბრუნო, ამიტომ რამდენიმე ყლუპს ზედიზედ ვსვამ და ბოთლს ხმაურით ვდგამ დახლზე.

დასაკარგი აღარაფერი მაქვს და კაცს გამომწვევად ვაშტერდები.

მაგრამ იმას არაფერი ეტყობა. ერთხანს ისიც მიყურებს, მერე მიღიმის და თავის ბოთლს უბრუნდება. თავს დამცირებულად ვგრძნობ. ისე იღიმის, თითქოს ჩემი ესმის, როგორც მშობლებს ეღიმებათ თინეიჯერულ ამბოხებებზე.

ახლაღა ვამჩნევ რომ ჩემი ბოთლის ნახევარს საგრძნობლად ჩამოვცდი. მას ერთბაშად ბოლომდე ვცლი და ახალ ბოთლს ვუკვეთავ. მესამე ბოთლის გამოჩენისთანავე კაცი ისევ იწყებს:

- ამ ჭიქით... უფრო სწორად ამ ყლუპით... მე მინდა დავლიო სადღეგრძელო... - არც მე და არც გოგოს არ გვიყურებს, თაროებზე ჩალაგებულ ფერად ბოთლებს მიმართავს - ეს იმ კაცს გაუმარჯოს, ვინც გულში წყენას დიდხანს არ შეინახავს და ვინც იცის, რომ მარტო კაცი დალევაშიც ბრალია. ეგეთ ხალხს გაუმარჯოს.

ბოთლს იყუდებს და მისკენ არ ვიხედები, მაგრამ თვალის კუთხით ვხედავ როგორ მოგვავლებს თვალს მე და ბარმენ გოგოს, თან მგონი იღიმის კიდეც. დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან ყინულს გაალღობს.

მე არაფერს ვამბობ, მაგრამ მესამე ბოთლი არ უნდა შემეკვეთა. სასმელი მეკიდება და ნათელია, ეს პარასკევიც ჩავარდა. მაგრამ რაღაცა ხდება დათქმული აღთქმის დარღვევაზე უარესი. ჩემში წარსულის რომელიღაცა სცენა ცოცხლდება, როგორც საშინელებათა ფილმის პროტაგონისტში იჩეკება უცხოპლანეტელი მტაცებლის ჭუპრი და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია ასეთი მთვრალი ვიყო, თვალნათლივ ვხედავ მთვრალ მამაჩემს, რომელსაც რის ვაივაგლახით ვიგერიებ და გაღიზიანებულ, დაღლილ დედაჩემს.

ახლა გოგონასაც ეტყობა დაძაბულობა, ტელეფონზე კონცენტრაციას ვეღარ ახერხებს და თვალს ხშირ-ხშირად აპარებს ჩვენსკენ. თუმცა სულ ტყუილად ეშინია, მე არაფრის ჩადენას არ ვაპირებ, იმან რამდენიც უნდა, ილაპარაკოს.

კაცი ჩემსკენ ტრიალდება - მას გადაწყვეტილი აქვს ჩემი გული მოიგოს. ყურადღების მოკრებას მთელ ძალისხმევას ანდომებს, ცდილობს ენა არ დაებას. მისი ხმა ბუნდოვნად ჩამესმის.

- კიდევ ბოდიშს ვიხდი. მაგრამ იცოდე, ეგეთი მთვრალი არ ვარ. მე არასოდეს ვარ ეგეთი მთვრალი. თუ რამე გაწყენინე შევრიგდეთ... თუ ჩემთან ლაპარაკი არ გინდა, უბრალოდ მომიჭახუნე, იმის ნიშნად რომ შევრიგდით. მარტო ამას ვითხოვ და მორჩა, სამუდამოდ დაგეხსნები.

მთელი კონცენტრაცია ბოთლზე გადამაქვს და ვცდილობ შიშინს, რომელიც ყურებში მიდგას, არ მოვუსმინო.

- ბატონო, თუ შეიძლება კლიენტებს ნუ აწუხებთ - ამბობს დედაჩემი.

ბოთლს სასმელებიან თაროს ვესვრი და სკამიდან ისე ვხტები, რომ იგი ყირავდება. მინდა ვუყვირო, რომ ორივე ყელში ამომივიდნენ, მაგრამ ვერაფრის თქმას ვერ ვახერხებ, იდიოტივით ვდგავარ და კაცს ვუყურებ.

ბარის სიღრმიდან წამოსული ზუზუნი ფერადი ბოთლების ლეწვის ხმასთან ერთად წყდება და ახლა კი მართლა სამარისებული სიჩუმე ისადგურებს.

კაცი დაბნეული მიყურებს, მერე ბარმენ გოგონას შეხედავს, რომელსაც ყურები ჯერ კიდევ ხელებზე აქვს აფარებული. შემდეგ ისევ ჩემზე გადმოაქვს მზერა. მისი ნაკვთები უცებ
სიმკვეთრეს იძენენ. მისი სახე დაბეგვილი ხორცის ნაჭერი მეგონებოდა, რომ არა თვალები, რომლებიც მომშტერებიან აზრის იმ ნარჩენებით, რომელიც ჯერ კიდევ არ გაუნადგურებია სასმელს.

შემდეგ ის ორივეს თვალს გვარიდებს და სკამიდან ჩამობობღებას იწყებს. მისთვის ეს საკმაოდ რთული ამოცანაა, მაგრამ როგორღაც მაინც ახერხებს და ბარის იატაკზე არც თუ ისე მყარად მდგომი ჯიბეებში იქექება. ჩვენ, მე და ბარმენი გოგონა, აღარ ვარსებობთ და აღარც ეს ბარი არსებობს, მხოლოდ არსებობს ჯიბეები, რომლის რომელიღაცა კუნჭულში დაკუჭული კუპიურები უნდა იყოს. ერთ-ერთ მათგანს მოძებნის კიდეც და ფრთხილად დებს დახლზე, შემდეგ დაიძვრება და კარისკენ მიდის, ამჯერად მთელ ძალისხმევას მოიკრებს, რათა გვერდი ამიაროს, არ შემეხოს, არც შემომხედოს. ვხედავ, რაც უფრო უახლოვდება კარებს, როგორ იმართება წელში, თითქოს მომხდარის ტვირთი ეხსნება მხრებიდან და როდესაც კარებამდე მიაღწევს, იგი კვლავ თავისუფალია. ვცდილობ არ ვიფიქრო იმაზე, თუ როგორ გავა კარებში მეორედ უარყოფილი და ერთხანს წითელი შუქებით ბუნდად განათებულ ქუჩაზე დადგება, ბარის შესასვლელისგან ოდნავ მოშორებით, სანამ მისი ცნობიერებიდან საბოლოოდ აიკრიფებოდეს უსიამოვნო ნისლი, შემდეგ კი რწევა-რწევით გაუყვება მომდევნო ბარისკენ, როგორ შეეცდება ქუჩის გადაკვეთას და მის თვალებში როგორ აალდება აზრი უკანასკნელად, როდესაც მოსახვევიდან მოულოდნელად გამოვარდნილი მანქანის ფარები მის დაბეგვილ სახეს სინათლეში მოაქცევს.

2X2

სამსახურიდან დაბრუნებული ერთი კაცი თავის სახლში მეორე, უცხო კაცს გადააწყდა. მაშინვე დააძრო პისტოლეტი და თორმეტი ტყვია დაახალა. პირველი ხუთი ტყვია აუცილებელი იყო საფრთხის გასანეიტრალებლად, მომდევნო ოთხი კი განსაკუთრებული სიფრთხილის გამო დააყოლა, რაც შეეხება ბოლო სამ ტყვიას, მათ სროლას არ აპირებდა, მაგრამ რადგან უკვე 9 ტყვია ნასროლი ჰქონდა, ასე ერთბაშად ვერ გაჩერდა და ინერციით კიდევ სამიც ესროლა. აი მეთორმეტეს მერე კი როგორღაც მოახერხა შეჩერება. მეორე კაცი ძირს დაეცა მაგრამ ჯერ მკვდარი არ იყო. პირველმა კაცმა მჭიდი შეამოწმა - კიდევ ერთი ტყვია ჰქონდა დარჩენილი. ჩაფიქრდა: ერთი ტყვია რაღა დასატოვებელიაო, მაგრამ თან შეამჩნია, რომ დაჭრილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ეს ნიშნად ჩათვალა: დაე გამოჯანმრთელდეს, თუ ეს შესაძლებელია - გაიფიქრა მასპინძელმა - ან მოკვდეს ბუნებრივი სიკვდილით. ერთი სიტყვით, დაჭრილის ბედი განგებას მიანდო.

ელოდა, რომ მალევე მოკვდებოდა დაჭრილი კაცი მაგრამ ის სისხლის გუბეში მომაკვდავი იწვა და არა და არ კვდებოდა. ასე იმდენ ხანს გაგრძელდა, რომ ერთმანეთს გაუშინაურდნენ კიდეც - მართალია დაჭრილი ვერ ინძრეოდა და ვერც ლაპარაკობდა, მაგრამ თვალების პაჭუნით და ხროტინისა და კვნესის ნაზავით მასპინძელთან კომუნიკაცია როგორღაც მოახერხა. იმანაც ადვილად აუღო ალღო ნიშნების ამ სისტემას და ერთგვარ სიამაყესაც კი გრძნობდა, რადგან ახლა მხოლოდ მას შეეძლო დაჭრილის ენის გაგება - დაახლოებით ისე, როგორც მუნჯის ენა მხოლოდ მის დედას ესმის. ასე რომ, ერთმანეთს კარგად შეეწყვნენ - მასპინძელმა თავის დაჭრილს საკუთარი ადგილი მიუჩინა ერთ-ერთ კუთხეში. აქვე მიუდგამდა ხოლმე პატარა თასით წყალსა და ადვილად მოსანელებელ საჭმელებს. მათ შორის ისეთი გულითადი და გულისხმიერი ურთიერთობა აეწყო, რომ კაცს, შეიძლება ითქვას, სამსახურის შემდეგ სახლში მიეჩქარებოდა ხოლმე - და ამისი მთავარი მიზეზი, მისი დაჭრილი იყო, რომელიც იცოდა, რომ ელოდა. ალბათ ორივე ისურვებდა, რომ ეს ბედნიერება უსასრულოდ გაგრძელებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ, სინამდვილის მუდმივად მოძრავი, არამდგრადი ბუნებისთვის ხანგრძლივი ბედნიერება შეუთავსებელია. მართლაც, კაცი ხედავდა როგორ დადგა გამოჯანმრთელების გზაზე მისი დაჭრილი და იგრძნო, რომ სულ მალე მოუწევდა ახალი სინამდვილისთვის თვალის გასწორება, რომ შეიძლება დაჭრილთან დამშვიდობებაც კი გამხდარიყო საჭირო.

ამის შემდეგ მათ ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა და ბედნიერებასაც ჩრდილი მიადგა. რაც უფრო ჯანსაღდებოდა დაჭრილი, კომუნიკაცია მით უფრო იშვიათი და რთული ხდებოდა რადგან საერთო ენის გამონახვა გართულდა. გაუმჯობესების გზაზე დამდგარი დაჭრილი დღითი-დღე უფრო ნაკლებს ხროტინებდა და კვნესოდა. ნათელი იყო, რომ სულ ცოტაც და რაღაც შეიცვლებოდა - უფრო სწორად ცვლილება უკვე მომხდარიყო, უბრალოდ ჯერ კიდევ არ ასახულიყო პატრონისა და დაჭრილის ურთიერთმიმართებაში.

და აი, ის საბედისწერო დღეც დადგა. სამსახურიდან დაბრუნებულმა კაცმა ჩვეულებისამებრ მიაკითხა დაჭრილს თავის ოთახში, შეუტანა თასით წყალი და ცოტა არაჟანი და შენიშნა, რომ დაჭრილი ცივი მზერით ზომავდა თავიდან ფეხებამდე და მის ყოველ მოძრაობას აკვირდებოდა - დაჭრილისგან სიხარულის გამოხატვას და გულითად მისალმებას ისედაც აღარ ელოდა, მაგრამ ამ თავხედურმა მზერამ მაინც შეაშფოთა. თავადაც კარგად დააკვირდა დაჭრილს: მისი გაშვებული წვერის ჯუნგლებში შემალული თვალები ცივად ელავდნენ. უძლურების ნასახიც აღარ ემჩნეოდა; ყოფილი დაჭრილი თანაბრად და მშვიდად სუნთქავდა, მარჯვენა ხელი კი თავქვეშ ამოედო, თითქოს კუთხეში, სადაც თავის დროზე ადგილი მიუჩინეს, მხოლოდ დროებით მიწოლილიყო დასასვენებლად.

მასპინძლისა და დაჭრილის თვალები ერთმანეთს შეხვდნენ და თითოეულმა თავისი მოწინააღმდეგის მზერაში მზადყოფნა დაინახა. დაჭრილი ნელა გაიზმორა და წამოჯდა ამ დროს კი მასპინძელი თითქოს მოჯადოებული, გაუნძრევლად იჯდა საწოლის კიდეზე. დაჭრილი მეთოდურად მოქმედებდა - დინჯად მიუახლოვდა პატრონს და მის ფეხებთან ჩაიმუხლა. პატრონის მარჯვენა, ცოტა შელანძღული მაგრამ მაინც სამაგალითოდ გაპრიალებული ფეხსაცმლიდან თასმის გამოძრობა დაიწყო. მასპინძელი ამ დროს იჯდა - უკვე მიხვდა რაც ელოდა. შეეძლო ეს თავიდან აეცილებინა, მაგრამ იცოდა - ამ შემთხვევაში დაჭრილს მართლაც სამუდამოდ დაკარგავდა.

მან კი თასმის გამოძრობა დაასრულა, საწოლს უკნიდან შემოუარა და თასმა, რომლის ორივე ბოლოც მტკიცედ დაიხვია ხელებზე, ყელში პატრონს ამოსდო. რამდენიმე წამი ასე გაშეშდნენ, შემდეგ კი დაჭრილი მთელი სხეულით დაიძაბა და მთელი ძალით დაიწყო პატრონის დახრჩობა. საწოლზე გაგორდნენ - ყოფილი პატრონი ცდილობდა თავი დაეღწია ყოფილი დაჭრილისგან, მაგრამ ახლა უკვე გვიან იყო. ცოტა ხანში ბრძოლა შეწყვიტა და სხეული მოუდუნდა. ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი, მაგრამ ბევრიც არ აკლდა - ხროტინებდა და მისი თვალის გუგები პინბოლის ბურთებივით დახტოდნენ.

დაჭრილმა ყოფილი პატრონი ზუსტად იქ მიაწვინა, სადაც თავად დაჭრილი იწვა ადრე. შემდეგ ჩაიცვა მისი ტანსაცმელი და სახლი შემოიარა - ყველაფერი უნდა დაეთვალიერებინა და გაეთავისებინა. ჩაჯდა ყოფილი პატრონის სავარძელში, მისი ტელევიზორი ჩართო, მისი საპარსით გაიპარსა, მეორე დღეს კი მის სამსახურში წავიდა. ცვლილება თითქმის უმტკივნეულო აღმოჩნდა.

ამის შემდეგ კიდევ ძალიან ბევრჯერ გაიცვალა მათი როლები - ისინი დღესაც ერთად ცხოვრობენ და უკვე შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რომელი მათგანი იყო პირველი მასპინძელი და რომელი - პირველი დაჭრილი, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს და მეტიც, ეს წოდებები აღარც არსებობს - უფრო სწორად, მხოლოდ დამხმარე ცნებებია დროის მოცემულ მომენტში რომელიმე მათგანის აღსანიშნად.

* * *

ქალმა ძუძუებიდან რძე ამოიტუმბა და მოტყუებით თავის ქმარს დაალევინა. როდესაც ქმარმა ჭიქა ბოლომდე გამოსცალა, ქალმა უთხრა, რომ სინამდვილეში რძე ძროხის კი არა, ქალის ძუძუებიდან გამოტუმბული რძე იყო. ქმარმა ეს რომ გაიგო არწყია. ნარწყევი ტაშტში შეაგროვეს და ღორებს მოტყუებით აჭამეს. როდესაც ღორებმა ტაშტი ბოლომდე ამოთქვლიფეს, ცოლ-ქმარმა მათ გაუმხილა, რომ სინამდვილეში ნარწყევი სულაც არ იყო ის, რაც მათ თავიდან ეგონათ, არამედ არც მეტი, არც ნაკლები, თავიანთი პატრონის, ანუ ქმრის ნარწყევი. მაგრამ ღორებზე ამას არანაირი ეფექტი არ ჰქონია.

კიდევ ერთი ამბავი უკავშირდება ქალის რძესა და მამაკაცს. მათ ქორწინებასთან შედარებით უფრო ნაკლებ ტრადიციული ურთიერთობა აკავშირებთ. კერძოდ ქალი კაცის გარდერობში ცხოვრობს და კაცისთვის მაღვიძარის ფუნქციას ასრულებს. დილას (ან ნებისმიერ დროს, რომელზეც არიან შეთანხმებულები კაცი და მისი ქალი, ესე იგი მაღვიძარა) ქალი გარდერობიდან გამოდის და ძუძუებიდან კაცს რძეს უშხაპუნებს, პირდაპირ სახეში. სახეში, რადგან მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად გაირკვა, რომ ეს ყველაზე ეფექტური მეთოდია. ეს, ასე ვთქვათ, ემპირიულად არის დადასტურებული. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი კაცისთვისაც, ყველაზე ეფექტური, რძის სახეში შეშხაპუნება იქნება. მაგრამ ამ კონკრეტული კაცისთვის ნამდვილად ასეა. ხანდახან ხდება, რომ კაცს გაღვიძება უჭირს - ვთქვათ პახმელიაზეა, ან გვიანობამდე ვერ დაიძინა და ძილი არ ეყო - ამ შემთხვევაში კაცი გაღვიძებას გადაავადებს. ქალი გარდერობში ბრუნდება, ათი წუთის შემდეგ ისევ გამოდის და კაცს სახეში რძეს უშხაპუნებს. ამ თვალსაზრისით არანაირი განსხვავება არ არის ქალსა და მაღვიძარას შორის. მაგრამ ხანდახან, თუ კაცს ძალიან მძიმე ღამე ჰქონდა და გაღვიძებას უბრალოდ ფიზიკურად ვერ ახერხებს, გაღვიძების მცდელობები იმით მთავრდება, რომ ქალს ძუძუებში რძე უბრალოდ ფიზიკურად აღარ აქვს. ასეთ დროს სხვა გზა არ არის, კაცი ძილს აგრძელებს. ამ თვალსაზრისით ქალი-მაღვიძარა ტექნოლოგიის უკანასკნელ მიღწევებს კონკურენციას ვერ უწევს - იძულებულია კაცს შეეშვას. რაც ხანდახან (თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ იშვიათად) კაცს დიდ პრობლემებს უქმნის. მას შეიძლება დააგვიანდეს მნიშვნელოვან შეხვედრაზე, ან წვეულებაზე. თანამედროვე ადამიანს უამრავი პასუხისმგებლობა აკისრია. მაგრამ კაცი თავის ქალ-მაღვიძარას მაინც ვერ ელევა.

კიდევ მრავალი ასეთი ამბავი არსებობს. მათი აქ ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს ამბები აქ იმიტომ მოვიყვანეთ, რათა ხაზი გაგვესვა მსგავსი ურთიერთობების კომპლექსურობისათვის. სამომავლოდ, ვფიქრობთ არაჩვეულებრივი საკვლევი საკითხია, თუ როგორ ხდება სოციუმში არსებული ატავისტურ-ძალაუფრებრივი ძალ-წირების შეჯახების შედეგად წარმოებული ენერგიის დისტილაცია ძუძუებში და მისი შემდგომი ემანსიპაცია რძის სახით, რომელიც თავის მხრივ სათავე ხდება ახალი სოციალური ძვრებისათვის როგორც მიკრო, ისევე მაკრო მასშტაბებზე.

მევიოლინე

ერთ-ერთ შაბათს, პატარა კაფეში გამართულ ჯაზის ყოველკვირეულ საღამოზე უცნაური რამ მოხდა. საღამო უკვე დასასრულისკენ მიდიოდა და ბენდს ბოლო კომპოზიცია უნდა დაეკრა. მევიოლინემ, რომელიც უკვე საკმაოდ შეზარხოშებულიყო, ვიოლინო მოიმარჯვა, რათა ჯგუფს შეერთებოდა. თავიდან, სანამ ხუთივენი ერთად უკრავდნენ, მუსიკოსებსაც კი არაფერი შეუმჩნევიათ, მაგრამ შემდეგ, როდესაც საქსოფონის სოლოს დრო მოვიდა და დანარჩენმა ინსტრუმენტებმა ფონზე გადაინაცვლეს, საქსოფონისტმა რამდენჯერმე მევიოლინესკენ თვალი გააპარა რომელიც თვალდახუჭული უკრავდა და მუსიკაში მთელი სხეულით იყო ჩართული.

საქსოფონისტს ასეთი რამ არასოდეს დამართნია - მთელი ყურადღება ვიოლინოსკენ მიმართა, მაგრამ რამდენსაც არ ეცადა, ვიოლინოს ხმა ვერაფრით გამოარჩია დანარჩენ ინსტრუმენტებში. სხვა მუსიკოსებსაც გადახედა და ცოტა დამშვიდდა, რადგან მიხვდა, რომ თვითონ კი არა, მევიოლინეს დამართნოდა რაღაც - დრამერმა თვალით მევიოლინეზე მიანიშნა, ხოლო ბასისტი და თვით გიტარისტიც კი გამალებით ეძებდნენ ხარვეზის მიზეზს იმპროვიზებული სცენის განაპირას მოთავსებული აპარატურის ერთმანეთში გადახლართულ მავთულებში.

რაც მთავარია, მსმენელებს არაფერი შეუნიშნავთ ან თუ შენიშნეს, არ გამოუხატავთ. მაგიდების უმეტესობასთან, ნაკლულ ჭიქებისა და მოსვრილი თეფშების გროვებიდან ამოზრდილები, ერთმანეთისკენ გადახრილიყვნენ, რათა თანამოსაუბრისთვის უკეთ გაეგონებინათ. დანარჩენები კი ჩამომდგარ ჯანღში სკამის საზურგეებზე მიწოლილიყვნენ და სახეზე კმაყოფილებასთან ერთად მაღალი ჭერიდან ჩამოშვებული სუსტი ნათურების შუქი ეფინათ.

იმპროვიზაცია დაასრულეს. ხალხმა ტაში დასცხო. მევიოლინემ მუსიკოსებისთვის განკუთვნილი მაგიდიდან თავისი ჭიქა აიღო და ბოლომდე გამოსცალა.

ტაში რომ ჩაცხრა და კომპლიმენტის სათქმელად მოსულ რამდენიმე ნაცნობს გამოელაპარაკა, საქსოფონისტი მევიოლინეს მიუახლოვდა - მას ჯერ კიდევ ჭიქა ეჭირა ხელში, ვერ გადაეწყვიტა, კიდევ ერთიც დაელია თუ არა.

- რა მოხდა? - უთხრა საქსოფონისტმა

- როდის? - ჰკითხა მევიოლინემ

- ბოლოს რა.

- რა მოხდა? არ ვიცი. მოხდა რამე? - ჭიქას დახედა - ბევრი გავმაზე?

საქსოფონისტმა ნიკაპი შესწია გაკვირვების ნიშნად.

- გამაზე? - ყოყმანით უთხრა - საერთოდ არაფერი ისმოდა.

მევიოლინემ კაფეს მეორე ბოლოსკენ გაიხედა, სასმელების ბარისკენ. ჯერ კიდევ ყოყმანობდა, კიდევ დაელია თუ არა.

- როგორ თუ საერთოდ? - გაუღიმა საქსოფონისტს - ვაბშე არაფერი?

- ხო, ვაბშე-ვაბშე.

- მიდი რა.

თქვა მევიოლინემ და საბოლოოდ გადაწყვიტა - საქსოფონისტს დაემშვიდობა და ბარისკენ გაემართა დასალევად. ჭიქა უკვე ნახევრამდე ჰქონდა დაყვანილი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. შემოტრიალდა და ძველი ნაცნობი შერჩა ხელში - ხუთი წლის უნახავი კურსელი. ჭიქა დახლის სიღრმეში შეაცურა, რათა მეგობართან გადახვევისას შემთხვევით არ გადაებრუნებინა.

გულითადი მისალმების შემდეგ სასაუბროს მოძებნა გაუჭირდათ.

- სახლში როგორ ხართ? - ჰკითხა მევიოლინემ.

- კარგად, კარგად, ძველებურად. ისე, შენ საღოლ - მეგობარმა ხელი სცენისკენ აიქნია.

- ხო - თქვა მევიოლინემ - შენ უკრავ სადმე?

- არა, ცოტა ხანი ვისვენებ. ახლა მელიორაციაში ვარ.

ორივეს გაეცინა.

- მანდ რა გინდა?

- რა ვიცი ძმაო. გრძელი ამბავია.

- ხო - თქვა მევიოლინემ და ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა - სხვა რას შვები? ცოლი ხო არ მოგიყვანია?

- ჯერ არა, მაგრამ მომყავს. შენ? ის გოგო სად არის? რა ერქვა - ანა, თუ ნინა თუ ნანა?

- მაიცა რა. რაღა დროს ეგ არის.

ასე ილაპარაკეს რამდენიმე წუთი. კიდევ ერთი ჭიქა დალია მეგობართან ერთად. ჯგუფის წევრები უკვე წასულიყვნენ. წამოდგნენ და კარებისკენ გაემართნენ. კაფედან გამოსულებმა ქურთუკები შეიკრეს და ნიკაპები საყელოებში ჩამალეს. დამშვიდობების წინ კიდევ ცოტა ხნით შეყოვნდნენ.

- მართლა, ვიოლინოს ვყიდი - უთხრა მეგობარმა - ვინმე ხომ არ იცი, რომ უნდოდეს?

- ვა, ეგრეა საქმე?

- მთლად ეგრეც არ არის - მეორეც მაქვს, მაჩუქეს. მაგრამ ყოველდღე ხომ არ ვუკრავ. და თან ორი ვიოლინო რად მინდა.

- ვინ გაჩუქა?

- მელიორაციამ.

- ვაა - გაიცინეს. უნდოდა ეკითხა რატომ აჩუქეს მელიორაციაში ვიოლინო, მაგრამ დაეზარა. უცებ ძალიან შესცივდა - არა, არავინ მახსენდება. ნომერი ჩამაწერინე, დაგირეკავ თუ რამეა.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

სახლამდე, სიცივის მიუხედავად ფეხით მივიდა. პატარა, ერთ ოთახიან ბინაში, რომელიც მოსახერხებელი მდებარეების გამო ჰქონდა ნაქირავები, ჩახუთული ჰაერი იდგა. ფანჯარა გამოაღო და საწოლზე გაუხდელად მიეგდო.

***

დილას თავის ტკივილმა გააღვიძა. ფანჯრიდან ქალაქის ზუზუნი იჭრებოდა. ყავისთვის წყალი დაადგა, ფანჯარა დახურა მაგრამ სანამ წყალი დუღდებოდა სული შეეხუთა და ისევ გააღო.

სწრაფ-სწრაფად ჩაიცვა, ფანჯარა საბოლოოდ დახურა და ისე, რომ ყავა არ დაულევია, სახლიდან გამოვიდა. უკვე აგვიანდებოდა, მაგრამ ავტობუსში ასვლა არ უნდოდა.

თავიდან ცენტრალურ ქუჩაზე მიდიოდა. ჩვეულების საწინააღმდეგოდ არავისთვის შეუხედავს, არავის დაკვირვებია - თავის ტკივილს ინდიფერენტული გაეხადა. შემდეგ პარალელურ ქუჩაზე შეუხვია. ქალაქის ხმაური თითქოს სქელი კედლის მიღმა დარჩა - ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს კარები მოიკეტა და თავის ტკივილმაც კი უკლო. პატარა ბართან შეჩერდა, სადაც რეპეტიცია ჰქონდათ დანიშნული. საათზე დაიხედა - მხოლოდ 20 წუთით დააგვიანდა. ეგ არაფერი, შეიძლებოდა მეტითაც დაეგვიანა.

მართლაც, არავის არაფერი უთქვამს. ვიოლინო ფუტლიარიდან ამოიღო, დანარჩენები უკვე მზად იყვნენ. ერთი კომპოზიცია უკვე მის გარეშეც დაეკრათ.

დრამერმა ჯოხები შეათამაშა.

საქსოფონისტმა თავი დაუქნია - მათი ურთიერთობა, მით უმეტეს პროფესიული, ამ ბოლო დროს მოკლე ჟესტებით შემოიფარგლებოდა.

ბარში, რომელსაც საქსოფონისტის ახლობელი მელომანი უთმობდა ხოლმე ჯგუფს სარეპეტიციოდ, აკუსტიკა არ ვარგოდა, მაგრამ სულ არაფერს სჯობდა. კორპუსებში ნაქირავებ ბოლო სართულის ბინებსაც სჯობდა, სივრცეც იყო და სასმელების ბარიც, საიდანაც შესვენებისას, ბარის მეპატრონის კურთხევით, შეეძლოთ თითო ჭიქა ჩამოესხათ და კუთხეებში მიყრილ პუფებში ჩაშვებულიყვნენ.

დაკვრა დაიწყეს და თავის ტკივილი, რომელიც დავიწყებული ჰქონდა, პირველი ბგერისთანავე დაბრუნდა. მისი კვლავ განეიტრალება მუსიკაზე სრული კონცენტრირებით სცადა; თუმცა თავიდან, ერთმანეთში აზელილი ხმების უფორმო

მასამ ბარი გაავსო და ყურებიც გამოუგლისა მაგრამ მერე ნელ-ნელა შეეჩვია, ინსტრუმენტები ერთმანეთისგან გაარჩია და მალე პირველი, მსუბუქი ჟრჟოლაც იგრძნო. ახლა ისღა რჩებოდა, დალოდებოდა როდის დამთავრდებოდა გიტარისა და საქსოფონის სოლოების შემდეგ მისი ჯერი იყო.

დაკვრა სულ ახალი დაწყებული ჰქონდა, რომ მოულოდნელად გიტარა გაჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ამან ინერცია დააკარგვინა, შეეცადა ამისთვის ყურადღება არ მიექცია და გაეგრძელებინა, რადგან ბოლოს და ბოლოს, ასეთი რამე უჩვეულო არ იყო რეპეტიციისთვის და მალე ალბათ შეძლებდა კიდეც წონასწორობის აღდგენას, დრამერიც რომ არ გაჩერებულიყო.

გაღიზიანებულმა თვალები გაახილა და დარბაზს თვალი მოავლო. ყველა მას მისჩერებოდა. იფიქრა, რომ ეკაიფებოდნენ.

- მეკაიფებით?

ხმა არავის გაუღია. ოდნავ მოქანავე თეფშის უკნიდან დრამერი უცნაური სახით მისჩერებოდა, თითქმის ეჭვით. გიტარისტის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და მზერა საქსოფონისტზე გადაიტანა, რომელიც თავისი სოლოს შემდეგ პატარა მაგიდასთან მიმჯდარიყო. ის ახლა ნაკლულ ჭიქას ატრიალებდა ხელში და თითქოს ვერ გადაეწყვიტა, რა განაჩენი გამოეტანა.

- მაგარი სტრანნია - თქვა საქსოფონისტმა და დრამერს შეხედა.

- ძაან - თქვა დრამერმა.

- გუშინ მეგონა მომეჩვენა.

- ე-ბიჭო რას ატრაკებთ? - თქვა მევიოლინემ - რატომ გავჩერდით?

- ეგეთი სახე რომ არ გქონდეს, ვიფიქრებდი რომ შენ გვეკაიფები - თქვა საქსოფონისტმა

მევიოლინემ გადაწყვიტა დალოდებოდა როდის გაიბზარებოდა მუსიკოსების ნიღბები (გიტარისტის გამოკლებით) და ამ ხუმრობის აზრს როდის გაანდობდნენ მაგრამ რამდენიმე წამმა სრულ სიჩუმეში ჩაიარა და ჯგუფის წევრებს არაფერი ეტყობოდათ, რომ გამოტყდომას აპირებდნენ. მევიოლინე ოდნავ აღელდა, თვითონაც ვერ გაეგო რატომ. ვერასოდეს იფიქრებდა, როლის მორგებას თუ ამდენი ხანი შეძლებდნენ დრამერი და საქსოფონისტი.

- ჰე, რა ხდება? რა იყო? თქვით! რატომ გავჩერდით? - დაიძახა კიდევ უფრო გაღიზიანებულმა.

- ჩვენ კი არა, შენ რატომ გაჩერდი? - თქვა საქსოფონისტმა - უფრო სწორად, კი არ გაჩერდი, არც დაგიწყია. ვიცი, ვიცი, ვხედავდი რომ უკრავდი, ბექაც ხედავდა, გაგაც ხედავდა, არა? - გიტარისტმა და დრამერმა თავი დააქნიეს - ყველანი ვხედავდით, მაგრამ არაფერი გვესმოდა.

მევიოლინემ გაიღიმა. საკმაოდ სულელური ხუმრობა მოეფიქრებინათ. იმიტომ სჯიდნენ, რომ მუდმივად აგვიანებდა. საქსოფონისტის მაგიდას მიუჯდა და კედელს მიეყრდნო. ამ თამაშში აყოლას არ აპირებდა.

- ეგ გუშინ მოიფიქრე? ექსპრომტად? - უთხრა საქსოფონისტს - საღოლ. დაკვრა თუ არ გინდოდათ, პირდაპირ გეთქვათ, მეც რაღაც ვერა ვარ კარგად.

წამით შეჩერდა, მათ რეაქციას დააკვირდა, ელოდა რომ ვინმე უპასუხებდა, მაგრამ ხმა არავის ამოუღია.

ვიოლინო და ხემი მაგიდაზე დატოვა, წამოდგა და სასმელების ბარისკენ გაემართა.

- ისე, ეს კაცი რომ არა, რა გვეშველეობდა - თქვა ნაძალადევი უდარდელობით და ერთ-ერთ ბოთლს მოჰკიდა ხელი, დახლს ზემოთ, თავდაღმა დაკიდებული ჭიქაც ჩამოხსნა - უფასო სარეპეტიციო... უფასო სასმელი... როცა დაკვრა აღარ მოგვინდება - ცოტას მოვწრუპავთ.

ჭიქის შევსება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კარები ზანზალაკის წკრიალის თანხლებით გაიღო და ბარში შუა ხნის, შავ პალტოში გამოწყობილი, წარმოსადეგი კაცი შემოვიდა, ზღურბლს ენერგიულად გადმოაბიჯა და შემცბარი მუსიკოსებისკენ წამოვიდა.

- აჰა, ბიჭებო, აქა ხართ? - მხიარულად დაიძახა მან შორიდანვე - იმედია უკვე არ მორჩენილხართ, არა?

- ჯერ არც დაგვიწყია - თქვა საქსოფონისტმა ყალბი ღიმილით და მისასალმებლად წამოიწია. ბექა და გაგა, რომლებიც აქამდე თავიანთ ინსტრუმენტებს უტრიალებდნენ, მასპინძლის შესახვედრად დაიძრნენ.

მევიოლინე, ისე რომ დახლს უკნიდან ფეხი არ მოუცვლია ბარის მეპატრონეს გაფანტულად, მხოლოდ თავის დაკვრით მიესალმა და ის იყო პირველი ყლუპი უნდა მოესვა, რომ ჭიქა ხელში გაუშეშდა. არაჩვეულებრივმა აზრმა გაუელვა. ახლა მაინც შეძლებდა მათ გამოტეხვას. უცნაურად გაღიზიანებულმა ჭიქა ისე დადგა, რომ არც კი მოუსვამს, დახლს შემოუარა და მაგიდასთან შეკრებილ ჯგუფს მიუახლოვდა. მათ შეუმჩნევლად დასწვდა ვიოლინოს და ბარის მეპატრონეს, რომელიც მუსიკოსებთან საუბარში გართულიყო ზურგიდან ამოუდგა. არც უფიქრია, რომ ასეთ საქციელს ბარის მეპატრონე უკეთეს შემთხვევაში ექსცენტრულობად, უარესში კი უზრდელობად ჩაუთვლიდა, მასთან რაც შეიძლება ახლოს მივიდა და ხემი მთელი ძალით გაუსვა სიმებს და შემდეგ საზეიმოდ აღმართა ჰაერში.

საქსოფონისტს, რომელმაც ყველაფერი დაინახა, სიტყვა გაუწყდა.

ბარის მეპატრონე არ შემობრუნებულა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვრდა და მევიოლინესთვის წამი უსასრულოდ გაიწელა, ხემი, რომელიც დანარჩენების თავებზე ჰქონდა შემართული, ასე მძიმედ არასოდეს მოსჩვენებია.

- აბა?! - დაიძახა მხნედ რათა საკუთარ პოზა გაემართლებინა, მაგრამ მაშინვე ინანა, მიხვდა, რომ კიდევ უფრო აბსურდული.

ბარის მეპატრონე შემობრუნდა და მას გაკვირვებული მიაშტერდა; სახეზე უხერხული ღიმილი გადაჰფენოდა, თავიც კი დაუქნია მევიოლინეს, თითქოს შესაძლო რეაქციებიდან ერთ-ერთი შეარჩია და მოსინჯა, სიტუაციას მოერგებოდა თუ არა და შემდეგ ირგვლივ უმწეოდ მიმოიხედა.

ბოლოს ისევ საქსოფონისტმა იმარჯვა, ხმამაღლა გაიცინა და ბარის მეპატრონეს დახლზე დადგმულ ჭიქაზე მიანიშნა, თვალიც ჩაუკრა რათა მიეხვედრებინა, მევიოლინეს უცნაური საქციელი რომ მხოლოდ ზედმეტი ალკოჰოლის ბრალი იყო.

თავად მევიოლინე კი ამ ხნის განმავლობაში გაუნძრევლად იდგა, სახეზე ღიმილშეყინული და ნელ-ნელა ეკარგებოდა გარეგნული მხნეობა. მხრები ჩამოყარა, წელშიც კი მოიხარა, აღარაფერი დარჩენილიყო მისი თავდაჯერებიდან. იგრძნო, რომ მარცხდებოდა. შეიძლება უკვე დამარცხებულიყო კიდეც, ოღონდ არ იცოდა სახელდობრ რაში. განგაშის შეგრძნება, რომელიც დაეუფლა, უკბილო ხუმრობისადმი უბრალო რეაქცია ვერ იქნებოდა, ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე გაღიზიანება, ზიზღი და იმედგაცრუება, რომელსაც ყოველდღიური პრობლემები აღძრავდნენ მასში. მისმა სხეულმა უკვე იცოდა ის, რაშიც თავს ჯერ არ გამოტყდომოდა.

როდესაც უხარხულობა გაიფანტა და საუბარი განახლდა, თავი აიძულა რამდენიმე სიტყვა ამოეღერღა. შეუძლოდ ყოფნა მოიმიზეზა, ბარის მეპატრონესა და ჯგუფის წევრებს დაემშვიდობა - ვიოლინო ფუტლიარში დააბრუნა და ბარიდან გამოვიდა.

***

როგორც კი გარეთ აღმოჩნდა, გაჩერდა. მის ზურგს უკან კარები ხმაურით დაიხურა. ცოტა ხანი ასე იდგა და ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. არც უნდოდა სადმე წასვლა და ფეხის მოსაცვლელად ძალა არც ეყოფოდა, ბარში დაკვრა რომ არ განახლებულიყო - მაილს დევისს უკრავდნენ - „მწვანე დელფინის ქუჩაზე“.

თითქოს ამას ელოდა, ბარის კარებს მაშინვე მოშორდა. მთავარი ქუჩისკენ აუხვია, ქალაქის ხმაურს შეერია და ცენტრალურ ქუჩას ჩქარი ნაბიჯით გაუყვა. ხალხის უწყვეტმა ნაკადმა მალე გაიტაცა და მევიოლინემ საკუთარი თავიცა და საზრუნავიც დროებით ქუჩის დინებას მიანდო, სანამ მან ნაცნობ ადგილას არ გამორიყა.

ქალაქის მუსიკალური კონსერვატორიის წინ იდგა, სადაც სტუდენტობის წლები ჰქონდა გატარებული და საკუთარ თავზე მოუვიდა გული, რომ თვითონ ვერ მოიფიქრა აქ მოსვლა. მის მასწავლებელს, რომლის ხელშიც მუსიკოსთა თაობები იყო გამოზრდილი, აუცილებლად ეცოდინებოდა რამე მისი პრობლემის შესახებ.

მისაღებში დაცვა დახვდა, რომელიც ერთადერთი იყო, რაც ახლანდელ კონსერვატორიის მისაღებს, ხუთი წლის წინანდელისგან განასხვავებდა. დაცვამ არაფრისმთქმელი მზერით შეხედა მევიოლინეს და ნახევარწრის ფორმის ბარიკადზე, რომლის უკანაც მოკალათებულიყო, სამი თითი აათამაშა.

მევიოლინე ამ ჟესტმა გააღიზიანა მაგრამ შეეცადა არ შეემჩნია, ბარიკადთან ჩავლისას დაცვას მოკლე თავის დაკვრით მიესალმა და დერეფანში გამავალი კარებისკენ გაეშურა. იქ, ორივე მხარეს ჩარიგებულ კლასებში, იმედი ჰქონდა, რომ მასწავლებელს ადვილად იპოვნიდა.

მაგრამ მისმა მოჩვენებითმა თავდაჯერებულობამ რითაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ შინაური იყო, არ გაჭრა.

- ვისთან მიდიხართ? - დააწია დაცვამ.

- ჩემ მასწავლებელთან.

- სტუდენტი ხართ?

მევიოლინემ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ვიოლინოს ფუტლიარი დაანახვა ორაზროვანად.

- ვისთან მიდიხართ? - არ მოეშვა ის მაინც.

- ჩემს მასწავლებელთან - დარია იანტბელიძესთან.

დაცვას ეტყობა სახელი ეცნო, მცირე ყოყმანის შემდეგ მევიოლინეს, რომელსაც უკვე მოთმინება ელეოდა, უთხრა დამიცადეთო და მასწავლებლის მოსაძებნად წავიდა.

მევიოლინე კარებს მოშორდა და ბარიკადს მიეყრდნო. მასწავლებელი ხუთი წელია არ ენახა, არც დალაპარაკებოდა. ამ ხნის განმავლობაში მისი მოკითხვის სურვილი არ გასჩენია და მხოლოდ მაშინ ახსენდებოდა, როდესაც მუსიკალურ წრეებში ახლად გამოჩენილი ტალანტი დიდი მომავლით, მისი მოსწავლე აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ნეტა მასწავლებელს თუ ახსენდებოდა მევიოლინე?

კედლის საათს ახედა. მოუთმენლობა ემატებოდა და რაც უფრო დიდი ხანი იდგა უკაცრიელ მისაღებში, რომელშიც ზემო სართულების კლასებიდან ჩამოღვრილი, ერთმანეთში არეული სხვადასხვა სტილის მუსიკა გუბდებოდა, მით უფრო კარგავდა იმედს, რომ შეძლებდა მასწავლებლისთვის აეხსნა თუ რა დაემართა.

როგორც იქნა კარები გაიღო და დაცვას შუა ხნის ქალი შემოჰყვა და მისმა ყვითელი ფერის პიჯაკმა პირქუში ჰოლი მაშინვე გამოაცოცხლა.

- ოოჰ? - წამოიძახა მან - ამას ვის ვხედავ.

მევიოლინემ შვება იგრძნო - ამ შეხვედრამ თითქოს სტუდენტობის უსაფრთხო წლებში დააბრუნა - მასწავლებელს გადაეხვია, რომელიც მას თავის კლასში შეუძღვა, სადაც როიალის თავზე, გაშლილ ვარდისფერზოლიან ხელსახოცზე ნახევარი სენდვიჩი იდო - დანარჩენი ყველაფერი ისევე იყო, როგორც მევიოლინეს ახსოვდა:

რამდენიმე მორყეული სკამი, როიალი და ფანჯარა, საიდანაც ზამთრის სუსტი შუქი შემოდოდა და ფრთხილად ეხებოდა როიალის შავ ზედაპირს.

მასწავლებელი ერთ-ერთ სკამზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და ხელები მუხლს შემოაჭდო - ღიმილით მიაჩერდა მევიოლინეს, მას კი ვერაფერით მოეფიქრებინა, როგორ უნდა აეხსნა მასწავლებლისთვის თავისი გასაჭირი და იმასაც ვერ ახერხებდა, უხერხულობის გასაფანტად მასწავლებლის დასმულ წვრილმან შეკითხვებზე აზრიანი პასუხები გაეცა. ხშირ-ხშირად გაურბოდა ხოლმე თვალი ფუტლიარისკენ და დარია მასწავლებელმაც, როგორც იქნა ვიოლინო და თავისი ყოფილი მოსწავლის გაფანტულობა ერთმანეთს ბუნდოვნად დააკავშირა.

- აბა, რა დაგვატყდა თავს, რომ შენი ფეხით გამოცხადდი? - ჰკითხა მასწავლებელმა როდესაც ერთმანეთის მოკითხვა დაასრულეს.

- არ ვიცი მას... მემგონი რაღაც დამემართა.

- რა დაგემართა? - მასწავლებელმა ახლა უფრო ყურადღებით დააკვირდა მევიოლინეს, მის საგრძნობლად შეწითლებულ ცხივრს და ჩასისხლიანებულ თვალებს, აჩეჩილ თმებს - ხომ არ გაცივდი?

მევიოლინე ჩაფიქრდა - გაახსენდა დილას რომ თავი სტკიოდა. თავი ახლაც სტკიოდა. სკამიდან წამოდგა და ფუტლიარს მიუახლოვდა, რომელიც დროებით როიალის თავზე შემოედო.

- შეიძლება... მემგონი გავცივდი, კი... ოღონდ... - ამბობდა და თან ფუტლიარს ხსნიდა. ახსნის თავი არ ჰქონდა და კარგად არც იცოდა რა უნდა აეხსნა, ამიტომ ვიოლინო მოიმარჯვა და რამდენიმე ნოტი აიღო - ხედავთ? გესმით?

თქვა და იმედიანად მიაჩერდა თავის მასწავლებელს, რომელსაც გაკვირვება არ გამოუხატავს, მხოლოდ კეთილმოსურნედ უღიმოდა, როგორც საუბრის დასაწყისში.

- მერე? - თქვა ბოლოს მასწავლებელმა - ისე, კაი დღეში კი ჩავარდნილხარ. შეიძლება თავი ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანო?

- თავი მივიყვანო? - გაიმეორა მევიოლინემ უაზროდ. შემდეგ კიდევ რამდენიმე ბგერა დაუკრა - მას, გესმით თუ არ გესმით?

- რა თქმა უნდა არ მესმის, საერთოდ არ ისმის არაფერი, აი საერთოდ, როგორ უნდა მესმოდეს? და იცი რატომ? ძალიან კარგად იცი რატომაც - თქვა მასწავლებელმა და სკამიდან წამოდგა. გამარჯვებულის იერი ჰქონდა.

- და რატომ? - თქვა გამოცოცხლებულმა მევიოლინემ.

- რატომ? მეკითხები კიდევაც! - თქვა მასწავლებელმა და შემწყნარებლურად გაუღიმა - არ გრცხვენია ხომ? მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ შენც იცი, რატომაც. სხვა შემთხვევაში ჩემთან არ მოხვიდოდი - იგი სკამიდან წამოდგა, მის მზერაში ახლა მშობლიური სითბო იგრძნობოდა, უძღები შვილი კი სარგადაყლაპულივით იდგა და ცდილობდა მასწავლებლის სიტყვებში აზრი ეპოვა, მასწავლებელი კი თავისას აგრძელებდა - იმიტომ, რომ ყოველთვის გაუგონარი მოსწავლე იყავი. ხომ გაფრთხილებდი ყოველთვის? აი, აგიხდა კიდეც! ყოველთვის ასე ხდება, ყოველთვის! მე როდესაც რაღაცას გასწავლი, იმას ჩემთვის ხომ არ გასწავლი? ასე ბრუნდება ყველა, რომ იცოდე, ბრუნდებიან და ჩივიან. მე კი ყველას უკლებლივ გაფრთხილებდით და გასწავლიდით როგორ უნდა იმეცადინო, თუ გინდა, რომ ბგერა არ გაგიფუჭდეს, მთავარი ბგერაა, ბგერა, ბგერა, ბგერა! - ამ ბოლო სიტყვებთან ერთად ხელი რიტმულად დაჰკრა როიალს.

შემდეგ შეჩერდა. კმაყოფილება ემჩნეოდა. მევიოლინეს დააკვირდა და შეეცადა გამოეცნო თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ძალიან უმწეო მოეჩვენა - ასეთი არასოდეს ახსოვდა.

- ესეიგი მე ვერაფრით დაგეხმარები - გააგრძელა კიდევ უფრო თბილად - იმიტომ რომ ყველაფერი შენზეა დამოკიდებული! ეს ათასჯერ მაინც გაგვიმეორებია - თქვა მან და თავისი სკამის გვერდით დადებულ ჩანთასთან მივიდა, იქიდან ბლოკნოტი ამოიღო, ერთი ფურცელი ამოხია და ზედ რაღაცის ჯღაბვნას შეუდგა - დარწმუნებული ვარ კარგად გახსოვს ეს ყველაფერი, მაგრამ კიდევ ერთხელ დაგიწერ.

წერა რომ დაამთავრა, მევიოლინეს, რომელიც ადგილიდან არ განძრეულა და ფანჯარაში იყურებოდა, მიუახლოვდა და ფურცელი გადასცა.

ზედ გაურკვეველი ხელით იყო დაჯღაბნილი ტონალობების აღნიშვნელი სიმბოლოები და გამების დასახელებები.

- ბგერას მოვლა უნდა - თქვა მასწავლებელმა რადგან შეამჩნია მევიოლინეს სახეზე გამოხატული სასოწარკვეთა - არპეჯიოებიც არ დაგავიწყდეს. ერთი სიტყვით რაც უფრო მეტს ივარჯიშებ, მით უკეთესი. ოღონდ ხომ იცი, ძალიან თავსაც ნუ მოიკლავ. ეგეც მნიშვნელოვანია, ხომ გახსოვს?

და რადგან მოსწავლისგან პასუხი ვერ მიიღო, ჩათვალა რაღაც ვერ გაიგო კარგადო და ვიოლინოს დასწვდა. მევიოლინეს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

- აი ასე, აი ასე, აი ასე - ამბობდა მასწავლებელი და თან უკრავდა - ხედავ? ხედავ? ადვილია? ხომ გესმის? აი ასე, ნელა, რაც შეიძლება ნელა, შემდეგ აუჩქარე, შემდეგ უკუღმა, თავიდან, ერთი-ორი-სამი! ერთი-ორი-სამი! ხომ ხედავ? ადვილია.

შემდეგ დაკვრას მორჩა და ვიოლინო დაუბრუნა. საათზე დაიხედა, თვალი კი სენდვიჩისკენ გააპარა საიდანაც კიტრის თხელი ნაჭერი გადმოვარდნილიყო.

- დიდი მადლობა მას - თქვა მევიოლინემ.

მასწავლებელი დაიჭყანა და ხელი აიქნია, ეგ რაღა სათქმელი იყოო.

- სისულელე! როცა გინდა მოდი. გამეხარდა შენი ნახვა. ისე, ერთი არ უნდა დარეკო ხოლმე?

- დავრეკავ მას - თქვა მევიოლინემ და კლასიდან გამოვიდა.

***

კოსერვატორიიდან გამოსული აფიშებთან შეჩერდა და მათ თვალიერებას შეუდგა. შემსრულებლების, კომპოზიტორებისა და კომპოზიციების დასახელებებმა მასში გამოძახილი ვერ ჰპოვეს. ქუჩა გადაჭრა და მთავარი ქუჩისკენ უნდა დაშვებულიყო რომ შემოტრიალდა რათა თვალი კიდევ ერთხელ შეევლო მუსიკის ტაძრის გაყვითლებული კედლებისთვის. ქუჩა თითქმის ცარიელი იყო, მხოლოდ კონსერვატორიის პირდაპირ ახლადგახსნილი „ათასი წვრილმანთან“ ათასი წვრილმანით გულგაწვრილებული გამყიდველი ეწეოდა სიგარეტს.

გადახრილი მზის უძლურ სინათლეში გახვეულ კონსერვატორიას უყურებდა და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს რაღაცას თუ ვიღაცას ემშვიდობებოდა და როდესაც კედელში დატანებული ბეთჰოვენის პირქუში ბიუსტი მოხვდა თვალში, კინაღამ გატეხა უცებ აფეთქებულმა სევდამ. თითქოს მათხოვარი, რომელიც ათასჯერ ენახა ქუჩაში, მისი დაკარგული ძმა აღმოჩნდა.

გადაწყვიტა რამე დაელია.

ერთ-ერთ პარალელურ ქუჩაზე, პირველივე ბარში, სადაც ჩათვალა, რომ ნაკლები შანსი იყო ვინმე ნაცნობს გადაჰყროდა, იაფფასიანი ლუდი შეუკვეთა. რამე უფრო სპირტიანზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ გაახსენდა, რომ დღეიდან შემოსავლის წყარო გადაკეტილი ჰქონდა და ქამარი უნდა შემოეჭირა, რაც უფრო და უფრო რთული ხდებოდა ყოველი მომდევნო ბოთლის შემდეგ.

ბარიდან გამოსულს მზე კორპუსებს უკან ჩამალული დახვდა. ღრუბლებს, რომლებიც ქალაქის თავზე ერთ მკვრივ, უსასრულო ლეიბად გადაჭიმულიყვნენ, ჭუჭყანი ვარდისფერი დაჰკრავდა და სანამ საბოლოოდ გადაწყვეტდა სახლში წასვლას, სანამ

ცენტრალურ ქუჩაზე გამოვიდოდა, უკანასკნელი სინათლეც დაიწრიტა, ციდან ვარდისფერი გაქრა და ქუჩის ლამპიონები აინთო.

აუჩქარებლად გაემართა სახლისკენ. ისე ძალიან აღარ ადარდებდა თავს დამტყდარი დაავადება. აღარც იყო დარწმუნებული, რომ დილას გადახდენილი - ნამდვილად მოხდა. ყოველ შემთხვევაში ქუჩას ამისი არაფერი ეტყობოდა. ხალხის დინება, რომელსაც შუადღეზე საქმიანი და თანაბარი ხასიათი ჰქონდა, ახლა ნამდვილ სტიქიად გადაქცეულიყო და ტროტუარებიდან სავალ ნაწილზე გადასკდომას ლამობდა, ჩახჩახა მაღაზიებისა და სწრაფი კვების ობიექტებთან მორევებს ქმნიდა, თურქულ რესტორნებსა და მიწისქვეშა ბარებს ტბორავდა.

ქუჩაზე ერთ-ერთ ხალხმრავალ ადგილს მიადგა, სადაც როკ-ჯგუფი knoking on heaven’s doors უკრავდა. მათ ირგვლივ მჭირდროდა შემოკრებილ, ჭრელ, ტელეფონმომარჯვებულ პუბლიკას გაჭირვებით აუარა გვერდი, ხოლო გოგონას, რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხურდის შესაგროვებელი ქუდი, ვიოლინოს ფუტლიარი დაანახვა, თუმცა შემდეგ ეს ჟესტი უაზროდ ეჩვენა.

ერთ-ერთ მაღაზიასთან შეჩერდა, რომლის უზარმაზარი ვიტრინებიდან ცივად მბრწყინავი შუქი ეცემოდა ტროტუარს. აქაც, როგორც წესი ყოველთვის უკრავდა ვიღაც, მაგრამ ახლა, ბედად ადგილი თავისუფალი იყო. ამ ადგილას ტროტუარი ფართოვდებოდა და შავ, რკინის მოაჯირთან, რომელიც სავალ ნაწილს ესაზღვრებოდა, შედარებით თავისუფლება იყო. ხელს არავის შეუშლიდა გავლაში. ალბათ არც წელში მოხრილ, იასამნისპალტოიანი ბებოს, რომელიც იებს ყიდდა ზედ მაღაზიის შესასვლელთან ექნებოდა რამე საწინააღმდეგო.

სახლში წასვლა უცებ გადაიფიქრა და მოაჯირთან მივიდა, სადაც ვიტრინის შუქი ვერ მისწვდებოდა. ვიოლინო მოიმარჯვა და გახსნილი ფუტლიარი ფეხებთან დაიდო. წამით შეყოყმანდა, მაგრამ მერე გაიფიქრა, რომ დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა თუ რას დაუკრავდა. დაკვრა დაიწყო.

ცუდად უკრავდა, გამუდმებით ეშლებოდა რადგან გაყინული და ალკოჰოლის ზემოქმედებისგან გატლანქებული თითები არ ემორჩილებოდნენ. თან ყურადღება ახლა სულ სხვა რამისკენ ჰქონდა მიქცეული. ცდილობდა გამვლელების სახეები წაეკითხა, მაგრამ გავიდა რამდენიმე წუთი და არც თანამგრძნობი უნახავს ვინე, არც დამცინავი მზერა დაუჭერია უხეში შეცდომებისას და არც გაკვირვება, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდა. ამასობაში გათამამდა და დაკვირს ეშხში შევიდა. მსუბუქმა მღელვარებამაც კი გაუარა.

აი, ორმოცდაათს გადაცილებული მამაკაცი მოახლოვდა, ნელა მოაბიჯებდა და ლამპიონების შუქში მელოტი თავი უბრწყინავდა. ყვავილების გამყიდველ ქალს მიუახლოვდა და გრძელი, ხაკისფერი ქურთუკის ჯიბეებში დაიწყო ქექვა. იების კონა იყიდა და შემდეგ მევიოლინეც შეამჩნია. ცარიელ ფუტლიარს ღიმილით შეავლო მზერა, შიგ ხურდა ჩააგდო და შემდეგ ხელები ზურგზე დაიწყო და გზა გააგრძელა.

ფუტლიარს სინათლე არ ეცემოდა მაგრამ მასში ჩაგდებული დუნე ვერცხლისფერი მონეტა იმედისმომცემად აელვარდა მევიოლინესთვის.

შორიახლოს ვიღაც ტიპი გაჩერდა. ამინდისთვის ზედმეტად თხელ პალტოში ხელებჩაწყობილი, ყურადღებით დააკვირდა მევიოლინეს, მხრებამდე დაშვებული, გაზეთილი თმა თვალებიდან გადაიწია და ქვედა ტუჩის ქვემოთ ამოსული მეჩხერი წვერი მოისინჯა. შემდეგ მევიოლინესთან უფრო ახლოს მოიწია და თავის ქნევას მოყვა.

მაღაზიიდან ბღლარძუნით გამოვიდა სამი ბიჭი და ამ სანახაობამ მაშინვე მიიპყრო მათი ყურადღება, მოვიდნენ და დადგნენ. კევებს აღლაჭუნებდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და მერე თითქოს სიცილისგან ძალაგამოცლილები, თავის შესამაგრებლად ეჭიდებოდნენ გვერდზე მდგომს. ხაკისფერქურთუკიანი, მელოტი კაცი ისევ გამოჩნდა იქიდან, სადაც ცოტა ხნის წინ თვალს მიეფარა, ისევ ისე აუჩქარებლად მოახლოვდა და ჯგუფს შემოუერთდა. საკუთარ შენაწირს კიდევ ერთი ოცთეთრიანი დაუმატა და ყურადღებით მოავლო თვალი მუსიკოსსა და ყველა დამსწრეს, შემდეგ თითქოს წასვლა დააპირა მაგრამ ცნობისმოყვარეობამ სძლია და ცოტა ხნით დარჩენა გადაწყვიტა. გრძელთმიან ტიპს ამოუდგა გვერდში და ხელი მხარზე შეახო. იმან ამოხედა, ისე რომ თავის ქნევა არ შეუწყვეტია. მელოტი ფილანტროპის თვალებში დაბნეულობა გაკრთა, მაგრამ შეკითხვის დასმა ვეღარ გაბედა, მხოლოდ გამამხნევებლად გაიღიმა.

მევიოლინეს კი ყველაფერი დავიწყებოდა, საბოლოოდ წაეღო მუსიკას. თვალდახუჭულს მხოლოდ საკუთარი მუსიკის ხმა ესმოდა თორემ აუცილებლად შეამჩნევდა თუ რა უჩვეულო სისწრაფით იცვლებოდა მის ირგვლივ გარემო, სულ თუ არაფერი, ფუტლიარში ხურდის გახშირებული წკრიალი მაინც დააეჭვებდა. სულ უფრო მეტი ხალხი ემატებოდა სანახაობას. ახალმოსულებს უკვე ფეხის წვერებზე უწევდათ შედგომა რათა უფრო იღბლიანთა ზურგებ ზემოდან შეევლოთ თვალი უცნაური მუსიკოსისთვის. წინა რიგი კი ახალ სახეებს შეევსოთ - მათ შორის ახალგაზრდა, ლამაზი წყვილი გამოირჩეოდა: გოგონა, რომელსაც შავ, შეხსნილ პალტოში წითელი, მუხლებამდე კაბა მოუჩანდა, დროდადრო ღიმილით ახედავდა ხოლმე თავის ათლეტურ შეყვარებულს და ისიც მაშინვე მოაშორებდა სულ ცოტათი დაბნეულ მზერას მევიოლინეს და ღიმილს უბრუნებდა.

მათი ყურადღების ობიექტი კი სასიამოვნო დაღლილობას მოეცვა. გახურებულიყო, იღლიები და ზურგი ოფლით გაჟღენთოდა, მაგრამ სიცივეს მაინც ვერ გრძნობდა. კიდევ ერთი კომპოზიციის დაკვრა დაასრულა და ახლა ბოშური ჯაზისა სწრაფი ტემპებიდან რამე უფრო მელოდიურზე ან თუნდაც სენტიმენტალურზე გადასვლა მოუნდა.

წამის მეასედით გაახილა თვალები და ისევ დახუჭა. ეს მექანიკურად გააკეთა, რათა გარესამყაროსთან მომენტალური დაკავშირებით აღენიშნა ახალი მელოდიის დასაწყისი და გონებაში ჯერ კიდევ უშინაარსო გამოსახულებად აღებეჭდა ირგვლივ

შემოკრებილი ხალხის ჩრდილში მოქცეული სახეები, მათ კინკრიხოებზე შარავანდედად დადგმული ვიტრინის შუქი და მხოლოდ მოგვიანებით, რამდენიმე სევდიანი ტაქტის შემდეგ გაიაზრა მისი მნიშვნელობა. სურათის პარადოქსულობამ ერთბაშად გამოაფხიზლა; განგაშით გაუმძაფრდა ყველა შეგრძნება და თვალები ინსტიქტურად კიდევ უფრო მაგრად დახუჭა; შეეცადა დანახულის უჩვეულობა მუსიკითა და ალკოჰოლით აღგზნებული გონებისთვის დაებრალებინა, მაგრამ ერთი წამით თვალმოკრულს დანარჩენი შეგრძნებები უდასტურებდნენ. ახლაღა გაარჩია ხმები, რომლებიც აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა. სხეულით იგრძნო შემოჯარული ხალხის უსიამოვნო სიახლოვე და ჩოჩქოლი - მასზე მიბჯენილი მზერები. ცივი ოფლი მოასკდა და თავს ძალა დაატანა, რომ დაკვრა არ შეეწყვიტა მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეეძლო - თვალები გაახილა ისეთი რამის დანახვის იმედით რაც მის მღელვარებას დააცხრობდა, მაგრამ იმას, რაც დაინახა, ვერასოდეს წარმოიდგენდა.

წინა რიგს ცოტა უკან დაეხია რათა მეტი სივრცე მიეცა სახელდახელო სცენისთვის სადაც ახლა რამდენიმე ადამიანი ცეკვავდა. სულ პირველად მოსულ თხელპალტოიან ტიპს სცენის მარცხენა ნაწილი დაეკავებინა (ხალხში, მის უკან, ხაკისფერქურთუკიანი კაცი მოჩანდა, რომლისთვისაც კმაყოფილებას, სახიდან სრულიად გადაეშალა დაბნეული გამომეტყველება), ხელები ჯიბეებიდან ამოეღო და თავსზემოთ აეტანა, წარმოსახვითი მუსიკის რიტმში იქნევდა და ტანს აყოლებდა, დროდადრო კი ცალ ფეხზე დაბჯენილი, ფარგალივით ხაზავდა წრეს საკუთარი თავის ირგვლივ.

მოხითხითე ბიჭებიდან ერთ-ერთიც შემოსულიყო სცენაზე, ცალი ხელით ჯიბეში, მეორე ხელის ცერა და შუა თითს რიტმულად ატკაცუნებდა და ფეხსაც აყოლებდა, ოღონდ ცოტა არ იყოს მოუქნელად, მისი მეგობრები კი, რომელთაც ეტყობა გამბედაობა არ ეყოთ თავის გამოსაჩენად, პირველ რიგში იდგნენ და სიცილისგან მუცლები ხელით ეჭირათ, მაგრამ სცენის ძირითადი ნაწილი ლამაზ წყვილს დაეკავებინა და მევიოლინეს სხვა გარემოებაში ალბათ აღაფრთოვანებდა კიდეც აფრიალებული წითელი კაბის ქვეშ გაელვებული, თხელი კოლგოტით დაფარული ბარძაყები, როდესაც გოგონა მოხდენილად დატრიალდა - მისი ხელებგაშლილი შეყვარებული კი ფეხების მარჯვე გასმებით, უკანსვლით დაშორდა გოგონას და სცენის მარჯვენა კიდეს რომ მიუახლოვდა, რამდენიმე წამი თითქოს ჰაერში გაჩერდა, როგორც კოლიბრი, რითაც დამსწრეთა სამართლიანი აღტაცება დაიმსახურა და შემდეგ ისევ ნელა, ყელმოღერებული დაიძრა პარტნიორისკენ.

მევიოლინემ ერთბაშად შეწყვიტა დაკვრა და მოცეკვავეებს მიაშტერდა, მაგრამ მათ ის დავიწყებოდათ და ცეკვას აგრძელებდნენ სანამ თხელპალტოიანმა კიდევ ერთი წრე არ მოხაზა საკუთარი თავის ირგვლივ და მევიოლინის გაოგნებული სახე და ჩამოყრილი ხელები არ მოხვდა თვალში. იგი გაჩერდა და წამიერი დაბნეულობის შემდეგ ტაში დასცხო, თან თეატრალურად გაიშვირა ხელი მევიოლინესკენ და მას თვალიც კი ჩაუკრა, როგორც თანამოაზრეს. ცეკვა მაშინვე შეწყდა და მცირე პაუზის შემდეგ ვიღაც ტაშისცემას აჰყვა რაც მალევე გადაიქცა დამსწრეთა ერთსულოვან აპლოდისმენტად.

მევიოლინეს კი ერთი ადამიანიდან მეორეზე გადაჰქონდა მზერა. ზოგი უღიმოდა, ზოგნი კი ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ სიტუაციაში და მზერას არიდებდნენ რადგან მევიოლინეს სულაც არ ჰქონდა ისეთი ადამიანის გამომეტყველება, რომელიც დამსახურებული ტაშით ტკბება.

სახე გაკვირვებისა და უხერხულობისგან მოქცეოდა. ტაშისგან თავის დასახსნელად, უნდოდა ხალხისთვის როგორმე მიენიშნებინა, რომ სწორად ვერ გაუგეს, მაგრამ არაფერი აფიქრდებოდა და ხანგრძლივი დაკვრის, ხმაურისა და თავის ტკივილისაგან ღონემიხდილს უმწეობის განცდასთან ერთად ბრაზიც ემატებოდა, გარემოების წინააღმდეგ ბუნდოვნად მიმართული. ყოველისშემძლე ტაშს დამორჩილებულს, სახე როგორც იქნა ნაძალადევი ღიმილით მოეღრიცა და ეს მცირე კომპრომისიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ კიდევ უფრო ძლიერი ტაში გამოეწვია, რომელიც საბოლოოდ მიიღო, როგორც ქრთამი, როდესაც ვიოლინო ასწია ჰაერში ყველას დასანახად, წლების მანძილზე ჩვევად ქცეული მადლიერების ჟესტით, თითქოს ეს ტაში მე კი არა, მუსიკას უფრო ეკუთვნისო და ბოლო წვეთიც ეს იყო, რამაც წყობიდან გამოიყვანა. იმ ღალატის ატანა, რომელიც ამ პირმოთნე ჟესტმა დააგვირგვინა აღარ შეეძლო და დაუოკობელმა სურვილმა, ამ ყველაფრისგან განთავისუფლებულიყო, გონება გაუნათა.

ხალხს ზურგი შეაქცია, შეტყუპებული ვიოლინო და ხემი ორივე ხელით თავს ზემოთ აღმართა და მთელი ძალით დასცხო რკინის მოაჯირს.

ვიოლინოს კორპუსი ჟღრიალით დაიმსხვრა და ნაფოტები ასფალტზე მიმოიფანტა. მევიოლინეს ხელში ტარი შერჩა, საიდანაც უსიცოცხლოდ გადმოეშვა სიმები. გაოგნებულ პუბლიკას კი საზარელი ეჭვის ჩრდილმა გადაურბინა, როგორც ხალხს, რომელიც აღარ არის დარწმუნებული, რომ ილუზიონისტის ყუთში ჩაწვენილი მსახიობის კივილი, როდესაც მას შუაზე ხერხავენ - შოუს ნაწილია.

პირველად ვინ დასძლია ეს ეჭვი, მევიოლინეს არ დაუნახავს. იგი ვიოლინოს მიმოფანტულ ნამსხვრევებს დასჩერებოდა და ახალი ძალით აფეთქებული ტაშის ხმა ზურგში დაეტაკა. ყურებისთვის რომ დაეჯერებინა, შეიძლება არც შებრუნებულიყო ხალხისკენ და მაშინვე გასცლოდა იქაურობას, მაგრამ შებრუნდა და მათ სახეებზე ამჯერად გულწრფელი აღფრთოვანება ამოიკითხა. შემდეგ რაც ქნა არა იმდენად ბრაზმა ან გაკვირვებამ ჩაადენინა, რამდენადაც შიშმა, რომ ვეღარასოდეს დააღწევდა თავს ამ გაუგებრობას, რომელიც მისი ყოველი ჟესტით კიდევ უფრო ღრმავდებოდა. მახეში გაბმულმა, თითქოს თავდამსხმელის მოსაგერიებლად, ის ხელი აიქნია რომელშიც ვიოლინოს ტარი ჰქონდა ჩაბღუჯული და უფუნქციოდ დარჩენილმა ერთ-ერთმა სიმმა, ლამაზი, წითელკაბიანი გოგონას ლოყაზე გაიტკაცუნა.

ალბათ ყველაფერი გაცილებით მძიმე შედეგით დასრულდებოდა, ამ ყველასთვის მოულოდნელ თავდასხმას სულ მცირე კვალიც რომ დაემჩნია გოგონას სახეზე, რომელმაც წამოიკივლა და ხელები სახეზე აიფარა გაკვირვებისგან გაფართოებული თვალებით კი, რომელშიც იმ ადამიანის წყენა ჩაუდგა ვისაც ტკივლი დაუმსახურებლად მიაყენეს, მევიოლინეს მიაჩერდა.

ხალხი ერთხმად შეძრწუნდა და გაჩუმდა.

უკანა რიგებში ფეხის წვერებზე შედგნენ.

- ეე, ეეეე - დაიძახეს ვიღაცეებმა.

- შენ, ბიჭო - თქვა სამი ბიჭიდან ერთ-ერთმა და უკვე მართლა შეშინებული მევიოლინისკენ წაიწია.

მაგრამ ყველას წითელკაბიანი გოგონას შეყვარებულმა დაასწრო. ერთი ნახტომით გაჩნდა მევიოლინესთან და ხელები საყელოში ჩაავლო. მათ ირგვლივ ხალხი შეიკუმშა, რამდენიმე წყვილი ხელი ერთდროულად ჩაეჭიდა ორივეს.

- ჰა, ჰა�ა - დაიძახეს ხალხში გამაფრთხილებლად.

მაგრამ შეყვარებულს მევიოლინესთვის არ დაურტყამს, ეტყობა ბოლო წამს გადააფიქრებინა მისმა სიტუაციისთვის შეუფერებლად დაბნეულმა გამომეტყველებამ, შეიძლება ბრაზიც კი გაუნელა სიბრალულმა, რომელიც ამ ცირკის მასხარისადმი იგრძნო, მაგრამ იმდენადაც არა, რომ ყოველგვარი სასჯელის გარეშე დაეტოვებინა მისი საქციელი - ღონივრად მოიქნია და შემდეგ ხელი გაუშვა, რითაც არა მარტო მევიოლინეს, არამედ მასზე ჩაჭიდებულ გამშველებლებსაც დააკარგვინა წონასწორობა.

მევიოლინე წაბორძიკდა, შეეცადა ვინმეს მოსჭიდებოდა, მაგრამ თავი ვეღარ შეიმაგრა და ასფალტზე გულაღმა გაგორდა რამდენიმე ადამიანთან ერთად; ხალხი აირია, ატყდა ძიძგილაობა. მევიოლინე შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ ვიღაცამ ხელი ჰკრა და ისევ ძირს აღმოჩნდა. ამჯერად იდაყვებს დაეყრდნო, მაგრამ წამოდგომა აღარ უცდია - ხურდა ფულით სავსე ფუტლიარისკენ გახოხდა. ვიოლინოს ტარი ჯერ კიდევ ხელში ჰქონდა ჩაბღუჯული და რამდენჯერმე სიმებს, რომელიც უკან მოსთრევდა ვიღაცამ ფეხი დააბიჯა. ხალხი არ დამშვიდებულიყო, ერთმანეთს აშველებდნენ, თუმცა როგორც ჩანს აღარავინ აპირებდა მხოხავ მევიოლინეზე თავდასხმას. თანდათან ბღლარძუნი შეწყდა და ძირს გართხმული მევიოლინე კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. პალტო ნაწვიმარი ასფალტის წვირში ამოგანგვლოდა და ვიღაცეებმა ზიზღით აარიდეს თვალი, რამდენიმე კი შეეცადა მიახლოვებოდა წამოდგომაში დასახმარებლად, მაგრამ მევიოლინე აღარავის აქცევდა ყურადღებას, არავინ მიიკარა. როგორც იქნა გააღწია ფეხების ტყეში, ფუტლიარამდე მიხოხდა და მუხლებზე წამოჯდა.

ყველა მიხვდა, რომ სანახაობა დასრულებულიყო. პირველი რიგების ხალხი უკვე აღარსად ჩანდა და დანარჩენებიც ნელ-ნელა შემოეცალნენ შემთხვევის ადგილს. მაინცდამაინც აღარავინ შეყოვნებულა, მხოლოდ რამდენიმემ მოიხედა უკან, სანამ საბოლოოდ მიეფარებოდა თვალს.

მევიოლინე ცოტა ხანი ფუტლიართან ჩამუხლული იჯდა, ფიქრში წასულს თვალები გაშტერებოდა, შემდეგ ნელ-ნელა გამოძრავდა. ჯერ კიდევ ბურუსში იყო და თავბრუ

ესხმოდა; ფუტლიარი პირდაპირ ასფალტზე გადმოაპირქვავა და ვიოლინოს ტარი და სიმები შიგ ჩადო. ირგვლივ მიმოიხედა - ვიოლინოს ნამსხვრევებს ეძებდა რომელთაგან ზოგი საკმაოდ მოშორებითაც წაეღო ცოტა ხნის წინ მომხდარ არეულობას, რამდენიმე წითელი ნატეხი სავალ ნაწილზეც შეამჩნია, მანქანების ბორბლებქვეშ და მათზე ხელი ჩაიქნია, მაგრამ დანარჩენების შეგროვებას შეუდგა, გულდასმით ეძებდა ყველა ნამცეცს და შეგროვებულ ნაწილებს ფრთხილად ასვენებდა ფუტლიარში. ქუჩა უკვე თავის ჩვეულებრივ რიტმს დაბრუნებოდა, გამვლელები გაკვირვებულ მზერას შეავლებდნენ ხოლმე უცნაურ, ტალახში ამოგანგლულ კაცს, რომელიც წელში მოხრილი ეძებდა რაღაცას, მაგრამ არავინ გაჩერებულა.

მევიოლინემ ყველა ნაწილი, რისი მოძებნაც შეძლო შეაგროვა და ფუტლიარი დახურა. შემდეგ პალტო გაიხადა, რათა შეძლებისდაგვარად ტალახისგან გაეწმინდა. ამასაც რომ მორჩა, ქუჩის ორივე მხარეს გააყოლა თვალი, ვერ გადაეწყვიტა საით წასულიყო.

ბოლოს, მიმართულება შემთხვევით აირჩია. სახლში დაბრუნება ჯერ ისევ არ უნდოდა და გასეირნება კი არ აწყენდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თავბრუსხვევა იგრძნო, უცებ ქუჩა დასაღუპი გემივით დაირწა და ფუტლიარი, რომელიც ახლა კუბოსავით ამძიმებდა, გულში მაგრად ჩაიხუტა, თითქოს ასე უფრო გაუადვილდებოდა წონასწორობის შენარჩუნება.

ხორცსაკეპი

კაცისთვის ჯერ კიდევ არ გაევლო ელდას, რომელიც მაღაზიაში შემოსვლისას ეცა - შედგა თუ არა ფეხი, სულ ახლოს ჩაუფრინა ტელეფონმა და ერთ-ერთ მაცივარს მიენარცხა. შემდეგ ლანამ დაიწივლა და კაცი მოემზადა სხვა ნივთების ასაცილებლად მაგრამ ქალმა თავი ხელებში ჩარგო და დახლის უკან ჩაიკეცა.

კაცისთვის ეს არ იყო ადვილი. არ იყო მიჩვეული ასეთ სიტუაციებთან გამკლავებას რადგან სანამ მისი მეუღლე ცოცხალი იყო, თვითონ არც უწევდა. შემცბარი იდგა მაღაზიის დახლთან ჩაკეცილ ლანასთან და ეუბნებოდა - აბა, აბა, სუ, კარგი - მაგრამ ამ ტლანქ გამხნევებას არანაირი შედეგი არ გამოჰქონდა. ქალისთვის მხარზეც სცადა ხელის მოთათუნება მაგრამ ლანამ უხეშად მოიშორა და ქვითინს მოუმატა. არაუშავს, გაუვლის, გაიფიქრა კაცმა. მაღაზიის კარები ჩაკეტა, ფარდებიც ჩამოაფარა რათა შეგვიანებული კლიენტებისათვის ეჭვი აღარ დაეტოვებინა რომ ნამდვილად დაიკეტნენ. დახლიდან, სადაც ფეხის წვერებზე შემდგარი მიიპარა, ანგარიშების რვეული აიღო. მაგრამ რვეულზე კონცენტრაციას ვერ ახდენდა ცალი ყური და თვალი ლანასკენ ეჭირა რომელიც ქვითინს არ უკლებდა.

ამგვარი გამოხტომები უცხო არ იყო კაცისთვის, მაგრამ ლანას ბოლო ისტერიკიდან იმდენი დრო გასულიყო რომ კაცი გადაეჩვეულიყო და ახლა უმწეოდ ელოდა როდის დასრულდებოდა კატასტროფა თავისით, რომლის მიზეზსაც უკითხავად ხვდებოდა. პირველივე წამებში, ტელეფონის გაელვებასთან ერთად გაეულვა აზრმა, რომ ამ ამბავს სოსოსთან უნდა ჰქონოდა კავშირი, ლანას ერთადერთ ახლო მეგობართან, რომელთანაც ქალი თითქმის ყოველდღე ლაპარაკობდა და თუ ეს ვარაუდი მართალი იყო, მისი ყველაზე ცუდი წინათგრძნობა მართლდებოდა, ამიტომ ტელეფონზე იმდენად აღარ უდარდია როგორც სხვა დროს იდარდებდა იატაკზე ნაწილ-ნაწილ გაშლილი რომ ენახა, ახლა სხვა საზრუნავი ჰქონდა, მომავალში, მერვე მეფის სარკეში არეკლილივით უსასრულოდ გადაჭიმულს ხედავდა ისტერიკებისა და დამსხვრეული ტელეფონების სერიას და იცოდა რამე უნდა ეღონა.

როგორც იქნა ქალმა ქვითინს მოუკლო და ცოტა ხნის შემდეგ დახლს უკან სიჩუმე ჩამოწვა. კაცი დახლს მიუახლოვდა, რვეული ფრთხილად დადო და დახლს მიღმა გადაიხედა, როგორც უფსკრულში. ლანა იჯდა, თვალი თამბაქოს განათებული განყოფილებისთვის გაეშტერებინა და ხელები მუხლებზე ეწყო. კაცმა ისევ არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ რადგან იცოდა ახლავე უნდა დაერღვია სიჩუმე რომელიც წამი-წამზე ძლიერდებოდა, ჩაახველა, თუმცა პასუხი მაშინვე არ მიუღია.

- ნამდვილი ღორია - თქვა ლანამ მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს თავის თავს უთხრა.

კაცმა დააქსუტუნა და ცხვირზე ხელი ჩამოისვა.

- ვინ არის ღორი? - იკითხა მან.

- ვინ და ვინც! ღორი.
- რა მოხდა? მოხდა რამე?
- ნამდვილად მოხდა, ნამდვილად მოხდა რაღაცა, თორემ ასე სწრაფად ადამიანის შეცვლა? - თქვა ლანამ.
- ხოდა რა მოხდა? ანუ რა მოხდა ისეთი, შენ რომ გეგონოს რომ რაღაც მოხდა?

ლანა მამამისს ამოხედა.

- ერთი შენც ხარ რა.
- მეტყვი თუ არა? რა ილაპარაკეთ ასეთი?
- არაფერი.
- კარგი რა ლანა, რატომ არ გინდა დაგეხმარო.
- მართლა არაფერი გვილაპარაკია. საქმეც ეგ არის. ყოველ საღამოს მელაპარაკებოდა, ყოველ საღამოს! ახლა ტელეფონს არ იღებს და როცა იღებს, პირველი რასაც მეუბნება, მთხოვს რომ ხორცსაკეპი მოვაშოროთ.
- ხორცსაკეპი? კი მაგრამ...
- კი მაგრამ, კი მაგრამ - გააჯავრა ლანამ - მეც მანდ ვარ რომ „კი მაგრამ“. ორი კვირის წინ თვითონ მითხრა, მე წავიღებო. ახლაც არაფერში უშლის ხელს ეგ მანქანა, იმ სარდაფში ორი წელია არ ჩასულა თავისი ნებით.

კაცი ცოტა ხანი გაჩუმდა, შუბლი მოისრისა. ხორცსაკეპის ხსენება არ ესიამოვნა.

- და ვითომ ეგ არის მიზეზი რატომაც... - წამოიწყო კაცმა.
- შენ რა გჭირს, სულ ხომ არ გამოჩერჩეტდი? მანქანა არაფერ შუაშია, მაგას ყველა სულელი მიხვდება. უბრალოდ ვიღაცა ნახა ალბათ, ახალი თანამშრომელი მოიყვანესო მითხრა იმ დღეს... ან იმ იდიოტურ ყავის კლუბში... ნამდვილად ვიღაც ნახა, ახალი გასართობი, ვიღაც გომბიო, ალბათ ახალგაზრდაც, ნამდვილი ღორია, ნამდვილი...
- კარგი, კარგი. გეყოფა - მცირე პაუზის შემდეგ - რატომ წაიღეთო? ხორცსაკეპი.
- გეუბნები, რაღაცას ბოდავს. შენ გგონია არ ვკითხე? და შენ გგონია მითხრა? ვერ გეტყვი, არ დამიჯერებო და რომც დამიჯერო არ მოგეწონებაო. მოკლედ რაღაცა აბსურდი. არაფერ შუაშია მანქანა-მეთქი, გაიგე... შენ მარტო შენს ხორცსაკეპზე ნერვიულობ, მეტი არაფერი გადარდებს.
- ხორცსაკეპი რა შუაშია? ვცდილობ სიტუაციაში გავერკვე. ხორცსაკეპი მნიშვნელოვანია, კი, ტყუილა არ მიყიდია მაგრამ მხოლოდ ეგ არ მადარდებს.

- ხო, კიდევ კატლეტები - თქვა ლანამ.

- გეყოფა. განერვიულებული ხარ ახლა, დამშვიდება გჭირდება.

ლანამ სახე ისევ ხელებში ჩარგო. კაცი შეშფოთდა, იცოდა, მორიგი ისტერიკა სულ ახლოს იყო. მაღაზიას თვალი მოავლო რათა შეეფასებინა კიდევ რისი დალეწვა შეიძლებოდა. მაცივარი მძიმეა, ფიქრობდა იგი, ალბათ ვერ გადმოაყირავებს, მაგრამ შიგნით რაც არის რომ გადმოყაროს? მალფუჭებადი პროდუქტები... რძე... რაღა მაცივარს მიადგება. მთავარია სასმელები არ დალეწოს...

ნერწყვი გადაყლაპა, შვილს გადახედა დახლს მიღმა; ლანა გაუნძრევლად იჯდა და შეძლო კარგად შეეთვალიერებინა; მისი არეული, სპილენძისფერი თმა, ბოლოებში გაცრეცილი საღებავით; მისი ფაფუკი და ცოტა შემჭკნარი ხელები; მელნის ლაქა მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე; ჭრელი, საშინაო ჟაკეტი რომელზეც პლედსაც იხურავდა ხოლმე განსაკუთრებით ცივ დღეებში და დღის იმ ნაწილში როდესაც ყველაზე მეტი კლიენტი ყავდა მაღაზიას; მწვანე, პლისე კაბა, რომელიც ნაწილობრივ ფარავდა მის საშინაო ჩუსტებს მაღაზიაში რომ ეცვა ხოლმე. ლანას ერთი ტერფი მეორეზე ჩამოედო, ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში იცოდა ხოლმე როდესაც რამეზე საფიქრელად განსაკუთრებული კონცენტრაცია სჭირდებოდა, ან როდესაც ნაწყენი იყო.

კაცს გული შეეკუმშა. ასე არ შეიძლება, გაიფიქრა მან. ბოლოს და ბოლოს ლანა მისი ქალიშვილი იყო. განა შეიძლებოდა მის ქალიშვილს ვინმე უსინდისოდ, უგულოდ, მოქცეოდა და მამისაგან თანაგრძნობისა და დახმარების ნაცვლად, ხაჭოსა და იოგურტის მოსალოდნელი ბედით შეცბუნებული სახე მიეღო? რას იტყოდა ამაზე მისი მეუღლე? როგორ მოიქცეოდა მის ადგილას, ან რის გაკეთებას ურჩევდა?

მეუღლის გახსენებაზე კაცს გააჟრჟოლა.

რამე უნდა ეღონა, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა დახმარებოდა ქალიშვილს, ერთხელ მაინც უნდა მიეღო მისი ბედის წარმართვაში მონაწილეობა.

- ლანა - თქვა მან ფრთხილად. პასუხი არ მიუღია. კიდევ შეეცადა, ამჯერად ხმას მეტი დამაჯერებლობა და სიმტკიცე მისცა - ლანა, შენ არაფერზე ინერვიულო. სოსოს მე დაველაპარაკები.

ქალმა სახიდან ხელები მოიშორა და კაცს შეხედა.

- დაელაპარაკები? - თქვა მან - რას ეტყვი?

- როგორ თუ რას? რას და... არ შეიძლება-მეთქი, ვეტყვი. რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გაირკვეს თუ რა... რა მიმართულება აქვს თქვენს ურთიერთობას და რომ უნდა ჩამოყალიბდეს. პატარები ხომ აღარ ხართ? ბოლოს და ბოლოს პრინციპის ამბავია... მაგას ხომ არ გონია რომ უპატრონო ხარ? მოკლედ ისე დაველაპარაკები როგორც საჭიროა, როგორც კაცი - კაცს.

ლანა თვალმოუშორებლად უსმენდა. შემდეგ გაიცინა.

- და ხორცსაკეპზეც ეტყვი.
- რა გაცინებს? აგდებით მიყურებ. ხო, ხორცსაკეპზეც ვეტყვი! იმიტომ რომ თვითონ გითხრა, რომ ეგ არის მიზეზი, ეგრე არაა? შენ თვითონ არ მითხარი? რატომ არ უნდა ვუთხრა? მაგრამ გეუბნები, შენთვის მივდივარ-მეთქი, შენთვის და არა ხორცსაკეპისთვის. მემგონი გავიწყდება რომ მამა ვარ შენი, მგონი დიდი ხანია დაგავიწყდა.

მაღაზიაში რამდენიმე წამით ისევ სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ ლანამ თქვა:

- მართალი ხარ. ბოდიში. ხომ იცი რა დღეში მაქვს ნერვები. მაგრამ მემგონი არ ღირს, არ გინდა.
- იცი რას გეტყვი? უკვე იმ ასაკში ხარ, რომ დროა მამაშენს მოუსმინო - თქვა კაცმა თან გასაღებს დაუწყო ძებნა - შეეცადო მაინც. ახლა მთავარია როგორმე დამშვიდდე. ადი სახლში, ტელევიზორი არ ჩართო. ვინმეს დაურეკე თუ გინდა, ეჭორავე, ამასობაში მეც მოვრჩები და მოვალ. არაფერი გაქვს სანერვიულო.

ლანა ცოტა ხანი იჯდა უხმოდ. შემდეგ დანებდა და წამოდგა.

- კარგი. ვეცდები - თქვა მან - არ გადახედავ? - კაცს რვეულზე მიანიშნა.
- ხვალ იყოს - მცირე პაუზის შემდეგ თქვა კაცმა.

ლანამ წარბები ასწია.

- შენ მართლა არ ხუმრობ.

მაღაზია დაკეტეს. თვალები გამოსვლისთანავე გამოევსოთ ქუჩის მტვერით. ლანამ კიდევ ერთხელ შეხედა კაცს კითხვის თვალით, მაგრამ კაცმა სიტყვის უთქმელად მიაჩეჩა მაღაზიის გასაღები და ანიშნა წადიო, შემდეგ გატრიალდა, ქუჩა გადაჭრა და გაჩერებისკენ გაემართა. ლანა უყურებდა როგორ ებღაუჭებოდა ქარი შარვლის ტოტებზე, საიდანაც წამიერად გამოჩნდებოდა ხოლმე მისი წვრილი, დამჭკნარი წვივები.

* * *

ხმა თავიდან ოდნავ შესამჩნევია, ქარის მოტანილი სურნელივით ძნელად მოსახელთებელი. შემდეგ ნელ-ნელა ძალას იკრებს, სულ უფრო ახლოვდება საომარი დაფდაფებივით. მას ვეღარ აკავებს სარდაფის აბლაბუდით დაფარული ჭერი, იგი იპარება ძველი პარკეტის ღრიჭოებში და იქიდან ჟონავს ყველა ოთახში მათ დასატბორად და გასავსებად, რათა ბოლოს აღარაფერი დარჩეს მექანიზმის მონოტონური ღრჭიალისა და ხორცის გატარების ხმის გარდა.

სოსო მოსვენებას კარგავს, ოთახიდან ოთახში ინაცვლებს რათა ხმას დაემალოს, მაგრამ უშედეგოდ. ხორცსაკეპს არსად ეჩქარება თუმცა მუშაობს დაჟინებით. სოსო რთავს თავის ახალ ტელევიზორს და ხმის აწევის ღილაკს ბოლომდე აწვება რათა ხმა გადაფაროს, დაამარცხოს იგი და ერთხანს ეჩვენება თითქოს ეს მართლა მოახერხა, მაგრამ მალევე ხვდება, რომ ეს მხოლოდ წამიერი გამარჯვება იყო და რომ მას ბოლომდე ვერ გადაფარავს, როგორც ხმას საუკუნეების სიღრმიდან.

შემდეგ ხდება სასწაული, წამიერი სიჩუმე ისადგურებს რადგან მანქანა ჩერდება და სოსოს ეჩვენება რომ იგი გადარჩა სანამ სარდაფის ბნელ და ნესტიან წიაღში, ხორცის სველი გროვიდან წამოიმართება არტალა - არტალა ადამიანი. მას მხოლოდ თვალები აქვს ნამდვილი ადამიანის, ჩასისხლიანებული, დაღლილი თვალები, რომლებიც ოდნავ აცდენილი დევს გვერდიგვერდ, არტალა-ადამიანის არტალა თავზე.

სოსო თავზარდაცემული უყურებს როგორ ამოდის არტალა-ადამიანი სარდაფის კიბეებზე და სველ კვალს ტოვებს. შემდეგ სოსო და არტალა-ადამიანი მისაღებ ოთახში სხედან, წინ კი ყავით სავსე ფინჯნები უდგათ. არტალა-ადამიანის ზანტად ავლებს თვალს ოთახს და ბოლოს მისი დაღლილი მზერა ყავის ფინჯანზე ჩერდება რომელსაც დასწვდება კიდეც მაგრამ სანამ არტალა-ბაგეებამდე მიიტანდეს, ფინჯანი მისი ხელიდან სხლტება რადგან მისი არტალა-ხელი საკმარისად მკვრივი არ არის და ყავა არტალა-მუხლებზე და სოსოს ტყავის სავარძელზე ისხმება.

პირველი ასეთი სიზმრის შემდეგ სოსოს გაეღვიძა, ერთხანს იწვა თვალგახელილი, შემდეგ გვერდი იცვალა და დაიძინა. მეორე ღამეს სიზმარი განმეორდა. სოსოს ისევ გაეღვიძა, მაგრამ ამჯერად დაძინება გაუჭირდა. დილას ადგა და სანამ სამსახურში წავიდოდა სარდაფში შეიხედა. ბლაგვი და მორჩილი მანქანა იქ, სარდაფის სიღრმეში იდგა და შეღებული კარიდან შემოსულ დილის სხივებს არ ირეკლავდა. სოსომ კარები დაკეტა და სამსახურში დამშვიდებული წავიდა, რადგან ხორცსაკეპში არაფერი იყო ამოუცნობი ან საშიში.

მაგრამ სიზმრები აღარ შეწყვეტილა, პირიქით, ისინი სოსოს ღამეების ნაწილი გახდნენ. სოსომ არ იცოდა როგორ დაეცვა თავი სიზმრებისგან. სცადა დამამშვიდებლები, მსუბუქი ძილის წამლები - ძლიერმოქმედები დანიშნულების გარეშე არ მიჰყიდეს. პირველი სიზმრიდან ერთი კვირის თავზე, სამსახურიდან დაბრუნებული სავარძელში იჯდა. მისმა გონებამ წამით შეწყვიტა ხორცსაკეპზე და მის ნაშიერზე ფიქრი და ყოფით წვრილმანებს დაუბრუნდა. შემდეგ ლანა გაახსენდა და მასთან ლაპარაკის სურვილმა წამოუარა. უკვე სამი დღე გასულიყო მათი ბოლო საუბრიდან და იმასაც დაძაბული ტონი დაჰკრავდა. უნდა წამომდგარიყო დასარეკად, რომ ტელეფონმა თვითონ დარეკა. ლანა იქნებაო, გაიფიქრა გახარებულმა, წამოდგა, ყურმილის ასაღებად გაემართა, ერთი ნაბიჯი გადადგა და გაქვავდა რადგან ზარებს შორის წამიერი პაუზის დროს დაიჭირა ხმა, რომელიც არ ასვენებდა ხოლმე ძილში, ოღონდ სუსტი, ისეთივე, როგორიც თავისი სიზრმის დასაწყისში.

ტელეფონთან მიიჭრა, ჩამრთველიდან გამოგლიჯა და მიაყურადა მაგრამ არაფერი, მხოლოდ საათი წიკწიკებდა კედელზე.

ასე დააღწია ხორცსაკეპმა თავი სოსოს სიზმრებს და მის ცხადში შემოიჭრა.

რის შემდეგაც დღითი-დღე უარესდებოდა სიტუაცია რადგან სიზმრების ცხადი გამოძახილი ძალას იკრებდა. სამსახურს გულს ვეღარ უდებდა, ყავის კლუბშიც კი შეწყვიტა სიარული, საიდანაც ყოველთვის ენერგიით სავსე ბრუნდებოდა ხოლმე. თანამშრომლებმა ეჭვითა და თანაგრძნობით დაუწყეს თვალიერება, თუმცა კითხვას, თუ რა სჭირდა, ვერ უბედავდნენ. ლანასთან ყოველდღიური საუბრები, რომელსაც ყოველთვის ხალისით ელოდებოდა, დამღლელი მოვალეობა გახდა. ახლა მისი ხმა აღიზიანებდა, მისი ლაპარაკის მანერა, რომელიც ადრე ენერგიული და სიცოცხლით სავსე ეგონა - ნერვიულად და ისტერიულად ეჩვენებოდა.

გარდა ამისა, უკვე აღარც იცოდა რაზე უნდა ელაპარაკა ლანასთან. ერთადერთი თემა, რაც თავში მოსდიოდა ხორცსაკეპი იყო და გაიშვიათებული საუბრების დროსაც, როცა თავისი უჩვეულო სიტყვაძუნწობით ქალი ჭკუიდან გადაჰყავდა, მისი ფიქრი მხოლოდ ხორცსაკეპს უტრიალებდა. ლანასთვის უნდოდა ეთხოვა რომ ხორცსაკეპი მოეშორებინათ მისთვის, მაგრამ არ იცოდა რა მიზეზი ეთქვა.

სულ პირველად, როდესაც ლანამ სოსოსთან ხორცსაკეპი ახსენა, ლანას დედა ახალი გარდაცვლილი იყო (რომელთანაც სოსოს არც ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ დიდსულოვნად დაივიწყა ძველი შუღლი და როდესაც იძულებული იყო, ყოველთვის პატივისცემითა და მოწიწებით იხსენიებდა ხოლმე). ლანამ უთხრა, რომ მამამისს დაებადა იდეა, გაეხსნა საკატლეტე, სადაც გაიყიდებოდა კატლეტი სხვადასხვანაირ პურში, კატლეტი სხვადასხვანაირი საწებლებით, კატლეტი პიურესთან ერთად, კატლეტი წიწიბურასთან, მოკლედ კატლეტი ყველა ვარიაციაში. ლანას მამას ბიზნეს გეგმაც კი შეუდგენია და სკეპტიკურად განწყობილი ლანაც დაარწმუნა რომ ამ წამოწყებას პოტენციალი ჰქონდა. მათი მაღაზია ცუდად არ მუშაობდა და არ იყო ურიგო იდეა, ახალ ბიზნესზეც ეფიქრათ და რატომ არ უნდა ყოფილიყო ეს ახალი ბიზნესი - კატლეტის?

მაშინ სოსოს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის, ეს იდეა სისულელედ მოეჩვენა, ცალ ყურში შეუშვა, მეორედან გამოუშვა და მალევე დაავიწყდებოდა კიდეც, მაგრამ არ დასცალდა, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ აღელვებულმა ლანამ დაურეკა და უთხრა რომ მამამისი მთვრალი იყო:

დღის ბოლოს მამამისი მაღაზიაში მისვლას აგვიანებდა და ის ის იყო თურმე ქალს პოლიციაში უნდა დაერეკა და მამამისი დაკარგულად გამოეცხადებინა, რადგან დღის დასახურად (როგორც უწოდებდნენ დღის ფინანსურ შეჯამებას მაღაზიაში) ასე, ანუ თხუთმეტი წუთით კაცს არასოდეს დაუგვიანია რომ კაცი ბარბაცით შესულა მაღაზიაში, ამღვრეული თვალები მიუპყრია ლანასთვის ხოლო გაფშეკილი საჩვენებელი თითი ჭერისთვის მიუშვერია და საზეიმოდ გამოუცხადებია:

- კატლეტი!

ლანას რა თქმა უნდა ეგონა რომ მამამისი შეიშალა. შემდეგ შეეკითხა რა კატლეტიო, რაზეც არეულ-დარეული პასუხი მიიღო. მაგრამ ლანა რისი ლანა იყო, ასე ადვილად შეშვებოდა ამ ამოცანას. გამოძიებამ, დაუღალავმა და დაჟინებულმა გამოკითხვამ კაცი გატეხა და აღიარებინა, რომ საკატლეტეს გახსნის იდეა მისმა გარდაცვლილმა მეუღლემ უკარნახა მის სიცოცხლეში გადაღებული ბოლო ფოტოდან.

- რა გითხრა? - კითხა ლანამ.

აღმოჩნდა რომ დედამისს ერთადერთი სიტყვა უთქვამს - "კატლეტი".

ამ ამბავზე ლანას პროტესტის მიუხედავად სოსომ კარგად იცინა და ისიც მოახერხა, ქალი დაერწმუნებინა, რომ არაფერი საგანგაშო კაცის მდგომარეობაში არ იყო. მითუმეტეს, თუ გაითვალისწინებდნენ საყვარელი მეუღლის დაკარგვით გამოწვეულ ტრავმას და ფსიქოლოგიურ ზიანს. ყოველ შემთხვევაში, ამ წამოწყების ჩაშლა არ ღირსო, ეუბნებოდა იგი ქალს (რასაც ლანა ნამდვილად აპირებდა, მან მამამისს ხორცსაკეპის, კატლეტის და ზოგადად, ხორცპროდუქტების ხსენებაც აუკრძალა) რადგან მის სიგიჟეში, რომელიც სინამდვილეში სიგიჟე არ არის, არამედ მცირე ფსიქიკური გადახვევაა, არაფერი მავნებელი სხვებისა და საკუთარი თავისათვის არ არსებობსო. პირიქით, თუ ეს სიგიჟე კაცს უკარნახებს ახალი საქმის წამოწყებას, მაშინ ეს სიგიჟე მარგებელიც კი ყოფილაო, არწმუნებდა ლანას. მეტიც, იმის დასამტკიცებლად რომ თავადაც სჯეროდა რასაც ამბობდა, თვითონვე შესთავაზა დახმარება რადგან იცოდა, ხორცსაკეპის დასადგმელი ადგილი არ ჰქონდათ - ჩემთან დავდოთ რამდენი ხანიც საჭირო იქნებაო - მისი უზარმაზარი სარდაფი თითქმის ცარიელი იყო.

- მე თვითონ გადავხედე მამაშენის ბიზნეს გეგმას - უთხრა ლანას - და დამიჯერე, მასში სიგიჟის ნატამალიც ვერ ვნახე, ყველაფერი ზუსტად გამოუთვლია. მისი სიგიჟე მხოლოდ შთაგონების წყაროში გამოიხატა და მანდვე მოკვდა, როგორც ყოველი ნამდვილად დიდი იდეის შემთხვევაში.

ახლა კი სოსოს დაუდგა დრო, როცა თავისი მაშინდელი სიტყვების გულწრფელობაში ეჭვი უნდა შეეტანა. თავად თუ მართლა სჯეროდა რასაც მაშინ ლანას ეუბნებოდა? ახსენდებოდა, რომ მიუხედავად მისი მსჯელობებისა, რამდენჯერაც უხსენებიათ ლანას მამა, ყოველ ასეთ ხსენებას ირონიისა და შემწყნარებლობის მსუბუქი ტონი დაჰკრავდა. სოსო მხოლოდ ახლა ცდილობდა ხორცსაკეპის ისტორიაში სიმართლისა და კანონზომიერების ნიშნების მოძებნას და შესაბამისად საკუთარი სიზმრების ახსნას. მაგრამ ახლა უკვე გვიანი იყო. მან იცოდა რომ ყველა, ვისაც მსგავსი ხილვები არ აწუხებს, გიჟად ჩათვლიდა.

დიდხანს ითმინა მაგრამ ბოლოს და ბოლოს რა არჩევანი ჰქონდა? მას აღარ შეეძლო ხორცსაკეპთან თანაცხოვრება ამიტომ ლანას შეაპარა, ხორცსაკეპი წაიღეთო. მაგრამ ლანასგან თვითონაც არ ელოდა ისეთი წინააღმდეგობა შეხვდა. ქალმა ეს გადაკრული

თხოვნა სხვა უფრო ძირეული ცვლილებებისათვის გამოგონილ მიზეზად მიიღო და ამან მართლა გააჩინა ბზარი მათ ურთიერთობაში, მაგრამ არც სოსო აპირებდა დანებებას და უფრო და უფრო დაჟინებით მოითხოვდა ხორცსაკეპის რელოკაციას თუმცა ამის მიზეზს არ ასახელებდა.

მათი ყოველდღიური სატელეფონო საუბრები, რომელიც ადრე გულითადი მეგობრების ჭორაობა იყო, ახლა მოსისხლე მტრების რიტუალს დაემსგავსა, რომელიც ღრიალითა და ტელეფონის დახეთქებით მთავრდებოდა ხოლმე.

ბოლო ასეთი რიტუალის შემდეგ სულ ერთი საათი თუ იქნებოდა გასული, რომ ვიღაცამ კარებზე ზარი დარეკა. სოსო არავის ელოდა, ფიქრებიდან გამოერკვა, გონებაში გადაამოწმა ვინ შეიძლება სტუმრებოდა და გადაწყვიტა რომ ლანას მეტი არავინ იქნებოდა. სავარძლიდან წელი აითრია და კარები რომ გააღო ხელში ლანას მამა შერჩა, მხრებაწურული, დაძაბული გამომეტყველებით. სოსომ წარბები ასწია და კეფაზე შერჩენილი შენაცრისფრებული და თმები შეისწორა და სტუმარი შემოიპატიჟა. გაეხარდა კიდეც კაცის დანახვა, უცებ იმედი ჩაესახა რომ მასთან მაინც მოახერხებდა შეთანხმებას. რატომ აქამდე არ უფიქრია პირდაპირ ლანას მამისთვის ეთხოვა თავისი სათხოვარი? ესეც თავის უჩვეულო მდგომარეობას დააბრალა და სტუმარი შემოიპატიჟა. უხმოდ შევიდნენ მისაღებში, უხმოდ ჩაეშვნენ სავარძლებში და სოსო მაშინვე კვლავ წამოიწია

- ყავას ხომ დალევთ?
- კი. თუ არ შეწუხდებით - თქვა ლანას მამამ.

* * *

რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ პირისპირ ისხდნენ და ამჯერად საუბრის გადადების საბაბი აღარ ჰქონდათ. კაცი შემცივნული იყო. მისი ფეხსაცმელებიდან ხალიჩაზე წვიმის შერჩენილი წვეთები ჟონავდა. ყავას დაეწაფა, ხარბად მოსვა პირველი ყლუპი, სოსოს კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და ამ დროს სინდისის ქენჯნა იგრძნო. გულში დაიფიცა რომ საკუთარი ქალიშვილის ღირსებას ფინჯან ყავაზე არ გაყიდიდა.

- ალბათ მიხვდით რაზე სალაპარაკოდაც მოვედი - თქვა მან.
- კი, რა თქმა უნდა ვხვდები - თქვა სოსომ - საერთოდაც, მე თვითონ ვაპირებდი თქვენთან ლაპარაკს.
- მართლა? ძალიან კარგი - გაეხარდა კაცს.
- ლანა აუცილებლად მოგიყვებოდათ და არ ვიცი რა კუთხით დაგანახათ სიტუაცია. მესმის, ძალიან უცნაურია ასეთი საქციელი ჩემი მხრიდან. მაგრამ დამიჯერეთ, ეს რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არ იყოს ჩემთვის, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი.

კაცი მისჩერებოდა. იგი კიდევ რაღაცას ელოდა, ვერ წარმოედგინა, რომ სულ ეს იყო სოსოს მთელი გამოსვლა.

სოსომ თითქოს ეს იგრძნო:

- იმის თქმა მინდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ინიციატორი მე ვიყავი, ეს უნდა დამთავრდეს, ასე გაგრძელება აღარ შემიძლია.

კაცი შეუშმუშნა, ფინჯანი აიღო, შემდეგ ისევ დადგა, ისე რომ არ მოუსვამს.

- კარგი, გასაგებია - ისევ დაიწყო მან - ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ და ხასიათები გვეცვლება ხოლმე. სწორად გამიგეთ სოსო, მე თქვენზე ყოველთვი კარგი აზრის ვიყავი. მაგრამ ახლა მეჩვენება რომ შეიძლებოდა ამ სიტუაციის უკეთესი ფორმით მოგვარება და არა ასე პირდაპირ, უხეშად.

- უხეშობა სად დაინახეთ? - გაუკვირდა სოსოს.

- უხეშობა ირიბიც შეიძლება. მე იმის თქმა მინდა, რომ... კიდევ ერთხელ, სწორად გამიგეთ, მე თქვენი მიზეზები არ ვიცი და ვერ ვხვდები რატომ არ შეგიძლიათ მითხრათ. ასაკით მამად გეკუთვნით და არამგონია ისეთი რამე მომიყვეთ რაც ცხოვრებაში არ შემხვედრია... რა არ შემხვედრია ცხოვრებაში. შეგიძლიათ მენდოთ და დარწმუნებული ვარ ერთმანეთს გავუგებთ. რაც არ უნდა იყოს - ბოლოს და ბოლოს ამის უფლება გვაქვს. მეც და ლანასაც. თქვენი ურთიერთობა ნამდვილად სცდებოდა ჩვეულებრივი მეგობრობის ფარგლებს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვეგონა და ამის გამო...

- უკაცრავად, მაგით რისი თქმა გინდათ? - გააწყვეტინა სოსომ. მის ხმაში გაღიზიანება იგრძნობოდა - საერთოდ რა შუაშია ეგ ახლა? - შემდეგ კიდევ უფრო გაღიზიანებულმა - სხვათა შორის, ჩემი და ლანას ურთიერთობა, ორი ზრდასრული ადამიანის ურთიერთობაა და როგორმე ჩვენ დაგვიტოვეთ. გარდა ამისა, მე არანაირი საბაბი მიმიცია ლანასთვის რომ ეფიქრა თითქოს მეგობრებზე მეტი ვიყავით.

- როგორ თუ რა შუაშია? ზრდასრული ადამიანის შესაფერისად რომ არ იქცევით, იმიტომ მოვინდომე თქვენთან დალაპარაკება, იმიტომ რომ მართლაც ზრდასრული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდით, მაგრამ ახლა არ ვიცი - კაცი აღელდა, ცდილობდა თავი ეკონტროლებინა, მაგრამ ხელებისთვის ვერ მოეხერხებინა ვერაფერი - რადგან არაფრის ახსნა არ გინდათ. და ეგ ჩემთვის იმის ნიშანია...

- ადამიანები ვართ და ხასიათი გვეცვლება როგორც თქვენ თვითონ თქვით. და არ ვარ ვალდებული ყოველი ჩემი გადაწყვეტილება შეგითანხმოთ.

- ვალდებული არ ხართ, როდესაც თქვენი გადაწყვეტილება ჩემს ქალიშვილს არ ეხება და შესაბამისად ჩემს პირად ღირსებას.

- სადაა აქ თქვენი პირადი ღირსება? - დაიყვირა სოსომ - თქვენს პირად ღირსებას არავინ ეხება!

- ეხებით! დიახ ეხებით! ჩემს ქალიშვილს ვინც აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე - ხმას აუწია კაცმაც.

- ეს ჩემი სახლია! ჩემი სარდაფი! - დაიღრიალა სოსომ - რასაც მინდა დავდგამ და რასაც მინდა აღარ დავდგამ. არ ვიცი რანაირად შეურაცხყოფს ეს თქვენი ქალიშვილის ღირსებას მაგრამ აღარ მინდა თქვენი, თქვენი... მანქანა იდგეს ჩემთან.

სიჩუმე ჩამოვარდა, სავარძლებში ერთმანეთისკენ გადმოხრილი სოსო და კაცი ერთმანეთს მისჩერებოდნენ, სოსო თავისივე გაცეცხლებით ხოლო კაცი ახალი აღმოჩენით შეცბუნებული.

- ხორცსაკეპი? ხორცსაკეპზე ამბობ? - თქვა ბოლოს კაცმა.

- ხო, აბა რაზე.

კაცს რაღაცის თქმა უნდოდა. ახლა უკვე იცოდა - შეეძლო ამ ამბის თავი და ბოლო გაეგო. ის იყო თავიდან უნდა წამოეწყო საუბარი, რომ კარებზე ნერვული კაკუნი გაისმა. კაცს აზრი დაებნა, კიდევ უფრო აღელდა.

- ლანა იქნება - თქვა მან.

ზარი და კაკუნი ერთმანეთს ენაცვლებოდა სანამ სოსომ კარი არ გააღო. ქალს სახე არეული ჰქონდა, სველი პალტო შეხსნილი.

- ლანა - თქვა სოსომ - შემოდი, შემოდი, მამაშენიც აქ არის.

ქალი ადგილიდან არ დაძრულა.

- ლანა? შემოდი?! შენ მე დებილი გგონივარ? გგონია ეგრე ადვილად გამოძვრები?

- უნდა დამშვიდდე. - თქვა სოსომ. შემდეგ ვერ მოითმინა და დაამატა - არაფერი მაქვს გამოსაძვრომი.

- აჰა! - თქვა ლანამ თითქოს ამას ელოდაო და დაიძრა, სოსოს გვერდი აუარა და მისაღებისკენ გაეშურა - ესეიგი არაფერი! ესეიგი არაფერი ყოფილა, არაფერი მომხდარა, არაფერი...

- ლანა! - ოთახიდან ლანას მამაც გამოვიდა და გზა გადაუღობა - ხომ მითხარი დაგელოდებიო?

- შემეშვი! ვიცი რისი გამკეთებელიც ხარ - ორივე რისი გამკეთებლებიც ხართ.

- მოიცა, ჩვენ ვილაპარაკეთ... ვლაპარაკობდით... თითქმის გავარკვიეთ და ისე არაა საქმე როგორც შენ გგონია... ხომ შემპირდი დაგელოდებიო.

- შემეშვი მეთქი! მე თვითნ გავარკვევ... - ლანამ სოსოსკენ თითი გაიშვირა - თვითონ მითხრას სინამდვილეში როგორაა საქმე.
- კარგი, მოდი დავმშვიდდეთ. ვილაპარაკოთ როგორც ცივილიზებულ ხალხს შეეფერება - თქვა სოსომ და ოთახისკენ წავიდა, ლანა და კაცი უხეშად მოიშორა გზიდან, არც უცდია ვიწრო დერეფანში მათთვის გვერდი აექცია.

ლანაც მიჰყვა შეკრული კრიჭით. კაცი შეყოყმანდა. ლანას მდგომარება აღელვებდა. ხშირად უნახავს ასეთ დღეში და იცოდა, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ამას. მაგრამ კაცის გავლენა ლანაზე ყოველთვის სუსტი იყო, მისი სიახლოვე ქალს კიდევ უფრო გააღიზიანებდა. თვალი გააყოლა სოსოს ფართე ზურგს. წესით შეძლებდა ლანასთან გამკლავებას.

- მე ხელს არ შეგიშლით - თქვა მან - აქვე ვიქნები.

სოსომ გამოხედა სანამ მძიმე კარებს დახურავდა მაგრამ არაფერი უთქვამს.

* * *

ერთხანს იდგა, ელოდა როდის დაჭიმავდა დერეფნის ნესტიან ჰაერს აწეული ხმის ვიბრაცია, მაგრამ მისი შიში არ მართლდებოდა. ან კარები იყო მეტად სქელი, ან დღეს მშვიდობით ეწერა დასრულება. ხელმარცხნივ კიდევ ერთი კარი იყო და იქ შევიდა. თითქმის ცარიელი, მტვრიანი ოთახი დახვდა, მხოლოდ ერთი მორყეული სკამი იდგა ფანჯარასთან ახლოს. ლანას ნათქვამი გაახსენდა, რომ სოსოს სახლის დიდი ნაწილი გამოუყენებელი ჰქონდა. დააცემინა და ხელი ჩვეული მოძრაობით ცხვირზე მოისვა. შარვლის ის ჯიბე მოისინჯა, რომელშიც ერთჯერადი ცხვირსახოცების შეკვრა ეგულებოდა, მაგრამ ვერ ნახა. კვლავ დერეფანში გამოვიდა, საკიდზე თავისი ხაკისფერი ქურთუკი მოძებნა და ჩხრეკას შეუდგა, თან სასტუმრო ოთახისკენ ეჭირა ყური და ისე გაერთო, რომ ხელი იმ ჯიბეზეც წაუცდა, რომელშიც ცხვირსახოცს არასოდეს ჩადებდა. შეცბა, მაგრამ გვიანი იყო, ქურთუკის შიდა ჯიბეში ჩაყოფილი ხელი უკვე გრძნობდა სურათის გახეხილ ზედაპირს. ფეხის წვერებიდან სიცივემ წამოუარა, თუმცა სურათისთვის ხელი არ გაუშვია, ცოტა ხანი სინჯავდა თითის წვერებით, შემდეგ თავისუფალი ხელი ცხვირზე გაისვა, სურათი მონუსხულივით ამოაცურა და დააცქერდა.

სურათი ქობულეთშია გადაღებული. ზღვა მათ უკან არის, სულ რამდენიმე ნაბიჯში, მაგრამ უძლურია და მომაკვდავივით დუჟმორეული. თითქოს ოჯახს, რომელიც უშედეგოდ ცდილობს კამერაზე კონცენტრირებას, ზღვისგან გამჭვირვალე ფარდა ჰყოფდეს. მარცხნივ პირსახოცზე წამოწოლილი კაცი ჩანს, იგი ქვებს წვეტიანი იდაყვებით ეყრდნობა, როგორც ჩანს საგანგებოდ სურათის გადასაღებად წამოწეულა, მაგრამ მისი მზერა ფოტოგრაფის ზურგს უკან იკარგება. მარჯვნივ ლანა ზის, კადრში შემთხვევით მოხვედრილი თანადამსვენებელივით უნდოდ იყურება კამერისკენ და ხელები გულზე აქვს დაკრეფილი. მათ შუაში კი კაცის აწ-გარდაცლილი მეუღლე, წელში გამართული. სურათში მყოფთაგან მხოლოდ ის არის მთელი ტანით კამერისკენ

მობრუნებული. გადაღების მომენტში ქარი მის ფართოფარფლიან ქუდს შეატოკებს და ამ დამთხვევის წყალობით ქალის სახე ნაწილობრივ ჩრდილშია, ნაწილობრივ კი განათებული. განათების ამ თამაშის წყალობით, შეიძლება გეგონოს რომ მას რაღაცის თქმა უნდა და მზერაც, რომელიც ობიექტივში იხედება, ამის მიხედვით ხან ცოცხლდება და თითქოს რაღაცას გვანიშნებს, ხან კი ისევ ქვავდება და ობიექტივის მინაზე სხლტება.

კაცი გარინდებიდან გამოერკვა, შუბლზე ხელი მოისვა. სოსოს ოთახში თითქოს საუბარი აიტალღა. სურათი ცივი ხელით ჩააბრუნა ჯიბეში და კიდევ ცოტა ხანი უსმენდა, თან ცდილობდა წამოსული წკვინტლი შეეკავებინა. ოთახიდან ხმა აღარ აღწევდა და გადაწყვიტა რომ მოეჩვენა.

სახლიდან რაც შეიძლება ფრთხილად გამოვიდა. მაღაზია სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო, ოღონდ ზუსტად არ იცოდა სად. უკვე ბნელოდა და კიდევ უფრო ციოდა, ქარიც გაძლიერებულიყო. ქურთუკი ბოლომდე შეიკრა და ნაბიჯს აუჩქარა.

მაღაზია არც ისე ახლოს აღმოჩნდა; სადაც ეგულებოდა ის დაკეტილი დახვდა და ძებნა მოუწია სანამ ერთ-ერთი ჩაბნელებული ქუჩის ბოლოს მბჟუტავი სინათლით არ მიაგნო, ცხვირსახოცი იყიდა და წამოვიდა.

სწრაფი ნაბიჯით ბრუნდებოდა არა იმდენად მღელავრების, რამდენადაც გამჭოლი ქარის გამო. რამდენიმე მეტრიღა აშორებდა სახლს, როდესაც ქარი წამით შედგა და კაცის ყურამდე ქალის ხმამ მოაღწია, ან იქნებ სახლების უკან სიბნელეში ჩაკარგული ქარის წივილი იყო, მაგრამ აღელდა, ნაბიჯს კიდევ უფრო აუჩქარა. კვლავ მოძლიერებულ ქარში ცდილობდა ხმები გაერჩია, მაგრამ სანამ სოსოს სახლის კიბეები ნახევრად არ აიარა, ვერაფერი გაიგონა, აქ კი ეჭვი აღარ იყო, სახლში ჩხუბობდნენ. სახლის კარი გააღო თუ არა სასტუმრო ოთახში რაღაცა მძიმემ გაიბრახუნა, რასაც კივილი მოჰყვა, მერე სოსოს ღრიალიც გაიგონა, ოღონდ სიტყვები ვეღარ გაარჩია. შიშისგან მუხლები მოეკვეთა, შემოსასვლელში წაიბორძიკა, სასტუმრო ოთახის კარს მოებღაუჭა და შეაღო. ლანა რაღაცას ყვიროდა, სიტყვები ვერ გაარჩია, იცოდა, არც ქონდა მნიშვნელობა. მიახლოება ვერ გაბედა, მხოლოდ ხელები გაიწვდინა ვედრებით. შემდეგ ლანამ ფინჯანი ისროლა, იგი სოსოს აცდა მაგრამ მასში ჩარჩენილი ნალექი მთელ ოთახში მიმოიფანტა. ქალი კივილს არ წყვეტდა, ოთახში დადიოდა და რაც ხელში ხვდებოდა, ისროდა. სოსო ჩუმად იყო, მღვრიე თვალებით მიშტერებოდა ქალს და ცდილობდა ნასროლი ნივთები აეცილებინა. კაცი ლანას დამშვიდებას ცდილობდა, უყვიროდა, ეხვეწებოდა, მაგრამ უშედეგოდ. სოსო დაიძრა ადგილიდან, უნდოდა ქალი გაეკავებინა მაგრამ იგი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა, ხელიდან დაუსხლტა და სილა გააწნა. სოსომ დაიღრიალა და ხელი შეუბრუნა, ლანამ წაიბორძიკა და დაეცა, სოსო გადააჯდა და გაშლილი ხელით ურტყამდა. კაცსაც დაებინდა გონება შიშისგან, სოსოს ჩაებღაუჭა საკუთარი ქალიშვილის გადასარჩენად მაგრამ ადგილიდან ვერ დაძრა.

უეცრად ლანა გაჩუმდა და კაცის გულში იმედმა ვერ მოასწრო ჩასახვა, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა, სოსოს შეაფურთხა.

სოსოს თვალები გადმოეკარკლა, ქალს ხელები ყელში წაუჭირა.

ლანასა და სოსოს დაძაბული სხეულები წამით გაქვავდნენ. ლანამ პირი დააფჩინა, სახე გაუწითლდა.

კაცმა სოსოს ხელები გაუშვა, იატაკზე თუჯის ყავის სახარში მოძებნა და მთელი ძალით მოიქნია და სანამ ღრიალი შეწყდებოდა, კიდევ ერთხელ და შემდეგ სანამ სოსოს სხეული დაირწეოდა და გვერდზე გადაწოლას მოასწრებდა, კიდევ.

თუჯის იატაკზე დაცემის ხმა სოსოს სხეულის ბრაგვანმა შთანთქა. რამდენიმე წამით მხოლოდ კაცის ხვნეშა და ლანას ხროტინი ისმოდა. შემდეგ ლანამ სული მოითქვა და წამოიწია, მის ცნობიერებაში ნელ-ნელა ილექებოდა მომხდარის სიმძიმე. ფეხები ქოშინით გაითავისუფლა სოსოს უძრავი სხეულისგან და მის ზურგს ფრთხილად შეეხო. შემელოტებულ კეფაზე, ფერფლისფერი თმით გარშემორტყმულ შავ ჭრილობას დაეღო პირი. სისხლი კეფას მოუყვებოდა, მეჩხერი თმების გავლით ჩაედინებოდა კისერში, პულოვერითა და კისრის ნაკეცებით შემდგარ გუბეში ყოვნდებოდა და შემდეგ ისევ ქვემოთ, იატაკისკენ მოწვეთავდა.

ლანამ აწეწილი თმები თვალებიდან გადაიწია, კაცს შეხედა, რომელიც გაუნძრევლად იდგა და ჭრილობას მიშტერებოდა სოსოს კეფაზე.

- რა გააკეთე? - თქვა ლანამ.

კაცს არაფერი უთქვამს.

- რა ჩაიდინე? - შემდეგ ჩურჩულით - მკვდარია? - გვამს შეხედა და დაადასტურა - ნამდვილად მკვდარია... დაგვიჭერენ... ციხეში მოვკვდებით... ვინ გეკითხებოდა? ვინ გეხვეწებოდა? ახლა რა უნდა ვქნათ?

კაცი არ ინძრეოდა. ჩუმად იდგა წელში მოხრილი, თითქოს ცხოვრების უცნაურობაზე ჩაფიქრებული. შემდეგ რაღაც მოხდა. თავი ასწია, კისრის ძარღვები დაეძაბა, თვალები გაუშტერდა.

- ჩშშშ - თქვა მან და ხელი ასწია - გესმის?

ლანა გაჩუმდა, კაცს შეხედა.

თავიდან მხოლოდ ქარის ხმა ესმოდათ, ფანჯრის ჩარჩოების ჭრიალი.

კაცმა ერთი ნაბიჯი უკან გადადგა და პარკეტს მიაშტერდა. ქვემოდან წამოსული ხმა ოდნავ შესამჩნევი იყო, ქარის მოტანილი სურნელივით ძნელად მოსახელთებელი.

აღმოჩნდა, რომ სერბულის მცოდნე მთარგმნელი გარეუბანში ცხოვრობდა. ერთგვარ გეტოში, რომელზეც უამრავი ლეგენდა დადიოდა. ამბობდნენ, რომ იქ განსაკუთრებით ძლიერი იყო ორგანიზაციის ძალაუფლება. დადიოდა ლეგენდები გარეუბანში შესული და უკან არდაბრუნებული სტუდენტების, საჯარო მოხელეების, უგზო უკვლოდ გამქრალი, გაბედული ტურისტების შესახებ.

სტუდენტს ასეთი ლეგენდებისა და თქმულებების არ სჯეროდა და არც ცრუმორწმუნე იყო, მაგრამ არც განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა და თავგადასავლებისკენ სწრაფვა ახასიათებდა. საჭირო რომ არ ყოფილიყო გარეუბანში წასვლა, არასოდეს მოუწყობდა საკუთარ თავს ამ გამოცდას. მაგრამ რადგან ამის გაკეთება სჭირდებოდა - ესე იგი უნდა წასულიყო კიდეც. სერბულად ნათარგმნი დოკუმენტის გარეშე პროგრამაზე არ მიიღებდნენ. დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს თუ რომელ პროგრამაზე, რომელი საბუთის შეტანას აპირებდა სტუდენტი, მთავარია, რომ მაშინ ეს მნიშვნელოვანი იყო, სტუდენტი კი საკუთარ გეგმებზე ხელის აღებას არ აპირებდა.

გარეუბანში ისე შევიდა, არც კი შეუმჩნევია, როდის გადააბიჯა საზღვარს. არც არსებობდა ასეთი საზღვარი - დღემდე არავინ იცის, თუ ზუსტად სად იწყება ორგანიზაციის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. ავტობუსიდან ბოლო გაჩერებაზე ჩამოვიდა და გზა ფეხით განაგრძო. მთარგმნელის ბინას ადვილად მიაგნო, მაგრამ ლოდინი მოუხდა. მთარგმნელი დაკავებული იყო და სტუდენტმა თავისი საბუთები მხოლოდ უკვე მოსაღამოვებულზე მიიღო.

სანამ მთარგმნელს ქუჩაში ელოდა, მღელვარებამ საბოლოოდ გადაუარა. დარწმუნდა, რომ არაფერი საშიში გარეუბნის წყნარ, დაკლაკნილ ქუჩებში არ იყო. ისინი ჯადოსგან დაიცალნენ. საბუთების მიღების შემდეგ ავტობუსის გაჩერებისკენ ფეხით გაუყვა. ნელ-ნელა დაბნელებას იწყებდა, მაგრამ შუქები ჯერ კიდევ არ ანთებულიყო. სტუდენტი ამ ბინდ-ბუნდში მიაბიჯებდა. ლამპიონების მონჯღრეული ბოძების ფერმკრთალი ჩრდილები და უჩვეულო სიჩუმე, ვიწრო ქუჩების ხლართები და ბინდბუნდში ჩაძირული დაბალი კორპუსების მუქი, მკაცრი სილუეტები, შეშინების ნაცვლად ამშვიდებდნენ.

ერთ-ერთი ქუჩის კუთხეში მბჟუტავი აბრა შენიშნა. კაფე „კოსმოსის“ ელექტრულ აბრაზე მხოლოდ ხუთი ასო ინთებოდა და კაფეს წინ ორმოში ჩამდგარ გუბეში ირეკლებოდა. სასიამოვნოდ დაღლილმა და მოწყურებულმა, თითქმის ყოყმანის გარეშე გადაწყვიტა - კათხა ლუდით უნდა დაეგვირგვინებინა დღეს გაკეთებული საქმე.

გუბეს გადააბიჯა და კაფეს ვიწრო კარი შეაღო - კარზე შებმულმა ეჟვანმა გაიწკრიალა. კაფეს უჩვეულოდ პატარა ზომის მიუხედავად, ერთადერთი ნათურა კაფეს სიღრმეში

მაინც არ იყო საკმარისი მის სრულად გასანათებლად. ოთხი ცარიელი მაგიდა ირგვლივ შემოწყობილი სკამებით, ისე მოათვალიერა, თითქოს ყოველ მათგანთან მიმჯდარს ბევრი დრო ჰქონოდეს გატარებული. მაგიდებს შორის დატოვებული ვიწრო დერეფანი სამი ნაბიჯით დაფარა და პატარა ბართან მივიდა, რომლის უკანაც, ერთადერთი ნათურის შუქში, შუა ხნის ბრგე კაცი გაუნძრევლად იჯდა. მას ეჟვანის ჟღარუნისა და სტუმრისთვის ყურადღება არ მიუქცევია, თავიც არ აუწევია, დახლზე გადაშლილ წიგნზე იყო დახრილი. ნათურის ცივი ნათება მის გრძელ, ფერფლისფერ, გაზინთულ თმაზე იღვრებოდა.

ბარმენმა როგორც ჩანს დაამთავრა აზრი, რომელსაც კითხულობდა და მხოლოდ შემდეგ ასწია თავი. სტუდენტი ბარმენისადმი მაშინვე სიმპათიით განეწყო. მოეჩვენა, რომ მასში რაღაც მედიდური და იმავდროულად უბრალო შეამჩნია. იმაზეც არ გაბრაზებულია, რომ ბარმენმა ყურადღება გვიან მიაქცია - თითქოს უცხო ქვეყანაში მოგზაურობდა, სადაც ყველაფერი მოსალოდნელია რადგან უცნობ წესრიგს ექვემდებარება და შესაბამისად გასაკვირიც არაფერია.

- გამარჯობა - თქვა სტუდენტმა.
- გაგიმარჯოს - უპასუხა ბარმენმა.
- პირველი კლიენტი ვარ დღეს, არა? - თქვა სტუდენტმა და ბარმენს გაუღიმა.

კაცმა მცირე პაუზის შემდეგ, რომლის დროსაც სტუდენტი კარგად შეათვალიერა, უპასუხა:

- არა, ალბათ უფრო ბოლო.

სტუდენტმა ისევ სულელურად გაიღიმა. არ აპირებდა ბარმენის მეგობრის როლიდან გამოსვლას. ლუდი უნდოდა.

- ლუდი რომელი გაქვთ?
- ლუდი არ გვაქვს, მარტო ღვინო გვაქვს.
- მარტო ღვინო? - გაუკვირდა სტუდენტს.

ბარმენმა დასტურის ნიშნად თავი ნელა დახარა.

- მაშინ ერთი ჭიქა ღვინო.

სტუდენტს იმედგაცრუება არც ახლა უგრძვნია, პირიქით, ესიამოვნა კიდეც, რომ უცხო ადგილას ყველაფერი მისი მოლოდინის საწინააღმდეგოდ მიდიოდა და სინამდვილესთან მორგების საშუალება ეძლეოდა. ამას ხალისით აკეთებდა.

ბარმენმა ღვინის უზარმაზარი, ნახევრად სავსე, უეტიკეტო ბოთლიდან წითელი ღვინო დაუსხა. სტუდენტმა ჭიქა აიღო და ერთ-ერთ მაგიდას მიუჯდა და პირველი ყლუპი მოწრუპა. ბარმენმა ბოთლი შეინახა და კითხვა გააგრძელა. ცოტა ხანი სიჩუმეს

მხოლოდ ნათურის მონოტონური ზუზუნი არღვევდა. სტუდენტმა ღვინის მეორე ყლუპზევე იგრძნო ალკოჰოლის თბილი ზემოქმედება.

შემდეგ ბარის კარი გაიღო და ორნი შემოვიდნენ. პირველმა მთლიანად დაფარა კარის ჩარჩო, ტყავის ქურთუკი კუნთებზე ასკდებოდა. მძიმე ნაბიჯი გადადგა ბარისკენ და მხლოდ მაშინ შეამჩნია სტუდენტმა მის უკან მეორე, ასევე ტყავის ქურთუკიანი, ბევრად უფრო გამხდარი ტიპი. მეორეს ყელზე და ორივე მაჯაზე სამმაგი ჯაჭვები ეკეთა. ტყავის ქურთუკზე ორივეს ოქროსფრად ეხატა რაღაც სიმბოლო, რომელიც სტუდენტს აქამდე არ ენახა.

სახეები ორივეს შავი ნიღბით ჰქონდა დაფარული. სტუდენტს ჭიქისკენ წაღებული ხელი გაუშეშდა. ახალმოსულები შეიარაღებულები იყვნენ.

პირველი, კუნთიანი, ხმის ამოუღებლად მივიდა ბართან - ბარმენმა ამჯერად სტუმრების გამოჩენისთანავე დაანება თავი წიგნს, მაგრამ თავისი ადგილიდან არც ახლა დაძრულა. მაგრამ მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, კუნთიანის ყოველ მოძრაობას გაფაციცებული ყურადღებით აკვირდებოდა. კუნთიანმა კი პისტოლეტი სახესთან ახლოს მიუტანა და თავის მბრძანებლური, მოკლე ჟესტით რაღაც ანიშნა - და სტუდენტი მიხვდა, რომ ბარმენმა ეს ბრძანება კარგად გაიგო.

სტუდენტისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. მეორე მძარცველი უმოქმედოდ იდგა კუნთიანის უკან, თითქოს თავის რიგს ელოდა სასმელის შესაკვეთად. სტუდენტი გაუნძრევლად იჯდა, თითქოს მისი უმოძრაობა ყოფილიყოს იმის მიზეზი, რომ მძარცველები ყურადღებას არ აქცევდნენ. ელოდა, როდის დამთავრდებოდა ეს უცნაური ვიზიტი, რათა სახლში წასულიყო - უეცრად გაუქრა სიმშვიდისა და უსაფრთხოების შეგრძნება. ახლა სისულელედ და წინდაუხედაობად მოეჩვენა, რომ ბარში შემოვიდა და დროზე არ წავიდა სახლში. ნანობდა, რომ დაივიწყა, უფრო სწორად სისულელედ მიიჩნია ყველა ლეგენდა, რომელიც ამ უბნისა და მასში ორგანიზაციის მიერ ჩადენილი საქმეების შესახებ სმენოდა. თუმცა - უკარნახა ლოგიკამ - არაფერია ამ ძარცვაში, თუ კრიმინალურ გარჩევაში განსაკუთრებული, ის შეიძლება ყველგან მოხდეს - სტუდენტს უბრალოდ არ გაუმართლა.

საბედნიეროდ - ფიქრობდა სტუდენტი - მისი აქ ყოფნა როგორც ჩანს არაფერს ნიშნავდა და შეუმჩნეველი დარჩებოდა. ბარმენსა და მძარცველებს კარგად ესმოდათ ერთმანეთის. ძალიან კარგი - ეს მათი პირადი საქმე იყო, სტუდენტი კი ამ საქმის მხოლოდ შემთხვევითი, უმნიშვნელო დამსწრე. მძარცველებს არაფერში სჭირდებოდათ მისდამი ყურადღების გამოჩენა. ასეთმა მსჯელობამ ცოტა დაამშვიდა და გამბედაობა დაუბრუნა. წონასწორობის ასეთი სწრაფი აღდგენა, ალბათ ღვინის დამსახურებაც იყო. ფაქტია, რომ გათამამებულმა, (იმავე იმპულსის კარნახით, რამაც კაფეში შემოსვლა უკარნახა) ღვინის ჭიქას ფრთხილად მოკიდა ხელი. ჭიქა თითქმის პირთან ჰქონდა მიტანილი, როდესაც გამხდარი მძარცველის ცივი მზერა იგრძნო. უნებურად მძარცველის მზერას თვალი გაუსწორა და მიუხედავად იმისა, რომ ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა, (ისევ გაიფანტა მყიფე გამბედაობა), დაწყებული

მოძრაობა, თითქოს რაღაც გარდაუვალობის შეგრძნებით, თუ ერთგვარი სიამაყის გამო, მაინც დაასრულა და ღვინო მოსვა. მძარცველმა ცივად მიადევნა თვალი და როდესაც სტუდენტმა ჭიქა მაგიდაზე დააბრუნა მზერა ისევ ბარმენსა და კუნთიანზე გადაიტანა.

ბარმენი კი არ ჩქარობდა. დინჯად წამოდგა თავისი სკამიდან, თვითონაც თითქმის კუნთიანი მძარცველის სიმაღლე იქნებოდა, მაგიდაზე დაწყობილ მძიმე ხელებზე ყველა ძარღვი მკაფიოდ ემჩნეოდა. კუნთიანმა მძარცველმა მოუთმენლად შეარხია პისტოლეტი - დაუჩქარეო ანიშნა. ბარმენი წელში გაიმართა, მაგიდიდან ხელები აიღო და ნახევრად შებრუნდა, ბარის ქვედა თაროდან რაღაცის ასაღებად დაიხარა, რამდენიმე წამი თითქოს ამ რაღაცას ეძებდა, შემდეგ კი ზამბარასავით გაიშალა და მთელი მარჯვენა მხრით კუნთიანს დაეტაკა. პისტოლეტი გავარდა და ბარის უკან თაროზე ჩამოწყობილი ბოთლიდან ერთ-ერთი გატყდა.

სტუდენტმა ხელები ყურებზე აიფარა. ბარმენი და კუნთიანი პისტოლეტისთვის იბრძოდნენ. მეორე მძარცველს გამოცოცხლება დაეტყო - პისტოლეტი ერთმანეთში გადახლართული ბარმენისა და კუნთიანისკენ მიმართა. მაგრამ სროლა ვერ გაბედა, დიდი შანსი იყო, რომ თავისიანს მოარტყამდა, ჯერ იყო შანსი, რომ კუნთიანი გაიმარჯვებდა.

მაგრამ ცოტა ხანში ბარმენმა აჯობა და კუნთიანს პისტოლეტიანი ხელი ბარზე დაახეთქებინა. პისტოლეტი კიდევ ერთხელ გავარდა. მძარცველი აშკარად მარცხდებოდა - პისტოლეტს ხელი გაუშვა, ბარმენს კი შანსი მიეცა პისტოლეტი დაეჭირა, მაგრამ ვერ მოახერხა, დაჭერის ნაცვლად კი ხელი გაკრა. ძირს დახლიდან ჩამოვარდა და პირდაპირ სტუდენტის ფეხებთან მისრიალდა. ამ დროს გამხდარმა გაისროლა, დასამიზნებლად ხელსაყრელი მომენტი ჩაუვარდა ხელში. ამითი წესით ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბარმენმა კიდევ ერთხელ აჯობა მძარცველებს და მოასწრო, რომ კუნთიანის სხეულს ამოფარებოდა.

კუნთიანს არ დაუყვირია, მაგრამ წაიბორძიკა და საბოლოოდ მოეშვა. ტყავის ქურთუკის კუნთებით დაბურცულ ზედაპირზე, რომელიც მთლიანად მოექცა ერთადერთი ნათურის სინათლეში, პატარა კრატერი გაჩნდა და წამით, მთელს ბარში, ამ კრატერიდან ადენილი კვამლის რხევა იყო ერთადერთი მოძრაობა. სტუდენტს ეგონა, რომ ამით ბრძოლა მორჩა, მაგრამ გამხდარმა კიდევ ერთხელ გაისროლა - და ამჯერადაც კუნთიანს მოარტყა. სტუდენტი მიხვდა, რომ გამხდარი უკან აღარ დაიხევდა - ნებისმიერ ფასად აპირებდა გამარჯვებას, თავისი თანამზრახველის სიცოცხლის ფასადაც კი. ბარმენი კუნთიანის მოშვებული სხეულის უკან იმალებოდა, ამიტომ გამხდარმა ერთი ნაბიჯი წადგა წინ, რათა უკეთ უკეთ დაემიზნებინა ბარმენისთვის.

სტუდენტი, როგორც ჩანს ყველას დაავიწყდა. ის თავის ფეხებთან მიცურებულ პისტოლეტს დასჩერებოდა. არჩევანის წინ იდგა - დალოდებოდა როდის დამთავრდებოდა ეს შეტაკება, რომელიც მას არ ეხებოდა. არ უნდა ჩარეულიყო

კრიმინალურ გარჩევაში; თავისუფლად შეეძლო თავი მოეკატუნებინა, მთელი თავისი ყურადღება ღვინის ჭიქისთვის დაეთმო და ამის გამო მას ვერავინ გაამტყუნებდა; ასევე, ყველა გონიერი აზრის საპირისპიროდ, შეეძლო აეღო პისტოლეტი რომელიც თითქოს განგებ, ტარით მისკენ, ერთი ხელის გაწვდენაზე იდო.

გამხდარი მძარცველიც ხელის გასაწვდენ მანძილზე იყო ბარმენისგან - შემდეგი ტყვია აუცილებლად ბარმენს მოხვდებოდა. სტუდენტს ცოტა მეტი დრო რომ ჰქონოდა გადაწყვეტილების მისაღებად, ალბათ მასში უფრო გონიერი, ლოგიკური ნაწილი გაიმარჯვებდა - რადგან, რა თქმა უნდა, ჯობდა იმ საღამოს სახლში წასულიყო და ცხოვრება ძველებურად გაეგრძელებინა. მაგრამ წამის იმ მეასედში, რომელიც სტუდენტს გადაწყვეტილების მისაღებად ჰქონდა, აწონ-დაწონვისათვის დრო საკმარისი არ იყო - და ისევ, პირველივე იმპულსს აყოლილი, პისტოლეტს დასწვდა და გამხდარს, სანამ ის ბარმენისთვის თავის გახვრეტას მოასწრებდა, ზურგში დაახალა.

გამხდარი შებარბაცდა და ჩაიკეცა. ბარმენმა, როდესაც ბარში სიჩუმე ჩამოვარდა, კუნთიანი მძარცველის სხეული მოიშორა და დახლზე გულაღმა გადააწვინა. სტუდენტი მძიმედ სუნთქავდა. ხელში ჯერ კიდევ გრძნობდა გასროლის ბიძგს. ბარმენი გასწორდა და სტუდენტს შეხედა - მის გამომეტყველებაში არ ჩანდა შიში, ან მღელვარების მსგავსი რამ. ბარმენმა, თითქოს ეს-ეს არის წინადადება დაამთავრა და წიგნიდან თავი ასწია. სტუდენტს დაუწმენდავი, გაფანტული მზერით შეხედა, თითქოს ჯერ კიდევ ბოლო წაკითხულ წინადადებაზე ფიქრობდა.

გამხდარის ჯიბეში რაღაც აწკარუნდა და ბარმენი გამხდარის სხეულზე დაიხარა და მისი ქურთუკის ჯიბიდან ტელეფონი ამოაძვრინა, ეკრანს დახედა და წელში გაიმართა. სტუდენტი მიხვდა, რომ ზარი არაფერ კარგს არ მოასწავებდა.

- უნდა გაიქცე - თქვა ბარმენმა. მშვიდი და მბრძანებლური ტონით უთხრა, ისე, რომ სტუდენტს თავში აზრადაც არ მოსვლია გაქცევის აუცილებლობაში ეჭვის შეტანა - რამდენიმე წუთი გაქვს. შეიძლება მოასწრო კიდეც გაღწევა. რაც არ უნდა მოხდეს, აქ აღარ დაბრუნდე.

სტუდენტს უსამართლობად მოეჩვენა ბარმენის დამოკიდებულების ობიექტურობა და გულგრილობა. მაგრამ დრო არ ჰქონდა. ნაბიჯი გადადგა კარისკენ, რომლის მიღმაც ჩაბნელებული, უცხო უბანი ამოძრავებას იწყებდა.

- საით გავიქცე? - გაახსენდა სტუდენტს, სანამ გარეთ გავიდოდა. მის ხმაში დაუმსახურებელი წყენა გაისმა.

ბარმენმა მხრები აიჩეჩა, ისევ გამხდარის გაშოტილ სხეულზე დაიხარა, ქურთუკის ჯიბეში კიდევ რაღაცას ეძებდა.

- ბევრი ვარიანტი არ გექნება - თქვა მან.

სტუდენტი მიხვდა, რომ ბარმენისგან სხვა დახმარებას ვერ მიიღებდა, თავისი თავისთვის ისევ თვითონ უნდა ეშველა. კარი გააღო და გარეთ გამოვიდა. არავინ

ჩანდა, მაგრამ უბანი შეცვლილიყო - მიმდებარე ქუჩებიდან მოღწეული, ერთანეთში არეული მოკლე, მჭახე შეძახილებით, ძრავების ღმუილით და ძაღლების ყეფის ხმებით გავსებულიყო. ამ მუქარით სავსე ხმაურმა სტუდენტს აიძულა საფრთხის ნამდვილობა კიდევ უფრო მძაფრად შეეგრძნო. სწრაფი ნაბიჯით გაემართა ქუჩის იმ მხარეს, საიდანაც ყველაზე ნაკლები ხმაური მოდიოდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ქუჩის ბოლოში სინათლეები გამოჩნდა. გაჩერდა და მიმოიხედა, მეორე მხარეს უნდოდა გაქცევა, მაგრამ იქაც შეამჩნია შავი სილუეტები, რომლებმაც ვიწრო ქუჩაზე შემოუხვიეს. წელში მოიხარა და ქუჩაზე მდგარი დამტვერილი მანქანების რიგის გასწვრივ ამოძარვდა. ასე იქნებ მოეხერხებინა ცოტა ხნით დამალვა, მაგრამ იცოდა, რომ თუ რამეს არ მოიფიქრებდა, რამდენიმე წუთში იპოვნიდნენ.

მანქანებს ამოფარებული, სანახევროდ უკვე კუთხეში მიმწყვდეულ ცხოველად გადაქცეული, ჰაერს ყნოსავდა და სიბნელეში გასაქცევს ეძებდა. აშკარა იყო, რომ ერთადერთი ხსნა ძველ, ჩაბნელებულ ფანჯრებიანი კორპუსებში შეიძლება ყოფილიყო. თუ რომელიმე სადარბაზოში დამალვას მოასწრებდა, იქნებ სახურავიდან გაქცეულიყო. წელში მოკუნტული, აკანკალებული მისწვდა უახლოესი კარის სახელურს. მისდა ბედად კარი გაიღო; მონჯღრეულ, მოჩუქურთმებულ კარში შესრიალდა ზურგს უკან უხმაუროდ მიიხურა.

სადარბაზოს გუმბათივით ჭერში დაკიდებული ერთადერთი ნათურა სუსტად ანათებდა ფართე კიბეებს. მორყეულ-ფილებიან, დამტვერილ საფეხურებს აუყვა. ფეხები უკანკალებდა, არ ემორჩილებოდა, მაგრამ არ უნდა გაჩერებულიყო. პირველ სართულზე, კიბის უჯრედის ორივე მხარეს, კარი აჭედილი დახვდა. კარებზე აკრულ ფიცრებს დაეჯაჯგურა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. მეორე სართულზეც იგივე დახვდა. სადარბაზო მიტოვებულს გავდა.

მესამე, ბოლო სართულზე, რომელიც ყველაზე მეტად განათებულიც იყო, ერთადერთი აუჭედავი კარი ნახა. ზევით - გასასვლელი არ ჩანდა. ფართე კიბე ზევით კი მიიწევდა, მაგრამ რამდენიმე საფეხურის შემდეგ ყრუ კედელთან წყდებოდა. ქვემოდან ხმაური მოძლიერდა, ორგანიზაცია უკვე სადარბაზოს კართან იყო. ძაღლების ავი ყეფა როგორც ჩანს იმ სადარბაზოს კართან ისმოდა, რომელშიც სტუდენტი იმალებოდა.

კარზე, რომელიც ახლა მისი ერთადერთი იმედი გამხდარიყო, დააკაკუნა, სახელურსაც დაეჯაჯგურა, მაგრამ კარი ჩაკეტილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ძველ, დამტვერილ კარს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, რომ თითქოს ერთი ხელის კვრით უნდა გაღებულიყო, ძვრა ვერ უყო. კიდევ დააკაკუნა, ცოტა უფრო ხმამაღლა და ყური კარს მიადო. არაფერი ისმოდა, ქვემოდან კი ხმაური მატულობდა - სადარბაზოს კარი გაიღო და სადარბაზოს გუმბათოვანი სივრცე ძაღლების ღრენამ და მძიმე ნაბიჯების ხმამ გაავსო.

უკვე კიბეებზე ამოდიოდნენ. კარზე მთელი სხეულით მიკრულ სტუდენტს ერთი სართულიღა აშორებდათ მდევრებისგან როდესაც კარი ხმადაბლა გაჩხაკუნდა და ოდნავ შეიღო.

- გთხოვთ - თქვა სტუდენტმა კარის შეღებულ ღრიჭოში. მარტო ამის თქმა მოახერხა ჩურჩულით.

კარი მხოლოდ იმხელაზე გაიღო, რომ სტუდენტს ღრიჭოში შეძრომა შესძლებოდა.

სხვა სიტუაციაში ალბათ გააკვირვებდა უჩვეულო სიბნელე, ჭერის არანორმალური სიმაღლე, ისიც, რომ მასპინძელს ხელში სანთელი ეჭირა, მაგრამ აკანკალებულ სტუდენტს ჯერ-ჯერობით არაფრის შემჩნევა არ შეეძლო. თეთრ ფიგურას, რომელიც უხმოდ გაუძღვა წინ, მორჩილად გაყვა. რამდენჯერმე წაიბორძიკა, რადგან თითქმის სრულ სიბნელეში მიაბიჯებდნენ. უკვე საკმაოდ ღრმად იყვნენ სახლში შესულები, როდესაც მასპინძელს თვალი შეავლო - დაახლოებით სტუდენტის ასაკის გოგო იყო, გრძელი კაბა, რომელიც ეცვა, სტუდენტმა ძველმოდურ ღამის პერანგად მიიჩნია.

სინათლემ მოიმატა - დიდ, გაჩახჩახებულ ოთახს მიუახლოვდნენ. უკან, სიბნელეში დარჩენილ კარზე კაკუნი გაისმა. სტუდენტი შეკრთა და უკან მოიხედა. გოგომ ხმას, რომელმაც სტუდენტს შიშის ზარი დასცა, ყურადღება არ მიაქცია, სანამ სტუდენტს განათებულ გრძელ ოთხში არ შეუძღვა თანაბარი ნაბიჯით. მხოლოდ ამის შემდეგ გაბრუნდა უკან, კარისკენ.

სტუდენტმა ოთახს თვალი მოავლო. ოთახის თუ დარბაზის ცენტრში გრძელი მაგიდა იდგა და მის თავში მოხუცი კაცი იჯდა. თავი მკერდზე ჩამოგდებოდა და წითელი, ოქროთი ნაქარგი, ატლასის შეღეღილი ხალათიდან თმების თეთრი ბღუჯა მოუჩანდა. დამჭკნარი ხელები სავარძლის სახელურებზე ეწყო და როგორც ჩანს ეძინა. სტუდენტი ამ კაცს გაკვირვებით მიაშტერდა და ამ დროს დარბაზიდან გამავალი უამრავი კარიდან ერთ-ერთი გაიღო და ორი ქალი შემოვიდა - პირველი მასპინძელივით ისინიც თეთრ, კოჭებამდე ღამის პერანგებში (როგორც სტუდენტმა გადაწყვიტა, ღამის პერანგები უნდა ყოფილიყო) იყვნენ ჩაცმულები. სტუდენტს მიესალმნენ და მაგიდასთან ერთ-ერთი სკამი შესთავაზეს.

სტუდენტი დაჯდა, უხერხულად გაიღიმა, რაღაცას ეკითხებოდნენ, მას კი მხოლოდ ძლივს გასაგონი, ზურგსუკან ახლახანს მიმწყდარი ნაბიჯების ხმა და საკეტის გაჩხაკუნების ხმა აინტერესებდა. მოეჩვენა, რომ ხმადაბალ, გაურკვეველ დუდუნში გოგოს ხმა და კიდევ უხეში, მამაკაცის ხმაც გამოარჩია. შემდეგ ისევ ჩხაკუნი გაისმა და ნაბიჯების ხმა მოახლოვდა. სტუდენტი სკამზე ნახევრად შემოტრიალდა, შეშინებული მზერა გოგოს მიაპყრო.

- ნუ გეშინიათ - უთხრა დარბაზში შემოსულმა გოგომ და გაუღიმა - აქ უსაფრთხოდ იქნებით. ოღონდ ცოტა ხანი მოცდა მოგიწევთ.

მოხუცი, რომელიც აქამდე გაუნძრევლად იჯდა, შეიშმუშნა და მისმა სავარძელმა გაიჭრაჭუნა. როგორც ჩანს საუბარმა გააღვიძა. თავი მძიმედ ასწია ოთახს თვალი მოავლო. მოხუცმა მზერა სტუდენტზე შეაჩერა. ამ ხანგრძლივმა, დაჟინებულმა და ცოტა არ იყოს უაზრო მზერამ სტუდენტი შეაწუხა, თავის მასპინძლებს შეხედა,

თითქოს იმათგან ელოდა შველას, მაგრამ მათ სახეებზე ვერაფერი ამოიკითხა. მოხუცმა კი თავი ისევ ჩაქინდრა და თვლემა განაგრძო.

სტუდენტი მადლიერი იყო თავისი გადამრჩენლების. განცდამ, რომ საშინელი საფრთხისგან გაქცევა მოახერხა, თუნდაც დროებით, ისეთი შვება მიანიჭა, რომ არ უკითხავს, კარგად არც კი დაფიქრებულა, თუ რას ნიშნავდა „ცოტა ხანი“, რომლის განმავლობაშიც სტუმრად მოუწევდა უცხო სახლში დარჩენა. მთავარია, რომ დევნას გაექცა. გარდა ამისა, სტუდენტის პირველი შთაბეჭდილებით, სახლი უზარმაზარი და სანახევროდ ცარიელი უნდა ყოფილიყო. მისი ადგილიც ალბათ მოიძებნებოდა ამაღამ.

ერთ-ერთი ცივი, ავეჯით მოუწყობელი ოთახი მისცეს ღამის გასათევად. ნესტიან, ფართო საწოლში დაწვა თუ არა მაშინვე უსიზმრო, მაგრამ მშფოთვარე ძილით დაეძინა. მეორე დღეს ადრე გაიღვიძა - უფრო სწორად მთელს სახლში ატეხილმა მოძრაობამ და ჩოჩქოლმა გააღვიძა. საწოლიდან წამოდგა და კართან მივიდა, რათა ენახა, რა ხმაური იყო გარეთ, რომ საძინებლის კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

ის გოგო იყო, ვინც გუშინ სახლში შემოუშვა. ის ახლა გრძელ, შავ კაბაშ იყო ჩაცმული. გოგომ სტუდენტს უთხრა, რომ წუხელ, გვიან ღამით, როდესაც სტუდენტს ეძინა, მოხუცი კაცი გარდაცვლილიყო. ახლა ჭირისუფლები დაიწყებდნენ მოსვლას და სტუდენტს ოთახში მოუწევდა დარჩენა ცერემონიის დასრულებამდე - მისი გამოჩენა არ შეიძლებოდა, სამძიმარზე მთელი უბანი მოვიდოდა.

სტუდენტმა უხმოდ დაუქნია თავი თანხმობის ნიშნად. წინააღმდეგობის გაწევის სურვილი არ გასჩენია. კარგად ხვდებოდა, რომ მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, მასპინძლების უპირობო მორჩილება იყო.

გოგომ მოკლედ აუხსნა თუ რა უნდა გაეკეთებინა და ოთახიდან გავიდა. სტუდენტის ოთახის წინ ვიზიტორთა თითქოს უსასრულო, ზანტად და საზეიმოდ მოძრავი რიგი გაიჭიმა. სამი დღე მიდიოდა მსვლელობა სტუდენტის ოთახის წინ. სტუდენტი დროდადრო, როდესაც მოწყენილობა შემოაწვებოდა ხოლმე, კარის ჭუჭრუტანაში იხედებოდა და ყოველთვის ერთსა და იმავე სურათს ხედავდა - ტყავის ჭრაჭუნა ქურთუკებს, მძიმე, პირქუშ სხეულებს, რომლებიც კუბოს უახლოვდებოდნენ, კუბოსკენ მოწიწებით იხრებოდნენ, გარს უვლიდნენ და შემდეგ თვალთახედვიდან იმალებოდნენ. ხედავდა სამი ქალის ამაყ, უმოძრაო ფიგურას, რომლებთანაც ყოველი ვიზიტორი ჩერდებოდა.

რაც უფრო დიდხანს უყურებდა ამ ცერემონიას, მით უფრო უცნაურად ეჩვენებოდა იგი. სამგლოვიაროსთან ერთად მასში რაღაც საზეიმოც იყო, მომსვლელების მწყობრი რიგები აღლუმსაც აგონებდა.

ამ თანაბარი დინების ყურება მალე მობეზრდა. ჭუჭრუტანაში ყოველ მომდევნო გახედვაზე ტყავის ქურთუკების, მეფური კუბოს, გარდაცვლილის დამჭკნარი, გალურჯებული ხელის ნაცვლად მის მზერას უფრო ხშირად იტაცებდა სამი ქალის ფიგურა, განსაკუთრებით კი პირველის, ვინც კარი გაუღო და გადაარჩინა. ის ყველაზე

ახალგაზრდა და ყველაზე ლამაზიც იყო. ერთხელ, მესამე დღეს, შუადღეზე, როდესაც სტუდენტი ჭუჭრუტანაში იყურებოდა, გოგომ თავის გვერდზე მდგომ ქალს რაღაც გადაულაპარა, შემდეგ თავისი ადგილი დატოვა და სადღაც გაემართა. ამ დროს, მოძრაობის ამ იშვიათი შემთხვევისას, სტუდენტმა გოგოს კისერში პირველად შენიშნა შუა დღის მზეში აბრჭყვიალებული, ოქროსფერი თმების უწესრიგო ბღუჯა - ერთადერთი (სტუდენტის აზრით) ნაკლი გოგოს გარეგნობაში.

სამი დღის შემდეგ კუბო ოთხმა ტყავის ქურთუკიანმა კაცმა ასწია და საზეიმო სიჩუმეში სახლიდან გაიტანა - მას მიჰყვა ვიზიტორთა პირქუში, ჭრაჭუნა, შავი შლეიფი და სახლში სიჩუმემ დაისადგურა.

სტუდენტი ოთახიდან გამოვიდა. თვითონაც მიუსამძიმრა და კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა თავის მასპინძლებს. სტუდენტი ელოდა, რომ ახლა მაინც, ამ როგორც ჩანს მნიშვნელოვანი მოვლენის შემდეგ, ორგანიზაცია ყურადღებას მოადუნებდა, მისი ძებნა ცოტა ხნით მაინც შეწყდებოდა ან ჩაწყნარდებოდა და შეუმჩნევლად შეძლებდა სახლიდან გასვლას. დებიდან ერთ-ერთმა (როგორც მკაცრად ინფორმატიული საუბრიდან გაარკვია, ქალები დები იყვნენ) ღიმილით მიიყვანა ფანჯარასთან. ცოტათი გადასწია ფარდა და გარეთ გაახედა - იქვე, თითქმის ზედ ფანჯარასთან, ორი ტყავისქურთუკიანი იდგა, ეწეოდნენ. ერთს მხარზე ავტომატი ჰქონდა გადაკიდებული. ყველაფერი ცხადი იყო, ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა ვალი, რომელიც სტუდენტს უნდა გადაეხადა. დებმა კიდევ ცოტა ხნით მოცდა ურჩიეს.

სტუდენტის ცხოვრების შემდეგ პერიოდს დროის ორმაგი ხასიათი გამოარჩევს - თითოეული წამი მტანჯველად იწელება, მაგრამ ამავდროულად, გაწელილი წამები, ერთად აღებული, თვალის დახამხამებაში გადაიქცევიან კვირებად, თვეებად, შეიძლება წლებადაც. უსაქმო და უფუნქციო, ლოდინისგან მუდმივად დაძაბული სტუდენტი ხასიათის ჭირვეული და მკვეთრი ცვლილებების მსხვერპლი გახდა. ენერგიის უეცარ, არანორმალურ მოზღვავებებს სასოწარკვეთის საათები სწრაფად ენაცვლებოდა. ასე იტანჯებოდა - გაურკვეველი დროის მანძილზე. ადგილს ვერ პოულობდა, რადგან გასამგზავრებლად იყო მზად. დღეში რამდენჯერმე მიდიოდა მძიმე ფარდებით დაბურულ ფანჯრებთან, ქუჩას ათვალიერებდა და ყოველ ჯერზე რწმუნდებოდა, რომ ორგანიზიაციის სიფხიზლე წამით არ მოდუნებულა, რომ ქუჩებში გამეფებული სიჩუმე და სიმშვიდე იმ პირველ, საბედისწერო დღეს, როდესაც აქ რაღაც საბუთების გადასათარგმნად მოვიდა, არანორმალური, ანომალიური მოვლენა იყო. ყოველ ჯერზე შიშითა და მზარდი გაღიზიანებით ამჩნევდა რამდენიმე წყვილ, სწრაფად მავალ ჩექმას, ქუჩის კუთხეში ჩამომდგარ, უსახო ჩრდილებით სავსე მანქანას.

ერთადერთი, რაც მის სახლში ყოფნას გასაძლისს ხდიდა, ეს უმცროსი დის, თავისი გადამრჩენლის სიახლოვე იყო. მოწყენილობით, ნოსტალგიით, შიშით გატანჯულს მდგომარეობას მხოლოდ უმცროსი დის სიახლოვე უმსუბუქებდა. გოგო სულ უფრო მარჯვედ და ადვილად ახერხებდა სტუდენტის დარდი გაეფანტა. იმ დღეების

განმავლობაში, როდესაც უმცროსი დის ნახვა, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ შეეძლო, სტუდენტის სადარდებელი გოგო ხდებოდა და ამიტომ ორგანიზაცია თითქმის ავიწყდებოდა კიდეც. თანდათან გოგომ მოახერხა და სტუდენტის ყურადღება მთლიანად დაისაკუთრა.

მოვიდა დრო და ფანჯარასთან მხოლოდ ჩვევის ძალით მისულ სტუდენტს, ტყავის ქურთუკებისა და მათზე გამოსახული უცნაური სიმბოლოების დანახვა აღარაფერს აგრძნობინებდა. მძიმე ჩექმებს ხედავდა, მაგრამ მხოლოდ უმცროსი დის კისერში ამოსული ქერა თმის უწესრიგო ბღუჯაზე შეეძლო ფიქრი. მისდა ბედად სულ უფრო ხშირად ეძლეოდა უმცროს დასთან განმარტოების შანსი, რადგან უფროსმა დებმა, თითქოს შეთანხმებულებივით, სახლის თავ-თავიანთი ნაწილებიდან გამოსვლას მოუკლეს. სტუდენტი სახლს მიეჩვია, ახლა უკვე აღარ გრძნობდა უცხოობას, პირიქით, ისე შეეჩვია ბინას, ყოველ შემთხვევაში ბინის იმ ნაწილს მაინც, სადაც ეძინა და ყოველდღიურად უწევდა უმცროს დასთან შეხვედრა, რომ ხანდახან ავიწყდებოდა, სტუმრად რომ იყო.

უცხოობის შეგრძნება საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს, როდესაც პატარა დაზე იქორწინა და სახლის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

და როდესაც ქორწინების საწყისი პერიოდის მოტკბო ბურუსიდან გამოერკვა, უკვე შეუძლებელი იყო იმ მანძილის გაზომვა, რომელიც წინა ცხოვრებისგან აშორებდა.

შეყვარებულობის ამაღელვებელი დრო უკვე გადავლილი იყო, კისერში ამოსული თმების ბღუჯასაც თავისი მომხიბვლელობა თითქმის დაეკარგა და იმად გადაქცეულიყო რადაც თავიდანვე იყო - თმების ბღუჯად. სტუდენტის გონება კვლავ გამოთავისუფლდა იმ განცდებისთვის, რომლებიც საბოლოოდ უგულებელყოფილი და მივიწყებული ეგონა. ნელ-ნელა ისევ მოეძალა ნოსტალგიის სუსტი შეგრძნება და მასთან ერთად უსამართლობის განცდაც. ერთ დღესაც, ყოველდღიურობის წვრილმანებით თავმობეზრებული, ცოლთან მორიგი წაკინკლავების შემდეგ იმ დარბაზში ჩამოჯდა, სადაც სახლში მოსვლის ღამეს შეუძღვა გოგო. ცოტა ხანი იჯდა, შემდეგ თითქმის მექანიკურად წამოდგა სკამიდან და ფანჯარასთან მივიდა. სანამ ფარდას გადასწევდა, მიაყურადა, დარწმუნდა, რომ სახლში ნაბიჯების ხმა არსაიდან ისმოდა. არ უნდოდა, რომ რომელიმე და უეცრად თავზე წამოსდგომოდა. შემდეგ ფარდა მსუბუქად აღელვებულმა გადასწია და რაც გულის სიღრმეში ისედაც იცოდა, იმაში დარწმუნდა - რომ ორგანიზაციის სიფხიზლე არ მოდუნებულა. სამაგიეროდ გააკვირვა შიშისა და ბრაზის კარგად ნაცნობმა ნაზავმა, რომელიც შავი ქურთუკებისა და მათზე ოქროსფრად გამოსახული ორგანიზაციის სიმბოლოს დანახვაზე დაეუფლა. გააკვირვა, რადგან ამ შეგრძნებისგან თავი უკვე გათავისუფლებულად ეგონა.

იმ დღიდან მოსვენება დაეკარგა. წასვლაზე ფიქრი აეკვიატა - შეიძლება საბოლოოდ წასვლა არც უნდოდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა რომ არ ჰქონდა, ღიზიანდებოდა. ცოლთან ურთიერთობა დღითი-დღე უფუჭდებოდა, უფრო და უფრო იშვიათად ლაპარაკობდნენ და მათი უკვე იშვიათი, სასიყვარულო ნიშნებისგან დაცილი

საუბრები წვრილმან საყოფაცხოვრებო პრობლემებს უტრიალებდნენ მხოლოდ. კაცს ისევ დაეწყო მოწყენილობის შეტევები, ენერგიის მოზღვავებები. ასეთ დროს სასწრაფოდ ტოვებდა ხოლმე იმ ოთახებს, რომლებიც ყოველდღიურობასთან იგივდებოდნენ - მისაღებს, სადაც პირველად უმასპინძლეს, საძინებელს, მდიდრულ, ძველ სამზარეულოს - და სახლის უარყოფილ, პერიფერიულ და მიტოვებულ ოთახებში დახეტიალობდა. საბედნიეროდ, მალე მიხვდა, რომ სახლის ეს ნაწილი თავისი მოცულობით გაცილებით აღემატებოდა სახლის საცხოვრებელ ნაწილს. აქ პოულობდა სიმშვიდეს და მოწყენილობისა და სიბრაზის მარწუხებისგან დროებით შვებას ნახულობდა.

სახლმა, რომლის მსგავსიც არაფერი ენახა, თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ახლა, როდესაც მის მიტოვებული ნაწილებით დაინტერესდა, აღმოაჩინა, რომ სახლის განსაკუთრებულობა და მოწიწება, რომელსაც ის აღძრავდა, მხოლოდ სიძველითა და სიდიდით არ იყო გამოწვეული. თავისი აქ მოსვლის პირველ ხანებში, ხანდახან შემთხვევით შეშლია ოთახი და ცარიელი ოთახის კარი შეუღია - მაგრამ მისთვის ეს ცარიელი ოთახი მაშინ არაფრით იყო საინტერესო. ახლა კი მიხვდა თუ რატომ ერეოდა ასე ხშირად გზა. სახლში უამრავი ცარიელი ოთახი იყო და ყოველი მათგანი კიდევ სხვა ცარიელ ოთახში ან ოთახებში გადიოდა. უცნაურად მოეჩვენა, რომ სახლის მნიშვნელოვნად დიდი, ცარიელი ნაწილის შესახებ არც ერთ დას სიტყვა არ დაუძრავს მასთან.

კაცმა ამ ოთახებში განმარტოებას მოუხშირა. ერთხელ გადაწყვიტა ყველა ცარიელი ოთახი მოევლო, მაგრამ ცარიელი ოთახების წყებას ბოლო არ უჩანდა და დაიკარგა. ამ უცნაურმა აღმოჩენამ ააღელვა და ბუნდოვანი იმედი აღუძრა. კიდევ რამდენმჯერმე სცადა იმ ბოლო ოთახის აღმოჩენა, რომლითაც სახლის ცარიელი ნაწილი მთავრდებოდა. რამდენიმე საათიანი ხეტიალის შემდეგ დარწმუნდა, რომ ამისთვის გაცილებით ხანგრძლივი მოგზაურობა იქნებოდა საჭირო.

სახლის ამ უცნაურობის აღმოჩენის შემდეგ მოწყენილობა გაიფანტა. კაცის თავში ნელ-ნელა მწიფდებოდა იდეა - გადაწყვიტა, რომ აუცილებლად უნდა ენახა, თუ სად წყდებოდა ოთახების მიმდევრობა. რა იყო ცარიელი ოთახების მიღმა? ეს სივრცე ახლა გადასალახ უდაბნოდ ეჩვენებოდა და თანდათან ისიც დაიჯერა, რომ თუ ოთახების ამ უდაბნოს გადალახავდა - სადღაც, მეორე მხარეს, ისეთი გასასვლელიც იქნებოდა, რომელიც ორგანიზაციის კონტროლს მიღმა უნდა ყოფილიყო. დაიწყო მზადება, თავიდან რამდენიმე საათიანი გასვლებით. რაც უფრო ღრმად შედიოდა უდაბნოში, რწმუნდებოდა, რომ საქმეს სერიოზულად უნდა მოკიდებოდა. უფანჯრო ოთახები ერთმანეთისგან მხოლოდ უმნიშვნელო, ძნელად გასარჩევი დეტალებით თუ განსხვავდებოდნენ. ზოგან ძველ, ამოყრილ პარკეტს, შიშველი ბეტონი ანაცვლებდა, ან ატკეჩილი ლინოლეუმი, ზოგში პატარა მრგვალი მაგიდის ნაცვლად მორყეული სკამი იდგა, ან სკამი და მაგიდა ერთად, ხანდახან მაგიდაზე ნახევრად ჩამწვარი სანთელი ხვდებოდა, მოჩუქურთმებული ჭერიდან ზოგან ძველი ჭაღი ეშვებოდა, ზოგან

ერთადერთი, გადამწვარი ნათურა. ოთახების სიღრმეში აღარ აღწევდა არანაირი ხმა ან სინათლე.

გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. მთელი არსებით ჩაეფლო სამზადისში. იცოდა, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი ექსპედიციისთვის. იმედი ჰქონდა, რომ მისი წინათგრძნობა არ გამართლდებოდა - რომ კარი, რომელიც გასასვლელთან, ან ოთახების ბოლოსთან მიიყვანდა, არც ისე შორს იყო, იქნებ რამდენიმე დღეში მიეღწია მისთვის, მაგრამ თუ ასე არ მოხდებოდა, დანებებას არ აპირებდა. საგზალი, წყალი, ფანარი, ტანსაცმელიც კი ჩაიწყო ჩანთაში, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გზაში დასჭირვებოდა. დებს მისი შეჩერება არ უცდიათ, მაგრამ არც სამზადისში დახმარებიან.

როდესაც პირველ ცარიელ ოთახში შეაბიჯა, მოეჩვენა, რომ სადღაც, ოთახების სიღრმიდან, თავისუფლებისა და განახლების სიომ მოუბერა; მგზავრობა მხნედ დაიწყო, პირველივე რამდენიმე საათში უდაბნოს ისეთ სიღრმეში შევიდა, სადაც თავისი საცდელი გასვლებისას არ მიუღწევია. პირველი რამდენიმე დღის შემდეგ კი ისეთ ოთახებს მიაღწია, სადაც, მისი რწმენით, ალბათ საერთოდ არავის დაუდგამს ფეხი. მაგრამ მომდევნო დღეებში მიღწეულის მოჩვენებითი სიამოვნება გაიფანტა და სიბნელე და მარტოობა დააწვა. მზარდი დაღლილობა წინსვლაში ხელს უშლიდა და იმედს უჩრდილავდა. დაიწყო ისეთი ოთახები, საიდანაც გზა იტოტებოდა - რომელთაც რამდენიმე გამავალი კარი ჰქონდათ. როდესაც პირველი ასეთი ოთახი ნახა, მიხვდა, რომ უკან ვეღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ არ შეყოყმანებულა, გზა გააგრძელა. ოთახების წყებას ბოლო არ უჩანდა სტუდენტს კი ნელ-ნელა ძალა ეცლებოდა. ფანარი ჯერ კიდევ მუშაობდა, მაგრამ საათი გაუფუჭდა და სათვალავიც აერია - რამდენი ხანი იყო რაც მოდიოდა? რამდენიმე კვირა? თვე? მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარც ჰქონდა. ყოველი სულის მოსათქმელი გაჩერების შემდეგ უფრო და უფრო უჭირდა წამოდგომა და გზის გაგრძელება. საგზალიც გამოელია და ფეხებს ძლივს მიათრევდა, ებორკებოდა და წამდაუწუმ ბორძიკობდა. იატაკის ყოველი უსწორმასწორობა, ყოველი ამოვარდნილი პარკეტი, თითქმის გადაულახავ სირთულედ გადაქცეულიყო. ნელ-ნელა დაავიწყდა კიდეც თუ რას ეძებდა ამ სახლში, ან საით მიდიოდა. იმედიც, რომ რამე შეიცვლებოდა ამ მგზავრობისას, თითქმის წაეშალა. უკვე განვლილი მანძილის უკან გავლაც შეიძლებელი გამხდარიყო. დასაღუპად იყო განწირული. მორიგი შესვენებისას ერთ-ერთ ოთახში შეჩერდა, რომელიც ისევე ჰგავდა სახლის პირველ ცარიელ ოთახს, როგორც დანარჩენი ყველა და მიხვდა, რომ ვეღარ ადგებოდა. სხეული აღარ ემორჩილებოდა და მალე საღი გონებაც მიატოვებდა. ამ ოთახში, რომელიც ალბათ ისევე შორს იყო გასასვლელიდან, როგორც პირველი ოთახი, სიკვდილი მოუწევდა. მიუხედავად პირქუში დასასრულისა, მშვიდად კვდებოდა - სინდისი სუფთა ჰქონდა. გაახსენდა ცოლი და სასახლის დამთრგუნველი კომფორტი. შემდეგ უფრო ღრმად წავიდა მოგონებებში. იქ ნახა ისეთი სურათებიც, სასახლემდელი ცხოვრების სრულიად ჩვეულებრივი სცენები, რომელიც ამ გადმოსახედიდან სრულ ფანტასტიკად მოეჩვენა.

ალაპლაპებული თვალები დახუჭა და სანამ ძილში ჩაიძირებოდა, მოეჩვენა, რომ ნაბიჯების ხმა მოესმა საიდანღაც - წინიდან, ან უკნიდან, რომელსაც უკვე ერთმანეთისგან ვეღარ ანსხვავებდა. თავს ძალა დაატანა რათა თვალი ბოლოჯერ გაეხილა. დარწმუნებული არ იყო, რომ სუსტი სინათლის თამაში, რომელიც ღია კარიდან შემოდიოდა და ნაბიჯების ხმა, უძლურებისა და ავადმყოფობისგან აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფი არ იყო. მართლაც, დარწმუნდა, რომ ბოდავდა - არ შეიძლებოდა, რომ მძიმე ჩექმები, რომლებიც თითქოს მიუახლოვდნენ, ტყავის ქურთუკები, რომელთა ჭრაჭუნიც თითქოს ესმოდა, სინამდვილე ყოფილიყო. დასანანი მხოლოდ ის იყო, რომ ორგანიზაციას სიცოცხლის ბოლო წუთებშიც ვერ დააღწია თავი. თავისუფლებას უდაბნოს ასეთ სიღრმეებშიც ვერ მიაღწია. ელანდებოდა როგორ წამოდგნენ თავზე შავი ჩრდილები, თითქოს უხმოდ, მაგრამ საქმიანად აფუსფუსდნენ მასთან ახლოს. გონება დაკარგა.

როდესაც თვალები გაახილა, თავის საწოლში იწვა - სახლში, რომელიც უკვე მშობლიური გამხდარიყო. გამოჯანმრთელების ხანგრძლივი პრიოდის შემდეგ სახლი შეცვლილი მოეჩვენა, ან, შესაძლოა, თვითონ შეცვალა ექსპედიციამ და შემდეგ ავადმყოფობამ. იმასაც მიხვდა, რომ ცოლთან უკვე აღარაფერი ჰქონდა საერთო. გაშორდა და შუათანაზე იქორწინა.

მეორე ქორწინება მისი ცხოვრების შუა პერიოდის დასაწყისს, ყველაზე უფრო შეუპოვარ, მიზანმიმართულ და სასარგებლო საქმიანობით სავსე ხანას უკავშირდება. ამ აქტიური წლების განმავლობაში კაცი ერთპიროვნულ მმართველად ყალიბდება. კაცის მთლიანი ყურადღება უშუალოდ სახლზე გადაინაცვლებს, რომლის ამოუწურავი რესურსი საკმარისი აღმოჩნდება მისი ენერგიის დასაკავებლად; ხოლო გარესამყაროს, თავისი ორგანიზაციით, ბარებითა და ყველაფერი დანარჩენით, მნიშვნელობა ეკარგება. ორგანიზაციის არსებობა, თითქმის დავიწყებას ეძლევა, უფრო სწორად სინამდვილის ერთი ჩვეულებრივი მახასიათებელი ხდება - სხვა მახასიათებლებისგან არაფრით გამორჩეული. ფანჯრიდან დანახული, კარგად ნაცნობი ქურთუკები, კუთხეში დაყენებული მანქანა, მძიმე ჩექმები - ისეთივე უმნიშვნელო დეტალებია, როგორც მოპირდაპირე კორპუსის ფანჯრის რაფაზე ატკეჩილი საღებავი, სახურავზე შემომჯდარი მტრედი. კონცენტრირებული, დაუღალავი შრომა კაცის ენერგიას ნელ-ნელა შრიტავს. ახლოვდება სიბერის წლები და ცხოვრება დასკვნით პერიოდს უახლოვდება.

ამ პერიოდის დასაწყისი, პირობითად, მორიგი და საბოლოო ქორწინებით შეიძლება აღინიშნოს - კაცი უფროს დაზე ქორწინდება.

ცხოვრების დაშრეტილი ძალები კაცის ცხოვრების გარეგნულ მხარეზე აისახება - უფრო და უფრო უძრავი და მშვიდი ხდება, შეუძლია დატკბეს განვლილი ცხოვრების მანძილზე ნაშენებითა და გაკეთებულით. მეუღლე მის სიმშვიდეზე ზრუნავს და ცდილობს მხოლოდ ისეთ საკითხებზე შეაწუხოს, რაც აუცილებლად მოითხოვს კაცის ავტორიტეტს - მაგრამ ეს არც ისე ხშირად ხდება - კაცის ერთ-ერთ მთავარ მონაპოვრად

შეიძლება ჩაითვალოს სისტემა, რომელიც თავისით მუშაობს. დრო, რომელიც ახლა მთლიანად მის განკარგულებაშია, შეუძლია ისე გამოიყენოს, როგორც საჭიროდ ჩათვლის. ერთ-ერთი იმ ოთახიდებიდან, ადრე ცარიელი რომ იყო, ახლა საგანგებოდ მისთვის არის მოწყობილი. აქ, მეფურ მარტოობასა და ოთახის მეწამულ ბინდბუნდში ჩაძირული, განვლილი ცხოვრების შეფასება და გადაფასება მისი ყოველდღიური საქმიანობაა. გარეგნული უძრავობისა და უმოქმედობის მიუხედავად, ეს შინაგანი მუშაობა მოხუცი კაცისთვის მძიმე საქმიანობაა. ეს საქმე არაფრით ჩამოუვარდება, თავისი სიმძიმითა და მნიშვნელობით, მრავალი წლის მომხდარ შეტაკებას კაფე „კოსმოსში“, ორგანიზაციისგან გაქცევას, ახალი ცხოვრების დაწყებას; იმაზე არანაკლებ დამღლელი და მნიშვნელოვანი, ვიდრე სახლის ცარიელ ნაწილში მოწყობილი ექსპედიცია, დაბრუნების შემდეგ კი ყოველდღიური საქმე და საზრუნავი.

შესაძლოა ამ ინტენსიური შინაგანი საქმიანობის ბრალია, რომ კაცი არამარტო ფიზიკური, არამედ გონებრივი ძალებისგანაც იშრიტება. ხშირად ებინდება გონება და ამ დროს სინამდვილეს ფანტასტიკური ენაცვლება, წარსულის მოვლენები ლოგიკურსა და ქრონოლოგიურ სიმწყობრეს კარგავენ - მრავალი წლის წინ მომხდარი გუშინ მომხდარს ემსგავსება, გუშინ მომხდარი მრავალი წლის წინ მომხდარის მიზეზი ხდება. წარსულის კვალდაკვალ აწმყოც სახეს იცვლის. გონების ამღვრევის ასეთ ეპიზოდებში, თითქოს დაკარგული გონებრივი სიცხადის ხარჯზე, კაცი ფიზიკური ენერგიის მოზღვავებას განიცდის. საწოლიდან დგება და სახლში დახეტიალობს. (დები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ ამ დროს, რათა ცარიელ ოთახებში არ დაიკარგოს). ფანჯარასთან მისული კაცი სამყაროში არსებული წესრიგის უტყუარ ნიშნებს ხედავს - ორგანიზაციის ოქროსფერ სიმბოლოს ტყავის ქურთუკებზე, კუთხეში ჩამომდგარ, დარაჯებით სავსე მანქანას. სანამ დაყვავებით დააბრუნებენ საწოლში, საბოლოოდ ებინდება გონება და ამ დროს განსხვავება ბარმენსა და თავდამსხმელებს შორის, მოხუც კაცსა და დებს შორის, ორგანიზაციასა და საკუთარ თავს შორის, საბოლოოდ იშლება.

რამდენიმე დღის შემდეგ, ეპიზოდური გამოფხიზლების დროს, საძინებლიდან გამოჰყავთ და საზეიმოდ მორთული მაგიდის თავში სვამენ. დარბაზში ჩამოვარდნილ სიჩუმეს სახლისთვის უჩვეულო ხმა არღვევს. თავს სწევს რათა ბოლოჯერ მოავლოს თვალი დარბაზს - გრძელ, თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი ფიგურებიდან ერთ-ერთი დარბაზიდან გადის და კაცი ხვდება, რომ კარისკენ მიემართება, რადგან უჩვეულო ხმა, რომელმაც ძილ-ბურანიდან გამოარკვია და რომელიც სახლში მოსვლის პირველი დღის შემდეგ აღარასოდეს გაუგია, კარზე ხმადაბალი, ნერვული კაკუნია.

დეი ოფი

მსუქანი კაცი მაგიდასთან იჯდა და ჭამდა. დედამისი მეორე ოთახში იყო. მსუქანი კაცს ჭამის დროს სევდიანი გამომეტყველება ჰქონდა. ოთახში დედამისი შემოვიდა და მაცივარი გამოაღო, მსუქანმა კაცმა კი კოვზი მიიტანა პირთან - კოვზზე ცოტაოდენი, რძეში მოტივტივე შვრიის ფანტელი იყო. დედამისმა მაცივარი დახურა, ისე რომ იქიდან არაფერი გამოუღია.

დედამისს რაღაც გაახსენდა და შემობრუნდა. გაკვირვებული შეხედა მსუქან კაცს, რომელიც თავის ბურბუშელას ახრაშუნებდა - ხრაშუნის ეს ხმა საერთოდ არ შეეფერებოდა მის გამომეტყველებას, არამედ პირიქით, კონტრასტს ქმნიდა მის მოჟამულ სახესთან. მისი ყბების სევდიან, უხალისო მოძრაობას დაუზეთავი კარის ჭრიალი უფრო მოუხდებოდა. დედამისი, ჩვეულებისამებრ, თვალების ჩახატვა უკვე მოესწრო, მაგიდას მიუახლოვდა.

- სამსახურში არ აგვიანებ? - კითხა მსუქან კაცს.
- არა - თქვა კაცმა, როდესაც ღეჭვას მორჩა. ამას საკმაო დრო დასჭირდა.
- როგორ? - გაუკვირდა დედას.
- არ ვმუშაობ.
- დეი ოფი გაქვს?
- კი - თქვა კაცმა.

სინამდვილეში სამსახური აღარ ჰქონდა. წინა კვირას გაათავისუფლეს. სინდისი იმით დაიმშვიდა, რომ ტექნიკურად, არ ტყუოდა - რადგან დეი ოფი სხვა არაფერია, თუ არა დღე, როდესაც არ მუშაობ. ხოლო უმუშევრობა, დეი ოფების უსასრულო მწკრივი. დღეს ამ მწკრივის პირველი დღე იყო.

კაცმა გადაწყვიტა ცოტა ხნით კიდევ გადაედო დედასთან მძიმე საუბარი. მანამდე მაინც, სანამ საუზმეს დაამთავრებდა. საუზმე ისედაც არ იყო მაინცდამაინც სასიამოვნო. სიცხისგან სულს ძლივს ითქვამდა. რძეში დამბალი შვრიის ფანტელი ყელში ძლივს გადასდიოდა. სამსახურში, რომელშიც თხუთმეტი წელი გაატარა, ახალი უფროსი მოვიდა, რომელსაც დიადი მიზნები ჰქონდა. რეფორმაცია. რევოლუცია. ევოლუცია. რენესანსი. დადგა ინოვაციებისა და ახალი აკორპორატიული ტერიტორიების აღმოჩენის ხანა. ახალი უფროსის გასამართლებლად შეიძლება ითქვას, რომ ძალღონე არ დაუშურებია, რომ როგორმე მსუქანი კაცი ამ სიტყვებთან დაეკავშირებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და კაცი სამსახურიდან დაითხოვეს. ერთი თვის ხელფასი წინასწარ გადაუხადეს.

კაცი მაგიდიდან წამოდგა და ფანჯარაში გაიხედა - პირველ სართულზე ცხოვრობდნენ, ზედ ვიწრო გზის პირას. ქუჩაში მალე ნაყინის მანქანა ჩამოივლიდა. ნაყინს სიამოვნებით შეჭამდა. გაახსენდა, რომ მხოლოდ ერთი თვის ხელფასი ჰქონდა

დარჩენილი - მომავალი, ფინანსური თვალსაზრისით მაინც, გაურკვეველი იყო. გონიერება უნდა გამოეჩინა და არამიზნობრივი ხარჯები თავიდან უნდა აეცილებინა.

კაცი ფანჯარაში იხედებოდა. თვალი გაუშტერა კარგად ნაცნობ, აცაბაცა წარწერას მოპირდაპირე კორპუსის შეყვითლებულ კედელზე და არამიზნობრივი ხარჯების რაობაზე ჩაფიქრდა. შეეცადა მოეფიქრებინა არგუმენტი რომელიც შეძლებდა და ნაყინს იმპულსური შენაძენიდან აუცილებლობად გადააქცევდა. დედამისი კი კაცს აკვირდებოდა. გრძნობდა, რომ კაცი რაღაც სერიოზულზე ფიქრობდა. საკითხის სერიოზულობა კაცის სრულ უძრაობაში ჩანდა.

- მოხდა რამე? - კითხა ქალმა.
- არაფერი - კაცი ფიქრებიდან გამოერკვა და ორი მძიმე ნაბიჯი გადადგა. შუა სამზარეულოში გაჩერდა.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა. დედა-შვილმა ერთმანეთს გადახედეს. არავის ელოდნენ. კაკუნი განმეორდა.

- მიდი, გააღე, ვინ უნდა იყოს? - შეშფოთებით თქვა დედამ.

კაცი კარის გასაღებად გაემართა.

სამზარეულოში დარჩენილმა დედამ მაგიდიდან შვილის დატოვებული, მოთხვრილი ჭურჭლის ალაგება შეწტვიტა და გაშეშდა. ნამდვილად რაღაც მოხდა - ასე ადრე ვის უნდა დაეკაკუნებინა? კაკუნი ყოველთვის შემაშფოთებელი იყო და მით უმეტეს, ასე ადრე.

ჩაბნელებულ მისაღებში შედარებით გრილოდა. მსუქანმა კაცმა კარი გააღო. კარში პოლიციელი იდგა.

- აქ ცხოვრობს ნიკოლოზ ქუთათელაძე? - იკითხა პოლიციელმა.
- დიახ - სევდიანად უპასუხა კაცმა - რა ხდება?
- არაფერი, უბრალოდ გადავამოწმეთ - თქვა პოლიციელმა და წავიდა.

მსუქანი კაცი სამზარეულოში დაბრუნდა.

- ვინ იყო? - კითხა დედამ. რატომღაც ხალათის გულისპირი მთლიანად დაეფარა და ხალათის კალთებს ხელით იმაგრებდა, თითქოს ასე აირიდებდა იმ საფრთხეს, რომელიც ასე ადრეულად მოსული სტუმრისგან იყო მოსალოდნელი.
- პოლიცია.

ქალი სკამიდან წამოდგა. თვალები გაუფართოვდა, ხალათი დაავიწყდა და გულისპირი მოეღეღა. უცებ სრულიად დაუცველი გახდა.

- რა მოხდა?

- არაფერი არ მომხდარა - თქვა კაცმა. მძიმედ დაეშვა სკამზე, რომელიც მისი სხეულისთვის ზედმეტად პატარა ჩანდა. ქუთუთოების მოშვებული კანი კიდევ უფრო მოშვებოდა რაც განსაკუთრებულად სევდიან იერს ანიჭებდა.
- აბა პოლიციას რა უნდოდა? ვაიმე! - დაიყვირა ქალმა.

კაცმა თავი გაკვირვებით აწია და ქალს შეხედა.

- რა მოგივიდა? - ცოტათი შეშფოთდა მსუქანი კაცი.
- მითხარი რა მოხდა - თქვა ქალმა - რაღაცას მიმალავ.
- არაფერს არ გიმალავ. ხომ გითხარი პოლიციელი იყო... მაგრამ არაფერი უნდოდა.
- აბა მაშინ რატომ დარეკა?
- ვამოწმებთო. ნიკოლოზ ქუთათელაძე თუ ცხოვრობს აქო.

ქალი ისევ სკამზე დაეშვა და ტირილი დაიწყო. ტიროდა და ხალათის გულისპირით იწმენდდა თვალებს. კაცი წამოდგა და ქალს ზურგი შეაქცია. ეს იმპულსური მოქმედება იყო. თავი მოიკატუნა, ვითომ მაცივარში ეძებდა რაღაცას. ქალმა კი ტირილს მოუმატა. კაცი შემობრუნდა.

- ხომ გითხარი არაფერი მომხდარა.
- მერე არ შეგეძლო გეთქვა? - სლუკუნებდა ქალი.
- და ხომ გითხარი! - დაიყვირა კაცმა - რამდენჯერ გითხარი.

მაგრამ ქალს ეს არგუმენტი როგორც ჩანს სარწმუნოდ არ მოეჩვენა. პირიქით, ტირილს მოუმატა.

- კარგი რა - თქვა კაცმა და ისევ მიუახლოვდა მაგიდას - რა გატირებს. ტყუილა ტირიხარ.

ქალმა თავი ასწია.

- ტყუილა ვტირივარ არა? არაფერს არ მეუბნები. ძაღლივით მექცევი.

კაცს არაფერი უთქვამს. თავდახრილი იჯდა. შორიდან ნაცნობი ხმა მოესმა. ნაყინის მანქანის ძრავის ხმას კარგად ცნობდა. ათას ძრავაში ამოიცნობდა.

- ნაყინი გინდა? - თქვა კაცმა.

ქალს არაფერი უპასუხია, სამაგიეროდ ტირილს უკლო. კაცი სკამიდან წამოდგა და კარისკენ გაემართა. სამზარეულოში დარჩენილმა დედამ ტირილი შეწყვიტა და ცრემლები მოიწმინდა. ფანჯრიდან დაინახა თავისი შვილის უზარმაზარი, ცოტა მოხრილი ზურგი. ფანჯარა გამოაღო და დაუძახა:

- მე შოკოლადის წამომიღე.

მსუქანი კაცი არ შემობრუნებულა, საფულიდან ფულს იღებდა და მენაყინეს აწვდიდა. შემდეგ მენაყინემ მანქანა დაძრა, კაცი შემობრუნდა და სახლისკენ წამოვიდა, ცალ ხელში ორი შოკოლადის ნაყინი ეჭირა.

ცხრა მოთხრობა

ერთხელ ერთ კაცს კიბო დაემართა და გარდაიცვალა.

ერთი კაცი ცოლმა მიატოვა, ის კი მაშინვე გარდაიცვალა.

მეორე კაცი ცოლმა არაფრით არ მიატოვა და კაციც დარდისგან გარდაიცვალა.

როდესაც კაცი გარდაიცვალა, ის ცოლმა მიატოვა. კაცისთვის კი ყველაფერი უკვე სულ ერთი იყო.

ერთ კაცს საშინელი რამ დაემართა. ის ცოლმა მიატოვა.

ერთ კაცს საშინელი რამ დაემართა - მას მიტოვებული ცოლი გამოეკიდა.

არქეოლოგიურ ექსპედიციაში წასული ვინმე გიორგი გულბანი ხევში ჩაიჩეხა. ეს მისმა ცოლმა გაიგო და მაშინვე მისი მიტოვება გადაწყვიტა. თუმცა გიორგი სასწაულებრივად გადარჩა, ხევიდან ამობობღდა და ირგვლივ მიმოიხედა.

კაცი მთელი ღამის განმავლობაში სეირნობდა. დილისკენ სახლში მივიდა, მაგრამ იქ არავინ დახვდა.

ერთმა კაცმა თავისი საწერი მაგიდის უჯრიდან პისტოლეტი ამოიღო და შუბლზე მიიდო. მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ ასე სროლა ძალიან მოუხერხებელია და პისტოლეტის ლულა საფეთქელზე მიიდო. ჩაფიქრდა, რომელ საფეთქელზე ჯობდა მიდება და შემდეგ პისტოლეტი მეორე მხარეს გადაიტანა. ჩაფიქრდა იმაზე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი კომფორტს ებღაუჭებოდა და საკუთარ თავზე გაეცინა, სიცილმა კი კარგ ხასიათზე დააყენა. კაცი გამხიარულდა, ოთახში კი მზემ შემოანათა - დაეფინა იატაკს, საწოლს, მიყრილ-მოყრილ ნივთებს. კაცის ცოლის გვამის ფეხებიც გაანათა. კაცი უყურებდა თავისი ცოლის გვამის ფეხის ფრჩხილზე არეკლილ სხივებს. სხივები მის შეთხელებულ თმაში ცელქად ათამაშდნენ და თვალებშიც შეაჭყიტეს. კაცი არაჩვეულებრივ გუნებაზე დადგა. გაიღიმა და გამოაჩინა შეყვითლებული კბილები. საშინელ სისულელედ ეჩვენა, რომ ცოტა ხნის წინ საფეთქელზე ლულა ჰქონდა მიდებული. ეს ისეთი სისულელე იყო, რომ გაუკვირდა, თუ როგორ შეიძლებოდა აქამდე მისულიყო. იმდენად გაუკვირდა, რომ მოუნდა გაერკვია - რას გრძნობდა მაშინ, როდესაც პისტოლეტის ლულა ჰქონდა საფეთქელზე მიდებული - რადგან ეს შეგრძნება ახლა შორეული ჩანდა, შეუძლებელიც კი. ლულა ისევ მიიდო საფეთქელზე, იმ იმედით, რომ ამ შეგრძნებას აღიდგენდა და ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა. და მართლაც, შეგრძნება ისევ აღუდგა. გაღიმებული პირი მოექცა და შეყვითლებული კბილები საზარლად დაეკრიჭა. მზე ისევ შეიმალა ღრუბლებში. ოთახში ისევ გამეფდა ნაცრისფერი გლოვა. გაცილებით უფრო საშინელი გლოვა, ვიდრე ნაცრისფერია. კაცმა ჩახმახს გამოჰკრა, რადგან მეტის გაძლება აღარ შეეძლო. მაგრამ პისტოლეტი წუნიანი აღმოჩნდა და გასროლა არ მოხდა. კაცი სავარძელს გადააწვა და ჩაფიქრებული პისტოლეტს დააცქერდა. შემდეგ ხელი ჩაიქნია

- ყოველმხრივ წარუმატებელი დღე ჰქონდა. წამოდგა და გვამის გვერდის ავლით სამზარეულოში გავიდა, რათა ყავა მოემზადებინა. სამზარეულოს ფანჯრიდან მოჩანდა გვიანი შემოდგომის ქალაქის გარეუბნის უღიმღამო კუნჭულები. გაძარცვული ხეები. გზაზე ვიღაც ბავშვებმა გადაირბინეს.

სიცილის ოთახი

პარასკევს ოფისიდან გვიან გამოვიდა. მძიმე სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. ასეთი მონდომებითა და ტემპით თუ იმუშავებდა, პროექტი, რომლის მენეჯერადაც მუშაობდა ერთ-ერთ მსხვილ სადაზღვეო კომპანიაში, აუცილებლად წარმატებით დასრულდებოდა. გაზაფხულის პირველი, შედარებით თბილი საღამო იდგა და გადაწყვიტა ცოტა გაესეირნა. ცენტრალურ ქუჩას გაუყვა - დიდი ხანი იქნებოდა გასული მას შემდეგ რაც ბოლოს გაისეირნა ღამის ქალაქში: როგორც წესი ამისთვის დრო არ რჩებოდა ხოლმე.

ნახევრად აშენებულ ცათამბჯენს მიუახლოვდა, სადაც რამდენიმე წელიწადში სადაზღვეოს ოფისიც გადავიდოდა. წარმოიდგინა, თუ რა სიმაღლეზე იქნებოდა (ფიზიკურად და კარიერულადაც) ასე, ხუთი წლის შემდეგ და წინასწარ დაეხვა თავბრუ. განსაკუთრებით კარგი გუნებაგანწყობის ბრალი თუ იყო, რომ იმ ღამეს ისეთ ამბავში გაეხვა, რომლის არიდებასაც სხვა დროს აუცილებლად მოახერხებდა.

ცათამბჯენთან გამწვანებულ, პარკის მაგვარ ზონასაც ამზადებდნენ. ნაწილი უკვე დაესრულებინათ, მაგრამ განათებები ჯერ არ დაედგათ. გიორგის ჩაბნელებული, ნახევრად დასრულებული პარკიდან უჩვეულო ხმა შემოესმა. უფრო სწორად, ხმა კი არ იყო უჩვეულო არამედ ასეთ დროს და ასეთ კარგ განწყობაზე მყოფს უცნაურად მოეჩვენა, რომ ვიღაც ტიროდა. თვალები მოჭუტა და იმ ადგილს დააკვირდა საიდანაც ხმა მოდიოდა. თვალები სიბნელეს ნელ-ნელა შეეჩვია და როგორც იქნა გაარჩია სკამი და მასზე მჯდომი ფიგურა - სკამთან დაყრილი სამშენებლო მასალის გროვისგან. გიორგიმ მიმოიხედა - ირგვლივ მეტი არავინ ჩანდა. სკამზე მჯდომსაც კარგად ვერ ხედავდა, რომ ახალგაზრდა ქალი უნდა ყოფილიყო. ღამით, ქუჩაში ტირილისთვის შესაძლოა ზედმეტად ახალგაზრდაც. გიორგი გაჩერდა და ცნობისმოყვარეობის და შესაძლოა თანაგრძნობის გამოც გადაწყვიტა სკამს მიახლოვებოდა. რამდენიმე ფრთხილი ნაბიჯი გადადგა; უკვე კარგად შეეძლო გაერჩია - როგორ ეშვებოდა ახალგაზრდა ქალის დახრილი თავიდან გრძელი თმა თხელ, შიშველ მუხლებამდე.

კიდევ ერთხელ მიმოიხედა და რადგან ისევ არავინ ჩანდა, საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება.

- უკაცრავად - იკითხა მორიდებით - დახმარება ხომ არ გჭირდებათ?

გოგომ ტირილი შეწყვიტა და თავი ასწია - თვალებიდან თმა გადაიწია და გიორგი აუჩქარებლად შეათვალიერა. შემდეგ სახე ისევ ხელებში ჩამალა და ტირილი გააგრძელა. გიორგიმ უხერხულად მოინაცვლა ფეხი.

- ექიმი ხომ არ გჭირდებათ... ან პოლიცია.

პოლიციის ხსენებაზე გოგომ ისევ ამოიხედა.

- პოლიცია რა შუაშია? - იკითხა მკაცრად.

- რავი... მე ხომ არ ვიცი. ისე ვთქვი - თქვა გიორგიმ. მცირე პაუზის შემდეგ ფრთხილად დაამატა - და ექიმი არის შუაში?

- არც ექიმი - თქვა გოგომ, თვალების გამშრალებას შეუდგა.

გიორგი ცოტა კიდევ მიუახლოვდა სკამს.

- რამით ხომ ვერ დაგეხმარებით?

- ვერავინ დამეხმარება.

ამითი, პრინციპში, გიორგის მოვალეობა მოხდილი იყო და მშვიდად შეეძლო გზა გაეგრძელებინა, ესე იგი დაბრუნებოდა თავისი ცხოვრების წარმატებულ მდინარებას. მაგრამ რატომღაც წასვლა არ იჩქარა. გოგოს პირდაპირ არ უთქვამს, რომ დახმარება არ სჭირდებოდა, გიორგი კი ჩავლილი დღის პოზიტივმა და გოგოს გარეგნობამ წაახალისეს. გოგოს მიუჯდა და მის დამშვიდებას შეუდგა. ყოველ სიტყვას ფრთხილად არჩევდა, თითქოს ნელ-ნელა აჩვევდა აზრს, რომ ყველაფერი კარგად იქნება. გოგომ ტირილს უკლო, დროდადრო ამოხედავდა ხოლმე და ერთი-ორჯერ თანხმობის ნიშნად თავიც კი დაუქნია.

რამდენიმე წუთის შემდეგ გიორგიმ გაარკვია - გოგოს ნია ერქვა და წასასვლელი არსად ჰქონდა. არა და, მაწანწალას ან უსახლკაროს - არ გავდა.

- გრძელი ამბავია - უპასუხა ნიამ სევდიანად გიორგის შეკითხვას და მეტი არაფერი უთქვამს. გიორგი აღარ ჩააცივდა.

- ჩემთან წავიდეთ და იქ მომიყევი.

ნიამ თავიდან მკაცრი უარი უთხრა.

- აბა აქ ხომ არ დაგტოვებ, შანსი არაა - განაცხადა გიორგიმ.

გიორგის ასეთმა შეუვალმა პოზიციამ ნიაზე იმოქმედა და ნელ-ნელა მოლბა. მაგრამ სანამ საბოლოოდ დათანხმდებოდა, განაცხადა, რომ არ უნდოდა თავისი პრობლემები ვინმესთვის თავზე მოხვია, მით უმეტეს თუ ამითი რამე საფრთხე დაეუმუქრებოდა მის კეთილისმყოფელს.

გიორგის ეს ფრაზა უყურადღებოდ დარჩა - მისი გონება იმ სიტყვებით ტკბობას დაეკავებინა, რომლებიც ნიას დაწყნარებას და გიორგისთან სახლში წასვლაზე დათანხმებას მოახმარა რამდენიმე წამის წინ და რომლებიც საკუთარი უნარების - დიპლომატიისა თუ სიტყვით მანიპულირების სფეროებში - დადასტურებად მიიჩნია.

მანქანაში ჩასხდნენ და ათიოდე წუთში ქალაქის ცენტრთან ახლოს მდებარე უბანში იყვნენ, გიორგის ბინასთან.

გიორგიმ ნიას თავისი ბინა დაათვალიერებინა და ცდუნებას ხაზი გაესვა რემონტის სხვადასხვა ღირსშესანიშნავ დეტალზე - ვერცერთხელ გაუძლო. ნია ძირითადად

ჩუმად იყო და მხოლოდ რამდენიმე, ცალყბა შექება გაიმეტა (საძინებლის კარის მასალა შეაქო). სხვა დროს გიორგი ალბათ იმედგაცრუებულიც დარჩებოდა სტუმრის ასეთი გულგრილობის გამო, მაგრამ რადგან იცოდა, რომ ნიას ახლა რაღაც მძიმე, გიორგისთვის ბუნდოვანი გასაჭირი ადგა, აპატია. ბინის ბოლო ღირსშესანიშნაობაც, ვრცელი აივანი რომლიდანაც ხედი ღამის საათებშიც კი ცოცხალი და ჭყეტელა ქუჩის მთელ სიგრძეზე იშლებოდა, საკმარისი (გიორგის აზრით) დაფესების გარეშე დარჩა.

დათვალიერება რომ მორჩა, გიორგიმ ნია მისაღებ ოთახში მიიპატიჟა - დაბალ ჟურნალების მაგიდას მიუსხდნენ და გიორგიმ გოგოს ყველაფერი შესთავაზა სათითაოდ, რაც კი სახლში ჰქონდა - მაგრამ ყველა სახის საჭმელზე, ალკოჰოლურ სასმელზე რიგ-რიგობით მიიღო უარი და ბოლოს, წარმატებაში დაეჭვებულმა, გოგო როგორც იქნა დაითანხმა ჩაიზე - რადგან ნია გარეთ დიდხანს ჯდომისგან შემცივნულიყო.

გიორგი სამზარეულოდან დაბრუნდა და ცოტა ხნით ჩუმად ისხდნენ, ჩაითა და ყავით სავსე ჭიქები ხელში ეჭირათ. გიორგის ახლა გოგოს შეთვალიერება უფრო მშვიდად შეეძლო და რაც უფრო მეტს აკვირდებოდა გოგოს (თუმცა ამის გაკეთებას მაინც მალულად ცდილობდა, არ უნდოდა გოგოს უხერხულობა ეგრძნო), მით უფრო კმაყოფილი იყო თავისი გადაწყვეტილებით, უფრო სწორად, მადლიერი იყო სიკეთის იმ იმპულსისა, რომლის წყალობითაც გოგო მის სახლში აღმოჩნდა. მაგრამ ამასთან, ბოლომდე კმაყოფილებისთვის რაღაც აკლდა და ეს რაღაც აშკარა გულგრილობასთან უნდა ყოფილიყო კავშირში. ნიას არაფერი უთქვამს მას შემდეგ, რაც ჩაის დალევაზე ცალყბა თანხმობა დასცდა. კიდევ, იყო რაღაც უსიამოვნო გიორგისთვის იმაში, თუ როგორი ზედაპირული ყურადღებით და როგორც გიორგის მოეჩვენა ცოტა ამრეზითაც კი ათვალიერებდა ოთახს, თავად გიორგის კი თვალს არიდებდა. გიორგიმ მაინც მოახერხა დაეთრგუნა იმედგაცრუება, რომელსაც გოგოს პასიურობისა და მადლიერების აშკარა ნაკლებობის გამო განიცდიდა და ამაში ცნობისმოყვარეობა დაეხმარა, რომელიც ყოველ წამიერად უმწვავდებოდა. როდესაც ნიას ჭიქაში სითხე იმდენად გაგრილდა, რომ გოგომ პირველი ყლუპის მოსმა შეძლო, გიორგიმ საუბრის გაბმა სცადა:

- შაქარი ხომ არ გინდა?

- არა.

- გათბობას ხომ არ ავუწიო?

- არა, კარგია.

- ალბათ ძალიან დაღლილი ხარ - თქვა გიორგიმ, რომელიც თვითონ გრძნობდა უკვე დაღლილობას.

- ისე რა - თქვა გოგომ - დღე და ღამე არეული მაქვს.

- მართლა? - უთხრა გიორგიმ - მაინც რას საქმიანობ?

ნიამ ცივად შეხედა და გიორგი, რომელმაც თავი ისე იგრძნო, როგორც თავისი სადაზღვევო კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრისას გრძნობდა ხოლმე, სწრაფად დაამატა:

- არა, პროსტა რამეზე რო ვილაპარაკოთ თორე… თუ არ გინდა არ თქვა

ნიას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაი მოსვა და კედელზე ჩამოკიდებული უზარმაზარი ტელევიზორის შავ ეკრანს მიაჩერდა. გიორგიმ თავისი ყავის ჭიქა დაბალ მაგიდაზე დადო - ყავა აღარ უნდოდა, თან, უცებ მოეჩვენა, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო. სურვილი, განსაკუთრებით ზრდილობიანი ყოფილიყო, გაუქრა. ხელები გულზე დაიკრიფა. აშკარა იყო, საღამო უფრო ნაკლებ სახალისო გამოდგა, ვიდრე იმედოვნებდა. უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ დაღლილობას მოიმიზეზებდა, საწოლს აქვე გაუშლიდა გოგოს და დასაძინებლად წავიდოდა. და ამ დროს ნიას მზერა შეამჩნია. გოგოს გამომეტყველებაში რაღაც ახალი შენიშნა.

- რანაირად მიყურებ? - უთხრა ცოტა შემცბარმა.

- მართლა გინდა იცოდე?

- რა უნდა ვიცოდე.

- ყველაფერი.

გიორგის არ დაუსვია საკუთარი თავისთვის შეკითხვა - თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიზეზი ნიას გადაწყვეტილების უეცარი ცვლილების. იმედმა, რომ საღამო ჯერ კიდევ არ იყო დაკარგული, შეაფხიზლა და შეეცადა თავი ისე მოეჩვენებინა, თითქოს მაინცდამაინც აღარ აინტერესებდა ეს რაღაც ამბები.

- რა ვიცი - მხრები აიჩეჩა - მე სიამოვნებით მოგისმენ. მარა თუ მოყოლა არ გინდა, ხომ არ დაგაძალებ.

- მოგიყვები - თქვა გოგომ, ისე თითქოს გიორგის მოჩვენებითი გულგრილობა არც შეუმჩნევია - მაგრამ უნდა გაგაფრთხილო.

- გამაფრთხილო? - გაიცინა გიორგიმ - რამე სერიოზულია?

- რა და... ისეთი ინფორმაციებია, რო შეიძლება პრობლემა შეგექმნას.

გიორგიმ ყავა მოსვა და ნიას გაუღიმა. პირველად, მთელი საღამოს განმავლობაში გაუჩნდა ეჭვი, რომ ნია რაღაცას ატყუებდა. ახლაღა მიაქცია ყურადღება გოგოს მიერ ცოტა ხნის წინაც ნათქვამ ბუნდოვან გაფრთხილებას, რომლის მიხედვითაც გიორგის შეიძლება საფრთხე დამუქრებოდა. არა, ამის არ სჯეროდა, მაგრამ ისიც ვერ გაეგო, რაში უნდა დასჭირვებოდა გოგოს ტყუილები. პარკში მიტოვებულმა გოგოს ცრემლებმა, მისმა გარეგნობამ და მთელი დღის დაუღალავმა მუშაობამაც, როგორც ჩანს სიფხიზლე მოუდუნა - ყველაფერი თავიდანვე ვერ გაშიფრა. მაგრამ არც ახლა იყო გვიანი - საკმარისი იქნებოდა ცოტა მეტი ყურადღება გამოეჩინა იმის მიმართ, რასაც გოგო

იტყოდა და საჭიროებისამებრ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ემოქმედა. ამ ეტაპზე ძნელი იყო გარკვევა, რა დოზით იყო სიმართლე ნიას ნათქვამში. ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ მოეჩვენა, რომ ამ ლაწირაკმა, რომელსაც, პრინციპში, მის მისაღებ ოთახში არაფერი ესაქმებოდა, ისეთი რამ იცოდა, რისი ცოდნაც სხვას პრობლემებს შეუქმნიდა.

- შენ მაგაზე არ ინერვიულო - თქვა გიორგიმ.

- დარწმუნებული ხარ?

გიორგის თავდაჯერებული გაღიმება და თავის დაქნევა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ნიას პასუხისმგებლობის სიმძიმე შემსუბუქებოდა და თითქოს ეს შემსუბუქება ამჯერად თვითონ გამოხატა - მხრების აჩეჩვით. შემდეგ ფეხები ტახტზე აიკეცა, ორივე ხელში მოქცეული ჩაის ჭიქა გულზე მიიხუტა და თვალები ჭერს მიაპყრო.

გიორგი მოსასმენად მოემზადა, მაგრამ ხანმოკლე პაუზის შემდეგ გოგოს ლოყაზე ცრემლი შენიშნა, რომელიც ჩაღრმავებისკენ, რომელსაც ტუჩის კუთხე ქმნიდა, მიცოცავდა. გიორგი, რომელიც მომზადებულიყო სხვადასხვა ლინგვისტური თუ კინეტიკური ნიშნების კრიტიკული ანალიზისთვის, ამ დარტყმისთვის მაინც მოუმზადებელი აღმოჩნდა - დაიბნა და ცოტა მოლბა კიდეც მიუხედავად თავისი გადაწყვეტილებისა ცივი ზრდილობიანობით შემოფარგლულიყო მთელი საღამოს განმავლობაში. ნიას ცრემლებმა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მათგანი უკვე ნანახი ჰქონდა, მაინც მოახდინეს მასზე ზეგავლენა. თანაგრძნობისთვის რომ მეტი წონა მიეცა ნიას გვერდით გადაჯდა და ისევ, როგორც ორიოდე საათის წინ, შეეცადა მის დამშვიდებას. მაგრამ მისმა მცდელობამ სიტუაცია ამჯერად შემსუბუქების ნაცვლად კიდევ უფრო გაამწვავა და ის ერთი ცრემლი სულ მალე ცრემლების მთელმა ნიაღვარმა ჩამორეცხა. გიორგის სხვა გზა აღარ ჰქონდა გარდა იმისა, რომ ცოტა დაძაბულად მაგრამ პასიურად დალოდებოდა ამ ნაკადის მილევას.

საბედნიეროდ გოგომ ტირილი მალევე შეწყვიტა. გიორგიმ კიდევ ერთხელ მოუთათუნა ხელი ზურგზე.

- აბა, როგორ ხარ?

- უკეთესად - თქვა გოგომ - ბოდიში.

- ეგ არაფერი.

გიორგი წამოდგა. მსგავს სიტუაციებში გამოუცდელმა ჩათვალა, რომ ნიას სტიქიურმა ნიაღვარმა ლაპარაკის სურვილი დაუკარგა და მზად იყო ისევ შეეთავაზებინა დასაძინებლად წასვლა, მაგრამ გოგომ მოყოლა დაიწყო. გიორგი ისევ თავის სავარძელში გადაჯდა. გადაწყვიტა რაც შეიძლება ნაკლებად შეეშალა ხელი და უხმოდ მოესმინა.

ნია არეულად ლაპარაკობდა და გიორგის თავიდან გაუჭირდა ნახსენები ადგილები, ტოპონიმები, საკუთარი სახელები და გარემოებები ერთიან სურათად შეეკრა. ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში თავიდან მაინც, რაც ნიას მონათხრობის დანაწევრებულ ნაწილებს აერთიანებდა უსიამოვნო შთაბეჭდილება იყო, რომელსაც ისინი გიორგიზე ახდენდნენ. დანაწევრებული, მიკიბ-მოკიბული შესავლის, რომელიც მთელი დანარჩენი ამბის ტონის განმსაზღვრელიც აღმოჩნდა, მოკლე შინაარსი შემდეგი იყო: გოგო გავლენიანი "საჯარო პირის" შვილობილი იყო.

როდესაც ნია თექვსმეტი წლის იყო მამა გარდაეცვალა. ტრაგედიიდან სულ ცოტა ხანი იყო გასული, როცა ნიასა და მარტოდ დარჩენილი დედამისის ცხოვრებაში გავლენიანი საჯარო პირი გამოჩნდა. დედამისმა მალე, სულ რამდენიმე თვეში დაასრულა ქმრის გლოვა და უცნაურად დაიწყო მოქცევა. ნია კარგად ხვდებოდა თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო დედამისის გაუმჯობესებული ხასიათის, განახლებული გარდერობის და ხანმოკლე, მაგრამ განსაკუთრებულად გასაიდუმლოებული სატელეფონო საუბრების მიზეზი, მაგრამ იმას, თუ როგორ შეცვლიდა მის ცხოვრებას დედამისის ახალი ნაცნობი, ვერასოდეს წარმოიდგენდა. მომავალ მამინაცვალთან პირველმა შეხვედრამაც ვერ გააცნობიერებინა უკვე გარდაუვალი ცვლილებების მთელი მასშტაბი. გავლენიანი პიროვნება სტუმრად მოვიდა პატარა ბინაში, სადაც მაშინ დედა-შვილი ცხოვრობდა - და თან შუადღეს, რა დროც, ნიამ მაშინვე იეჭვა, რომ საგანგებოდ იყო შერჩეული, რათა ვიზიტის მეგობრული ხასიათისთვის გაესვა ხაზი. დედამისმა ის წარუდგინა როგორც ძველი ნაცნობი და კეთილისმყოფელი. ამ სტუმრობის უწყინარი და არაფრით გამორჩეული ხასიათი იყო ალბათ მიზეზი იმისა, რომ ნიას პირველი შთაბეჭდილება დადებითი თუ არა, უარყოფითიც არ ყოფილა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ ადამიანს, რომელიც ჩაის დასალევად მიდის სტუმრად მეგობრის ბინაში, შეიძლება მეგალომანიური ტირანისა და ურჩხულისათვის დამახასიათებელი მიდრეკილებები აღმოაჩნდეს. საკითხავია, იცოდა თუ არა დედამისმა მაშინ, თუ ვისთან ჰქონდა საქმე? ნია დარწმუნებული არ იყო, იცნობდა თუ არა გავლენიანი პიროვნების ამ დაფარულ მხარეს დედამისი. შეიძლება იცნობდა და ცდუნებამ სძლია - რადგან კეთილისმყოფელის მატერიალური შესაძლებლობებისა და გავლენების შესახებ კი ნამდვილად უნდა ჰქონოდა რაღაც წარმოდგენა. ასეა თუ ისე, სამიოდე თვე დასჭირდა იმას, რომ პომპეზურ ქორწილით დაგვირგვინებულიყო ჩაის ვიზიტით დაწყებული შეხვედრების სერია - ნია მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა ასეთი ნაჩქარევი ქორწილის მიზეზს, როდესაც კარგად გაიცნო გავლენიანი პიროვნების მტაცებლური, იმპულსური ხასიათი, რომელიც ნებისმიერი, რაგინდ უმნიშვნელო და კაპრიზული სურვილის დაუყოვნებლივ ასრულებისკენ იყო მიმართული.

თავიდან, როდესაც ახალ სახლში (ფაქტობრივად, სასახლეში, რომლის უზარმაზარი ვერანდიდანაც ხედი მთელს ქალაქზე იშლება) გადავიდნენ, ფიზიკურმა და სოციალურმა სიმაღლეებმა, რომელზეც უეცრად აღმოჩნდნენ, ნიასაც კი თავბრუ დაახვია - თავიდან, კომფორტითა და უამრავი მოჩვენებითი, მატერიალური სიკეთით

დაბრმავებულმა, თვალის დახუჭვა სცადა იმ ტირანიაზე, რომელიც სახლში იყო გამეფებული და რომელმაც ნელ-ნელა დედა-შვილიც დაიმორჩილა და მუდმივ კონტროლს დაუქვემდებარა. ნიას ზუსტად არ ახსოვდა ის მომენტი, როდესაც გადაწყვიტა, რომ მამინაცვალს შეწინააღმდეგებოდა, ახალი სინამდვილისთვის ომი გამოეცხადებინა. შეიძლება მაშინ ვერ აცნობიერებდა, რომ ზიზღი, რომელსაც ახალი, პრესტიჟული სკოლისადმი განიცდიდა, რომელშიც გადასვლა მოუწია, და სადაც დაცვის ორი თანამშრომელი დაყვებოდა, მართლა სკოლა კი არ იწვევდა მასში, არამედ ზოგადად, ახალი სინამდვილის მარწუხები - მაგრამ ნიამ უარი თქვა სკოლაში წასვლაზე.

ტირანის რეაქცია რომელიც შვილობილის დაუმორჩილებლობამ გამოიწვია, დედამისიც კი, რომელიც ჯიუტად ამბობდა უარს სინამდვილის დანახვაზე, შეაცბუნა. ნიას, სანამ ისევ არ დაუბრუნდებოდა მორჩილი და მადლიერი შვილის ამპლუას, აეკრძალა გარეთ გასვლა და სახლში აუზით სარგებლობა. ტყუილად ეგონა ნიას, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ (და ამას გოგო სინანულით იხსენებდა) დანებდა, და სკოლაში წასვლაზე დათანხმდა, რომ ეს სასტიკი შეზღუდვები მოიხსნებოდა. რადგან ერთხელ გადაუხვია მამინაცვლის მითითებას, სამუდამოდ მოუწევდა ეჭვისა და მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა. ჯერ კიდევ ბავშვს, კარგად არ ჰქონდა გააზრებული თუ რა ძალას უპირისპირდებოდა და ამიტომ შეწინააღმდეგება გაბედა - ერთხელ სკოლის დასრულების შემდეგ დაცვას გაეპარა და ერთ-ერთ ახლადშეძენილ კლასელთან ერთად კინოში წავიდა.

კინოთეატრს მალე მოექცა დაბურულმინებიანი მანქანებისა და პოლიციის ეკიპაჟების გაუვალ ალყაში. ნია სახლში დააბრუნეს, მისი მეგობარი კი, რომელიც, როგორც ნიას ეგონა, რომ ასევე მნიშვნელოვანი ადამიანის შვილი უნდა ყოფილიყო, სკოლიდან გარიცხეს.

ამ ინციდენტის შედეგად მიხვდა, რომ არც დედამისს შეეძლო მისი დახმარება; ნაწილობრივ გულგრილობის და ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ ნიასავით ისიც ჩვეულებრივი პატიმარი იყო და თავისი შემგუებლური ბუნების გამო შეეძლო ნებისმიერ შეზღუდვას არათუ მორგებოდა, შეზღუდვები ცხოვრების დიდ საჩუქრადაც წარმოედგინა. ნიამ გადაწყვიტა ნებისმიერ ფასად დაეღწია თავი მახრჩობელა კომფორტისა და მამინაცვლის ზედამხედველობისგან. შემდეგი ორი წლის განმავლობაში მოჩვენებით მორჩილების ხანმოკლე პერიოდებს, როდესაც ზედამხედველების ყურადღება მოდუნდებოდა ხოლმე, ყოველთვის მოსდევდა ნიას დაუმორჩილებლობა - გაქცევის მცდელობა და გაქცევის წარუმატებლობის შემდეგ (რადგან ყოველთვის მალე პოულობდნენ და სახლში აბრუნდებდნენ უტყვი და უგრძნობი დაცვის წევრები), თავხედობა - შეურაცხმყოფელი სიტყვების ნიაღვარი ან პირიქით, დამამცირებელი და აგდებული სიჩუმე.

ამ ბრძოლაში გავიდა სამი წელი, რომლის განმავლობაში ერთხელაც არ გაუმარჯვია - მორალურად ალბათ ყოველთვის გამარჯვებული იყო, მაგრამ ეს არანაირ სიამოვნებას

არ ანიჭებდა. ამ განუწყვეტელმა დამარცხებებმა, შიშმა და დაძაბულობამ საბოლოოდ გატეხა კიდეც. წინააღმდეგობის ძალა აღარ ჰქონდა, რადგან იმედი დაკარგა. ამის შემდეგ დაიწყო მორჩილების ჩუმი და მძულვარე პერიოდი, როდესაც ყველაფერს ზედმიწევნით ისე აკეთებდა, როგორც უბრძანებდა მამინაცვალი - ესე იგი დედამისის ან მოსამსახურის პირით შემოუთვლიდა. მაგრამ ზუსტად ისე, როგორც მანამდე ნიას დაუმორჩილებლობა, ნიას მორჩილებაც მხოლოდ მამინაცვლაზე კი არა, სასახლის ყველა წევრზე გავრცელდა: დედამისზე, დაცვის ნებისმიერ წევრზე, მოსამსახურეებზე და თუ საჭირო იქნებოდა ფინანსურ მრჩეველზეც გავრცელდებოდა, რომელიც კვირაში ერთხელ მოდიოდა და მამინაცვლთან ერთად ოთახში იკეტებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიას აბსოლუტური მორჩილება სინამდვილეში პროტესტის უკიდურესი ფორმა იყო, გაუმჯობესებული ქცევა გამოსწორების გზაზე დადგომად ჩაუთვალეს და ნელ-ნელა მამინაცვლის შვილობილისადმი დამოკიდებულება კეთილგანწყობით თუ არა, გულგრილობით მაინც შეიცვალა - ნია საშიშროებად აღარ ითვლებოდა და ზედამხედველების ყურადღებაც მოდუნდა მაგრამ როდესაც გოგომ ამ შემსუბუქების შემდეგაც სამაგალითოდ განაგრძო მოქცევა, მამინაცვალმა როგორც ჩანს ჩათვალა, რომ ნიაში ძირეულად შეიცვალა რაღაც და რომ ახლა ნია მამინაცვლის განუსაზღვრელ ძალაუფლებას იძულებით კი არ ემორჩილებოდა, არამედ სიამოვნებით აეწყო ფეხი სასახლეში დადგენილი წესრიგისთვის. ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ სიძუნწე და თავშეკავება გავლენიან პიროვნებას, სასჯელის მსგავსად არც ჯილდოს გაცემაში სჩვეოდა - თუკი საერთოდ გადაწყვეტდა ვინმეს დაჯილდოვებას. სამი წლის განმავლობაში პირველად, ისე რომ ნიას თავად არ უთხოვია, ნება დართეს კლასელის დაბადების დღეზე წასულიყო.

სამაგალითო ქცევით დამსახურებულ საჩუქარს გოგოსთვის არანაირი სიამოვნების მოტანა არ შეეძლო - ხანგრძლივმა შინაგანმა ბრძოლამ გულჩათხრობილი გახადა და მამინაცვლის ზღაპრული სიმდიდრისა და გავლენის წყალობით, რომლის შესახებაც სკოლაში ყველამ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იცოდა, და რომელზეც სკოლასთან დაყენებული, დაბურულმინებიანი დაცვის მანქანები მიანიშნებდა, კლასელების თვალში მიუწვდომელი და უკარება გახადა. ამის გამო ის მეგობრობის ჩანასახები, ნიას ახალ სკოლაში გადმოსვლის შემდეგ რომ გაჩნდა, მალევე განადგურდა და ახლა, როდესაც ერთ-ერთი სკოლელის დაბადების დღეზე წასვლის უფლება მისცეს, გარდა იმისა, რომ იუბილარს არ იცნობდა და წასვლა არ უნდოდა, იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ კლასელებიდანაც არავის გაუხარდებოდა მისი ნახვა. მაგრამ უკვე ისე იყო მორჩილებას მიჩვეული, რომ არც უფიქრია საჩუქარზე უარი ეთქვა.

დაბადების დღეზე თითქმის არავის იცნობდა, და ვისაც იცნობდა იმათთან საუბრის და მით უმეტეს დროის მხიარულად გატარების პერსპექტივა არ არსებობდა. ნიას მისვლისას ყველა ფხიზელი იყო და სტუმრები ჯერ კიდევ მოედინებოდნენ, ამიტომ ზერელე მილოცვის და საჩუქრის გადაცემის შემდეგ ნიამ ისეთ ადგილს დაუწყო ძებნა, რომელსაც წვეულების დასრულებამდე შეაფარებდა თავს. საბედნიეროდ მასპინძლის სახლი (თითქმის მამინაცვლის სახლივით დიდი და მდიდრული), ხალხით იყო

იჭედებოდა ნელ-ნელა და ნიას შესაძლებლად მოეჩვენა მთელი საღამოს განმავლობაში შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მოვლენების პოტენციური ცენტრიც ამოიცნო - დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში უზარმაზარ დინამიკებთან შეკრებილი მუსიკოსები სცენას ამზადებდნენ და თან ხშირ-ხშირად აპარებდნენ თვალს სასმელების ბართან დახვავებული ბოთლებისკენ; ამ ცენტრისგან რაც შეიძლება შორს ამოარჩია ერთი სავარძელი და ტელეფონი მოიმარჯვა. უსაფრთხო ადგილის მოძებნის შემდეგ თავი გაცილებით უკეთესად იგრძნო - რამდენიმე საათის მხოლოდ ტელეფონით გაყვანა არ გაუჭირდებოდა, სხვანაირად დროის გატარება არც იცოდა. მაგრამ ცოტა ხანში აღმოაჩინა, რომ ტელეფონს უჭირდა მისი ყურადღების შენარჩუნება რადგან ხალხის თვალიერება უფრო იზიდავდა. დარბაზს ხალხი ემატებოდა და სულ უფრო და უფრო ხმაურიანი ხდებოდა. განაპირა სავარძელში მჯდარი ნია ამ ხმაურისა და ხალხმრავლობის მიუხედავად თავს უსაფრთხოდ გრძნობდა - უსაფრთხოების ამ შეგრძნებამ საშუალება მისცა უფრო შემწყნარებლურად დაკვირვებოდა ყველაფერს და თავისდა გასაკვირად ისიც შენიშნა, რომ დარბაზის უკონტროლო ენერგია მასზეც ახდენდა რაღაც გავლენას.

მალე ჩამობნელდა, გამაყრუებელი მუსიკა ჩაირთო და დარბაზი ნამდვილ ქაოსში ჩაიძირა. როდესაც ნიას ვიღაც მიუახლოვდა - ფაქტობრივად მიეპარა - და შეეცადა მისთვის საუბარი გაება, ნიამ მოკლე და მშრალი პასუხებით კი არ მოიშორა, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ მოიქცეოდა, არამედ ხანმოკლე, წყვეტილი გასაუბრების შემდეგ ანიშნა, სადმე ისეთ ადგილას გადავინაცვლოთ, სადაც ერთმანეთის ხმას გავიგონებთო. როდესაც გარეთ გავიდნენ და ნიამ ბიჭის უკეთ შეთვალიერება შეძლო ბაღში ვითომ შემთხვევითობის პრინციპით მიმოფანტული ნათურების შუქზე, და როდესაც საუბარიც შესაძლებელი გახდა, სინდისი, რომელიც ცოტათი კიდევ აწუხებდა ამ უცნაური ამჩატების გამო, საბოლოოდ მიუწყნარდა. ბიჭი მასზე ორი წლით უფროსი იყო, მასპინძლის სამეგობროს სამეგობროდან; ანუ ისიც შორიდან იცნობდა იუბილარს და თავს ნიასავით უცხოდ გრძნობდა. ამის გამო საერთო ენა ადვილად გამონახეს და საუბარი ძალდაუტანებლად აეწყო. ლაპარაკს ისიც აადვილებდა, რომ ნიას ეგონა - ამ საღამოს შემდეგ აღარასოდეს შეხვდებოდა ბიჭს - ის ნიას წრიდან არ იყო, მხოლოდ საშუალოდ შეძლებული მშობლები ჰყავდა, უკვე მუშაობდა ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში და დაბადების დღეზეც შემთხვევით მოხვედრილი უფრო ეთქმოდა.

მთელი საღამო ერთად გაატარეს. სიამოვნება, რომელიც ნიამ ამ საუბრიდან მიიღო, მისთვის მოულოდნელად მძაფრი აღმოჩნდა. სიამოვნება კი მძაფრი იყო არა იმიტომ, რომ ბიჭი განსაკუთრებით მოეწონა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მეტ-ნაკლებად თანატოლთან ლაპარაკს იყო გადაჩვეული. ხანგრძლივ იზოლაციას მისთვის დაევიწყებინა მეორე ადამიანთან ურთიერთობის სიამოვნება. საღამოს დასასრულის მოახლოვებისას კიდევ ერთხელ გადაუხვია ნიამ თავის თავდაპირველ გადაწყვეტილებას, რაც შეიძლება შორს დაეჭირა ადამიანებისგან თავი და ბიჭს თავისი

ტელეფონის ნომერი მისცა (მაგრამ რომელიმე სოციალურ ქსელში მისი დამატებისგან მაინც თავი შეიკავა).

სახლში დაბრუნებულს, როდესაც დედამისის ზერელე კითხვებს რაც შეეძლო გულგრილად უპასუხა და თავის ოთახს შეაფარა თავი, ბიჭის მესიჯი მოუვიდა. შეგრძნება, რომელიც ტელეფონის ეკრანზე ანთებული სახელის წაკითხვამ მიანიჭა, ახალი ეტაპის დასაწყისზე მიანიშნებდა. ეს ახალი, ხანმოკლე პერიოდი, რომელიც ბოლო წლების მანძილზე ყველაზე ნათელი და იმედით სავსე იყო, კატასტროფით დასასრულებლად იყო განწირული.

ხანგრძლივი იზოლაციის შემდეგ შვება, რომელსაც ადამიანთან თუნდაც ვირტუალური ურთიერთობა ანიჭებდა, აღარ ეთმობოდა. ვერ წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა შეეწყვიტა ბიჭთან მიმოწერა და ისევ ძველებურ, საკუთარ თავში ჩაკეტილ ცხოვრებას დაბრუნებოდა. ყველაზე მეტად ახლა სწორედ ამის ეშინოდა და ფიქრს იმაზე, თუ რა შედეგი შეიძლებოდა ბიჭთან დაახლოვებას მოჰყოლოდა (იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ბიჭისთვის ნიასთან ურთიერთობა საშიში იყო) თავს არიდებდა. მიწერ-მოწერა გრძელდებოდა - რამდენიმე კვირის მანძილზე ერთმანეთი კარგად გაიცნეს. ყველაფერზე ლაპარაკობდნენ. სინათლე რომელიც ამ ურთიერთობას შემოჰქონდა ცხოვრებაში, გოგო გამოაცოცხლა, ბუნდოვანი იმედი (კარგად არ იცოდა რისი) ჩაუსახა, თავისუფლება კი, რომელიც აბსოლუტური მორჩილებით მოიპოვა, ხელს უწყობდა იმედის გაღვივებას.

მაგრამ ამასთან, რაც უფრო მეტად ეჩვეოდა ბიჭთან ურთიერთობას და დამოკიდებული ხდებოდა მასზე, მით უფრო ეშინოდა, რომ სახლში შეამჩნევდნენ მომხდარ ცვლილებას და ვინმე გადაწყვეტდა ცვლილების გამომწვევ მიზეზებში გარკვევას. კარგად არ იცოდა, თუ ზუსტად რას აშავებდა, მაგრამ იმდენს კი ხვდებოდა, რომ მამინაცვლის უცნაური, პარანოიული და ამბიციური სამყაროსთვის ყველაფერი შეიძლებოდა საფრთხედ მიჩნეულიყო; ამიტომ განსაკუთრებით ფრთხილობდა, რომ ვინმეს არ შეემჩნია მის ტელეფონზე მოსული მესიჯი ან თვალში არავის მოხვედროდა მისი გამომეტყველება, როდესაც საპასუხო მესიჯებს წერდა; ცდილობდა არავის დარჩენოდა შთაბეჭდილება, რომ უჩვეულოდ ბევრს მესიჯობდა, რომ, ერთი სიტყვით, გარესამყაროსთან კონტაქტი აღადგინა. იმედმა, რომელიც მოულოდნელად გაუჩნდა, გამუდმებული სიფრთხილის საჭიროებაც მოიტანა. ხანდახან ფიქრობდა, რომ რაღაც თვალსაზრისით ძველებური, უიმედო და გულგრილი მონობა ჯობდა ახლანდელ მდგომარეობას - შიშისა და იმედის ხშირ და მტკივნეულ მონაცვლეობას. ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ დრო მის წინააღმდეგ მოქმედებდა და ადრე თუ გვიან გამოააშკარავებდნენ - არ იცოდა რა მოხდებოდა შემდეგ, მაგრამ პატარა და გულუბრყვილო იმედი მაინც ჰქონდა, რომ სინამდვილეში ცდებოდა და რომ ამ უწყინარ ურთიერთობას სახლში ისე მიიღებდნენ, როგორც ეს ალბათ სხვა ოჯახებში ხდება - ესე იგი გამოკითხავდნენ ახალი მეგობრის შესახებ და იქნებ სტუმრადაც მოეწვიათ ჩაის დასალევად.

ამ იმედის მიუხედავად, როდესაც დედამისმა, ვითომ სასხვათაშორისოდ ჰკითხა, რამე ახალი ხომ არ ხდებაო, ნიამ ინსტინქტურად იგრძნო საფრთხე. მხრები აიჩეჩა და მოჩვენებითი გულგრილობით უთხრა, რა უნდა ხდებოდესო. უნდოდა დაეჯერებინა, რომ ეს მართლაც სასხვათაშორისო შეკითხვა იყო, მოწყენილობითა და უსაქმურობით ნაკარნახევი. დედამისმა მცირე პაუზის შემდეგ შეკითხვა დააზუსტა - ვინმე ხომ არ არისო ახალი?

ნია მიხვდა, რომ დედამისმა უკვე იცოდა რაღაც. ოღონდ იმ გაზაფხულის პირველ, თბილ შუადღეს მხოლოდ ვარაუდი შეეძლო ინფორმაციის იმ წყაროებზე, დედამისისთვის რომ იყო ხელმისაწვდომი. შეიძლება მაგიდაზე დარჩა ტელეფონი რამდენიმე წუთით და დედამისმა თვალი მოკრა ეკრანზე ანთებულ უცხო სახელს; ან მოსამსახურემ დაინახა და სამზარეულოში ჭორაობისას სასხვათაშორისოდ ახსენა, ან სხვა მოსამსახურემ მიიტანა ბოროტ ცილისწამებად მიიტანა დაცვის წევრის ყურამდე, რომელმაც... და ასე შემდეგ. ისიც შესაძლებელი იყო, რომ ყველა მესიჯი, რომელიც გაუგზავნია და მიუღია, ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო უსაფრთხოების აიტი დეპარტამენტის წევრებისთვის - სევდიანი, გაუპარსავი მოხელეებისთვის რომელთათვისაც სულ რამდენჯერმე მოუკრავს თვალი როდესაც თავიანთი სიგარეტისა და სენდვიჩების სუნით გაჟღენთილი ოთახისკენ მიიჩქაროდნენ. სახლში ბევრ ადგილას ეყენა კამერები და ნია თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ზოგი მათგანი - არც ჩანდა.

რაღაც მოიმიზეზა, შეკითხვას თავი აარიდა და თავის ოთახს შეაფარა თავი. ალბათ ჯობდა დარჩენილიყო და გაეგო, თუ რამდენი იცოდა დედამისმა, მაგრამ ამისთვის ცივი გონება და სამსახიობო ოსტატობა დასჭირდებოდა. შიშმა კი საღად აზროვნების უნარი და სხვა ყველა უნარიც დაუბლაგვა. მხოლოდ ერთ რამეზე შეეძლო ფიქრი - ნიშნავდა თუ არა დედამისის შემპარავი შეკითხვები იმას, რომ ნიას ერთადერთ მეგობართან ურთიერთობის გაწყვეტა მოუწევდა?

აღგზნებული წარმოსახვა ერთმანეთზე უარეს სცენარებს უხატავდა. ავი წინათგრძნობა გაუმძაფრდა, როდესაც გაახსენდა, რომ ბოლო დღეებში, სიფრთხილემოდუნებული, ბიჭს სახლის ამბებზეც ელაპარაკებოდა - ერთი-ორჯერ მამინაცვლის სახელიც კი ახსენა.

ტელეფონს დახედა - მესიჯს ელოდებოდა, რამდენიმე საათის წინ წამოწყებული საუბრის გაგრძელებას. მესიჯი არ დახვდა. შიშის ცხელმა ტალღამ კიდევ ერთხელ გადაუარა: არასოდეს მომხდარა, მას შემდეგ რაც ლაპარაკი დაიწყეს, რომ ასე ხანგრძლივად ყოფილიყოს ბიჭი ჩუმად. მალე თითქმის 24 საათი გავიდოდა მას შემდეგ, რაც მისი ბოლო მესიჯი მიიღო.

კიდევ ერთი მესიჯი აკრიფა და გაგზავნა - რას შვები? რამე ხომ არ მოხდა?

ტელეფონი გვერდზე დაიდო და რამდენიმე წუთი იჯდა, ცდილობდა ტელეფონისკენ თვალი არ გაქცეოდა, მაგრამ შემდეგ ცდუნებამ მალევე სძლია და ტელეფონი ხელში

აიღო. ანთებულ ეკრანს ისე დააშტერდა, თითქოს განსაკუთრებული ყურადღება ყოფილიყოს საჭირო, მოსული მესიჯის დასანახად, ან კიდევ ტელეფონზე დაშტერებას შეეძლოს სასურველი მესიჯების იძულებით გამოწვევა. შემდეგ მესიჯები გახსნა და დარწმუნდა, რომ არაფერი გამორჩენია - რომ მესიჯი მართლა არ მოსულა.

სხვა გზა არ იყო, კიდევ უნდა დალოდებოდა - ტელეფონი ისევ გვერდზე დადო. ასეთ ტანჯვაში გავიდა რამდენიმე წუთი.

სამშაბათი იყო, გაზაფხულის პირველი თბილი დღე. გაახსენდა, რომ ბიჭს სამსახურში დატვირთული პერიოდი ჰქონდა. იქნებ უბრალოდ არ ეცალა?

ამ იმედს მობღაუჭებული კიდევ ცოტა ხანი ყოყმანობდა დაერეკა თუ არა - იცოდა, ასეთ საქციელს, თუ მართლაც ყველაფერი რიგზე იყო, ბიჭი სულ მცირე, უცნაურობად ჩაუთვლიდა რადგან ერთმანეთთან არასოდეს დაურეკავთ. მაგრამ უსიტყვოდ შეთანხმებული ეტიკეტის დასაცავად ნებისყოფა აღარ ეყო.

ბიჭმა ზარსაც არ უპასუხა. ნია ბოლომდე დაელოდა, უკანასკნელ ხმოვან სიგნალს მოუსმინა და ბოლოს ავტომოპასუხის ხმაც გაიგონა.

წამოდგა და უმიზნოდ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი: შეიძლება სადმე დარჩა ტელეფონი - წარმოიდგინა ნაკლებად სარწმუნო სიტუაცია, სადაც ბიჭი საქმიან შეხვედრაზე შედის, ტელეფონს კი თავის სამუშაო მაგიდაზე ტოვებს. მაგრამ ამ ფანტაზიამ ვერ დაამშვიდა. კიდევ ერთხელ შეეცადა დარეკვას და ისევ არავინ უპასუხა. ამის შემდეგ მექანიკურად დარეკა ზედიზედ რამდენჯერმე. პანიკას, რომელმაც მთლიანად მოიცვა, ტელეფონის რიტმული, უპიროვნო და გულგრილი ხმოვანი სიგნალი უმძაფრებდა.

ტელეფონი კიდევ ერთხელ მიაგდო და ჩამოჯდა. აუტანელი იყო კონტრასტი, რომელსაც ოთახში შემოჭრილი მზის ბრწყინვალე შუქი და გამეფებული სიჩუმე ქმნიდა მის შინაგან მდგომარეობასთან. გარეთ არაფერი იძვროდა და მოეჩვენა, რომ თვითონაც თუ უძრავად დარჩებოდა, სხვა ყველაფერი დაიწყებდა ნგრევას - ოთახი, სახლი, თავზე ჩამოექცეოდა. წამოხტა და გაიარ-გამოიარა.

მაგრამ მოძრაობის ეს ილუზია საკმარისი აღარ იყო, რაღაც უფრო მასშტაბური და ძირეული იყო საჭირო. გადაწყვეტილება სწრაფად მიიღო. რაც არ უნდა მომხდარიყო - სახლში დარჩენაზე უარესი არაფერი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე მოეჩვენა. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შვება იგრძნო. მღელვარება და შიში სამოქმედო ენერგიად გარდაიქმნა - სახლიდან უნდა გაეღწია და ბიჭის სამსახურთან მისულიყო. იმედი ჰქონდა, რომ ყურადღებამოდუნებულ დაცვას ადვილად გაეპარებოდა. სამზადისს ბევრი დრო არ წაუღია, მხოლოდ ჩანთა სჭირდებოდა და ტელეფონი.

რეზიდენციის ტერიტორიიდან გაპარვა მართლა არ გასჭირვებია - სათადარიგო გასასვლელთან, როგორც იმედოვნებდა, არავინ იდგა. მთავარი გზისკენ მიმავალ გზას გაუყვა და მალე ტრასაზე აღმოჩნდა. იმედი ჰქონდა, რომ ავტობუსს მანამდე

დაიჭერდა, სანამ სახლში მიხვდებოდნენ, რომ გაიპარა. ყველა ავტობუსი ერთი მიმართულებით, ქალაქისკენ ეშვებოდა მიხვეულ-მოხვეული, მეტწილად ცარიელი გზით. მარტო მსხვილი ფული ჰქონდა, რომელსაც ვერსად დაახურდავებდა, მაგრამ ბავშვობაში ხშირად უმგზავრია უბილეთოდ და ახლაც იმის იმედი ჰქონდა, რომ გაუმართლებდა და არავინ მოსთხოვდა ბილეთს.

ავტობუსი, საბედნიეროდ, მალე გამოჩნდა. ნიამ შორიდანვე გაიგონა მისი ხმა. ავტობუსში ახტა და ერთ-ერთ, განცალკევებულ სკამზე დაჯდა. ტელეფონი შეამოწმა - ბიჭისგან ისევ არაფერი მოსვლოდა.

უკვე დარწმუნებული იყო, რომ შემთხვევითი არ იყო, რომ ბიჭმა ამდენი ხანი არ უპასუხა. ავტობუსი დაღმართზე მთელი სიჩქარით დაგორდა.

ოციოდე წუთი, რომელიც ქალაქამდე მისაღწევად იყო საჭირო ნიასთვის საშინლად ნელა გავიდა; როგორც იქნა მიაღწიეს ქალაქის ცენტრს. აქვე ახლოს ეგულებოდა ბიჭის ოფისი (ბიჭს მოყოლილი ქონდა და ნიამ დაახლოებით იცოდა, რა უნდა ეძებნა). გაჩერებაზე, რომელიც ყველაზე ახლოს უნდა ყოფილიყო ოფისთან, ჩამოვიდა. ავტობუსის კიბეზე ჩამოდიოდა, როცა ჩანთაში ტელეფონის ვიბრაცია იგრძნო. ავტობუსიდან ჩამოსული შუა ტროტუარზე გაჩერდა - ვიბრაცია არ მოსჩვენებია, მესიჯი მართლა მოსულიყო - მაგრამ მესიჯის რამდენიმე სიტყვამ გოგოს დაბნეულობა და შიშები გაფანტვის ნაცვლად კიდევ უფრო გააძლიერა.

ურთიერთობას ვეღარ გააგრძელებდნენ - ეწერა მესიჯში, რომელიც არც კი ცდილობდა დაშორების მიზეზების დამაჯერებლად ახსნას.

იქვე, ტროტუარზე მდგომი ასრულებდა მესიჯის კითხვას და ისევ თავიდან იწყებდა - თითქოს სიტყვებს შორის ცდილობდა ახალი ინფორმაცია აღმოეჩინა, რომელიც წინა წაკითხვაზე გამორჩა. ირგვლივ ხალხი ირეოდა. სისუსტე მხოლოდ წამიერად გამოიჩინა, როდესაც შეყოყმანდა - გაეგრძელებინა თუ არა ბიჭის ოფისისკენ გზა. მაგრამ ყოყმანი მაშინვე დასძლია. შეუძლებელია ბიჭს ასე უეცრად, თვითონ მოსდომებოდა ურთიერთობის გაწყვეტა - ამის არ სჯეროდა. ყოველ შემთხვევაში, საეჭვო იყო ტექსტის ასეთი მშრალი ტონი, მესიჯებს შორის ამხელა პაუზა. მაგრამ სულ არაფერიც რომ ყოფილიყო მომხდარი, ნიას იმის უფლება მაინც ჰქონდა, რომ ბიჭისთვის მოეთხოვა - უფრო დაწვრილებით აეხსნა თავისი გადაწყვეტილების მიზეზები. ტელეფონი ჩანთაში დააბრუნა და ხალხის ნაკადს გაჰყვა.

ოფისის მოძებნა არ გასჭირვებია. ბიჭის მონაყოლიდან აღიდგინა ოფისის მდებარეობა - შესახედაობაც ემთხვეოდა. მაღალი, გლუვი კორპუსი, ლურჯი ზედაპირით, თავზე უცნაური ანძით - ზუსტად შეესაბამებოდა აღწერას. არა მარტო კორპუსს, არამედ მოეჩვენა, რომ დაცვასაც კი იცნობდა, რომელმაც უყოყმანოდ, თითქოს მთელი დღე ელოდა ნიას გამოჩენას, რაციით გადასცა, რომ ბიჭს ფოიეში ელოდნენ.

ლოდინის კიდევ რამდენიმე მტანჯველი წუთი გავიდა, სანამ პასუხს ელოდა, ანუ სანამ ბიჭი მოიძებნებოდა უზარმაზარი კორპუსის ლაბირინთში. ბოლოს, როგორც იქნა,

ლიფტი, რომლის ინდიკატორებიც ნახევრად ჩაბნელებული დერეფნის ბოლოში ციმციმებდნენ, გაიღო და იქიდან ბიჭი გამოვიდა.

ნია ელოდა, რომ ბიჭი აღელვებული იქნებოდა, მაგრამ არ ელოდა, რომ ბიჭის სახეზე (რომელიც ცოცხლად მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნანახი) შიში ასე ცხადად იქნებოდა აღბეჭდილი და რომ მის თითოეულ ჟესტში იქნებოდა შესამჩნევი. გარეთ გამოვიდნენ, ისე რომ ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ. ოფისი უკან მოიტოვეს და ერთ-ერთ ჩიხში შეუხვიეს, რაღაც ეზოში შევიდნენ. აქ, ოთხივე მხრიდან კორპუსების ნაცრისფერი კედლებით გარშემორტყმულები, როგორც ბიჭმა თქვა, უფრო უსაფრთხოდ იქნებოდნენ. აქ ნაკლები შანსი იყო, რომ ვინმეს ისინი დაენახა. ვის გულისხმობდა ვინმეში, არ უთქვამს, მაგრამ ნია თავისით მიხვდა. ბიჭმა უთხრა, რომ ნიას იქ ყოფნა არ შეიძლებოდა, რომ ორივენი საფრთხეში იყვნენ. ბიჭი იმდენად იყო შეშინებული, რომ ნიას დანახვას მასზე არანაირი შთაბეჭდილება არ მოუხდენია - გარდა მისი შიშის გამძაფრებისა. ამ შიშის სიმძიმის ქვეშ მყოფს მხოლოდ საკუთარ თავზე შეეძლო ფიქრი და ვერ იაზრებდა თუ რას ნიშნავდა, რომ ნიამ ოფისში მიაკითხა - რა რისკზე მიდიოდა ან, საერთოდ, როგორ მოაღწია აქამდე.

ცოტა ხანი ნაწყვეტ-ნაწყვეტ და არეულად ლაპარაკობდა, წინასწარ მომზადებულ ტექსტს იმეორებდა რომელიც ნიამ მაშინვე იცნო - მესიჯის ტექსტი იყო, ოღონდ უფრო ვრცლად. ნიამ წასვლა დააპირა - ბიჭს ლაპარაკი გააწყვეტინა და რაღაც მოიმიზეზა დასამშვიდობებლად. ბიჭი გაჩერდა, პირველად დააკვირდა ნიას და შესაძლოა რაღაცამ ნიას ნიღბის მიღმა მასზე იმოქმედა, თითქოს გამოერკვა და მხოლოდ ახლა იცნო.

- აქ როგორ მოხვედი? - ნიას ხელი აიღო და მოუჭირა.

ნიას როგორც იქნა საშუალება მიეცა მოეყოლა, თუ როგორ მოაღწია ოფისამდე. უთხრა, რომ მხოლოდ იმის გასაგებად მოვიდა, რომ ბიჭი კარგად იყო. ლაპარაკისას თავს უცნაურად გრძნობდა. სულ სხვანაირად წარმოედგინა შეხვედრა. მოლოდინის საპირისპიროდ, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სრულიად უცხოს ელაპარაკებოდა.

ბიჭი უსმენდა. მის გამომეტყველებაში, ჟესტებში მჟღავნდებოდა მძაფრი შთაბეჭდილება, რომელსაც ნიას მონათხრობი ახდენდა მასზე. როდესაც ნიამ მოყოლა დაამთავრა, სიჩუმე ჩამოვარდა. ნიამ შეამჩნია, რომ ბიჭი ყოყმანობდა, რაღაცის თქმა უნდოდა. როგორც ჩანდა ხანმოკლე მაგრამ მძიმე შინაგანი ბრძოლის შემდეგ ნიას დაემშვიდობა - სასწრაფოდ უნდა დაბრუნებულიყო ოფისში და მუშაობა გაეგრძელებინა.

ბიჭი შეტრიალდა და ფეხათრევით წავიდა. ნია არ განძრეულა, თვალს ჩუმად ადევნებდა ბიჭის მოკუნტულ ფიგურას, რომელიც გასასვლელისკენ ნელა მიიწევდა. თვითონაც უნდა წასულიყო, მაგრამ წასასვლელი არსად ჰქონდა. ელოდა, როდის მიეფარებოდა ბიჭი თვალს, მანამდე კი ამაზე ფიქრი არ უნდოდა.

მაგრამ ბიჭი მოტრიალდა და ისევ ნიასკენ წამოვიდა - უცებ გაქრა ყოყმანი მისი მიხვრა-მოხვრიდან. მოკლედ მოუყვა, რომ რამდენიმე დღის წინ ვიღაც ტიპები დახვდნენ სამსახურთან და უბრძანეს - ნიასთან კონტაქტი გაეწყვიტა. მეტის თქმის დრო არ ქონდა, სხაპასხუპით მისცა რამდენიმე მოკლე ინსტრუქცია - პირველ რიგში ტელეფონი გამოართვევინა და შეხვედრა პარკში დაუნიშნა, იმ ადგილთან ახლოს, სადაც გიორგიმ დაინახა და გამოელაპარაკა.

ერთმანეთს უხმოდ დაემშვიდობნენ, ნიამ ხელები მაგრად მოუჭირა ბიჭის ხელებს, ამის შემდეგ ბიჭი მეორედ შებრუნდა წასასვლელად და ამჯერად სწრაფად მიეფარა თვალს.

ჩიხიდან ცოტა ხნის შემდეგ ნიაც გამოვიდა. შეხვედრის ადგილამდე დიდი მანძილი არ აშორებდა, მაგრამ სამაგიეროდ დრო ბევრი ქონდა. დათმული პარკი მოძებნა, დაათვალიერა კიდეც, მაგრამ ერთ ადგილზე გაჩერება ვერ შეძლო. გადაწყვიტა ახლო-მახლო ქუჩები დაევლო. ქალაქში უკვე დიდი ხანია არ იყო ნამყოფი და ადრე ნაცნობი და სახეცვლილი ადგილების ნახვამ გაართო კიდეც. რამდენჯერმე შემოიარა პარკთან მდებარე ქუჩები. მოეწონა მათი განსხვავებული ხასიათი, სიწყნარისა და ქაოსის სწრაფი მონაცვლეობა ერთი ქუჩიდან მეორეზე გადასვლისას. მაღაზიებში შესვლისგან თავი შეიკავა. მოსაღამოვებულზე მხოლოდ სენდვიჩი იყიდა ერთ-ერთ საცხობში რადგან ძალიან მოშივდა. თითქმის სულ ჩამობნელდა, როდესაც ისევ პარკში დაბრუნდა და ბიჭის აღწერილ ადგილას, სკამზე ჩამოჯდა.

დათქმულ დროზე ცოტათი ადრე უნდა ყოფილიყო - პარკი თითქმის ცარიელი იყო, გავიდან ათი-თხუთმეტი წუთი. ბიჭი წესით მალე უნდა გამოჩენილიყო. ამ დროის მანძილზე რამდენიმე ადამიანმა ნიას სკამთან ჩაიარა. ნიას მღელვარებას ცოტათი შველოდა გამვლელების არხეინი ტემპი, მათი წაგრძელებული ჩრდილებისთვის თვალის მიდევნება - მაგრამ ნელ-ნელა ემატებოდა აღელვება, სკამის კიდეზე იჯდა, ხელებით სკამის კიდეს ჩაფრენოდა.

საათი არ ჰქონდა და ტელეფონის ჩართვა არ უდოდა. ერთ-ერთ გამვლელს საათი ჰკითხა. უკვე ნახევარი საათი გადასცილებოდა დათქმულ დროს. ნია მაინც ელოდებოდა, ცდილობდა იმედი ბოლომდე არ დაეკარგა. თითქმის სულ მთლად დაბნელდა.

აქ ნიამ თხრობა შეწყვიტა. ბოლო რამდენიმე წუთის განმავლობაში ისედაც სვენებ-სვენებით ყვებოდა და ახლა სულ გაჩერდა - თითქოს ძალა აღარ ეყო გასაგრძელებლად. ყოველ შემთხვევაში გიორგის ასე მოეჩვენა და როდესაც შეამჩნია, რომ ნიას ძლივს იკავებდა ცრემლებს თავის სავარძელში წამოიწია - თითქოს ამჯერად აპირებდა ახალი ნიაღვრისთვის ფიზიკურად შეეშალა ხელი მაგრამ ნიამ თავი შეიკავა. გიორგი მიხვდა, რომ საფრთხე გადავლილი იყო.

- თუ გინდა სხვა დროს მომიყევი, არსად გვეჩქარება

სინამდვილეში იცოდა, რომ ამაზე კარგი დრო ამბის დასასრულის მოსასმენად აღარც ჩავარდნოდა ხელში. დასვენება, ნიას, მხოლოდ ზრდილობის გამო შესთავაზა და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ დაწყებულ ამბავს გოგო აუცილებლად დაასრულებდა. ნიამ ცოტა ხანში მოყოლა მართლა განაგრძო. გიორგის ვარაუდი, რომ ნია ერთგვარ სიამოვნებას თუ არა, შვებას მაინც გრძნობდა ლაპარაკში, გამართლდა

არ ახსოვდა რამდენი ხანი ელოდა სკამზე, ბოლოს, როცა იმედი გადაეწურა, რომ ბიჭი მოვიდოდა, სკამიდან ადგა და მექანიკურად წავიდა ბიჭის სამსახურისკენ. გამოჩნდა თითქმის მთლიანად ჩაბნელებული კორპუსი და ნია მიხვდა, რომ თითქმის არანაირი აზრი არ ქონდა ბიჭის აქ ძებნას, მაგრამ ბოლო იმედს უნდა მობღაუჭებოდა. კორპუსის კართან შეჩერდა - პირქუშ დერეფანში ცივი სინათლე ბჟუტავდა. კარი ღია იყო და შევიდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ლიფტისკენ; დაცვის თანამშრომელმა დაუძახა - სად მიბრძანდებით გოგონა? ნია არ გაჩერებულა მაგრამ მალე კაცი წამოეწია და მკლავში ხელი ჩაავლო.

დაცვის თანამშრომელი, რომელიც შეეცადა წყნარად აეხსნა ნიასთვის, რომ შენობა ცარიელი იყო, ბოლოს მაინც იძულებული გახდა დამუქრებოდა - ჯერ, რომ ძალით გააგდებდა გარეთ და შემდეგ, რადგან ვერ გაბედა ამ მუქარის ასრულება, პოლიციით. ნიას ამ დროს იმდენად საღად არ შეეძლო აზროვნება, რომ ეფიქრა, პოლიციის საქმეში ჩარევით აუცილებლად უარეს დღეში რომ აღმოჩნდებოდა, მაგრამ უცებ, თითქოს ძალა ერთბაშად გამოეცალა, დაცვასთან ჭიდაობა შეწყვიტა და გარეთ უსიტყვოდ გამოვიდა.

ქუჩაში უკვე ლამპიონები ენთო. წასასვლელი არსად ჰქონდა. ტელეფონის ჩართვას აქამდე ერიდებოდა, მაგრამ ახლა, როდესაც თავი სრულიად მარტო იგრძნო, იმედი, რომელიც დაღლილობის და სტრესის მიუხედავად, კიდევ ბჟუტავდა, კიდევ ერთხელ გადასხვაფერდა და სიტუაციას მოერგო: იქნებ ბიჭს რამე შეემთხვა რის გამოც ვერ მოვიდა? იქნებ რამე მისწერა ნიას, გასაფრთხილებლად, მოსაბოდიშებლად? იცოდა, რომ საფრთხეში იგდებდა თავს, მაგრამ ტელეფონის ჩართვა - სულ ცოტა ხნით - მაინც გადაწყვიტა. მესიჯებში არაფერი დახვდა.

თუ ბიჭი არ გამოჩნდებოდა, (და მისი გამოჩენის შანსი, ფხიზელი გონებით განსჯა რომ შეძლებოდა - აღარ არსებობდა) ალბათ სადმე ქუჩაში მოუწევდა ღამის გათენება და მომავალიც ბუნდოვანი და საფრთხით სავსე იყო. ისევ იმ პარკისკენ წავიდა სადაც ბიჭს ელოდა. იქ დასაბრუნებლად ახლა ერთადერთი მიზეზი ჰქონდა - პარკში უკვე გაეტარებინა რამდენიმე საათი, ახლა კი ყველაზე მეტად სჭირდებოდა რამე ნაცნობი, რაც თავისი ნაცნობობის გამო შედარებით უსაფრთხო იქნებოდა.

პარკში რომ არ დაბრუნებულიყო ალბათ ახლაც (ამას რომ ამბობდა ნია შეეცადა თავისი სიტყვებისთვის განსაკუთრებული წონა მიეცა) სადმე ქუჩაში იქნებოდა.

პარკის დიდი ნაწილი სიბნელეში იყო ჩაძირული. ხრეშიან ბილიკს გაუყვა ნელ-ნელა. ლამპიონების სუსტი შუქით განათებული ხის სკამებიდან ერთ-ერთზე მოუწევდა დაძინება.

შეამჩნია, რომ ერთი უკვე დაკავებული იყო. სუსტი განათებისგან რაც შეიძლება მოშორებით მდგარ სკამზე მოკუნტული სილუეტი გაარჩია. სკამზე ვიღაც იყო მიწოლილი, პირით საზურგისკენ. უნდოდა რაც შეიძლება მალე გასცდენოდა და პარკის სხვა ნაწილში მოეძებნა ყველაზე უსაფრთხო სკამი. როდესაც სკამს რამდენიმე ნაბიჯით გასცდა, კვნესა მოესმა.

რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გაიარა და გაჩერდა. სხვა დროს ალბათ არ გაჩერდებოდა, მაგრამ ახლა თავისი მდგომარეობის გამო უცნობის კვნესა განსაკუთრებით მოხვდა გულზე. ყოყმანი საბოლოოდ დაძლია, როდესაც კვნესა განმეორდა. ფრთხილად მიუახლოვდა სკამს. თანაგრძნობის მიუხედავად სიფრთხილე არ დავიწყებია, ჯერ მოშორებით დადგა, მაგრამ უცნობი არ გამოეპასუხა, თან არაფერი ჩანდა. უფრო ახლოს მივიდა - ტანსაცმლის მიხედვით მიხვდა, რომ უცნობი ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. ტანსაცმლის რომელიღაცა დეტალმა უცნაური, ნაცნობი შეგრძნება აღუძრა ამ შეგრძნებას არ დაკვირვებია. კვნესა კიდევ ერთხელ განმეორდა და ნია, რომელსაც შიშისა და სიხარულის წინააღდეგობით სავსე ტალღამ გადაუარა, სკამის საზურგეს დაეყრდნო და უცნობის სახისკენ დაიხარა. იმანაც იგრძნო, რომ ვიღაც თავზე დასდგომოდა და სახე მოაბრუნა. სიბნელის, აჩეჩილი თმის და შესიებების მიუხედავად რომლებიც უცნობის სახეს ამახინჯებდნენ, ნიამ მაშინვე იცნო ბიჭი.

თხრობა ისევ შეწყდა და გიორგი მოემზადა თავისი ფუნქციის, რომელიც ამ საღამოს თითქოს ბუნებრივად გახდა მისი პასუხისმგებლობის ნაწილი - დამამშვიდებლის და მანუგეშებლის - შესასრულებლად. მაგრამ თვითნაც, ჯერ ერთი ამბის დრამატულობის გამო, იმის გამო, რომ აინტერესებდა ამბის გაგრძელებდა და პრინციპში, ნიასაც თანაუგრძნობდა; და მეორეც იმის გამო, რომ ამბავში ნაგულისხმევი საფრთხეები, გაუჩნდა ბუნდოვანი შეგრძნება, რომ თვითონაც შეიძლება დამუქრებოდა. მაგრამ ამ შიშს, ნია ვერასოდეს შეამჩნევდა, მით უმეტეს იმ მდგომარეობაში რომელშიც ახლა იყო. გიორგიმ ბალახის ჩაი, რომელიც ნიას შესთავაზა, თვითონაც მოიმზადა და დამამშვიდებელი სიტყვები, რომლებიც ნიას უთხრა ამ შესვენების დროს, არა მარტო ნიას დამშვიდებას ემსახურებოდა.

თხრობა ისევ გაგრძელდა.

პირველი რამდენიმე წუთი, მას შემდეგ რაც ბიჭი იცნო, ნიას ბუნდოვნად ახსოვდა. ახსოვდა თუ როგორ შეეცადა ბიჭს ჩახუტებოდა, მაგრამ ნიას შეხებაზე ბიჭმა დაიკვნესა. მძიმედ ნაცემი იყო და ძლივს მოძრაობდა.

ნია ბიჭს დაეხმარა სკამზე წამოჯდომაში. ბიჭს ყველაფერი ტკიოდა, მაგრამ ნიას ნახვის ბედნიერება მდგომარეობას უმსუბუქებდა - რადგან ეგონა, რომ ნიას ვეღარასოდეს ნახავდა.

შემდეგ, როდესაც ორივენი ცოტა დამშვიდნენ ბიჭი სვენებ-სვენებით მოუყვა თუ რა მოხდა მათი ბოლო შეხვედრიდან სულ ცოტა ხანში. მას შემდეგ რაც ერთმანეთს დაემშვიდობნენ, ერთი საათი არ იქნებოდა გასული, რომ ბიჭის სამსახურთან დაბურულმინებიანი მანქანა გაჩერდა და ოფისის დაცვამ კიდევ ერთხელ მოუხდა ბიჭის ქვემოთ, დერეფანში გამოძახება.

ბიჭი ლიფტით დაეშვა ქვემოთ; იგრძნო პანიკური იმპულსი - ასეც მოიქცეოდა ალბათ, მაგრამ ლიფტიდან გამოსვლისთანავე დაინახა ის ტიპი, ვინც რამდენიმე დღის წინ სახლთან დახვდა. გაახსენდა მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მასთან გასაუბრებამ დაუტოვა - გაახსენდა მბრძანებლური ტონი, თავდაჯერებული მიხვრა-მოხვრა, რომელიც მის მუქარას წონას აძლევდნენ. ახლა ეს წონა საშინელი სიმძიმით დააწვა. როდესაც მანქანაში ჯდებოდა, თავის თავს საყვედურობდა სიმხდალისთვის - რომ წინააღმდეგობის გაწევაც კი არ უცდია, მაგრამ ახლა, (პარკში), გაცილებით მეტი იცოდა და ისიც იცოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა გაცილებით უფრო ძვირად დაუჯდებოდა.

ეგონა, რომ კიდევ ერთ მკაცრ გაფრთხილებას მიიღებდა, რომ საშინელი სასჯელით დაემუქრებოდნენ, მოემზადა თავის დასაცავად. მაგრამ მანქანა ისე დაიძრა, არავის სიტყვა არ უთქვამს. შემდეგ რაც მოხდა კრიმინალური გარჩევების კლასიკურ რეპერტუარს ეკუთვნის - ქალაქგარეთ, რაღაც მივარდნილ, როგორც ჩანდა წინასწარ შერჩეულ ადგილას, რომელიც, ბიჭი დარწმუნებული იყო, ხშირად ხდებოდა ხოლმე მსგავსი სცენების მომსწრე - მანქანიდან გადმოათრიეს და ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ წამებას დაუქვემდებარეს. ცდილობდნენ ნიას ადგილსამყოფელი გაერკვიათ. ყველა მესიჯი, რომელიც კი ნიას და ბიჭს ერთმანეთისთვის გაეგზავნათ, მათ ხელში იყო. იცოდნენ, რომ ნია რამდენიმე საათის წინ ბიჭს დაეკონტაქტა. ბიჭი მათ თითქმის ყველაფერს მოუყვა. მაგრამ ის არ უთქვამს, რომ ნია, წესით, უკვე პარკში ელოდა. ბოლოს, როგორც იქნა შეწყვიტეს ბიჭის ცემა - მანქანაში ჩასხდომამდე კიდევ ერთხელ შეახსენეს თუ რა მოხდებოდა, თუ ყველაფრის მიუხედავად კიდევ გაბედავდა და ნიას დაელაპარაკებოდა.

მათი წასვლის შემდეგ ბიჭი ნახევრად ხოხვით გამოვიდა გზაზე და ვიღაც შემთხვევით გამვლელს, რომლის დარწმუნებაც მოახერხა, რომ სასწრაფოში ან პოლიციაში წასვლა საჭირო არ იყო, ქალაქისკენ გამოყვა.

ნიამ კიდევ ერთხელ შეწყვიტა თხრობა. იატაკს დააჩერდა ფიქრებში გართული.

რამდენიმე წამი სიჩუმე ჩამოწვა, რომლის დარღვევაც გიორგის არ უნდოდა. ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, ნიას ნაამბობი ნამდვილად ამბად შეეძლო მიეჩნია თუ არა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ გოგო, რომელიც ახლა მის წინ იჯდა, ასეთ

დაუჯერებელ ამბებში იყო გახვეული, ძალაუფლების ასეთ საშიშ სიმაღლეებთან ქონდა შეხება. მისი თანაგრძნობა გოგოსადმი, მას შემდეგ რაც ნიას მონათხრობი კრიმინალურ ქრონიკას დაემსგავსა, სწრაფად გადასძალა შიშის გრძნობამ, რომელიც განსაკუთრებული სიფრთხილისკენ უბიძგებდა - მიუხედავად იმისა, რომ არ სჯეროდა, რომ გოგოს მონაყოლი სიმართლე იყო.

მაგრამ ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, რომ გოგო იტყუებოდა და ეს პატარა შესაძლებლობა იმისა, რომ მის წინ განუსაზღვრელი ძალაუფლების მქონე „საჯარო პირის“ ძებნილი გერი იჯდა, ანგარიშგასაწევი იყო. ამ ფორიაქს შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობას უწევდა - ახლაც, მშვიდად შესცქეროდა ნიას და ელოდა, როდის გააგრძელებდა ამბის თხრობას.

მაგრამ ამბის დასასრულმა რაღაცნაირად იმედი გაუცრუა - მოეჩვენა, რომ გოგომ მასში ნაკლები ძალისხმევა ჩადო, მოაკლო მნიშვნელოვანი დეტალები, ზერელედ შეაჯამა:

ბიჭი და ნია სასწრაფოდ უნდა დაშორებოდნენ ერთმანეთს. ბიჭი წამოდგა და კოჭლობით შეერია სიბნელეს. ნია კი ცოტა ხანი პარკში დარჩა და ტიროდა, შემდეგ კი სკამიდან წამოდგა და უმიზნოდ გამოვიდა ქუჩაში. პარკის სიბნელემ და სიმარტოვემ გამოდევნა. ბოლოს იმ სკამზე ჩამოჯდა, სადაც გიორგიმ მტირალი იპოვნა.

თხრობა ერთბაშად შეწყდა. გიორგი შეეცადა ნიას გამომეტყველებაში, ტონში, ამოეკითხა ნიას ხასიათის უეცარი ცვლილება - გამოეცნო, თუ რამ გამოიწვია ნდობის თუ თხრობის ხალისის მოულოდნელი და ერთი შეხედვით, უმიზეზო გაქრობა. გიორგიმ რამდენიმე წამი დაიცადა, მაგრამ ნიას აღარაფერი უთქვამს.

- საშინელებაა - თქვა გიორგიმ და წამოდგა. გადაწყვიტა აღარ ჩაციებოდა გოგოს - მემგონი ჯობია დაისვენო, რომ მცოდნოდა ასეთი საშინელი დღე გქონდა, უფრო ადრეც დაგასვენებდი.

ნიამ მცირე პაუზის შემდეგ გულგრილად თქვა:

- არა უშავს. ისედაც არ დამეძინებოდა - ხელი ჭიქისკენ წაიღო, მაგრამ ჭიქა არ აუღია, გადაიფიქრა, რადგან ჩაი უკვე გაცივებულიყო.

- წარმომიდგენია როგორი დაღლილი ხარ - თქვა გიორგიმ, თან საძინებლისკენ წავიდა - ახლავე გაგიშლი საწოლს

- მე აქ დავწვები - თქვა ნიამ.

- ეგეთები არ გვინდა. სტუმრები ხშირად მყავს და მიჩვეული ვარ მანდ წოლას.

ეს მართალი იყო, მაგრამ გიორგის ის აღარ უთქვამს, რომ ტახტზე წოლა მაინცდამაინც არ უყვარდა - ფართო საწოლის კომფორტი ერჩივნა. სანამ ზეწარს ცვლიდა, ერთი-ორჯერ თავი გადააქნია თავისთვის, ფიქრებში გართულმა - საკუთარ თავს საყვედურობდა იმ სისულელისა და სულსწრაფობისთვის, რაც სამსახურის შემდეგ გამოიჩინა. არასწორი არაფერი უქნია და სიკეთის გაკეთებასაც არასოდეს ინანებდა,

მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, რომ თვითონ დარჩა მოტყუებული - რადგან სულელი უნდა ყოფილიყო, ნიას მონაყოლი რომ დაეჯერებინა.

წამიერად შიშის ტალღამ გადაუარა (ბალიშის პირებს აგებდა ამ დროს) - და რა იცოდა, რომ გოგო იტყუებოდა? ან, იქნებ, მის მოყოლილი ამბიდან მხოლოდ ნაწილი იყო ტყუილი?

თეთრეული გამოცვალა და მისაღებში გამოვიდა. გოგო ისევ ტახტზე იჯდა, ჩამუქებულ რგოლებში ჩამჯდარი თვალებით, როგორც გიორგის მოეჩვენა, აგდებით ათვალიერებდა ბინას და გვერდით გიორგის საყვარელი, ნელ-თბილი ჩაით სავსე ჭიქა ჰქონდა მოდგმული. მასზე ერთმა თვალის შევლებამ გიორგი დაამშვიდა.

- ვსო, საწოლი მზად არის. როცა იტყვი, დავიშალოთ - თქვა გიორგიმ და ნიას ჭიქას დასწვდა.

- მადლობა, შენ რომ არა, არ ვიცი რა მეშველებოდა - თქვა ნიამ და სანახევროდ, ტუჩების მხოლოდ ცალი მხრით გაიღიმა.

- რისი მადლობა - თქვა გიორგიმ.

- კიდევ ერთი თხოვნა მაქვს, ზედმეტი კბილის ჯაგრისი ხომ არ გექნება?

- უნდა მქონდეს. ახლავე ვნახავ.

გიორგი საპირფარეშოში შეუძღვა და ახალი ჯაგრისი მისცა.

- პირსახოცი. საპონი. ჯაგრისი. თუ გადავლება გინდა, ეგეც არაა პრობლემა. მე აივანზე ვიქნები, მოვწევ.

აივანზე გავიდა. უკვე გვიანი იყო. ღმუილით ჩაიქროლა შეგვიანებულმა მანქანამ. ეს იყო ერთადერთი, რასაც ამ ბინას ნაკლად უთვლიდა - ზედმეტად ახლოს იყო ქუჩასთან.

მაგრამ ახლა ეს სიახლოვე პირიქით, მოსწონდა. ცარიელმა ქუჩამ, მოსახვევში აფთიაქის წითელ-მწვანე აბრის ციმციმმა და გრილმა ნიავმა მასზე დამამშვიდებლად იმოქმედეს და პირქუში აზრები გაუფანტეს. კოლოფიდან ერთი ღერი ამოაძვრინა. მოწევის მავნე ჩვევისგან უკვე დიდი ხანია ცდილობდა თავის დახსნას, მაგრამ ჯერ ვერ მოეხერხებინა. არა უშავს, საქმეებით ასე დატვირთულ ადამიანს, ეპატიება ხასიათის ერთი სისუსტე.

თავის გასამართლებლად ასეთი მომენტებიც - ნერვული დაძაბულობის, აღელვების - გამოადგებოდა: ვერაფერი ვერ ახერხებდა მის ისე სწრაფად დამშვიდებას, როგორც რამდენიმე ღრმა ნაფაზი; და ახლაც, მას შემდეგ რაც მისი ფილტვებიდან ამოფრქვეული სიგარეტის კვამლი საღამოს ჰაერში გაიზლაზნა, საბოლოოდ დამშვიდდა - და შიშები, რომლებიც რამდენიმე წამის წინ აწვალებდა, გადაღლილი და ეჭვიანი გონების ავადმყოფურ პროდუქტად მოეჩვენა.

შემდეგ შეამჩნია კვამლის თხელი, დაძენძილი ფარდის მიღმა, მოსახვევში, როგორ გამოჩნდა მანქანა. თავიდან უაზროდ გააყოლა თვალი - თუ როგორ უჩვეულოდ ნელა ჩამოუყვა ქუჩას - თითქოს ყოყმანობდა ან რაღაცას ეძებდა. მანქანის გლუვმა ზედაპირმა აფთიაქის აბრის რიტმული ციმციმი აირეკლა, და როდესაც მაღაზიებსაც ჩამოსცდა და ეზოში შემოუხვია, მის სახურავში გიორგის კორპუსის ანარეკლიც ალივლივდა. ზუსტად გიორგის აივნის ქვეშ გაჩერდა და რამდენიმე წამში ძრავაც ჩაუქვრა. ამის შემდეგ ისევ სიჩუმემ და სიცარიელემ დაისადგურა.

გიორგიმ სიგარეტი, რომელიც თითქმის ბოლომდე ჩამწვარიყო, გადააფერფლა. მანქანას თვალი მოაშორა და კიდევ ერთხელ ააყოლა ქუჩას, მოსახვევისკენ, საიდანაც სხვა მანქანები როგორც წესი ღმუილითა და ბორბლების ღრჭიალით გამოვარდებოდნენ ხოლმე. შემდეგ ისევ აივნის ქვეშ დაყენებული შავი მანქანისკენ გაექცა თვალი.

სიგარეტი საფერფლეში ჩასრისა. წესით ახლა ბინაში უნდა შებრუნებულიყო, მაგრამ შავი მანქანის სახურავს თვალი ვერ მოწყვიტა. მოაჯირს ცოტათი მოშორდა, რათა მთელი ტანით აღარ გამოჩენილიყო ქვემოდან და ახლა ასე დააკვირდა მანქანას. იქიდან არავინ გადმოდიოდა.

შემობრუნდა და ოთახში შევიდა. გაფანტულად მოავლო თვალი ბინას - ნია ჯერ კიდევ არ გამოსულიყო საპირფარეშოდან. ცოტა ხანი ტახტზე ჩამოჯდა - თვალებით ნიას ჩანთას დაუწყო ძებნა, რომელიც მთელი საღამოს განმავლობაში გოგოს გვერდით ედო, მაგრამ ვერ იპოვნა. სახლში გამეფებული თითქმის სამარისებული სიჩუმე აბაზანის კარის საკეტის გატკაცუნებამ დაარღვია.

- ყველაფერი რიგზეა? - კითხა გიორგიმ ნიას.

გოგომ თავი დაუქნია, მაგრამ არაფერი უთქვამს.

- ძალიან კარგი. ახლა მე შევალ, შენ შეგიძლია უკვე შეწვე თუ გინდა. შუქსაც ჩავაქრობ, ორი წუთი მინდა.

ტუალეტში წყალი მოუშვა. უნიტაზის საფარი ჩამოუშვა და ჩამოჯდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო - ორი ღერი ქონდა დარჩენილი, მაგრამ მოწევა გადაიფიქრა და კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიდო. თვალი საგულდაგულოდ შერჩეულ, საშუალოზე მაღალი ხარისხის კაფელს გაუშტერა. აქ ისე აღარ ბრწყინავდა ყველაფერი, როგორც თავიდან, მაგრამ მაინც მოსწონდა.

ქალაქი სავსეა შავი მანქანებით. შავი მანქანა, თავისთავად, არაფერს ნიშნავს. მაგრამ დამთხვევების არ სჯეროდა. სჯეროდა გადარჩენის ინსტინტქის, რაღაც პირველყოფილი მექანიზმის, რომელიც მოახლოებული საშიშროების მაუწყებელია და მიხვდა, რომ უსიამოვნო შეგრძნება, რომელიც თითქმის მთელი საღამოს განმავლობაში აწუხებდა, მას შემდეგ რაც ნია სახლში მოიყვანა, ამ მექანიზმის

ამოქდემედებას გამოეწვია. შეეცადა შიშის ცხელი ტალღის მიუხედავად, რომელიც სწრაფად მოქმედებისკენ უბიძგებდა, ცივი გონება შეენარჩუნებინა.

თავისი მდგომარეობა სწრაფად უნდა შეეჯამებინა: იგი ახლა ინფორმაციისა და კამერების, სოციალური ქსელებისა და ყოვლისმხედველი სატელიტების დროში, საკუთარ უნიტაზზე იჯდა და არანაირი დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი. ამ სიტუაციიდან უვნებლად გამოსაძვრომად საკმარისი უნდა ყოფილიყო უბრალოდ ყურადღებით ყოფნა და ნებისმიერი ნიშნისთვის, რომელიც სამოქმედოდ უბიძგებდა - სათანადო მნიშვნელობის მინიჭება. საჭირო იყო ბუნებრივად მოქცეულიყო, რათა ნიას, (ვისდამი უნდობლობაც ყოველწამიერად იზრდებოდა), რამე ეჭვი არ აეღო. აბაზანაში წყალი დაკეტა და ტუალეტიდან გამოვიდა.

მისაღებ ოთახში ერთი ნათურაღა ენთო, საძინებლის კარი კი მოხურული დახვდა. შეიძლება დაღლილმა სტუმარმა მართლა დაიძინა. ამან გიორგის ერთგვარი შვება აგრძნობინა. ახლა, როდესაც ნია მისი მხედველობის არიდან გასულიყო და სახლი კი კარგად ნაცნობ მდგომარეობას დაბრუნებოდა, თავის თავს უსაყვედურა კიდეც - ზედმეტად აღელვების გამო. ამ ნერვულ აღგზნებადობას უკვე დიდი ხანია - ღრმა ბავშვობიდან ებრძოდა. ხანდახან, ღამით, ამ ზრდასრულობისა და წარმატების წლებშიც კი, საკუთარ სახლში წამიერად პანიკური შიშით შეპყრობილს საწოლის ქვეშ დამალული მონსტრის გასაუვნებელყოფად - შუქების ანთებაც დასჭირვებია. მაგრამ ასეთი მომენტები ყოველთვის იშვიათი იყო და ხანმოკლე. არ ღირდა ამ თანდაყოლილი სისუსტისთვის დიდხანს თვითვგვემა. ბოლოს და ბოლოს ნიას მოყოლილი ამბავი ნაკლებად მგრძნობიარე ადამიანსაც ააფორიაქებდა ან სულ ცოტა, ფანტაზიას გაუღვიძებდა.

აივანზე კიდევ ერთხელ გავიდა. ზუსტად ისე, როგორც საწოლის ქვეშ დამალული მონსტრის არარსებობაში დასარწმუნებლად და საბოლოოდ დასამშვიდებლად, შუქების ანთების გარდა, საწოლის ქვეშაც მოაფათურებდა ხოლმე ხელს, ახლაც სჭირდებოდა შიშის საბოლოოდ დაძლევა. ფრთხილად გადაიხედა აივნიდან. მანქანა ისევ იქ იდგა, ოღონდ ახლა ისეთი საშიში აღარ მოეჩვენა.

წესით ამ დროს სახლში უნდა შებრუნებულიყო და თვითონაც დაეძინა. მაგრამ მანამდე ორი ფრთხილი ნაბიჯი გადადგა საძინებლიდან აივანზე გამომავალი შუშის კარისკენ. უნდოდა თვალი შეევლო საძინებლის სიბნელისთვის უმოძრაო ფარდებს მიღმა და დარწმუნებულიყო, რომ გოგოს ეძინა.

მაგრამ ამის ნაცვლად სადღაც საწოლთან ატივტივებული მკრთალი სინათლეს მოხვდა თვალში. სანამ ავი წინათგრძნობით საბოლოოდ ატანილი გიორგი შუშის კართან იყო გაშეშებული, სინათლე რამდენჯერმე აინთო და ჩაქვრა. აშკარად ტელეფონის ეკრანი იყო. ამ გიორგისთვის საგანგაშო სურათს თითქოს განგებ გამოეხმაურა ქვემოთ დაყენებული მანქანის ფანჯრის მექანიზმის მექანიკური და მონოტონური ზუზუნი. გიორგი ჩაიმუხლა და რკინის მოაჯირს რაც შეეძლო უხმაუროდ მიახლოვდა. მანქანის

ფანჯრიდან გადმოყოფილ ხელში ანთებული, უქარო ღამეში მშვიდად მხრჩოლავი სიგარეტი და მოზრდილი ვერცხლისფერი ბეჭედი დაინახა.

მისაღებშიც ოთხზე დამდგარი შებობღდა. წამოდგომა მხოლოდ მაშინ გაბედა როცა უკვე საკმაოდ ღრმად იყო შესული ოთახში. გადაწყვეტილება სწრაფად უნდა მიეღო. საძინებლის კარს მიუახლოვდა და კარი დაუკაკუნებლად შეაღო. თვალწინ ისევ გაუკრთა ტელეფონის ეკრანის ნათება, მაგრამ მხოლოდ წამიერად. ნია მკვეთრად მოტრიალდა და გიორგის მიაშტერდა. მისაღებიდან საძინებელში შეჭრილი შუქი სახეზე ეცემოდა. გიორგის მოეჩვენა, რომ გოგოს გამომეტყველება ზიზღის, შიშისა და გაღიზიანების რაღაც ნაზავს გამოხატავდა. გოგოს ხმა არ ამოუღია.

- კარგად ხარ? - თქვა გიორგიმ - უბრალოდ შემოწმება მინდოდა, რომ კარგად მოეწყვე. იმედია არ გაგაღვიძე.

- არაუშავს - თქვა გოგომ მკვახედ - ყველაფერი კარგადაა. ძილი ნებისა.

- სიგარეტი გამითავდა, ხუთი წუთი მაღაზიაში გავალ, კარის ხმამ არ შეგაშინოს.

თხელი ქურთუკი მოიცვა და შემოსასვლელ კართან შეჩერდა. კარს მიღმა შეიძლება უკვე ჩასაფრებოდა საფრთხე, მაგრამ სახლში თუ დარჩებოდა, კუთხეში მოიმწყვდევდნენ. თვითონ უნდა დაესწრო მოქმედება, რათა დარტყმა, რომლის მოახლოვებასაც გრძნობდა, შეერბილებინა. კარი გამოაღო და თავი დერეფანში გაყო - არაფერი ისმოდა, მხოლოდ ჭკვიანი ნათურა აინთო მოშორებით. სადარბაზოში გავიდა. კიბეებზე ჩასვლისას რამდენჯერმე კინაღამ ფეხი დაუცდა. თავსატეხის ნაწილების აზრიან სურათად შეკვრას ცდილობდა. ნიამ თუ ყველაფერი სიმართლე მოყვა, მაშინ შავ მანქანაზე ეჭვი არ რჩებოდა - მამინაცვლის მოგზვნილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაშინ ნიას საქციელი იყო ალოგიკური. რატომ ჩართავდა ტელეფონს? შეეცადა გაეხსენებინა ნანახი ფილმები საიდუმლო სამსახურებზე, გამოძიებებზე, კრიმინალურ ორგანიზაციებზე - ბუნდოვნად ახსოვდა, რომ გამორთული ტელეფონის ადგილსამყოფელის მიგნება შესაძლებელია. მაგრამ ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩართულის მიგნება ხომ ნამდვილად შესაძლებელია?

მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. უკვე გარეთ იყო. აქედან შავი მანქანა არ ჩანდა, კორპუსის კუთხეს ეფარებოდა. ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ქუჩას ზემოთ, მაღაზიისკენ აუყვა. მარცხნივ, სადაც შავი მანქანა ეგულებოდა, თავი არ მიუბრუნებია, მაგრამ თვალის კუთხით დაინახა, რომ ის იქ იდგა. ფანჯრის მინა ისევ აეწიათ. კორპუსთან შესახვევს გასცდა და სადღეღამისო მაღაზიას შეუფერხებლად მიაღწია. შიგნით არავინ იყო, გარდა გადაღლილი გაყიდვების მენეჯერისა. მან გულგრილად შეათვალიერა გიორგი.

თავი ცოტა უფრო უსაფრთხოდ იგრძნო. აქედან კარგად შეეძლო შავი მანქანის და თავისი აივნის დანახვა. მაღაზიაში, აჭრელებულ თაროებს შორის გაიარ-გამოიარა და ნამცხვრების შეკვრა აიღო კიდეც, გაყიდვების მენეჯერის თვალის ასახვევად და

ეჭვების გასაფანტავად. შემდეგ სალაროს გვერდით, ვიტრინასთან დადგა საიდანაც კარგად ხედავდა მანქანას. მოგვიანებით გაიხსენა, თუ როგორ ჩამოიარა ქუჩაზე კიდევ ერთმა, ნაცრისფერმა მანქანამ, კორპუსს ცოტათი ჩასცდა და გაჩერდა. მაგრამ ახლა, ხელში კრემიანი ნამცხვრების შეკვრით, მხოლოდ შავ მანქანაზე შეეძლო კონცენტრაცია. გაყიდვების მენეჯერის ხმამ გამოარკვია:

- დაგეხმაროთ, ბატონო?

და ეს მართლაც დაეხმარა - გამოარკვია. უკვე იცოდა რაც უნდა გაეკეთებინა, უბრალოდ გამბედაობის მოკრებაღა იყო დარჩენილი. არაფერი უთქვამს, შეკვრა სალაროს მაგიდაზე დააგდო და კართან კიდევ ერთხელ შეჩერდა, სახელურს ჩაფრენილი. შემდეგ სამამდე დაითვალა. მესამე თვლაზე კარი სწრაფად გამოაღო და ქუჩაში გავიდა. შავი მანქანისკენ სწრაფი და მტკიცე ნაბიჯებით წავიდა - მასთან უკვე ახლოს იყო, როდესაც მაღაზიის კარი წკარუნით დაიხურა მის ზურგს უკან.

მანქანას რატომღაც მეორე მხრიდან შემოუარა და დაბურულ მინაზე დააკაკუნა. სახურავს მარცხენა ხელით დაეყრდნო. ფანჯარა ზუზუნით ჩაიწია და მინაში არეკლილ, გიორგის შეძრწუნებულ მანქანის ტყავის ინტერერი და მძღოლის გაუპარსავი სახე, რომელიც თითქოს ინტერიერის განუყოფელი ნაწილი იყო, ჩაენაცვლა.

- პრობლემები არ მჭირდება ძმა. გოგო ჩემთანაა. ბინა 2ა. არაფერ შუაში ვარ. პრობლემები არ მინდა. მაგრამ არაფერი უნდა მოუვიდეს. შემთხვევით შევხვდი. ვაბშე არ ვიცი ვინაა. პროსტა მოდით და ვსო. პრობლემები არ გექნებათ. სამარე ვარ.

ბორძიკობდა და ენა ებმოდა. რამ ათქმევინა სამარე ვარო. ფილმების გავლენა უნდა იყოს.

- რა პრობლემები უნდა გვქონდეს? - ჩახლეჩილი ხმით კითხა მძღოლმა.

- ხოდა არც არაფერი ძმაო. არაფერი - თქვა გიორგიმ.

მანქანის სახურავიდან ხელი აიღო და უკან დაიხია. მძღოლს თვალი არ მოუშორებია მისთვის. გიორგის პასუხის გაგება უნდოდა, მაგრამ მძღოლი არაფერს ამბობდა და მისი მკაცრი, უძრავი მზერის გაძლება ვერ შეძლო. მანქანას მოშორდა და სადარბაზოსკენ წავიდა. ფეხები უკანკალებდა მაგრამ კმაყოფილი იყო რადგან მოქმედებისთვის საჭირო გამბედაობა გამოიჩინა. ახლა სუფთა სინდისით შეეძლო თავისი ბინისთვის შეეფარებინა თავი. სანამ სადარბაზოში შევიდოდა მისი ყურადღება აღელვების და გონებაგაფანტულობის მიუხედავად წამით მაინც მიიქცია წითელმა პორშემ, რომელიც კორპუსთან ახლოს გაჩერდა. სხვა დროს შეიძლება უფრო ახლოდანაც შეეთვალიერებინა, მაგრამ ახლა ამისთვის არ ეცალა. სადარბაზოს კიბეები ავლო და უკვე საკეტში ატრიალებდა გასაღებს როდესაც ზურგიდან ხმა მოესმა - ტელეფონის მჭახე ზარი. გიორგიმ თავი სწრაფად მოატრიალა - დერეფნის სიღრმეში, რომელიც აქამდე ჩაბნელებული იყო, შუქი აინთო და ამავდროულად ზარის ხმაც

შეწყდა - იქ ორი ტიპი იდგა, ტყავის ქურთუკები ეცვათ, ერთ-ერთს ტელეფონი ყურთან ჰქონდა მიდებული:

- ხო, მეორეზე ვართ - თქვა საქმიანად ტელეფონიანმა.

- მოიცადე ერთი წამი აბა, ძმა - დაუძახა მეორემ გიორგის.

ორივენი გიორგისკენ დაიძრნენ.

- ხო, მაგაში შემოდი და მეორეზე ამოდი. დაგვინახავ - კარნახობდა ვიღაცას ტელეფონიანი.

გიორგიმ კარი შეაღო და ერთი ფეხით ზღურბლს გადააბიჯა. ეს ტიპები აქ საიდან აღმოჩნდნენ გაუგებარი იყო. მიუხედავად თავდაჯერებულობისა და თავხედობისა, რომელიც მათ ყოველ ჟესტში იგრძნობოდა, მათი, მაინცდამაინც, არ შეშინებია. თავიდან ისიც კი ეგონა, რომ უბრალოდ რომელიღაცა მეზობლის სტუმრები იყვნენ და საჭირო კარი ვერ მოძებნეს სადარბაზოში კარების განლაგების უცნაურობის გამო.

- მეორეზე-მეთქი - ხმას აუწია ტელეფონიანმა.

- ერთი წამი აბა ძმა - კიდევ დაუძახა მეორემ და ხელიც დაუქნია გიორგის.

დერეფნის შუაში იყვნენ, კიბეებთან და გიორგისკენ მოიწევდნენ. ოღონდ არ ჩქარობდნენ, თითქოს სასეირნოდ ეს დერეფანი სასეირნოდ შეერჩიათ და ახლა უბრალოდ გიორგისთვის სიგარეტი უნდა ეთხოვათ.

ვიღაც მესამემ კიბეები ბრახუნითა და ქოშინით ამოიარა და იმ ორს ზურგში ამოუდგა. გიორგის ასაკის იქნებოდა, ან ცოტა უფრო უმცროსი.

- ესაა? - კითხა იმ ორს, ისე რომ არც მისალმებია და გიორგიზე ნიკაპით მიანიშნა. შავი სათვალეები მოიხსნა.

- რა გნებავთ? ვინ ბრძანდებით? - თქვა გიორგიმ, ისევ ყოყმანობდა, კარი თითქმის ბოლომდე მიხურა, მაგრამ სამნი უკვე ახლოს იყვნენ.

კართან გაჩერდნენ, ერთ-ერთი მათგანი კარს თავისი მსხვილი ხელებით მიაწვა, მეორემ კი ხელი პირდაპირ კარის ღრიჭოში შეყო, გიორგის საყელოში ჩაავლო და უბიძგა. გიორგი უკან-უკან წაბარბაცდა და შემდეგ უკვე თავისი ნებით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი უკან, რადგან სამმა უცნობმა ბინაში შემოაბიჯა. გიორგიმ ხელები აწია იმის ნიშნად, რომ წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა.

- შენთან არის, ბიჭო? - კითხა გიორგის ახალმოსულმა.

გიორგის პასუხი საჭირო აღარ გამხდარა - საძინებლის კარი გაიღო და ნია გამოვიდა. ჩაცმული იყო, თავისი პატარა ჩანთაც კი უკვე მხარზე ქონდა გადაკიდებული, მაგრამ მისაღებში შეკრებილების დანახვაზე გაშეშდა.

- რა ხდება. თქვენ აქ რა გინდათ? - თქვა ნიამ.

ყველაზე ბოლოს მოსულმა, რომელსაც როგორც ჩანს შეკითხვა მიემართებოდა, დანარჩენი ორი მუტრუკის ზურგებს შემოუარა და ნიასკენ წავიდა. ხელები წინ გაიშვირა. ნიას შეკითხვისთვის არ უპასუხია.

- გაგიჟდი შენ საერთოდ? - თქვა ალერსიანად. ცდილობდა ნია თავის მკლავებში მოექცია.

ნია ხელიდან დაუსხლტა და კინაღამ გიორგის დაეჯახა. გიორგიმ მას თავი აარიდა და ტახტზე ფრთხილად ჩამოჯდა. შეამჩნია, რომ ის ორნი, რომლებიც დაცვის წევრები უნდა ყოფილიყვნენ, ბინაში კი შემოიჭრნენ მაგრამ ახლა გაუნძრევლად იდგნენ და თვალს ადევნებდნენ მიმდინარე სცენას.

ნიამ გიორგის და ტახტს გვერდი აუარა, მაგრამ არც დაცვასთან მიახლოვება არ უნდოდა. ერთადერთ ცარიელ კუთხეში მიიყუჟა.

- კაი, რა გჭირს შენ, ღადაობ? - თქვა ბიჭმა, რომელსაც ხელები ჯერ კიდევ გაშვერილი ქონდა.

ნიამ მას ზიზღით შეხედა. არაფერს ამბობდა.

- აბა რა უნდა მექნა, ცოტა დაფიქრდი. ხო უნდა დაფიქრდე ვინმეზე. მამაშენი გიჟს გავდა. დედაშენზე იფიქრე ვაბშე? შენი აზრით როგორ უნდა მოვსულიყავი მარტო?

ნიას არაფერი უთქვამს ბიჭი კი არ ეშვებოდა, ცდილობდა მიახლოვებოდა და შემოერიგებინა, რადგან ნია აშკარად ნაწყენი იყო მასზე. გიორგის თითქოს თითქოს საიდანღაც ეცნობოდა ეს ხალხი, მაგრამ ჯერ ვერ მიმხვდარიყო, საიდან.

ბიჭმა ნია კუთხეში მიიმწყვდია და გოგო იძულებული გახდა ფიზიკური წინააღმდეგობა გაეწია - თავისი გამხდარი ხელებით შეეცადა ბიჭისთვის უკან დახევა ეიძულებინა, მაგრამ ბიჭი გაცილებით ძლიერი იყო. ნია გაცეცხლდა - შეეცადა პირდაპირ სახეში დაერტყა ბიჭისთვის, ხელი მოუქნია, მაგრამ ბიჭმა სახე დაიფარა.

დაცვის ერთ-ერთი წევრი ზანტად დაიძრა მოჩხუბრებისკენ.

- დამშვიდდი ტო - დაიღრიალა წყობიდან გამოსულმა ბიჭმა, თან ცდილობდა ნიასთვის ხელები გაეკავებინა.

გიორგის მოეჩვენა, რომ ნია სადაცაა ტირილს დაიწყებდა მაგრამ მისი შეტევა კიდევ უფრო გააფთრებული გახდა. სხვა სიტუაციაში ალბათ გამოექომაგებოდა კიდეც გოგოს, ბიჭს ეტყოდა თავი დაანებეო, მაგრამ ახლა გონიერების და ზრდილობის კარნახით - არაფერი უთქვამს.

დაცვამ ბიჭს ხელი ტყავის ქურთუკში ჩაავლო და უკან გამოქაჩა - გიორგის გასაკვირად, რომელსაც დაცვა ბიჭის დაქვემდებარებაში ეგონა, ამ მოქაჩვაში არანაირი თავშეკავება,

მოწიწებით ან პატივისცემით ნაკარნახევი არ ყოფილა. ბიჭი უკან გადაქანდა, კინაღამ წაიქცა.

- ნელა ტო - დაიღრიალა როცა წონასწორობა აღიდგინა.

მაგრამ რადგან როგორც ჩანს ვერ გაბედა დაცვას შეწინააღმდეგებოდა, ადგილზე გაშეშდა, თვალები დააბრიალა და წამიერი შეყოყმანების შემდეგ, კიდევ რაღაც გაუგებარი დაიღრიალა თუ დაიყმუვლა - იმის გამოსახატად, რომ საშინელი ტკივილი მიაყენეს.

მოჩხუბრებს შორის დაცვის წევრი ჩადგა. ბიჭი ახლა სიტყვიერ შეტევაზე გადავიდა.

- კიდე ჩემი ბრალია, ხო? ვაბშე რამე ყოფილა შენი ბრალი? - ხმას აწვებოდა. როგორც ჩანს ნერვები აღარ ყოფნიდა.

ნიას არც ახლა უპასუხია რამე, ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი.

- ვინმეზე იფიქრე? ყველა რომ შენ ჭკუაზე დადის მაგაზე იფიქრე? მე რა დღეში ვიქნებოდი იფიქრე?

ბიჭი დაცვის წევრზე მაღალი იყო და მის მხარს ზემოდან უყვიროდა ნიას.

- კი ვხედავ რა დღეშიც ხარ. მაგარ დღეში ხარ. ვაბშე რატო მეგონა რო იმათ გარეშე ერთ ნაბიჯსაც გადადგამდი - უთხრა უცებ ნიამ გესლიანად, დაცვაზე მიანიშნა.

გიორგიმ ნიას ტონის თუ გამომეტყველების, კიდევ იმის მიხედვით, თუ როგორი რეაქცია ქონდა ბიჭს - როგორ გაშეშდა და პირი დააღო (მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ყოყმანი მხოლოდ წამიერად გაგრძელდა და მაშინვე დაუბრუნდა გულნატკენი შეყვარებულის როლს), მიხვდა, რომ ნიას ეს რეპლიკა, როგორც რაღაც საგანგებოდ შექმნილი იარაღი - მხოლოდ ტკივილის მისაყენებლად იყო განკუთვნილი.

გიორგის ამ სცენაზე დაკვირვება ართობდა. შიშის შეგრძნება და საჭიროება იმისა, რომ ფრთხილად ყოფილიყო, რომ რაღაც განსაკუთრებით საშიშთან ქონდა საქმე - ყოველწამიერად კლებულობდა. იმის ბრალი თუ იყო, რომ მთელი ყურადღება სიტუაციის ანალიზისკენ ჰქონდა მიმართული და შიში უბრალოდ დავიწყებოდა, ან კიდევ იმის, რომ მის ბინაში განვითარებულ დრამაში ყველაფერი ეცნობოდა - მოქმედი პირები და მათ შორის არსებული მიმართებები; მაგრამ ამავდროულად - ყველაფერი ცოტა უფრო კომიკური, მსუბუქი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოედგინა. შენიშნა, რომ ბიჭი არ დანებდებოდა და რომ კიდევ აპირებდა დაყმუვლებას.

- უკაცრავად - თქვა გიორგიმ, შეეცადა რაც შეიძლება უწყინარი ტონი ჰქონოდ

- ცოტა შარიანი მეზობლები მყავს. ცოტა ჩუმად ვერ ვიზამთ?

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ გიორგის შეხედა. გიორგი ნახევრად წამომდგარიყო ტახტიდან, რათა ხაზი გაესვა იმისათვის, რომ მისი თხოვნის მიუხედავად განსაკუთრებული პატივისცემით იყო განწყობილი სტუმრებისადმი. მიხვდა, რომ

შეიძლება ზედმეტი მოუვიდა, რადგან გიორგიზე მიშტერებულმა ბიჭმა თითქოს თავისი ბრაზის გამოსათავისუფლებლად როგორც იქნა აღმოაჩინა შესაფერისი ობიექტი.

- შენ ბიჭო ვაბშე... - თქვა მან და გიორგისკენ გაიწია.

გიორგი თავის დასაცავად მოემზადა, ტახტზე გადაწვა, ფეხები ჰაერში აწია რათა ასე მოეგერიებინა თავდამსხმელი. მაგრამ გაუმართლა, რადგან მეორე დაცვამ, რომელიც კართან უფრო ახლოს იდგა, ნაბიჯი წინ გადმოდგა და გამოაცხადა.

- მოდის. წყნარად.

ბიჭი მაშინვე გაჩერდა - ცოტა ხნით გადადო თავისი გრძნობების გამოხატვა. ნია კი პირიქით, თავის კუთხეს მოშორდა, ჩანთა შუშის მაგიდაზე დააგდო, ხელები გულზე დაიკრიფა, შემდეგ ჩანთა ისევ აიღო და რამდენიმე ნაბიჯი კიდევ გადადგა - თავი ისე ეჭირა, თითქოს არც გაუგონია დაცვის ნათქვამი და წასვლას აპირებდა.

ახალ სტუმრებზე ადრე მათი ნაბიჯების ექომ მოაღწია გიორგის ბინამდე. სიჩუმე ჩამოვარდა და რამდენიმე წამი ყველანი უნებურად ნაბიჯების ამ კრესჩენდოს უსმენდნენ. შემდეგ კარში ისეთივე დაცვა გამოჩნდა, როგორი ორი ცალიც უკვე იყო ბინაში - ოთახი სწრაფად მოათვალიერა და გვერდზე გაიწია - ვიღაცას გზა დაუთმო.

კარში საშუალო სიმაღლის კაცი შემოვიდა. გიორგის ბუნდოვნად ეცნო მისი სახე. კაცმა თვალი მოავლო ოთახს და ყურადღება გიორგიზე შეაჩერა. ხელი ჩამოართვა და მოუბოდიშა შეწუხებისთვის. გიორგი ამას არ ელოდა. ახალმოსულის კეთილგანწყობამ და ზრდილობამ სიტუაციას ახალი განზომილება შესძინა. დაცვის წევრები დაიძაბნენ და გაიჯგიმნენ. ბიჭი, რომელიც რამდენიმე წუთის წინ, მზად იყო ნიასთვის თავისი სიმართლე ყვირილით დაემტკიცებინა, ახლა თავშეკავებას იჩენდა, მის გამომეტყველებაში მოწამეობრივი თმენა გამოიხატა, ეტყობოდა, რომ მოყვარული მსახიობის მთელი ძალისხმევა უსამართლოდ მიყენებული ტანჯვის თვალებით გამოსახატად მიემართა. რაც შეეხება ნიას, ახალმოსულის მოსვლამ როგორც ჩანს მის განწყობაზე, დანარჩენებისგან განსხვავებუთ, უარყოფითად იმოქმედა და კიდევ უფრო გაუფუჭა ხასიათი.

გიორგის ჯერ ვერაფრით გაეხსენებინა საიდან ეცნობოდა ახალმოსული. შეიძლება იმიტომაც, რომ ამაზე თავისუფლად ფიქრის დრო არ ჰქონდა. სადღაც ჰყავდა ნანახი - ალბათ რომელიმე გადაცემაში. სატელევიზიო ჩართვაში. ჟურნალისტურ გამოძიებაში. ვერ იხსენებდა.

- უხერხულია ასე ადამიანის შეწუხება - განაცხადა კაცმა. ეს ფრაზა ჩანდა ყველას ეხებოდა, მათ შორის დაცვის წევრებსაც. შემდეგ ხმას დაუწია, გიორგის მიმართა - სად შეიძლება, რომ უფრო წყნარად დავილაპარაკოთ?

და ზუსტად ისე როგორც ცოტა ხნის წინ ნიამ როდესაც პირველად შემოდგა სახლში ფეხი, ისე ახალმა სტუმარმაც ცუდად შეფარული ზიზღით მოავლო თვალი ოთახს.

მსგავსება, რომელიც ახალმოსულსა და ნიას შორის არსებობდა, რომელსაც გიორგი აქამდე ბუნდოვნად ხედავდა და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ყურადღებას გაამახვილებდა მათი გარეგნობის ან მეტყველების რომელიმე წვრილმან დეტალზე უცებ მთელი ძალით გამოვლინდა და ადგილი აღარ დატოვა ეჭვისათვის: უცნობმა შესაძლოა უნებლიე მაგრამ ცუდად შეფარული ზიზღით მოავლო თვალი ოთახს, როგორც ცოტა ხნის წინ ნიამ, როდესაც პირველად შემოდგა სახლში ფეხი.

გიორგი კაცს საძინებელში შეუძღვა. არეულ ლოგინს ორივემ თვალი აარიდა. საძინებლის კარი ბოლომდე არ მოუხურავთ და იქიდან შემოსული სინათლის ვიწრო ზოლი ოთახს დიაგონალურად კვეთდა.

- ერთი წამით, სკამებს შემოვიტან - თქვა გიორგიმ.

- არა, არა, არავითარ შემთხვევაში. არ არის საჭირო. ძალიან ცოტა დროს წაგართმევთ - თქვა კაცმა.

როგორც კი ოთახში შემოვიდნენ, კინკლაობა მისაღებში დარჩენილებს შორის მართალია უფრო თავშეკავებულად, მაგრამ მაინც განახლდა. ბიჭი სწრაფად და მონოტონურად, მოთოკილი წკავ-წკავით უხსნიდა რაღაცას ნიას. ის კი მხოლოდ შიგადაშიგ, მოკლედ და მკაცრად პასუხობდა.

მისაღებიდან შემოსული ამ ემოციური დიალოგის ფონზე, კაცმა გიორგის სწრაფად აუხსნა, რომ ნია ყოველთვის პრობლემური ბავშვი იყო. ასეთი გაქცევა მისგან პირველი არ ყოფილა. გიორგის ბოდიშს უხდიდა შეწუხებისთვის.

საძინებელში შემოღწეულ ხმებს კიდევ დაემატა ქუჩიდან შემოსული ახალი ხმაც - ბორბლების ღრჭიალი და შემდეგ მანქანის კარის ძლიერი გაჯახუნება.

- სად არის - დაიკივლა ქალმა ქუჩაში - სად არის! - და ამ საბრძოლო კივილს ლანძღვა-გინების ნაკადი მოყვა, რომლის ცალკეული სიტყვების გარჩევა საძინებლიდან შეუძლებელი იყო.

კაცს სათქმელი გაუწყდა და თვალები დაახამხამა, შემდეგ სწრაფად მოშორდა გიორგის, შეღებულ კარში გაიხედა და ერთ-ერთ თანმხლებს მინიშნება მისცა. ორმა კაცმა სასწრაფოდ დატოვა ბინა.

კაცი გიორგის მოუბრუნდა. ახლა წეღანდელივით დინჯად და დალაგებულად ლაპარაკის დრო აღარ ჰქონდა. ჯიბიდან შეკვრა ამოიღო და გიორგის გაუწოდა. ერთმანეთს თვალი გაუსწორეს. ქუჩიდან შემოსული აურზაური მატულობდა. როგორც ჩანს ამ ხმაურმა ნიაზეც იმოქმედა - გიორგის მისი ხმაც მოესმა, მას და ბიჭს როლები უცებ გაეცვალათ, საუბრის სადავეები ნიას აეღო ხელში და ბიჭს ტუქსავდა. სიტუაცია მისაღებშიც უარესდებოდა.

- მემგონი გვესმის ერთმანეთის - თქვა კაცმა.

ახლა მისი ხმა სხვანაირად გაისმა - მბრძანებლურად და მოუთმენლად.

- რა თქმა უნდა - თქვა გიორგიმ.

- ძალიან კარგი - თქვა კაცმა.

კაცი შეტრიალდა და საძინებლიდან გავიდა. ისე რომ არავისთვის არაფერი უთქვამს კარისკენ წავიდა. გიორგი საძინებლის კარიდან ხედავდა ყველაფერს. გარედან კივილი არ წყდებოდა. ბინაში დარჩენილები უსიტყვოდ მიხვდნენ, რომ ვიზიტი დასრულებული იყო. კაცმა თავის მოკლე გადაქნევით ანიშნა ყველას, რომ წასვლის დრო იყო. გიორგისთვის არავის შეუხედავს.

გიორგიმ თვალი გააყოლა მთელ ამ ჯგუფს. უცებ, შეიძლება იმიტომ, რომ დღევანდელი საღამოს თავგადასავალი აშკარად დასასრულისკენ მიდიოდა და საფრთხე გადავლილად ჩათვალა, უცებ, თავისდაუნებურად შეძლო მთელი სურათის მთლიანობაში დანახვა: ამ პროცესიის თითოეულ წევრსაც იცნობდა და იმათაც, ვისაც გარეთ აეტეხა აყალ-მაყალი - თითქოს ნიას მოთხრობილი ამბის ყველა პერსონაჟი გაცოცხლდა: მნიშვნელოვანი, გავლენიანი ფიგურა და მისი დაცვა, გავლენიანი ფიგურის ქალიშვილი და ვიღაც ბიჭი, სავარაუდოდ ქალიშვილის საქმრო; ვიღაც ქალი, სავარაუდოდ გავლენიანი ფიგურის ცოლი, რომელიც გარეთ კიოდა - ყველა მათგანის ამოცნობა შეეძლო, ოღონდ უკლებლივ ყველა - გადასხვაფერებულიყო, თითქოს იმ შრეში გამოვლისას, რომელიც ფიქციასა და სინამდვილეს ყოფს, განეცადა ტრანსფორმაცია.

დაცვამ, რომელმაც ბოლოს დატოვა ბინა, ბოლოჯერ გამოხედა გიორგის; წარმოსახვით თუ ნიას მონათხრობით გამოწვეულ ილუზიას ჯერ კიდევ რომ ჰქონოდა ძალა, გიორგი ალბათ იფიქრებდა, რომ ამ მზერაში გაფრთხილება ან მუქარა უნდა ამოეკითხა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დამშვიდობება, ან კიდევ, პარალელურ სამყაროში, სადაც ყველაფერი თავდაყირაა - მობოდიშება. მაგრამ სინამდვილეში ამ მზერაში არაფერი იყო, ეს იყო მექანიკური, პროფესიულ ჩვევად გამჯდარი ქმედება, რომელსაც ცარიელი მზერა პერიმეტრის ზერელე მოთვალიერების მიზნით ერთი უმნიშვნელო ობიექტიდან მეორეზე გადააქვს.

როდესაც ოთახი დაიცალა, აივანზე გავიდა. შვებასა და სიმშვიდეს გრძნობდა გადატანილი მღელვარების შემდეგ და ცოტა თავის თავზეც ეცინებოდა, რომ ასე ძალიან შეეშინდა.

აივნის ქვეშ ისევ იდგა შავი მანქანა, ოღონდ მძღოლი გადმოსულიყო, თავის მანქანას ეყრდნობოდა და ეწეოდა, თან საათზე იხედებოდა. გიორგიმ და ამ უწყინარმა ადამიანმა, რომელიც სავარაუდოდ ღამის ცვლაში ტაქსისტად მუშაობდა და ახლა კლიენტს ელოდა, თვალი გააყოლეს რამდენიმე მანქანას, რომელშიც ყვირილით და აურზაურით ჩასხდნენ გიორგის სტუმრები - მნიშვნელოვანი ფიგურა, ნია, დაცვის წევრები. გიორგის ნიასთვის თვალი არ მოუცილებია - ამ გადმოსახედიდანაც გამოირჩეოდა ნია მის ირგვლივ ქაოტურად მოძრავ სილუეტებში და გიორგის გაუჭირდა საკუთარი თავის გამტყუნება, რომ ნიას გამოელაპარაკა.

ოთახში შემობრუნდა და დასაძინებლად მზადება დაიწყო. კბილები გაიხეხა, ოთახებში შუქები ჩააქრო. მხოლოდ ერთი სინათლე დატოვა, რომელსაც მხოლოდ უშუალოდ საწოლში დაწოლის წინ ჩააქრობდა. ფულის შეკვრას ადგილი მიუჩინა საწოლთან მდგარ ტუმბოს უჯრაში. საბოლოო ჯამში დღევანდელი დღე მაინც დადებითი შედეგით დამთავრდა. ძალიან დაღლილიყო. შუქი გამორთო და დაწვა. ალბათ სულ რამდენიმე წამი თუ დასჭირდა ძილის საზღვრის გადასალახად მაგრამ მანამდე მაინც მოასწრო, ბავშვობიდან გადმოყოლილი ჩვეულებისამებრ, რომელიც ყოველი ღამის უსაფრთხოების გარანტი გამხდარიყო, ხელი საწოლიდან გადმოეყო და იატაკი თითის წვერებით მოესინჯა. ეს ქმედება, ყოველ შემთხვევაში დღეს მაინც, მხოლოდ მექანიკურ და ფორმალურ ხასიათს ატარებდა: რადგან რომც ყოფილიყო ურჩხული მისი საწოლის ქვეშ, ალბათ ისიც მხოლოდ საკუთარი თავის კარიკატურა იქნებოდა, როგორც ყველა, საკუთარი თავის ჩათვლით, ვისთანაც იმ დღეს მოუხდა შეხვედრა.

სამზარეულო

შესაძლებელია დაიწეროს მოთხრობა, სახელწოდებით „სამზარეულო“. თავიდან მოკლედ, უხეში შტრიხებით აღწერილია სამზარეულოს შესახედაობა - კედელში ჩაშენებული თაროების გლუვი ზედაპირი და მუქი ნაცრისფერი ფერი. მასალა - ქარხნული ემდეეფი. სიგრძე, დაახლოებით ერთი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი, სიმაღლე - ბოლომდე, ესე იგი ჭერამდე. გამწოვის მექანიზმი. უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა სამზარეულოზე დაწყობილ ნივთებს. მოთხრობა სამზარეულოს დახლს გაუყვება მარცხნიდან მარჯვნივ. სულ პირველად, ნახსენები იქნება **ყვითელი, გამშრალი და გახევებული ჩვარი**, შემდეგ კი **ლურჯი, ნესტიანი და აშმორებული ჩვარი**. შემდეგ მოდის **ნიჟარა და ონკანი.** უკვე კარგა ხანია, რაც ისინი საფუძვლიან გახეხვას საჭიროებენ. მოთხრობა შესაძლოა შეჩერდეს ონკანზე და მის მორკალურ ფორმას რამდენიმე სიტყვა მიუძღვნას. ამის შემდეგ ფოკუსი გადაინაცვლებს **ცარიელ, უცნაური ფორმის მქონე ბოთლზე**, რომლის ფუნქციაც დაუდგენელია; ნიჟარაზე დადებულ **ჭურჭლის სარეცხ ღრუბელზე** და **გაზის საწმენდ ქიმიურ საშუალებაზე**, რომლის ადგილი სამზარეულოზე არ არის, მაგრამ მაინც აქ დევს. და ასე შემდეგ.

თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, მთელი მოთხრობა ეს იქნება - სამზარეულოზე დაწყობილი ნივთების ჩამოთვლა და მოკლე აღწერა. მოთხრობა შეეცდება დარჩეს სამზარეულოს ფარგლებში და შექმნას მოსაწყენი უძრაობის ეფექტი, რის შედეგადადაც მკითხველი (თუკი მოთმინებას მოიკრებს და მოთხრობის ბოლომდე ჩაკითხვას გადაწყვეტს) იძულებული იქნება ყურადღება შინაარსის ნაცვლად იმ სიტყვების მოყვანილობასა და ჟღერადობაზე გადაიტანოს, რომლებიც მოთხრობას შეადგენენ. მაგრამ სამწუხაროდ, ამის მოხერხება ძალიან ძნელი იქნება, რადგან ყოველი სიტყვა, იმის ნაცვლად, რომ თვითმიზნად იქცეს, მოთხრობის შინაარსის გაღრმავებას შეეცდება. სიტყვები ერთმანეთს მიეტმასნებიან და ისეთ ერთობას შექმნიან, რომელიც მოთხრობის უძრაობას დაემუქრება, მის სიმშვიდეს აამღვრევს. ზოგიერთ ფრაზას ეს რა თქმა უნდა უნდა სხვებზე უკეთ გამოუვა. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, **სარეცხის საშუალება „ფეირი“** ანგარიშგასაწევი არ არის, მაგრამ **მომცრო ფრენჩ-პრესი**, რომელიც მხოლოდ დილაობით გამოიყენება და დღის განმავლობაში ადგილს უქმად იკავებს, ნამდვილ გარღვევას ახდენს. მის გვერდით მდგარ **ყავის ჭიქასთან** ერთად, ფრენჩ-პრესი ახალი მოქმედი პირის გამოწვევას ახერხებს. ფანჯრიდან ოთახში მოღრუბლული დილის სუსტი სინათლე აღწევს. სამზარეულოსთან ვიღაც დალასლასებს. მას შემდეგ, რაც ცხელი ყავა, რომელიც ფრენჩ-პრესში სამიდან ხუთ წუთამდე უნდა დაყენდეს, ჭიქაში გადაინაცვლებს, მოქმედი პირი, ჭიქით ხელში, სავარძელში ჯდება. მისი გაჩეჩილი თმა და შეშუპებულ თვალის უპეები აშკარად მიანიშნებენ, რომ მან ახლახანს გაიღვიძა. ყურადღების გამახვილება შეიძლება შემდეგზე: ცარიელ მზერაზე, რომელსაც კედელს მიაპრყობს. ხორხისმიერ, კმაყოფილების გამომხატველ ხმაზე, რომელსაც ყავის მოხვრეპისას გამოსცემს.

მოთხრობა სამზარეულოს ფარგლებს ტოვებს. ბლანტი სითხესავით არათანაბრად მოედება სამზარეულოს მკაცრ, კუთხოვან ფორმებს და შემდეგ მის გარეთაც იღვრება, ცდილობს მისწვდეს პატარა ბინის შორეულ კუთხეებს, გაიჭრას აივანზე და ქვემო სართულებზეც ჩაიღვაროს. თავდაპირველი უძრაობისა და სიმშვიდისგან მალე აღარაფერი დარჩება. სანამ მკითხველი მოქმედი პირის შესახებ მოწოდებული უხამსი დეტალებით არის დაკავებული, მძაფრი დრამა მზადდება. მხოლოდ ყავის ჭიქა შეიძლება არსებობდეს თავისთავად, მაგრამ ყავის სმა, თავისთავად, არ არსებობს. მას თან სდევს პატარ-პატარა უსიამოვნებები, ანგარიშგასაწევი ხათაბალები, და საბოლოოდ, აუცილებლად ტრაგედიით დაგვირგვინდება. ეს მხოლოდ დროის ამბავია.

მართლაც, დროის ამბავია, სანამ მოქმედი პირის კუჭში ჩაღვრილი ცხელი სითხე მას გამოაფხიზლებს - სულ რაღაც რამდენიმე წუთია საკმარისი იმისათვის, რომ მის თავში დღის პირველმა მტანჯველმა აზრმა გაიელვოს. ან მტკივნეულმა მოგონებამ. ტკივილის უტყუარი ნიშნები მის შეშუპებულ, ჯერ კიდევ უაზრო სახეს გამოაცოცხლებს. სამზარეულომ, რომლის ირგვლივაც მოთხრობამ უნდა იტრიალოს, მოქმედი პირის ეს კრუნჩხვებიც უნდა შეითავსოს. სამზარეულოზე დალაგებულ ნივთებს შორის დარჩენილ ადგილებში, პერსონაჟის პიროვნული დრამა უნდა მოთავსდეს. **ყავით სავსე ქილიდან** გადასვლისას, სანამ **ჩაშენებულ გაზამდე მიაღწევდეს**, მოთხრობა პერსონაჟის ხასიათის რომელიმე თვისებას უნდა შეეხოს, მისი გარეგნობის სახასიათო დეტალი ახსენოს, ან მის თავს გადახდენილი მნიშვნელოვანი ამბავი მოყვეს. ამ ამბის შემდეგ კი **მარილი „კალასი“** და **მურაბის ქილა** უადგილოდ გამოიყურებიან. მათი ხსენება აღარ არის საჭირო, ამის ნაცვლად მოქმედი პირის მახსოვრობაში შენახული ორი ღვინის ჭიქა, რომელთა ადგილი, როგორც წესი, სამზარეულოზე არ არის, სამზარეულოზე უნდა ჩამოიდგას და პიროვნული დრამის ფასილიტატორის ფუნქცია შეითავსოს. ასეთ პირობებში, **ზეითუნის ზეთის ბოთლი** და **უცნაური ჭურჭელი კარაქის დასადებად**, ყურადღების პერიფერიაში აღმოჩნდებიან.

ერთი სიტყვით, იმ თავდაპირველი სამზარეულოსგან არაფერი რჩება. პირველი პერსონაჟი სხვებს გამოიწვევს და ისინი სამზარეულოს და მასზე ჩამოწყობილ ნივთებს ერთად წაართმევენ მთავარ როლს, რადგან პირველ რიგში საჭიროა მათ პრობლემებს დაეთმოს ყურადღება. ერთმანეთისთვის გაცვლილ გატყლარჭულ სიტყვებს, თმებში ხელის შუცურებებს და ქეჩოში წვდომებს, კუჭის მოქმედებებს და კარის გაჯახუნებებს. არ სრულდება მათი პრობლემები და მოსვენებაც არასოდეს აქვთ. მოთხრობა იძულებულია მათი ცხოვრების საშინელ ტემპს ფეხი აუწყოს. საბოლოოდ ალბათ ყველაფერი, როგორც ეს ხდება ხოლმე, შემზარავი შემთხვევით დამთავრდება. ყველაფერს წერტილი დაესმება. ვიღაც მოკვდება, ან დასახიჩრდება. შინაგანად განადგურდება. ასეთ შემთხვევაში თვითონ სამზარეულოც სიმბოლო გახდება მოქმედი პირების ცხოვრებაში დატრიალებული უსიამოვნო ამბების. სამზარეულო, რომელსაც წესით ამ ყველაფერთან საერთოც კი არ უნდა ჰქონდეს, ახლა ასეთ ამბებთან

ასოცირდება და თან, მათ გარეშე, მნიშვნელობასაც კი კარგავს. **ცილინდრის ფორმის სამარილე და საწიწაკე**, **პლასტმასის საშაქრე** - ტრაგედიის ფერებში იმოსებიან.

აშკარაა, რომ მოთხრობა მიზანს აცდა. უკან დასაბრუნებელი გზა უნდა მოიძებნოს. როგორც ჩანს თავისუფლება, რომელიც სიტყვებს მიეცათ, ბოროტად იქნა გამოყენებული. საჭიროა მეტი სიმკაცრე და დისციპლინა. ყველაფერი თავიდან არის დასაწყები. მაშ ასე, სამზარეულოს აღწერა ისევ ისე იწყება, მაგრამ ამჯერად ყოველი სიტყვის საჭიროება ყურადღებით უნდა გადაიხედოს. ნივთების აღწერისას გამოტოვებული უნდა იქნას ყველაფერი, რისი გამოტოვებაც შეიძლება. უნდა დარჩეს მხოლოდ აუცილებელი. სადაც შესაძლებელია, უნდა ამოვარდეს ზედსართავები და სუბიექტური დაკვირვებები. ამის მოხერხება არ იქნება ძნელი - ამგვარად, **შამპუნის დაჭმუჭნული ინსტრუქციის** ნაცვლად, დაიწერება „შამპუნის ინსტრუქცია“, **იაფფასიანი კონიაკის თითქმის ცარიელი ბოთლის** ნაცვლად - „კონიაკის ცარიელი ბოთლი“ ან, სულაც „კონიაკის ბოთლი“. სიმშრალის სასურველი ეფექტი ნელ-ნელა მიღწეული იქნება. აღმოჩნდება, რომ არა მარტო ზედსართავების, არამედ თავად ნივთების უგულებელვყოფაც შეიძლება. მართლაც, დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, ახსენებს თუ არა მოთხრობა, მაგალითად **„გალინა ბლანკას“ ორ კუბიკს.** საერთო სურათს ამის აღნიშვნა უკვე აღარაფერს შემატებს. ასევე ზედმეტია სამარილე და საწიწაკე. მოთხრობის არსი ამით აღარ შეიცვლება. ასეთი წესით მუშაობისას აღმოჩნდება, რომ რაც უფრო მეტი სიტყვა გადაიყრება, მით უფრო მეტი სიტყვის გადაყრა იქნება შესაძლებელი. ფრენჩ-პრესის დატოვებას რაღა აზრი აქვს, თუკი ყავის ჭიქა მოსროლილი იქნება? საჭირო არ არის აღინიშნოს, რომ სამზარეულოს აქვს ნიჟარა და ონკანი - ეს ხომ ისედაც ცხადია. სამზარეულოზე დაწყობილ სხვა ნივთებსაც აზრი ეკარგებათ. გამორიცხვის ამ სახალისო პროცესის შედეგად, აღმოჩნდება, რომ ერთადერთი სიტყვა, რომელიც მართლა საჭიროა მოთხრობისთვის, თვითონ „სამზარეულოა“.

ახლა აღარ არსებობს იმის საშიშროება, რომ სამზარეულოს სიმშვიდეში ვიღაც გარეშე პირების პრობლემები შემოიჭრება. ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით მაინც, ასეა. უცნაური კმაყოფილების მომგვრელია მოთხრობის ასეთი ლაკონურობა. აღარ არის საჭირო სიტყვების დაუსრულებელი გადალაგება, გამოცვლა და გაპატიოსნება. სურვილის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება მოთხრობის გაუმჯობესება, მის ფარგლებს გარეთ გასვლის გარეშე. იმის ნიშნად, რომ ეს უბრალო, შემთხვევითი სიტყვა არ არის, შეიძლება მოთხრობა ასე დაიწეროს -

ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო

ზოგადობის შეუზღუდავად დავუშვათ, რომ საერთაშორისო მატარებელში გამოუძინებელი და შემცივნული მგზავრი მოთხრობების კრებულს გადაშლის. იგი წაიკითხავს რამდენიმე მოკლე, კონვენციურ მოთხრობას და შემდეგ სამზარეულოს მიადგება. წაიკითხავს მოთხრობას: *ს ა მ ზ ა რ ე უ ლ ო* - „სამზარეულო“, გაიხმიანებს მის მოდუნებულ გონებაში. მგზავრი რამდენიმე წამი აშტერდება ფურცელზე

აღბეჭდილ ათ სიმბოლოს - მოთხრობის ტექსტს. რა თქმა უნდა მან იცის, თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა. გვერდს გადაფურცლავს, რათა დარწმუნდეს, რომ ეს შეცდომა არ არის. დაბნეულობა და შემდეგ მსუბუქი გაღიზიანებაც ეუფლება, მაგრამ ამ გრძნობას სასწრაფოდ დათრგუნავს. ის განათლებული, გონებაგახსნილი ადამიანია (ზოგადობის შეუზღუდავად), ამიტომ ცდილობს ნაჩქარევი დასკვნა არ გამოიტანოს. ცდილობს ჩაწვდეს მოთხრობის ფარულ აზრს, რადგან მიჩვეულია ტექსტში ფარული აზრის ძიებას. სტრიქონებს შორის კითხვას. მაგრამ სტრიქონები არ არის. მხოლოდ ასოებს შორის დარჩენილი ადგილი. ფარულ აზრს ვერ პოულობს, მაგრამ ახსენდება საკუთარი სამზარეულო.

ახლაღა ახსენდება, რომ სახლიდან გამოსვლის წინ **სამი ვაშლი და ორი მანდარინი** სამზარეულოზე დარჩა. ხილი მის დაბრუნებამდე დალპება და მთელ ბინას ააყროლებს. როგორც ყოველთვის, ახლაც დაავიწყდა რაღაც. უცნაური დამთხვევაა, რომ ამის გაცნობიერებაში მოთხრობა დაეხმარა. მგზავრი ირონიულად გაიფიქრებს, რომ მოთხრობის ფარული აზრი ნაპოვნია.

მაგრამ აშკარაა, რომ მოთხრობა სხვა რამესაც შეიძლება აღნიშნავდეს. კიდევ გადაიკითხავს მოთხრობას. სამზარეულო. მოეჩვენება, რომ მოთხრობის მნიშვნელობის არე გაფართოვებას იწყებს. აკვირდება ასოებს შორის დარჩენილ ადგილებს. ერთ სიტყვიან მოთხრობაში ასოებს შორის დატოვებული ადგილიც ალბათ რაღაცას ნიშნავს. მგზავრი ცდილობს ამ დატოვებულ ჭუჭრუტანებში გახედვას. არა, მგზავრს უბრალოდ სიცხე აქვს. თავის თავზე ეცინება და შუბლზე ხელს მიიდებს. ქურთუკი უნდა გაიხადოს, რადგან მატარებელში ძალიან ჩამოცხა. ქურთუკს მაინც არ იხდის, რადგან სიცხე აქვს.

წიგნს ხურავს - ყურადღების მოკრება აღარ შეუძლია და წიგნის კითხვაც აღარ უნდა. დაძინება უნდა, მაგრამ უჭირს. სიცხე და მატარებლის მონოტონური რხევა, უძილობა, ბოლოს მაინც თავისას გაიტანენ. რამდენიმე მტანჯველი წუთის შემდეგ მგზავრს უხერხულად პოზაში ჩაეძინება. წინა სავარძლის საზურგეზე მიკრულ გადმოსაშლელ მაგიდაზე თავი ჩამოუდევს და ასე ძინავს. მგზავრს ესიზმრება სამზარეულო და ღვინის მაღალყელიანი ჭიქები, რომელიც წლების წინ აჩუქეს. საღამო. გარეთ თვალუწვდენელი, მწვანე მინდორია გადაჭიმული. მუხლებზე დადებულ მოთხრობების კრებულს წყრომით დახედავს და ისევ გადაშლის. მატარებელში სხვა რა უნდა აკეთოს. გარდა ამისა, წიგნი უცნაური ძალით იზიდავს.

მგზავრი კიდევ ერთხელ კითხულობს მოთხრობას - „სამზარეულო“. ეს თავისი სამზარეულოა. მაგრამ იმის არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ სხვა სამზარეულოც არ არის. მგზვრი უხერხულად ზის თავის სკამზე. კიდევ რამდენიმე საათი მოუწევს ასე ჯდომა და ეს აწუხებს. მის წინ გადაშლილი სამზარეულოც, აწუხებს. კიდევ რამდენჯერმე გადაიკითხავს მას. ყოველ გადაკითხვაზე სამზარეულო სახეს იცვლის და ნელ-ნელა უფრო და უფრო მეტ სამზარეულოს ნიშნავს. ნელ-ნელა მოიცავს სამზარეულოს ყველა სახეობას. რაც კი ოდესმე სამზარეულო ყოფილა, ან

შესაძლებელია, რომ შემთხვევითობის თუ გარემოების გამო, სამზარეულოდ გადაიქცეს, სამზარეულოს ყველა კონკრეტული გამოვლინება და სამზარეულოს ყველა შეუძლებელი, აბსურდული, აბსტრაქტული იდეა ამ მოთხრობაში მოიყრის თავს. სამზარეულო იტევს სამზარეულოს მილიარდობით ვარიანტს. ამ სწრაფი გაფართოებით აღტაცებული მგზავრი, კიდევ და კიდევ, გაუმაძღრად კითხულობს მოთხრობას. რაღაც მომენტში, როდესაც გადატვირთული სიტყვა ჩამოშლის პირასაა, როდესაც ცვეთისგან სადაცაა ყველა მნიშვნელობას ერთბაშად დაკარგავს, როცა სადაცაა სიტყვისგან ფონემების უაზრო ფაფაღა დარჩება, მგზავრს მოეჩვენება, რომ სამზარეულო შეიძლება რაღაც ისეთსაც ნიშნავს, რაც სამზარეულო არ არის. გაკვირვებული, კითხვას შეწყვეტს, რადგან წამიერად ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს უფსკრულის თავზეა გამოკიდებული. ინსტინქტურად ხვდება, რომ უმჯობესი იქნება თუ წიგნს ახლავე დახურავს, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მოთხრობის კიდევ ერთხელ წაკითხვას აიძულებს. სუპერნოვა. აფეთქება, რა თქმა უნდა, საწყისი წერტილიდან იწყება, ანუ იმ პირველი სამზარეულოდან. აფეთქების იმპულსი მთელს ბინაში მიმოფანტავს სამზარეულოზე დაწყობილ ნივთებს. ფრენჩ-პრესი კედელს ეხეთქება და მის ძირზე დალექილი ყავის ნარჩენები ყველაფერს მოთხვრის, სანამ თვითონ ბინასაც ტალღა გაანადგურებდეს. სინამდვილეში ბინა კი არა, მთელი კორპუსი ფეთქდება, მთელი უბანი, ქალაქი, ქვეყანა. ეს სამზარეულოს აპოკალიფსია. მკითხველი ტკაცანით დახურავს მოთხრობების კრებულს და გაქცევას შეეცდება, მაგრამ გასაქცევი არსად არის. აფეთქება მას ფეხქვეშ გამოაცლის მოძაგძაგე მატარებელს და ცეცხლით მოცულ სივრცეში მოისვრის. მაგრამ სამზარეულო აქ არ ჩერდება. სამზარეულო სცდება პიროვნულ საზღვრებს, ინდივიდუალურ ტრაგედიებს და საკაცობრიო ტრაგედიებსაც, გენოციდებს და ეკოლოგიურ კატასტროფებს, სასიყვარულო ამბებსა და ისტორიულ მოვლენებს. მალე ის გაანადგურებს და მოიცავს ყველაფერს, მიაღწევს კოსმიურ სიმშვიდესა და გულგრილობას და საბოლოოდ მათაც გადაყლაპავს.

ასე რომ, სამზარეულო ამოუწურავი მასალაა მოთხრობისათვის. სამზარეულოში, როგორც ჩანს, ყველაფრის ადგილი მოიძებნება. თუმცა, როგორიც არ უნდა გამოვიდეს მოთხრობა საბოლოოდ, როგორადაც არ უნდა შეისხას მან ხორცი, ის მაინც **ჩაიდნის** აღწერით დასრულდება, რომელიც სულ კუთხეში, კედელთან დგას. ეს არაფრით გამორჩეული ჩაიდანია და სამზარეულოზე რომ არ იდგეს, ალბათ ვერასოდეს დაიმსახურებდა ყურადღებას. მისი შეძენა ნებისმიერ მოზრდილ სუპერმარკეტშია შესაძლებელი. აქვს ერთი ღილაკი და წითელი ნათურა, რომელიც ინთება ხოლმე იმის ნიშნად, რომ ჩაიდანი მუშაობს, ანუ წყალს ადუღებს. როგორც წესი, ჩაიდანი დაორქლილი და ჭუჭყიანია, მაგრამ შესაძლებელია მისი გაწმენდა და გაპრიალება. ასეთ შემთხვევაში ჩაიდნის ვერცხლისფერ, მორკალულ ზედაპირში, იქვე, კედელზე მიყუდებული **შვრიის ფანტელით სავსე ცელოფნის პარკი** და დანარჩენი სამზარეულოც აირეკლება.

სიზმრის სახლი

სახლში მარტო ვიყავი, მაგრამ ვერ ვისვენებდი, რადგან მნიშვნელოვან მეილს ველოდი - სამსახურში ხანდახან პრობლემებია. ვიცოდი, რომ არაფერი მქონდა სანერვიულო, ასეთი პრობლემა ხომ კვირაში რამდენჯერმე იჩენს თავს და ყოველთვის ადვილად გადაიჭრება ხოლმე. მაგრამ კვირის განმავლობაში მენეჯმენტი პერიოდულად იტყობინებოდა, რომ მალე უმნიშვნელოვანესი პრობლემის წინაშე დავდგებოდით და მასზე რეაგირებაც დაუყოვნებლივ იქნებოდა საჭირო. ასე რომ უცნობ, უაზრო მაგრამ ამასთან მნიშვნელოვან პრობლემასთან პირისპირ დადგომის მოლოდინი მაფორიქებდა და სხვა წვრილმანების მოგვარებაში ხელს მიშლიდა. უამრავი რამ მქონდა გასაკეთებელი, ბინაში ყველგან მტვერი იდო, ასევე უნდა დამერეკა სადაზღვეო კომპანიაში და კიდევ ორ ადგილას, ზუსტად აღარ მახსოვს სად; ჭურჭელიც, ვფიქრობ დასარეცხი მქონდა.

თითქმის მთელი ღამის უძინარს ზაფხულის ცხელი შუადღე კიდევ უფრო მთენთავდა. გადავწყვიტე, რომ მოთენთილი და აფორიაქებული ვერაფერს გავაკეთებდი და ჩემი მდგომარეობის მთავარი მიზეზი თუ არა, ერთ-ერთი გამამწვავებელი ფაქტორი მაინც უძილობა უნდა ყოფილიყო - მნიშვნელოვანი წერილის მოსვლამდე შემეძლო სულ ცოტა ხნით დამეძინა ძალების აღსადგენად, ასე უფრო ადვილად შევძლებდი დარჩენილ დღესთან გამკლავებას.

ფანჯრებზე, კაშკაშკა სინათლეს რომ ძილში ხელი არ შეეშალა, მუქი, მძიმე ფარდა ჩამოვაფარე და დავწექი. დაძინება გამიჭირდა, გავოფლიანდი და თან ფორიაქიც ვერაფრით მოვიშორე, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დაღლილობამ თავისი გაიტანა და როგორც იქნა ჩამთვლიმა; ოღონდ ეს საბოლოო გამარჯვება არ ყოფილა, ოფლი მასხამდა და წამდაუწუმ მეღვიძებოდა - ძილისა და ღვიძილის ზღვარზე ვიყავი; საბოლოოდ, მგონი ჩემსას მივაღწიე და მას შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. აი, როგორ მოხდა ეს:

ღრმად არ მეძინა, ამიტომ უსიზმრო ძილიდან დროდადრო ამოვყინთავდი ხოლმე და მაშინვე ვაწყდებოდი ფიქრს მნიშვნელოვან მეილზე, რომელიც წუთი-წუთზე უნდა მოსულიყო. ერთი-ერთი ასეთი გამოფხიზლებისას მზად ვიყავი დამარცხებას შევგუებოდი - ეს უკვე მერამდენედ მეღვიძება, გავიფიქრე; უმჯობესია ავდგე, რადგან კარგად დასვენებას მაინც ვერ ვახერხებ, დრო კი უაზროდ იფლანგება. თვალები გავახილე და ოთახი მოვათვალიერე - ყველაფერი თითქმის ისევე იყო როგორც დავტოვე - სინამდვილეში ხომ არც დამიტოვებია. წამოვდექი და სამუშაო ოთახში გავედი, რათა მენახა, სამსახურიდან მნიშვნელოვანი მეილი მოსული იყო თუ არა - მაგრამ წერილი არ დამხვდა; ერთდროულად შვებაც ვიგრძენი და უკმაყოფილებაც; უსიამოვნება, რასაც მეილისგან მოველოდი ამჯერად ამცდა, მაგრამ თან მერჩივნა რაც შეიძლება მალე დამეწყო პრობლემის გადასაჭრელად მუშაობა. თუმცა ასე გაორებული

დიდხანს არ ვყოფილვარ, რადგან ისევ ძილმა მომიცვა - თურმე მესიზმრებოდა, რომ გამოვფხიზლდი და მეილებს ვამოწმებდი.

მომდევნო გამოფხიზლებისას აღარ ავჩქარებულვარ, ჯერ ცხვირზე ხელი მოვიჭირე და როდესაც აღმოვაჩინე, რომ სუნთქვა მაინც შემეძლო, მივხვდი - ისევ სიზმარში ვიყავი. მსმენია და ერთ-ორჯერ მეც მქონია ასეთი სიზმარი, რომელშიც ცოდნა, რომ სიზმარში ხარ თითქმის შეუზღუდავ შესაძლებლობებს აჩენს. შეგიძლია, მაგალითად ფანჯრიდან გადახტე ან ქუჩაში გამოვარდე და გამვლელებს ქვები დაუშინო. მაგრამ ახლა ასეთი გამოხტომებზე უარი ვთქვი, რადგან საქმეს სერიოზული ხასიათი ჰქონდა - სიზმარშიც არ მშორდებოდა დარდი მნიშვნელოვან მეილზე და ასეთი უმწიფარი გართობისთვის არ მცხელოდა. იმის ნაცვლად, რომ ფანჯრიდან გადავმხტარიყავი, ისევ ავდექი და თამამად შევამოწმე მეილი, რადგან ვიცოდი, არ დამხვდებოდა; შემდეგ კი შემეძლო სხვა საკითხებზე გადამეტანა ყურადღება, უფრო კარგად დავკვირვებოდი სახლს სიზმარში და მეპოვნა მსგავსება სინამდვილის სახლთან, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ განსხვავების მოძებნა უფრო ნაკლებად დამღლელი იქნებოდა. ამასაც რომ მოვრჩი უკვე სინდისის ქენჯნის გარეშე შემეძლო ფანჯრიდან გადახტომა, მაგრამ ასე არ მოვიქეცი - დროებით ვამჯობინე ის წესები შემენარჩუნებინა რაც სინამდვილეშია. ტახტზე ჩამოვჯექი და სიგარეტს მოვუკიდე, საფერფლეს გამოძებნაც არ დამეზარა - უცნაურ კმაყოფილებას მგვრიდა სიზმრის განუსაზღვრელი შესაძლებლობების პირობებში წვრილმანი წესების დაცვა.

ასეთი უწყინარი გართობით ვიყავი დაკავებული, როდესაც შევნიშნე, რომ ფიქრი სამსახურეობრივ მეილზე მაინც არ მეშვებოდა - იქნებ სინამდვილეში უკვე მოვიდა, დროა გავიღვიძო და საქმეს მივხედო-მეთქი. მაგრამ ამ აზრს ძალიანაც აღარ ავუფორიაქებივარ; სინამდვილე, რომელსაც აქამდე ალტერნატივა არ ჰქონდა, ძველებურად მნიშვნელოვანი აღარ მეჩვენებოდა. თავს მშვენივრად ვგრძნობდი; შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სინამდვილისადმი გულგრილი ვარ რადგან მასში დაბრუნებას არ ვჩქარობდი, მაგრამ ასე არ არის - ჩემს კმაყოფილებას სწორედ ის იწვევდა, რომ სინამდვილე თითქმის უცვლელად მქონდა შენარჩუნებული, მნიშვნელოვანი მეილების გამოკლებით; ამიტომაც არ მეთმობოდა სიზმარი და თვლემა; სინამდვილისა და ჩვეულებრივი სიზმრებისგან განსხვავებით, ჩემი სიზმარი არც კოშმარული უცნაურობითა და გაუგებრობით იყო სავსე და არც გამუდმებული მერყეობითა და მოლოდინით; მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებულ ბედნიერებასაც არ მანიჭებდა, როგორც ზოგიერთ სიზმარსა და სინამდვილის გარკვეულ მომენტებს შეუძლიათ, მაინც ყველაზე მეტად მომწონდა რადგან ჯერ-ჯერობით მასზე სრული კონტროლი მქონდა. ვიფიქრე რომ კარგი იქნებოდა თუ შევძლებდი მის გახანგრძლივებას. თავი იმით გავიმართლე, რომ ძილი არ მაწყენდა - მე ხომ ძალიან დაღლილი ვიყავი.

სიზმარი გრძელდებოდა - კიდევ ერთხელ შემოვიარე მთელი სახლი და დავრწმუნდი, რომ არავითარ უცნაურობას არ წავაწყდებოდი. ბოლოს კი საძინებელშიც შევედი სადაც ჩემი სხეული იწვა და ეძინა. ოთახში ყველაფერი ნაცნობი იყო უმცირეს

დეტალებამდე, განათებაც კი ნამდვილს ჰგავდა - მზე ცოტათი გადასულიყო და ოთახში სინათლეს მოეკლო; არ მომეწონა როდესაც ჩემი მძინარე სხეულის კონტურები ოთახის ბინდბუნდში გაზავებული დამხვდა. უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა რაც უეჭველად მოახლოებული საღამოს სევდა უნდა ყოფილიყო. შევშფოთდი, რადგან პირველი ნაკლი ვუპოვე სიზმრის სახლს; მაგრამ ასე ადვილად არ ვაპირებდი ხელი ამეღო მასზე, გადავწყვიტე სანამ დრო მქონდა მე თვითონ მეზრუნა ჩემი სიზმრის საზღვრების დაცვაზე. სიზმარი სინამდვილეს კი ძალიან ჰგავდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ის საძერწი იყო ჩემს ხელში და მეტი არაფერი და ამ უსიამოვნო გარემოების გამოსწორება ისევ საკუთარ თავზე უნდა ამეღო.

ტრაბახი არ მჩვევია, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას: სწრაფად ვისწავლე ჩემს ახალ სახლში ცვლილებების შეტანა; ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ახალ ბინაში გადავედი და ჩემი გემოვნებისამებრ უნდა გადამესხვაფერებინა; სიზმრის მასალაც, რაც არ უნდა იყოს ის, ადვილად მნებდებოდა. უნდა მესწავლა ყოველ დეტალს ისევე გავმკლავებოდი, როგორც მნიშვნელოვან მეილს გავუმკლავდი. მოვინდომე საძინებელში შუადღის განათება დამებრუნებინა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა ამისთვის ჯერ კარგად გავარჯიშებული არ ვიყავი და ამიტომ პატარ-პატარა ცვლილებებით დავიწყე. ადვილად გავაქრე მტვერი პატარა წიგნების თაროდან და დაბალი მაგიდიდან, ყავის ლაქა სამზარეულოს დახლიდან. რიგ-რიგობით მივაყოლე სხვადასხვა წვრილმანი, ჩანგლების უმეტესობა, დიდი, მახინჯი ჩაის ჭიქა, ტელევიზორი, ჩამჩა რომელიც არასოდეს გამომიყენებია. შემდეგ უფრო მსხვილ ცვლილებებს შევეჭიდე, გავაუქმე გამოგვა და ცენტრალური გათბობა, ასევე ტუალეტი, ოღონდ შხაპი დავტოვე ყოველი შემთხვევისთვის. ასევე გავაუქმე სარეცხის დარეცხვა, მაგრამ გაფენა დავტოვე. აღმოვაჩინე, რომ ყველა ცვლილება ერთნაირი სირთულის არ არის, ზოგი მათგანი მძიმე გონებრივ სამუშაოს მოითხოვს და შედეგების დანახვამდე უსიზმრო ძილში მიწევს დაბრუნება, მაგრამ გამოღვიძებულს, უფრო სწორად როდესაც სიზმრის გასაგრძელებლად ძალებს აღვიდგენ, ცვლილებებიც განხორციელებული მხვდება. ბოლოს, როდესაც საკუთარ ძალებში დავრწმუნდი და ჩავთვალე, რომ დიდი ცვლილებებისთვისაც მზად ვიყავი, საძინებელში და საერთოდ მთელს სახლში შუადღის ის მომენტი დავაბრუნე, როდესაც პირველად გადავწყვიტე დაძინება. მას შემდეგ აქ ზაფხულის მარადიული შუადღეა.

სიზმრის სახლში ერთხელ შემექმნა უსიამოვნება, როდესაც ჩემი ნამდვილი სხეულის წასაღებად მოვიდნენ. კინაღამ ძილი გამიფრთხა მაგრამ უწყვეტი, დაუღალავი ვარჯიშის შედეგად გამაგრებულმა სიზმრის კედლებმა მაინც შეძლეს ნამდვილ კარზე ატეხილი ბრახუნის შეკავება; გადაჩვეულ ხმებთან და სინათლესთან გამკლავება ადვილი არ იყო. კარი შემოამტვრიეს და ჩემს სხეულს თავზე წამოადგნენ - დიდხანს ბჭობდნენ, შემეძლო სიტყვებიც კი გამერჩია, მაგრამ ასე არ მოვიქეცი. გუმანით ვხვდებოდი ვინც იყვნენ, შემეძლო, თუკი მოვინდომებდი მათი სახეებიც კი გამეხსენებინა და თითოეული მათგანი ამომეცნო, მაგრამ შემეშინდა; თვითონ ხალხის არა, რადგან ისინი ჩემი უახლოესი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ ზუსტად

ისე, როგორც უსიამოვნო სიზმარში ნანახი სახეების დავიწყებაა საჭირო, ჩემი ახალი სახლის უსაფრთხოებისთვის მათი სიტყვებისა და სახეების არიდება მომიხდა.

ერთხანს იტრიალეს საწოლთან ახლოს და რადგან ვერც გააღვიძეს და მისი დატოვებაც არ უნდოდათ, გადაწყვიტეს, რომ ჩემი სხეული საავადმყოფოში წაეღოთ. მე კი არსად ვაპირებ წასვლას. ახალ გარემოსთან შეგუების არც ენერგია მაქვს და არც სურვილი. სტუმრების წასვლის შემდეგ ადვილად გავასუფთავე სახლი რბევის ნარჩენებისგან. აქ ყველაფერი უცვლელია, ზუსტად ისე ვცხოვრობ, როგორც მანამდე, სანამ საავადმყოფოში გადამიყვანდნენ.

ხანდახან, როდესაც ჩემი ნამდვილი სხეული ფიზიკურ უსიამოვნებას განიცდის, ჩემს სიზმრის სახლშიც იგრძნობა ძვრები - ასეთ დროს მეჩვენება თითქოს ჩემი ახლანდელი საცხოვრებელი განსაკუთრებით მყიფე იყოს, ერთი სულის შებერვა და მისი კედლები კი არ ჩამოიშლება, არამედ კვამლივით გაიფანტება - მაგრამ ეს კოშმარები მალევე გადაივლის ხოლმე და მარადიული ზაფხულიც მაშინვე ბრუნდება. ჩემი აივნიდან მარცხნივ, კრიალა ცაზე უზარმაზარი ღრუბელი დავიტანე, რომელიც გაქვავებულ აფეთქებას ჰგავს. აივანზე ყოველთვის უბერავს ცხელი ქარი და პლასტმასის უშნო ქოთანში ჩარგული მცენარის გრძელ ფოთლებს არხევს. ჩემი სიზმრის სახლი ახლა სულ რამდენიმე მომენტისგან შედგება, მომენტებს შორის კი ყველაფერი გაუქმებულია. ყველაზე ხშირად ჩემს ერთადერთ მცენარეს ვრწყავ და ვაკვირდები როგორ მუქდება მიწა ქოთანში - ეს ერთ-ერთია სინამდვილიდან მოპარული სიამოვნებათაგან. უძრავი ჩრდილი მოპირდაპირე კორპუსზე და ჭრიჭინების გაბმული ხმაც მათ შორის არის.

ნუარი პიერის ხანმოკლე არსებობა

ცარიელ ცაზე ერთადერთი თვითმფრინავი გამოჩნდა და თბილისის აეროპორტში დაეშვა. მას ჩამოჰყვა პიერი ნუარი. აეროპორტიდან წინასწარ დაჯავშნილ სასტუმროსკენ გაემართა რათა თავისი მცირე ბარგი დაეტოვებინა, რის შემდეგაც, ისე რომ ხანგრძლივი და დამღლელი მგზავრობისგან არ დაუსვენია - ქუჩაში გავიდა. კითხვა-კითხვით მიაგნო ქუჩას, სადაც შეხვედრა იყო დათქმული და ცოტა გაუკვირდა, რადგან საქმეზე შესახვედრად თვითონ არასოდეს ამოარჩევდა ასეთ ხალხმრავალ ადგილს, პირდაპირ ქალაქის ცენტრში; მაგრამ შეხვედრა გაბურძგნულმა დაუნიშნა, პიერი ნუარის კი არასოდეს მოუვიდოდა თავში მისი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვის შეტანა. კიდევ ერთხელ შეათვალიერა ქუჩა, რომელიც მანქანებით იყო სავსე და უცნაური, ყავისფერი კორპუსები; ცალი მხრით კედელს მიეყრდნო; ცრიდა და გამჭოლი, ცივი ქარი ქროდა. ნუარი პიერიმ კისერი რაც შეეძლო ღრმად ჩამალა პალტოს აკეცილ საყელოში.

არკაში იდგა - ჭრელაჭრულა, სხვადასხვა ზომისა და ფერის აბრებთან - აქ იყო ქსეროქსი, პონჩიკები და ასევე ფოტოს გადაღება - ნუარი პიერიმ მათაც შეავლო გულგრილად თვალი, მაგრამ ინტერესი არ გამოუჩენია - უცნაურ რკინის ყუთებში დატანებულმა ვიწრო ფანჯრებმა უფრო მიიქცია მისი ყურადღება, საიდანაც დროდადრო ერთი-ორი წყვილი თვალი აკვირდებოდა; მაგრამ ამას დიდად არ შეუწუხებია - გაბურძგნულის დარიგებისამებრ, გადაწყვიტა ცნობისმოყვარეებისთვის ყურადღება არ მიექცია.

ნუარი პიერი უკვე საფუძვლიანად ჰყავდათ შესწავლილი პონჩიკებისა და ქსეროქსის წერტილების მფლობელებს როდესაც გაბურძგნული გამოჩნდა - ერთმანეთს მეგობრულად, თუმცა თავშეკავებულად მიესალმნენ. გაბურძგნულიც იბუზებოდა და ცდილობდა კისერი საყელოში ჩაემალა, მაგრამ პიერი ნუარივით მაღალი საყელო არ ჰქონდა. პიერი ნუარიმ ახლაც დაიჭირა საკუთარი თავი - თუ როგორ ცდილობდა გაბურძგნულის ფიზიონომიაში, თაფლისფერი თვალების გამოხედვაში ან თავდაჭერაში დაენახა მისი ძალაუფლების ნაწილი მაინც - მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა. გაბურძგნული დაიჭყანა და ამინდს შეაგინა.

მრავალი წლის მანძილზე ჩამოყალიბებული ურთიერთობის მიუხედავად, რომელიც მეგობრობასაც კი ჰგავდა, არცერთს ავიწყდებოდა, რომ პროფესიული ურთიერთობის საზღვრები მკაცრად უნდა დაეცვათ. რამდენიმე სიტყვა გაცვალეს, მისალმების, მოკითხვისა და მცირე პაუზის შემდეგ კი გაბურძგნულმა მიიხედ-მოიხედა და ისე, რომ მოთვალთვალეები სათვალავში არ ჩაუგდია, ჯიბიდან უჯრებიან, უხეშ ქაღალდში არცთუ ისე მარჯვედ გახვეული ნივთი ამოიღო და ნუარი პიერის გადასცა; ბუნებრივია მოთვალთვალეებს ამანათის დანახვამ ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გაუღვივა - ყველაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ქაღალდში დამალული, დაწყებული პონჩიკებიდან, დამთავრებული - თუკი ისინი საკუთარ ფანტაზიას

გასაქანს მისცემდნენ - რაიმე კანონსაწინააღმდეგო სუბსტანციით ან ნივთით, მაგალითად ცეცხლსასროლი იარაღით. და ასეც იყო. გაბურძგნულმა პიერი ნუარის წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის ინსტრუმენტი გადასცა - იმან კი სწრაფად გაიქანა ჯიბეში - მისთვის უცნაური იყო იარაღის მიღება ასეთ ხალხმრავლობაში მაგრამ გაბურძგნულის გადაწყვეტილებაში არც ახლა შეუტანია ეჭვი.

არკაში ცოტა უფრო ღრმად შეიწიეს რათა ცივი ჟინჟლისთვის, რომელიც ქალაქს თხელ ლიბრად გადაჰკვროდა, თავი აერიდებინათ. საუბარი ერთხანს კიდევ გააგრძელეს - გაბურძგნული რაღაცას უხსნიდა მოკლე, ერთმნიშვნელოვანი ფრაზებით, პიერი ნუარი კი მთელი ყურადღებით უსმენდა და დროდადრო მოკლე თავის დაკვრით უდასტურებდა, რომ ყველაფერი გაიგო.

შეხვედრა დამთავრდა - ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გაბურძგნული პირველი გამოვიდა არკიდან - ქვემოთ გაემართა, საითაც მანქანების ნაკადი მიიზლაზნებოდა. ნუარი პიერი ცოტა შეყოვნდა, ყალბი ინტერესით კიდევ ერთხელ შეავლო თვალი პონჩიკებისა და ქსეროქსის ფანჯრებს, შემდეგ კი ისიც დაიძრა - გზა უნდა გადაეჭრა თავის სასტუმროში მოსახვედრად - სასტუმროში მისვლა ეჩქარებოდა, უნდა მომზადებულიყო და იქნებ დასვენებაც მოესწრო - არ ელოდა, თუ ჩამოსვლის საღამოსვე მიეცემოდა შურისძიების ის უტყუარი შანსი, რომელსაც გაბურძგნული დაჰპირდა - იგი ელოდა ხანგრძლივ სამოქმედო გეგმას, მოსამზადებელ სამუშაოებს, დეტალურ გათვლებს - მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი მარტივად იყო - ცარიელი შენობა; პირისპირ მოსისხლე მტერთან.

ეს ზუსტად ის იყო, რაზეც ამდენი ხანი ოცნებობდა. გაბურძგნულზე მართლაც ვერავინ იტყოდა, რომ დროს ტყუილად კარგავდა.

სასტუმროში შევიდა - შემოსასვლელში არავინ იჯდა; პირდაპირ გაემართა კიბისკენ. ხელი პალტოს პისტოლეტით ჩამომძიმებულ ჯიბეზე მოიკიდა, რომ იარაღი მოაჯირს არ მიჯახებულიყო.

წყალი სწრაფად გადაივლო - ახლა საწოლზე იჯდა და თვალი კედლისთვის გაეშტერებინა. სასტუმროს უღიმღამო კედლები, სიჩუმე, რომელსაც აბაზანის ღიად დატოვებული კარიდან წვეთების მონოტონური ტკაპუნი არღვევდა - ეს არის, რითაც ნუარი პიერის ბოლო რამდენიმე წლის ცხოვრება შეიძლება შეჯამდეს - მარტოობა, სასტუმროების დაუსრულებელი მონაცვლეობა და მათი მრავალფეროვნების ერთფეროვნება. ნუარი პიერი საწოლიდან, რომელზეც პირსახოცის ამარა იჯდა, წამოდგა, პალტოს ჯიბიდან პისტოლეტს ამოიღო და ქაღალდისგან გაათავისუფლა - ესიამოვნა მისი სიმძიმე, ხელში შეატრიალა და შემდეგ მაგიდაზე დადო.

ნუარი პიერი კვლავ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა - წვეთი, რომელიც მისი შუბლიდან ჩამოგორდა, შხაპიდან შემორჩენილი წვეთი შეიძლება ყოფილიყო, ან საზარელი მოგონებით მოგვრილი ცივი ოფლის წვეთი. საწოლის ბოლოზე გადაკეცილი შავრლის

ჯიბეში საფულე და საფულეში კი ფოტო მოძებნა. ფოტოზე ბლანში ჩანდა - ნუარი პიერის ხუჭუჭა შეყვარებული; მაგრამ ოდესღაც ძვირფას სახეს უკვე დაჰკრაგვოდა საყვარელი ადამიანის ჯადო, ვერც უდარდელი დღეების გასახსენებლად გამოდგებოდა - ეს ყველაფერი გაცრეცილიყო თვითონ ფოტოსავით რომელიც ახლა მხოლოდ ერთ, ბუნდოვან და ამავდროულად ყოვლისმომცველ რამეს აღნიშნავდა - შურისძიებას. იმ ვერაგი მკვლელობის შემდეგ ხუთი, ან თხუთმეტი, ან ცამეტი (კარგად აღარ ახსოვდა რამდენი იყო გასული) წლის მანძილზე ფოტო ყოველთვის თან დაჰქონდა ნუარი პიერის და ყველაზე მძიმე დროს, როდესაც ეჩვენებოდა, რომ ვერასოდეს მოიხელთებდა მტერს, ძალას აძლევდა; და ახლაც, სიხარულიცა და უცნაური, სიმსუბუქემდე მისული მღელვარებაც, რომელიც აქამდე არასოდეს უგრძვნია, გაუმძაფრა - დღეს უნდა დამთავრებულიყო ყველაფერი და ნუარი პიერიც თავისუფალი იქნებოდა. ყოველთვის როდესაც გაბურძგნულის უსასრულო კავშირების წყალობით მიღებულ კვალზე დამდგარს ეგონა, რომ იდუმალი და დაუნდობელი დამნაშავე უკვე მომწყვდეული ჰყავდა, იგი ხელიდან უსხლტებოდა; ერთი ნაბიჯით მუდამ წინ იყო მასზე - მისი სახეც კი არ უნახავს ნუარი პიერის, მხოლოდ ერთხელ მოჰკრა თვალი მის ზურგს იაპონიაში, ცუკიჯის თევზის ბაზარში, და მეორედ მთელი ტანით დაინახა მილანში, ახალი ჩეხური ოპერის პრემიერაზე - მაგრამ ვერც ერთხელ მოიხელთა, რომ მტკიცე ხელით ბოლო მოეღო მისთვის.

მაგრამ დღეს, გაბურძგნულის სამშობლოში მტერი ვეღარსად წაუვა. ნუარი პიერი საწოლზე წვება, მისი ლამაზი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სხეული დუნდება და ნუარი პიერის მშფოთვარე თვლემა მოიცავს.

სწორედ ამ დროს იწრთობა მისი ბედი. შეხვედრის ადგილი მზადდება, გადამწყვეტი ბრძოლის არენა - ცივი, ნესტიანი სივრციდან დახურული სპორტული დარბაზის მახინჯი შენობა ამოიზრდება, მის ირგვლივ კი იხლართება ვიწრო, ოკრობოკრო ქუჩების ლაბირინთი - მათი მიგნება სულაც არ არის ადვილი და ღამით სხვა ქუჩებივით არ ჩახჩახდება ლამპიონებით.

* * *

მშფოთვარე თვლემას თავს აღწევს ნუარი პიერი - თავი დამძიმებია და რამდენიმე წამით ვერ ხვდება სად არის - შემდეგ კი უარესი - ვერ ხვდება ვინ არის. საკუთარი თავის შეგრძნება კიდევ უფრო მოსუსტებია - დაღლილობის ბრალი იქნება, ან კლიმატის, რომელსაც მიჩვეული არ არის. მაგრამ ის არც ერთ კლიმატს არ არის მიჩვეული. სარკეში იხედება და საკუთარი გამოსახულება უცხოდ ეჩვენება - და თან ძალიან ფერმკრთალი ჩანს. მაგრამ ახლა სიფერმკრთალის და ყოყმანის დრო არ არის. ნუარი პიერი უნდა მოემზადოს.

მომზადებას დიდი დრო არ სჭირდება, იცვამს, პისტოლეტს ჯიბეში იდებს და გარეთ გამოდის სადაც ქალაქის ხმაური ცოტა ამშვიდებს კიდეც - მაგრამ არც სიმშვიდის დრო არ არის. ტაქსის აჩერებს და პატარა ფურცელს, რომელზეც მისამართი აქვს დაწერილი, ტაქსისტს უჩვენებს.

მგზავრობას დაახლოებით ორმოცი წუთი სჭირდება - ნუარი პიერი უმოძრაოდ ზის უკანა სავარძელში და სველი ფანჯრის მიღმა ქალაქს გაჰყურებს - ოღონდ ვერაფერს ხედავს - ყველა მისი შეგრძნება და ფიქრი ახლა ერთი რამისკენ - მოსალოდნელი შეხვედრისკენ არის მიმართული.

როგორც იქნა ადგილზე არიან; ოკრობოკრო ქუჩებით მიადგებიან სპორტულ დარბაზს, ქალაქის გარეუბნის მიყრუებულ ნაწილში - ირგვლივ ხეები დგას რომელთა წვრილი, სველი ტანები ბუნდოვნად იკვეთებიან დღის უკანასკნელ, უღიმღამო შუქში. შორიახლოს დგება. ულაზათო სპორტული დარბაზი ამ პირქუშ გარემოში კიდევ უფრო მახინჯი ჩანს. სანამ დღის სინათლე ბოლომდე არ გამქრალა, უმჯობესია თუ შენობას გარედან დაათვალიერებს - ერთხელ დაარტყამს წრეს, აკვირდება მასიურ, ყრუ კედლებს, ყოველ ვიწრო, ჭუჭყიან ფანჯარას, დალუქულ უკანა კარს.

ახლა კი ისღა დარჩენია დაელოდოს - როგორ შევლენ მოთამაშეები დარბაზში და როგორ გამოვა იქიდან ყველა - ერთის გარდა. ქუჩის კუთხეში დგება, ისე რომ თვალში არავის მოხვდეს და თან სპორტული კომპლექსის კარი სულ თვალწინ ჰქონდეს. შემოვლის გამო გატალახიანებული ფეხსაცმელის ძირს ქვაზე შეაწმენდს - პალტოს საყელოს კვლავ აიკეცავს და ხელთათმანიან ხელებს გრძელი პალტოს ჯიბეებში იყოფს.

სულ მალე სიბნელე მალავს ნუარი პიერის, მისი ფეტრის ქუდში კი დროდადრო წყალი გროვდება. მაგრამ სიბნელეზე, რომელსაც ის მოუცავს კიდევ უფრო შავია მისი ფიქრები - ერთადერთი ლამპიონის შუქი ძლივს სწვდება სპორტული დარბაზის კარს, კედელში მაღლა დატანებული ვიწრო ფანჯრებიდან გამოღწეული შუქი სუსტ ნაკადებად ეშვება ტალახში.

ნუარი პიერი კიდევ ერთხელ გადაღვრის ფეტრის ქუდში დაგროვებულ წყალს და ამ დროს ფეხის ხმასა და ხმადაბალ საუბარსაც გაარჩევს წვმიმის შრიალში.

ნუარი პიერის ცისფერი თვალები სიბნელეს გამსჭვალავს - ისინი, დიდი სპორტული ჩანთებით, მხიარულ საუბარში გართულები ვერ გრძნობენ ნუარი პიერის არაკეთილმოსურნე მზერას და სპორტული დარბაზისკენ უხვევენ - ნაწილ-ნაწილ მოდიან, ჯგუფებად და ნუარი პიერი თითოეულ მათგანს გაფაციცებით აკვირდება სანამ თვალს მიეფარებიან, მაგრამ არაფერს ეუბნება მათი ბუნდოვანი კონტურები, ბგერების ფაფად გადაქცეული მათი სიტყვები. ნუარი პიერის წამით ეჭვიც კი უჩნდება - ნუთუ მართლა ამ მოყვარულ სპორტსმენებში იქნება მისი უძლიერესი მეტოქე, დაუძინებელი მტერი, რომელიც თავისი ცბიერებისა და მოხერხებულობის წყალობით წლების მანძილზე უსხლტებოდა ხელიდან?

მაგრამ ეს ეჭვის მხოლოდ ერთი წამია - რომლის შემდეგაც კვლავ შეურყევლად სჯერა იმისა, რაც გაბურძგნულმა დაპირდა - ამ საღამოს ყველაფერი დამთავრდება.

სპორტსმენები შედიან, ცოტა ხანი სიჩუმე ისადგურებს, მაგრამ მალევე მთელი დარბაზი თამაშის ხმებით გამოცოცხლდება - მოთამაშეთა შეძახილები, იატაკზე მათი სპორტული ფეხსაცმელის ჭრაჭუნი და ბურთის ხეთქების ხმები ნუარი პიერიმდეც აღწევს. შემდეგ კი საბოლოო ნიშანი იმისათვის, რომ შეუძლია იმოქმედოს - შენობიდან მთლიანად შეფუთნული ფიგურა გამოდის და იმ სიბნელეში იკარგება, საიდანაც მოთამაშეები მოვიდნენ - ეს დაცვა უნდა იყოს, რომელიც გაბურძგნულის მიერ არის მოსყიდული - ახლა დარბაზი მთლიანად ნუარი პიერის განკარგულებაშია - კიდევ რამდენიმე წუთი მოიცდის, რათა დარწმუნდეს, რომ მეტი არც შემსვლელი და არც გამომსვლელი აღარ დარჩა - შემდეგ კი შენობისკენ წავა - კართან კიდევ ერთხელ რათა ირგვლივ მიმოიხედოს - მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალობაა.

ვრცელ შემოსასვლელში, პირველ რიგში ჩამრთველს მოძებნის და შუქს გამორთავს. ხედავს სათამაშო მოედანზე შესასვლელ კარებს შენობის სიღრმეში, ფართე კიბის თავზე. შემდეგ კარის გასწვრივ, კუთხეში ჯდება - კვლავ უნდა დაელოდოს, ამჯერად თამაშის დასრულებას. შურისძიების დეტალებზე ფიქრობს და მშვენიერი ბლანში ახსენდება, მისი ხელები, შუბლზე ჩამოშლილი კულულები, მისი ზურგი და ასე შემდეგ. მექანიკურად იკიდებს ხელს ჯიბეზე - სადაც ბლანშის ფოტო ეგულება.

უკუნ სიბნელეში ზის ნუარი პიერი - გახურებული თამაშის ხმებს უსმენს - მისი პალტოდან და ფეტრის ქუდიდან წყალი წვეთავს, ცივ ფილებზე ტკაპუნით ეცემა. ნუარი პიერის ცისფერი თვალები ნამდვილი მტაცებლის თვალებივით ელავენ სიბნელეში. მაგრამ ამ გარინდებასა და ლოდინში ნუარი პიერის ნაკლებად მტაცებლური აზრი ეწვევა - სულ ცოტაც, და ნუარი პიერი ჩვეულებრივი ადამიანად გადაიქცევა.

ეს ფიქრი ცოტა არ იყოს ყურადღებას უფანტავს - იმაზე ჩაფიქრდება, თუ რა უნდა ქნას მას შემდეგ, რაც ნამდვილ ადამიანი გახდება - როგორი იქნება ამ ცვლილების მომდევნო დღეები, წლები - და ამ ფიქრებში თვალების მტაცებლური ელვარება იკლებს - მომავლის იმ ნაწილზე ფიქრობს, როდესაც აღარ ექნება ერთადერთი წმინდა მიზანი. ვითომ შეიძლება, რომ ამ დროზე ფიქრში ნუარი პიერის დაავიწყდეს, რომ ეს დრო ჯერ არ დამდგარა? სულ რაღაც წამის მეასედით ასეც ხდება და ეს საკმარისია, რომ როდესაც გამოერკვევა და კვლავ მთელი სიმძაფრით დაუბრუნდება მოახლოებული შეხვედრის მნიშვნელობა, ძლიერი მღელვარებაც დაუბრუნდეს.

მაგრამ გარდამტეხი მომენტის მოახლოებისას ყველა ადამიანისთვის ბუნებრივია აღელვება. მით უმეტეს, რომ კალათბურთის დარბაზიდან ხმაური იკლებს. თამაში წყდება - ახლა ნუარი პიერამდე მხოლოდ ხმადაბალი საუბრის ხმა აღწევს და აქა-იქ ფეხის ხმა, როდესაც მოთამაშეები თავიანთ ნივთების ასაკრეფად ტრიბუნებს მოედებიან - სასიამოვნოდ დაღლილები არ ჩქარობენ, საუბრობენ და ხუმრობენ. ნელ-ნელა ეს ხმებიც იკლებს - პირველი მოთამაშე გამოდის დარბაზიდან და სანამ ვრცელ

შემოსასვლელს გადაკვეთს და შენობას დატოვებს, ნუარი პიერის მისი არცერთი მოძრაობა არ რჩება უყურადღებოდ.

ნუარი პიერის ძალიან ფრთხილად მიაქვს პისტოლეტისკენ ხელი - ნუთუ მართლა ღელავს? მაგრამ ვინ არ აღელდებოდა მის ადგილას - ვინ გაუძლებს ცდუნებას, რომ კიდევ ერთხელ გადასინჯოს გონებაში გეგმის ყველა დეტალი. დარბაზიდან სხვა მოთამაშეებიც გამოდიან - ჯგუფ-ჯგუფად კვეთენ შემოსასვლელს და ბოლოს იცლება კიდეც შენობა. საბოლოოდ ისადგურებს სიჩუმე. ამ სიჩუმესა და თითქმის უკუნ სიბნელეში (თუ არ ჩავთვლით სინათლეს, რომელიც კალათბურთის დარბაზის კარიდან გამოდის, მაგრამ ნუარი პიერის კუთხემდე ვერ აღწევს) ნუარი პიერის ეჩვენება რომ ტივტივებს. მის ფეტრის ქუდის კიდეზე კიდევ ერთი წვეთი ფორმირდება და ნუარი პიერი სუნთქვას იკრავს - თითქოს ეს წვეთის ჩამოვარდნას ხელს შეუშლიდეს. ვერც უშლის - წვეთი ქუდს მოწყდება და მის ფილაზე დაცემას მთელს შენობაში გავრცელებული გრუხუნის ხმა ემთხვევა - დარბაზის იატაკზე ბურთის ერთადერთხელ დაცემის ხმა, რომელიც ცოტა ხნით მთელს შენობას ავსებს და მერე ისევ სიჩუმეს უთმობს ადგილს.

ეს ნიშანია და ნუარი პიერი მაშინვე ფხიზლდება, სამოქმედოდ დაეჭიმება ყოველი ძარღვი. უნდა გამოერკვეს თავისი ეჭვებიდან, უადგილო ჩაფიქრებიდან - და მართლაც დაძლევს საკუთარ თავს - კიბეებისკენ ნელა დაიძვრება - შავი, დახვეწილი ფეხსაცმელები ვრცელ ფილებზე კაკუნებენ, მაგრამ აღარც სიფრთხილეა საჭირო - ნუარი პიერი სასწრაფოდ მტაცებლად უნდა გადაიქცეს. მაგრამ ამის საპირისპიროდ, რაც უფრო უახლოვდება დარბაზს, მით უფრო ღრმავდება მისი ეჭვი და მღელვარება - მით უფრო უძლიერდებოდა შეგრძნება - რომ მახეში თავისი ნებით ებმება.

მაგრამ დარბაზში შეაბიჯებს თუ არა მაღალი ჭერიდან დაფრქვეულ სინათლეში მის ქუდსა და პალტოზე შერჩენილი წვეთები აბრჭყვიალდებიან და ამ სინათლეში ყოყმანისა და მღელვარების ყველანაირი კვალი ქრება - ერთბაშად აუჩქარებს ნაბიჯს - ჯერ დარბაზის მხოლოდ უკაცრიელ ნაწილს ხედავს მაგრამ იცის, რომ აქ ვიღაცაა - მარჯვნივ მაღალი კედელი აქვს, რომელიც თანდათან დაბლდება და ბოლოს პლატფორმის ოდნავ ამაღლებული კიდეღა რჩება მისგან - ტრიბუნებზე მოხვედრა აქედან შეიძლება - ნუარი პიერი ერთი ხელით პისტოლეტს ჩააფრინდება პალტოს ჯიბეში, მეორეს კი მოაჯირს ჩაავლებს და კიბეებს აირბენს, დარბაზისკენ ზურგშექცეული - უნდა სწრაფად მოიპოვოს უპირატესობა და მთელი მოედანი თვალწინ ჰქონდეს - როდესაც ჩათვლის, რომ საკმარისად მაღლაა, მარცხნივ უხვევს, სკამების რიგებს შორის მიდის რათა მოედნის შუას გაუსწორდეს.

ხედავს დარბაზის შუაგულში დამდგარ კაცს, რომელსაც კარისა და ტრიბუნებისთვის ზურგი შეუქცევია - ნუარი პიერის ასეთი თავხედობა არ უკვირს; მაგრამ ამ უზარმაზარი ბოროტების, თვითონ ეშმაკის უმოძრავო, გამხდარ ფიგურაში სიმშვიდე და თავდაჯერება იგრძნობა. ნუარი პიერი პალტოში პისტოლეტის ტარს წამით ხელს უშვებს რათა ჯიბეშივე შეიმშრალოს - ახლაღა ამჩნევს, რომ უცნობს ხელში ბურთი

უჭირავს, თავი კი ჩაუხრია, თითქოს ძალიან საინტერესო დაკვირვებას აწარმოებს კალათბურთის დარბაზის ცუდად შეღებილ იატაკზე. ნუარი პიერი ჩერდება და თითქოს ამას ელოდებოდა, უცნობი ბურთს ხელს უშვებს - მსუბუქი მოძრაობით მოისვრის მოედნის საპირისპირო მხარეს და აუჩქარებლად შემობრუნდება.

ნუარი პიერი შეხედავს და პისტოლეტს შემართავს. მას არ აქვს განზრახული სანამ მოკლავდეს მტერს თვალი გაუსწოროს ან ღვარძლით სავსე მონოლოგი წაიკითხოს, რომლითაც ბოროტმოქმედს სიკვდილის წინ მიწასთან გაასწორებდა - უბრალოდ უნდა, რომ ესროლოს და მოკლას და ამითი დაასრულოს ყველაფერი. მაგრამ მის სახეს ხედავს და თვალი თვალს უსწორდება. ნუარი პიერი შეშდება - დევნასა და შურისძიებაზე ოცნებაში გასული წლების მანძილზე რა ფორმა აღარ მიუღია მტრის სახეს მის წარმოსახვაში - და არცერთი მათგანი არ გააკვირვებდა; ისეთი სახეც რომ ენახა, რაც მხოლოდ ყველაზე ველური და აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფი შეიძლება იყოს, წამით არ შეყოყმანდებოდა - მაგრამ რასაც ახლა ხედავს, ყველაზე საზარელია და რაც უფრო დიდხანს უყურებს, მით უფრო ლოგიკურადაც ეჩვენება. მთელი ძალით ცდილობს თავი დააღწიოს ამ მოულოდნელი დარტყმის შოკს - რისთვისაც მოვიდა, უნდა გააკეთოს - პისტოლეტს კარგად დაუმიზნებს მტერს, რომელიც არ ინძრევა. ნუარი პიერი მის სახეს პრიალა ლულის ზემოდან უყურებს - ცდილობს გაბურძგნულის გამომეტყველებაში რამე აზრი დაიჭიროს, რაც მის აქ ყოფნას ახსნიდა - და პოულობს კიდეც. ფეტრის ქუდის მიუხედავად სინათლე თვალებს სჭრის - იქნებ სწორედ ამის გამო ეჩვენება, თითქოს გაბურძგნულს სახეზე დამცინავი ღიმილი დასთამაშებდეს? რაც არ უნდა იყოს, განურძგნულის ღიმილში ისეთ რამეს ხედავს, რასაც ვერაფრით გადათარგმნის სხვანაირად - ის მისი მტერია, საძულველი მტერი, რომლის მეგობრულად დაგებულ მახეში ფართხალებდა მრავალი წელი, რომელიც ყოველთვის ხელიდან უსხლტებოდა თავისივე შექმნილ ლაბირინთში და რომელიც ახლა თვითონ დაეწია ნუარი პიერის.

ყველაფერი გადაწყვეტილია - პირდაპირ თავში უმიზნებს გაბურძგნულს და შემდეგ პირდაპირ გულში უმიზნებს. კბილების ორი მწყობრი მწკრივი ერთმანეთს მთელი ძალით აწვება - ნუარი პიერი ჩახმახს გამოჰკრავს და ჭახანი მთელ დარბაზს გააყრუებს - მაგრამ გაბურძგნული ისევ გაუნძრევლად დგას და ნუარი პიერის დამცინავი ღიმილით თვალს არ აცილებს - ჭახანი გარედან შემოჭრილა დარბაზში, ნუარი პიერი ხვდება, სადღაც კარი გაჯახუნდა - მართლაც მახეში გაება, ახდა მისი წინათგრძნობა. კიდევ ორჯერ გამოჰკრავს ჩახმახს და პისტოლეტის ჩხაკუნი იმისთვისაც კი არ არის საკმარისი, რომ გაბურძგნულს თვალები დაახამხამებინოს. ნუარი პიერის, რომელსაც პისტოლეტი ჯერ კიდევ შემართული აქვს უფრო ძლიერი შიში ეუფლება, ვიდრე ბუნებრივი შიშია დაუნდობელი და ცბიერი მოწინააღმდეგის წინაშე. ახლაც, როგორც სასტუმროში, როდესაც მძიმე ძილისგან გამოფხიზლდა - უცნაური შეგრძნება იპყრობს, თითქოს ეს-ეს არის უნდა გაილიოს ან კვამლივით გაიხსნას ჯერ კიდევ ოფლის სუნით გაჟღენთილ ჰაერში.

მაგრამ არა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ყველაფერი - ნუარი პიერი გადაწყვეტს უკანასკნელად გაიბრძოლოს. იარაღს დაუშვებს და ბორძიკით გარბის გასასვლელისკენ - რაც უფრო ჩქარა ცდილობს გაიქცეს, მით უფრო ეძალება შიში და ალბათ ამ შიშის გამოა, რომ სხეული მოუქნელი და მსუბუქი უხდება - კიბეებს ფარფატით ჩალევს - წინააღმდეგობას ელოდება გაბურძგნულისგან, ან მისი ხალხისგან, მაგრამ კართან დაუბრკოლებლად მიაღწევს, კარში გასვლისთანავე კი ჩერდება - სიბნელეს უკვე გადაჩვეულა და ახლა ეს სიშავე ყრუ კედელივით აღიმართება მის წინ, მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი შეყოყმანებაა - ისევ გარბის, ოღონდ ალალბედზე და ერთხანს მდევარის აუჩქარებელი ნაბიჯების ხმაც ესმის; შემდეგ კი იკარგება შენობაში, რომელიც ლაბირინთს დამსგავსებია - სიბნელემ დააბნია, თუ სადაც კარი უნდა ყოფილიყო, იქ ცივი კედელი დახვდა? ამას მნიშვნელობა არ აქვს - ხელის ცეცებით გაჰყვება ამ კედელს - გრძელ დერეფანში აღმოჩნდება, რომელიც დროდადრო უხვევს. ნუარი პიერი სრულიად კარგავს ორიენტაციის შეგრძნებას მაგრამ სირბილს აგრძელებს - დროდადრო მდევრის ფეხის ხმა იკარგება, მაგრამ არც წინ ჩანს რამე. დროდადრო იატაკიდან ამოყრილ ფილებზე წაიბორძიკებს. მისი ფეხსაცმელები არათანაბრად კაკუნებენ და შავ-ბნელ დერეფანს პირქუში ექოთი ავსებენ.

ერთხელაც გალევს დერეფანს და მორიგი მოსახვევის შემდეგ, შორს, ახალი დერეფნის ბოლოში მბჟუტავ სინათლე შენიშნავს. ეს უკანასკნელი იმედის სინათლეა - ფეხს კიდევ უფრო აუჩქარებს და ამ დროს კვლავ გაიგონებს მდევრის ნაბიჯების ხმას. მოტრიალდება, სიბნელეს დაუმიზნებს და ორჯერ ზედიზედ გამოჰკრავს ჩახმახს - და მიუხედავად იმისა, რომ ამჯერად ნამდვილი გასროლის ხმა გააყრუებს დერეფანს, ეს ყოვლად უაზრო ქმედებაა. ამ ხმას მაშინვე შეერევა ნუარი პიერის ფეხსაცმელების ნერვული კაკუნი.

რაც უფრო უახლოვდებოდა მბჟუტავ სინათლეს - მით უფრო ეცლება ძალა; ნელ-ნელა ჭუჭყიანი კედლების ტექსტურაც გაარჩევს - თითქოს შენობა ახლა ფორმირდება - მის თვალწინ. ლამაზ ცხვირში ოფლისა და საზოგადოებრივი ტუალეტის მძაფრი სუნი დაეტაკება. სინათლე დერეფნის ბოლოს ღია კარიდან გამოდის - ტუალეტი იქნება, ან გასახდელი. პირქუში სიკვდილი ელოდება პიერი ნუარის. კარში მაინც შედის, რადგან სხვა არაფერია. აქ, სიმყრალის თავზე ერთადერთი ნათურა ბჟუტავს. მისი სინათლე მხოლოდ ბუნდოვნად გამოკვეთს რაღაც უჯრებს, პატარა, მონჯღრეულ კარადებს - მარჯვნივ კი ჭუჭყიან კედლებზე დაკიდებულ დაბზარულ სარკეებში ირეკლება - ოთახის ბოლოს - გასასვლელი კიდევ სადღაც, სხვა ოთახში ან დერეფანში. იქით გადადგამს რამდენიმე ნაბიჯს, მაგრამ წაბარბაცდება და მარჯვენა ხელით კედელს მიეყრდნობა, ასე მიიწევს წინ - კედლის ნაცვლად მალე პირსაბანს დაებჯინება და ამ დროს სარკეში საკუთარ გამოსახულებას მოჰკრავს თვალს. ეს ბოლო დარტყმაა - მორიგი ელდისგან ხელი უსხლტება და მთელი ტანით ეხეთქება ნიჟარას - სინამდვილეში სულაც არ ყოფილა მსუბუქი - პირსაბანის ამტვრევს და მსხვილ ნატეხთან ერთად ძირს ეცემა.

ძლიერი ტკივილის მიუხედავად ზურგზე გადატრიალდება - ფეხის ხმა ახლა მკაფიოდ ესმის - ცოტა დროღა აქვს დარჩენილი. იდაყვებს ეყრდნობა და წამოდგომას ცდილობს - მაგრამ არა იმიტომ, რომ გაიქცეს, ან წინააღმდეგობა გასწიოს - მხოლოდ სარკეში ჩახედვა უნდა კიდევ ერთხელ მაგრამ ადგომა აღარ შეუძლია.

უცებ ფოტო ახსენდება - იქნებ იმან მაინც გასწიოს სარკის მაგივრობა. აკანკალებული ხელით ჯიბიდან საფულეს ამოაძვრენს და ფოტოს მოძებნის - იდაყვს კიდევ ერთხელ დაეყრდნობა და ცდილობს ფოტო სინათლეში მოაქციოს - ისღა თუ დაუდასტურებს, რომ ყველაფერი რაც აქამდე გადახდომია, მართლა იყო. და რაც ახლა ხდება - მართლა არის. რამდენიმე წამით ასე უჭირავს - იძულებულია საკუთარ თვალებს დაუჯეროს რადგან სხვა არაფერი აქვს - თანდათან მასში ქრება შიში და ბრაზი და დანარჩენიც, თითქმის ყველაფერი; თავს დაბნეული მოატრიალებს რათა ოთახში შემოსულს შეხედოს, რომელიც მოშორებით ჩერდება, იქ სადაც მხოლოდ ნაწილობრივ ექცევა სინათლეში; კარგად შეათვალიერებს და მერე სახეზე აკვირდება, როგორც უყურებენ უცხო ნაკვთებს - ნაცნობი სახის ამოსაცნობად. ესეც იგივე სახეა რაც არკაში, რაც კალათბურთის მოედანზე, სარკეში, ფოტოზე. მაგრამ მის გამომეტყველებაში აღარ არის დაცინვა ან მტრობა არამედ, ასე ეჩვენება ნუარი პიერის - რაღაც ალერსიანი, გამომშვიდობების მსგავსი. შემდეგ პიერი ნუარი ხუჭავს გამჭოლ ცისფერი თვალებს რათა კვლავ სიცარიელემ დაისადგუროს.

ასოციაციობანა

კვირის ერთ-ერთ, არაფრით გამორჩეულ დღეს, როდესაც სამსახურიდან გამოსული, ნელი ნაბიჯით მიდიოდა სახლისკენ, კაცს გამოცხადება ჰქონდა - ქუჩის მოპირდაპირე მხარეს გაიხედა და სრულიად მოულოდნელად მიხვდა, რომ ორ სიტყვას შორის, რომელიც გვერდიგვერდ მდგარი მაღაზიების აბრებზე ეწერა, რაღაც მისტიკური, გაუგებარი, მაგრამ უტყუარი კავშირი არსებობდა. თავიდან აღფრთოვანდა, შემდეგ კი დაიბნა. მთელი გზა ამ კავშირზე ფიქრობდა და იმაზე, შეიძლებოდა თუ არა, ეს ორი სიტყვა შემთხვევით აღმოჩენილიყო ერთმანეთის გვერდით.

შესაძლოა - ფიქრობდა კაცი - ამ ორი მაღაზიის მფლობელები მეგობრები არიან. ბავშვობიდან ერთად იზრდებოდნენ; ერთ დღესაც, როდესაც უკვე იმხელები იყვნენ, რომ საკუთარი საქმე წამოეწყოთ, გადაწყვიტეს მაღაზიები გაეხსნათ. შემთხვევით ან განგებ მიაგნეს ამ ერთმანეთთან ბუნდოვნად, მაგრამ მაინც შეკავშირებულ სიტყვებს და ახლად გახსნილი მაღაზიების აბრებზე წააწერეს - რათა ამ სიტყვების გვერდიგვერდ დანახვას რაღაც აღეძრა გამვლელებში. როგორც სპეციფიური და მოუხელთებელი სურნელი აღძრავს შორეული ბავშვობის ბუნდოვან, მაგრამ მძაფრ მოგონებებს. მაღაზიის მფლობელები მიხვდნენ, რომ ეს შეგრძნება მიიზიდავდა ხალხს ორი ბუნდოვნად დაკავშირებული სიტყვით აღძრული არაცნობიერი წყურვილის დასაცხრობად მაღაზიებს მიაკითხავდნენ და პროდუქტების განლაგებაში, ფერების გადანაწილებაში, მაცივრების ბრენდების თანხვედრაში და სხვა დეტალებში შეეცდებოდნენ მოეძებნათ იმ შეგრძნების გაგრძელება ან ახსნა, რომელიც აბრებზე დაწერილმა სიტყვებმა აღუძრათ.

მაგრამ ამ ჰიპოთეზამ კაცი არ დააკმაყოფილა - ძნელი დასაჯერებელია, ფიქრობდა ის რომ მაღაზიის მფლობელებმა ასეთი რამ მოიფიქრეს და შემდეგ, რაც კიდევ უფრო ძნელი დასაჯერებელია, განახორციელეს კიდეც. რომ თავად მიაგნეს ამ მართლაც ბრწყინვალედ დაკავშირებულ სიტყვებს, თავადვე შეიგრძნეს მათი კავშირი, ამ კავშირის მნიშვნელობას მიხვდნენ და ბოლოს, მიხვდნენ იმასაც, თუ რა კომერციული სარგებლის ნახვა შეიძლებოდა მათი მაღაზიის აბრებზე გამოტანით. ამის დაჯერება კაცს გაუჭირდა.

მაგრამ კაცს იმის დაჯერებაც უჭირდა, რომ ეს ორი სიტყვა შემთხვევით აღმოჩნდა ერთმანეთის გვერდიგვერდ. სახლში წავიდა და დიდხანს ფიქრობდა მათზე. რამდენიმე საათი ამ სიტყვებზე ფიქრში გაატარა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ისიც კი ვერ გაეგო, თუ რა კავშირი იყო მათ შორის - კავშირს მხოლოდ გრძნობდა და ყოველი მცდელობისას, სხვა სიტყვების საშუალებით აეხსნა ეს კავშირი, ჩამოეყალიბებინა გამართული წინადადება, რომელშიც ორ სიტყვას შორის მანძილს მკაფიოდ დაკავშირებული სიტყვების ჯაჭვი დაფარავდა, შეგრძნება ხელიდან უსხლტებოდა და ასეთი წინადადების მოძებნა ვერ მოახერხა.

დაღლილმა და გაღიზიანებულმა გადაწყვიტა, რომ სულაც არ იყო ამ სიტყვებს შორის კავშირის მოძებნა მნიშვნელოვანი და დროთა განმავლობაში თავისით წაიშლებოდნენ მისი მეხსიერებიდან. ონკანში დახვავებულ ჭურჭლის გორას მიადგა და ყველაფერი დარეცხა, ბოლოს კი, რადგან ძალიან მოშიებული იყო, სახელდახელოდ მომზადებული სენდვიჩი შეჭამა და დაიძინა იმ უსიამოვნო განცდით, რომ მთელი დღე უქმად დაკარგა. დაძინებამდე ბოლო წუთებში მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ამ უაზრო პრობლემისთვის დრო აღარასოდეს დაეთმო.

მეორე დღეს რამდენიმე საათი მართლაც შეძლო საკუთარი თავისადმი მიცემული პირობის შესრულება. მაგრამ შუა დღეს, როდესაც მარტოს მოუწია სამსხურიდან ლანჩზე გამოსვლა, კაფეში საჭმელის მოლოდინში უქმად მჯდომმა თავი ვეღარ შეიკავა და კვლავ გაახსენდა მაღაზიის ორი სიტყვა. ამის შემდეგ აღარც დავიწყებია ის ორი სიტყვა და მათი საიდუმლო საბოლოოდ აეკვიატა. ეფექტი, რომელიც მათ მოახდინეს, შესუსტებისა და გაცრეცვის ნაცვლად, დღითი-დღე ძლიერდებოდა.

ამ უცნაური საფიქრალით გატანჯული სამსახურის მერე ფეხით სიარულს მიეჩვია. უკვე მოსაღამოვებულზე, როდესაც დღის სინათლე ბოლომდე არ არის გამქრალი მაგრამ ლამპიონები, მანქანების ფარები, აფთიაქების და მარკეტების ჭყეტელა აბრები, შუქები დიდ, უსახურ კორპუსებში ნელ-ნელა ინთებიან - აი ამ დროს, ამ ბუნებრივი და ხელოვნური განათების ნაზავში ატივტივებული ქალაქის წარწერებისკენ თვალი უნებლიედ გაურბოდა. ასეთ დროს თავის მაღაზიებთანაც შეივლიდა (სადაც ორმა სიტყვამ მასზე გავლენა მოახდინა), მივიდოდა და ქუჩის მოპირდაპირე მხრიდან აკვირდებოდა, თვალებით ჭამდა მაღაზიების აბრებს - ისე იქცეოდა, როგორც უარყოფილი შეყვარებული, რომელსაც ვერაფრით დაუჯერებია, რომ მისი სიყვარული არ გაიზიარეს.

მაგრამ ზუსტადაც, მეტის ამოკითხვა იმ ორ სიტყვაში აღარ შეიძლებოდა. კაცი მიხვდა, რომ რა ხანგრძლივობითაც არ უნდა მიშტერებოდა მათ, ინფორმაციას, რომელიც მას სჭირდებოდა რათა ამ ორი სიტყვის კავშირი აეხსნა, თავად ამ ორ სიტყვაში ვერ იპოვნიდა. მაგრამ რამდენადაც მათი კავშირის მტკიცედ სჯეროდა, იმისაც სჯეროდა, რომ აუცილებლად უნდა არსებულიყო მათი კავშირის ახსნა. და რადგან უკვე აღარ შეეძლო ეს საკითხი უბრალოდ მიეტოვებინა, საერთოდ დაეკიდებინა ან დალოდებოდა სანამ ვინმე სხვა არ გამოიკვლევდა - დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ კიდევ სად შეიძლებოდა ამ კავშირის ახსნა ეპოვნა.

რა თქმა უნდა, პირველ რიგში მაღაზიის მფლობელები უნდა მოეძებნა. ასეც მოიქცა, მაგრამ როგორც ელოდა, მფლობელებმა ყველაფერი უარყვეს. ისიც კი უარყვეს, რომ ეს სიტყვები აბრებზე ერთმანეთთან შეთანხმებით დაწერეს. განუცხადეს, რომ ერთმანეთს კარგად არც იცნობდნენ. და რაც ყველაზე უარესია, თავი მოაჩვენეს, თითქოს სიტყვებს შორის ვერანაირ კავშირს ვერ ხედავდნენ. იმედგაცრუება დიდი არ ყოფილა კაცისთვის - ისედაც არ ელოდა, რომ მაღაზიის მფლობელებისგან რამე ხელმოსაჭიდს მოისმენდა. იმათ, ბუნებრივია, თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ.

გადაწყვიტა მთლიანად თავის თავზე აეღო ამ საიდუმლოს ამოხსნა. თეორიული ცოდნის გაღრმავება სცადა, მაგრამ ლინგვისტიკისა და ეტიმოლოგიის ბიბლიოთეკაში გამოჩხრეკილმა სახელმძღვანელოებმა, ინტერნეტში მოძებნილმა სამეცნიერო ტერმონოლოგიით გაძეძგილმა სტატიებმა, შემეცნებითმა ვიდეოებმა, ნათელი ვერაფერს მოჰფინეს. რაც უფრო იღრმავებდა ცოდნას, მით უფრო შორდებოდა მიზანს. ინტუიცია (რომელმაც იმ ორ სიტყვას შორის კავშირი აღმოაჩენინა) კარნახობდა, რომ პასუხს ვერც ვრცელ და აბსტრაქტულ თეორიულ მსჯელობებში და ვერც კონკრეტული სიტყვებისა და ფრაზების დაწვრილებით ანალიზში იპოვნიდა.

კაცისთვის აშკარა გახდა, რომ აზრი აღარ ჰქონდა პასუხების წიგნებში ძებნას. მიუხედავად იმისა, რომ საქმე სიტყვებთან ჰქონდა, მიხვდა, კავშირი, რომელიც ამ ორ სიტყვას შორის არსებობდა მისტიკური და იდუმალი იყო. მან იმ ადგილს მიაგნო, სადაც უნდა გამჟღავნებულიყო ქალაქის, უზარმაზარი და უძველესი ურჩხულის (როგორც წარმოიდგენდა ხოლმე მასზე ფიქრისას) მთავარი საიდუმლო. ამას კი მიხვდა, მაგრამ თან იმასაც ხვდებოდა, რომ ბიბლიოთეკებში, აკადემიურსა თუ საეჭვო რეპუტაციის ვებსაიტებზე პასუხის ძებნას აზრი არ ჰქონდა. ჯერ არ არსებობდა ცოდნა, რომელზეც დააფუძნებდა საკუთარ გამოკვლევას. კვლევის ყველა საშუალება ხელიდან გამოეცალა.

ცოტა ხნით სასოწარკვეთამ მოიცვა. იძულებული იყო ხელი აეღო ამ საქმეზე, მაგრამ ამ პრობლემას უკვე ისე მთლიანად მოეცვათ მისი გონება, რომ იმ ორი სიტყვის თავიდან ამოგდება და ცხოვრების ძველებურად გაგრძელება შეუძლებელი გამხდარიყო. დაუძლეველმა წინააღმდეგობამ, რომელიც ყველაზე სანუკვარის სურვილის ასრულებაში ხელს უშლიდა, ცოტა დააკლდა, რომ მთლიანად არ გაანადგურა კაცის ფსიქიკური ჯანმრთელობა.

ერთხელ, როდესაც დარდისაგან დაუძლურებული, განახევრებული ადამიანი ტელევიზორის წინ წამოწოლილიყო (თავი სანახევროდ მოეტრიალებინა ციმციმა ეკრანისკენ და გონებაგაფანტული უყურებდა), ახალი სატელევიზიო პროგრამა დაიწყო - სენსაციური, ჯერარნახული, ყველაზე გასართობი. კაცი არც კი შერხეულა, მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო. გადაცემის უმეტესი ნაწილი არც გაუგონია, მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც გადაცემის სანახაობრივი კულმინაცია უკვე გადავლილი იყო და თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, კაცს გონება გაუნათდა.

გადაცემა ასოციაციობანას სატელევიზიო ვერსია იყო. ექსტრავაგანტული ვარცხნილობების მქონე დიასახლისებს, ვადაგასულ ვარკსვლავებსა და ექსცენტრულ ათლეტებს სიტყვები სხვა სიტყვებით უნდა აეხსნათ ან სხვების მიერ ახსნილი გამოეცნოთ. დიდი მხიარულება იყო, რომელსაც კაცი ვერ იზიარებდა. მისი ყურადღება ძლივს მიიპყრო ერთ-ერთმა სიტყვამ, რომელიც მონაწილეებს უნდა გამოეცნოთ. დასახელდა რამდენიმე სიტყვა, რომელთა საშუალებითაც მონაწილეები უნდა მიმხვდარიყვნენ იმ გამოსაცნობი სიტყვის მნიშვნელობას. კაცის თავში, რომელიც სათანადოდ არც აქცევდა ყურადღებას გადაცემაში მომხდარ ამბებს,

თითქოს თავისით შეფრინდა ეს რამდენიმე სიტყვა და ისე, რომ თვითონ კაცი ოდნავადაც არ დახარჯულა, მისმა ტვინმა მინიშნებები - „გაყიდვა“, „პროდუქტი“, „ფასდაკლება“ და ასეთი სულელური სიტყვები თითქოს თავისით გაასაშუალოა და ამ ოპერაციის შედეგი მისი დაღლილი ცნობიერის ზედაპირზე მკვდარი თევზივით ამოატივტივა - „მაღაზია“.

დივანზე წამოჯდა. გადაცემის მონაწილესაც, რომელსაც უზარმაზარი მწვანე სათვალეები ეკეთა, ეპოვნა სწორი სიტყვა და მისმა ნაძალადევმა, გატყლარჭულმა მხიარულებამ მკვეთრი კონტრასტი შექმნა კაცის სიხარულთან, რომელიც მოზვავდა და კაცის პატარა ბინის ჩახუთული ჰაერი შეუჩერებელი ენერგიით დამუხტა.

სულელური გადაცემის წყალობით კაცი მიხვდა, რომ „მაღაზია“ ვერასოდეს ვერ ახსნიდა თავის თავს და სწორედ ასევე, მაღაზიის აბრებზე წაწერილ ორ სიტყვას შორის კავშირი, არ შეიძლება თავად ამ ორ სიტყვაში ეძებნა. უფრო სწორად ისინი მხოლოდ სხვა, ამ ორი სიტყვის ახლომახლო მოტივტივე სიტყვებში თუ შეიძლებოდა გამჟღავნებულიყო.

ბინძური საბანი გადაიძრო კაცმა და პატარა ოთახში აწრიალდა. რამდენად სულელი და სულმოკლე ეჩვენებოდა საკუთარი თავი. რამდენი საათი გაუტარებია ქალაქში ხეტიალში, რომლის განმავლობაში უყურადღებოდ შეავლებდა ხოლმე თვალს ასობით, შეიძლება ათასობით წარწერას და სულელურად, ადამიანისთვის დამახასიათებელი სიბეცით, მხოლოდ ისევ თავის ორ სიტყვაზე ფიქრობდა. ისე ჰქონდა ტვინი დახშული, რომ დაიჯერა თითქოს მხოლოდ იმ ორ სიტყვაში ყოფილიყოს რაღაც წმინდა და იდუმალი, ხოლო დანარჩენები შემთხვევითად, უაზროდ მიმოიფანტნენ ორი მთავარი სიტყვის ირგვლივ.

მაგრამ საკუთარი თავისადმი დიდ სიმკაცრეს ვერ გამოიჩენდა, რადგან ის საქმეში სჭირდებოდა. ახლა დარწმუნებული იყო, რომ მას რაღაც უნდა აღმოეჩინა, რომ ნამდვილად მიაგნო რაღაცას, რაც სწორ გზაზე დააყენებდა. ამ გზაზე სიარულში თვითონ ქალაქი დაეხმარებოდა - ნიშნებით (სიტყვებით) - ზუსტად ისე, როგორც გაუგზავნა მინიშნება პირდაპირ სახლში, ტელევიზორის საშუალებით. კაცს ახლა ისღა დარჩენოდა, ამ თამაშში ჩართულიყო ქალაქთან, მასშტაბურ ასოციაციობანაში მიეღო მონაწილეობა; დიდი სიამოვნებითაც გააკეთებდა ამას, რადგან გამარჯვებული განუზომლად უფრო მნიშვნელოვან ჯილდოს მიიღებდა, ვიდრე სატელევიზიო გადაცემის პრიზები იყო - არცთუ ისე ცუდი ხარისხის ტოსტერი, ორკაციანი საგზური ტაილანდში და ბინა საბურთალოზე.

მეორე დღეს სამსახურში დატვირთული დღე ელოდა. ასე რომ არ ყოფილიყო აუცილებლად ახლავე იბანავებდა (რამდენიმე კვირიანი მძიმე დეპრესიის შემდეგ მოწესრიგება ნამდვილად არ აწყენდა), ჩაიცვამდა და მიაკითხავდა იმ ქუჩას, სადაც ორი მაღაზია იყო გვერდიგვერდ და ერთი სიტყვით, იმ ღამესვე შეუდგებოდა საქმეს. მაგრამ გადაწყვიტა გრძნობებს არ აჰყოლოდა. უფრო სწორად გრძნობების აყოლისას თავი არ უნდა დაეკარგა - ზუსტად თავის დაკარგვამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე,

რომელშიც ამ სასწაულებრივი მინიშნების მიღებამდე იყო. იმპულსურობისა და ექსცენტრულობის ნაცვლად ახლა ორგანიზებულობა და მეთოდურობა სჭირდებოდა.

გარეთ გასვლის ნაცვლად, გადაწყვიტა ბინა მოეწესრიგებინა - მოემზადებინა მომავალი კვლევისთვის - ჭურჭელი ისევ დარეცხა, ოთახი გამოხვეტა, ჭუჭყიანი ტანსაცმელი, ბინაში სხვადასხვა ავეჯზე მიმოფანტული, აკრიფა და ადგილი მიუჩინა. შემდეგ თავიც მოიწესრიგა - დაიბანა და წვერი გაიპარსა - და ასე, საკუთარი თავით კმაყოფილი დაწვა დასაძინებლად, მაგრამ დაძინება დიდ ხანს ვერ მოახერხა.

მეორე დღეს სამსახურში გონება წამდაუწუმ ეფანტებოდა - ერთი სული ჰქონდა როდის გაილეოდა სამუშაო დღე, რომ ადგილის დათვალიერება დაეწყო; რა თქმა უნდა ათასჯერ მაინც ექნებოდა ეს ქუჩა (სადაც ორი მაღაზია იდგა) ავლილ-ჩავლილი, მაგრამ ახლა ხომ სულ სხვა თვალითა და სულ სხვა მოლოდინით მიდიოდა. ისეთი გრძნობა ჰქონდა, რომ პირველად უნდა მოენახულებინა წმინდა ადგილი, რომლის ნახვაც მთელი ცხოვრების მიზნად გახდომოდა.

როდესაც სამსახურიდან გამოსვლის სანატრელი დრო მოვიდა გაფანტულად დაემშვიდობა თანამშრომლებს და ქუჩისკენ გაემართა. სანამ მაღაზიებს მიაღწევდა მართლაც იმდენი ახალი რამ შენიშნა, რომ იფიქრა - აქამდე სულ ტყუილად მივლია ამ ქუჩაზეო. მისი განახლებული თვალი ახლა ყველაზე უმნიშვნელო წარწერასაც არ ტოვებდა ყურადღების მიღმა; კიდევ ერთხელ დარწმუნდა, თუ რამდენად სულელურად უძღვებოდა საქმეს აქამდე, რამდენად ბრმა იყო - ხედავდა თუ სინამდვილეში რამდენად მეტყველი და ცოცხალი იყო ქალაქი, ის კი მარტო ორ სიტყვას ხედავდა.

მაგრამ ამ განახლების სიხარულს რაღაც უსიამოვნო გრძნობაც ახლდა თან (რომელიც ბოლომდე არც ეღიარებინა საკუთარ თავთან). განცდა, რომ ამოცანა, რომელსაც ეჭიდებოდა სინამდვილეში დაუძლეველი იქნებოდა მისთვის. მის აღფრთოვანებას ჩრდილი მიადგა - იქნებ ვერასოდეს - ამის გაფიქრებაზე უსიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ტანში - ამოეხსნა ეს საიდუმლო. პატივი, რომელიც ქალაქმა დასდო, როდესაც გადაწყვიტა მას დალაპარაკებოდა, შეიძლება სულაც არ იყო დამსახურებული.

რადგან იმ ორი სიტყვის გარდა სხვა ყველა წარწერასაც, რომელსაც მისი თვალი ამჩნევდა, თავისი პირველი, სემანტიკური მნიშვნელობის გარდა შეეძინა კიდევ სხვა, შეუიარაღებელი თვალისთვის დაფარული და შესაძლოა პირველ მნიშვნელობაზე უფრო მნიშვნელოვანი მნიშვნელობა. ახლა კაცს აღარაფერი შეეძლო დაეტოვებინა უყურადღებოდ. ერთი შეხედვით ყველაზე არად ჩასაგდებ (მაგალითად ვაშლის ჯიშის დასახელება, რომელიმე ხილ-ბოსტანის დახლზე) წარწერასაც ისეთივე ყურადღებით უნდა მოკიდებოდა, როგორც ყველაზე ჭყეტელა, ან ყველაზე დიდი ასოებით დაწერილ აბრას ქალაქის ცენტრში. ამიტომ თვალებს გიჟივით აცეცებდა, ცდილობდა ყველაფერი ერთბაშად გაეაზრებინა, მაგრამ ასე რა თქმა უნდა ვერაფერს მიაღწევდა. მიხვდა, რომ რასაც ახლა აკეთებდა სულსწრაფობა იყო - საჭირო იყო თავი დაემშვიდებინა და მეთოდურად შესდგომოდა საქმეს.

კაცი ჩვეულებრივი კაცი იყო და ბუნებრივია, რასაც განიცდიდა - შიშს, მოწიწებას, გაკვირვებას. თავს ისე გრძნობდა, როგორც ცუნამის დროს ნაპირზე მდგომი ადამიანი, რომელიც მისკენ გაქანებულ ტალღას თვალს გაუსწორებს. მაგრამ ძლივს გასაგონ ამოოხვრაზე მეტი არ დასცდენია. თავი გაიმხნევა იმით, რომ სპილო პატარ-პატარა ლუკმებად უნდა შეჭამო. როგორც იქნა მიუახლოვდა თავის მაღაზიებს. უკვე ინთებოდნენ ქუჩის ბინძური ლამპიონები და აბრები. წამით შედგა, თვალი შეავლო ორ იდუმალ წარწერას და შემდეგ მათ ირგვლივ შემოჯარულ სიტყვებს (კიდევ ერთხელ გაუკვირდა - როგორ შეიძლებოდა აქამდე ყურადღების მიღმა დარჩენოდა სხვა წარწერები). ხელი ჩანთაში ჩაიყო და მასში ქექვას შეუდგა. წელში მოხრილს, მხრებზე შეთხელებული, ფერფლისფერი თმებიდან ჩამობერტყილი ქერტლი ეფინა და ირიბად გადასაკიდებელ ჩანთაში ხელს აფათურებდა. გამვლელები გაღიზიანებულები უვლიდნენ გვერდს რადგან ტროტუარს ხერგავდა. როგორც იქნა იპოვა რასაც ეძებდა. ახლახანს შეძენილი ბლოკნოტი და კალამი.

კიდევ ერთხელ ღრმად ჩაისუნთქა. ახლა სიფრთხილე და დაკვირვებულობა იყო საჭირო. სასოებით გახედა ორ სიტყვას, რომლის ამოხსნის გზაზე ახლა უნდა შემდგარიყო. ხელი ოდნავ უკანკალებდა რადგან პასუხისმგებლობას გრძნობდა. ზედმიწევნით ზუსტად უნდა ჩაენიშნა კრიპტოგრაფიული გასაღები რომელსაც ქალაქი კარნახობდა. რამდენიმე წუთი შეუჩერებლივ იწერდა. შემდეგ, როდესაც ორი მთავარი სიტყვის ირგვლივ ყველაფერი ამოიწერა, რასაც თვალი მისწვდებოდა, გზა გააგრძელა და გზადაც ყველაფერს იწერდა.

ასე გამოიყურება იმ უსასრულო და ამორფული გროვის პირველი სიტყვები, რომელსაც მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში კაცი უკირკიტებდა, ამდიდრებდა, ცვლიდა და რომლის გაგებამდეც, სიკვდილის ბოლო წუთებამდე ფიქრობდა, რომ სულ ცოტა უკლდა:

უფრო ცხელო უფრო წვნიანი უფრო გემრიელი ნიუ ვიჟენ chic bebe ჩიკ ბებე ნუ გააჩერებთ პეპელა pepela ავეჯი ტექსტილი განათება ჰიდრონექს ცენტრი center ბალაქსი იფოკა ს ი შემადგენლობა დიოდური ეპილაცია კოსმეტოლოგია diamond germany ორთოპედიული მატრასები m milanisi m ვანის ქუჩა 4ა ავეჯის სახლი 593633268 ვალერი matrass.ge F მოარიდეთ ბავშვები ტერიტორიას Milanisi-matrasebi China shipping გაყიდვების ოფისი სამშენებლო-დეველოპერული კომპანია შენი ოცნების სახლი შენდება აქ ტასჰაბი არქიტექტურა ჰოლი 6.3 კვ.მ საძინებელი 16.4 კვ.მ. სველი წერტილი 5.4 კვ. მ. საზაფხულო ფართი 6.2 კვ.მ. მარდიელი ჯგუფი ნებისმიერი ინციდენტი დაუყოვნებლივ მოახსენეთ უფროსს ღიაა OPEN პერო ქიმწმენდა PERO dry cleaning საკონდიტრო ჟანგი wish trio bakery L. * S.P <3 ფეხსაცმლის ინდკერვა მისაღები 20.2 კვ. მ შეკეთება სილამაზის სალონი bonton დაბალი ფასები ზოო სითი ძლიერი იმპულსები ფართო ასორტიმენტი სტომატოლოგი ჩემი სახლი საოჯახო მაღაზია კარამელი karameli always fresh ბერძნული პური გისურვებთ ჯანმრთელობას და ფრთხილად ღრმა თხრილია სულიერ სიმშვიდეს